

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Batumi Shota Rustaveli State University
Faculty Of Humanities



საერთაშორისო კონფერენცია

„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II“

ოქტომბერი 24-26 October

თეზისები - Abstracts

International Conference

"Humanities in the Information Society – II"



გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი – 2014 – Batumi

UDC (უკ) 1+2+3+7+81/82+94] (479.223)(063)
3-952

რედაქტორები: პროფესორი მარინე გიორგაძე
პროფესორი თამარ სირაძე

Editors: **Professor Marine Giorgadze**
Professor Tamar Siradze

საორგანიზაციო კომიტეტი ფინანსური მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს

The Organizing Committee thanks for the financial support
The Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous Republic



ISBN 978-9941-434-86-0

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2014

თეზისები

რედაქტორები:

მარინე გიორგაძე

თამარ სირაძე

კონცეპტ ელიტას განზომილებებისთვის ქართულ კულტურულ კონტექსტში

ეთნოგრაფიულ საველე მასალაზე და განვითარებულ თეორიულ აზრზე დაფუძნებულ წინამდებარე ემპირიულ კვლევაში გამოვლენილი, დადასტურებული და გაანალიზებულია *ჭეშმა-რიტი* და *ცრუ* ელიტები, რაც თეორიული მოსაზრებების განვითარების საშუალებას იძლევა ქართული კულტურის მაგალითზე.

ნათია აბაშიძე (ბათუმი)

სემანტიკური ოპოზიციების სტილისტიკური ფუნქციები ფრანგულ და ქართულ ენებში

სემანტიკური მიმართებების იდენტიფიცირება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ლექსიკურ ერთეულებს, მოითხოვს ისეთი მარტივი კატეგორიების სიღრმისეულ შესწავლას, როგორც არის დათანხმება, უარყოფა, იმპლიკაცია და ეკვივალენტურობა. ლექსემათა სემანტიკური მსგავსება - განსხვავება ენაში ანტონიმებითა და სინონიმებით გამოიხატება. ენის ეს ორი ვექტორი ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ფილოსოფოსთა ყურადღების ცენტრში იდგა. ენის ფილოსოფიურმა კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და განსაზღვრეს ენათმეცნიერების დარგები. ანტონიმია არ შემოიფარგლება მხოლოდ ობიექტური ნიშნებით, მას ხშირად ლოგიკური მიმართებები განსაზღვრავს. ცხადია, ოპოზიცია ზოგადად გულისხმობს სიტყვათმორის კავშირებს განსხვავებების მიხედვით, მაგრამ ზოგჯერ მოიცავს მსგავსების შტრიხებსაც, რაც ერთთავად ასუსტებს ანტონიმის პრინციპებს, ზოგჯერ კი სრულიად პარადოქსულ სიტუაციებს ქმნის (ოქსიმორონი: „*მჭევრმეტყველური დუმილი*“, „*უძინართა მზე*“, „*მზიანი ღამე*“ „*cette obscure clarté*“, „*un mort-vivant*“, „*Hâte-toi lentement*“ და ა. შ.).

ჩვენი კვლევის საგანია ლექსიკურ-სემანტიკური ოპოზიციების იმ მრავალფეროვანი მიმართებების დადგენა, რომლებიც საინტერესოა როგორც სემანტიკური, ისე სტილისტიკური თვალსაზრისითაც. განვიხილავთ საპირისპირო მნიშვნელობის ლექსემათა კლასიფიკაციას ლინგვისტური კონცეფციების საფუძველზე, ანტითეზისა და ოქსიმორონის მაგალითებს, მათ ფუნქციებსა და სტრუქტურას ფრანგულ და ქართულ ენებში.

კვლევა ეყრდნობა შეპირისპირებით მეთოდს, სიტყვა-სტატიისა და გამონათქვამების ანალიზის მეთოდს.

ნანა აბაშიძე (თბილისი)

**ბოდლერის სიღრმისეული თვითინტერპრეტაცია, თუ „პოეტური დუბლეტები“?
(ოთხი პარალელის მაგალითზე)**

ჩვენი მიზანია ბოდლერის ოთხი „პოეტურ/პროზაული“ პარალელის მაგალითზე ვაჩვენოთ მათი გამაერთიანებელი და პოეტური სიტყვის სიღრმისეულ განცდაზე ორიენტირებული თემატური სტრუქტურა, ხოლო აღნიშნული პარალელიზმი განვმარტოთ არა როგორც პოეტის შემოქმედებითი უწყალოდობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ფაქტი, არამედ როგორც პოეტის თვითინტერპრეტაცია, როგორც ლექსთწყობისათვის განწყობილი ზღუდეების გადალახვით გამოვლენილი დიალოგი საკუთარ თავთან. კვლევისას გამოყენებულია ბოდლერის ნაწარმოებები - «LE CRÉPUSCULE DU SOIR», «UN HÉMISPÈRE DANS UNE CHEVELURE», «L'INVITATION AU VOYAGE», «L'HORLOGE», - რომელთაგან თითოეული არსებობს როგორც რიტმიზებული პროზის,

ისე ლექსის სახით. ჩვენი ამოცანაა ჟან-პიერ რიშარის მიერ შემოთავაზებული სიღრმისეული ანალიზის მეთოდის მოშველიებით აღნიშნულ ნიმუშებში დავებნით და გამოვყოთ *სიღრმის* ბოდლერისეული განცდის ლექსიკურ-სემანტიკური მარკერები და შეძლებისდაგვარად დავუკავშიროთ ისინი ზემოთ ხსენებულ ნაწარმოებთა თემატურ სტრუქტურას, რაც გზას გაგვიხსნის აღნიშნული მასალის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისაკენ. კვლევის შედეგად გამოვლენილია სიღრმის ბოდლერისეული განცდის გამომხატველი ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულები, როგორცაა *profondeur, mer, océan, profond, ténèbres. fête intérieure, infini, labyrinthes pierreux d'une capitale, deuil profond de la Nuit ...*, რომლებიც გარკვეულწილად მიუთითებენ ბოდლერის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი, სახელდობრ, ურბანისტული თემატიკის სიღრმისეულ განცდაზე. ბოდლერისეული თვითინტერპრეტაციის აღნიშნული ნიმუშები მათთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტების თავისებურებითა და სიღრმის ბოდლერისეული განცდის სიმწვავეთ, ჩვენი აზრით, არის ავტორის მცდელობა - მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხი მიიღოს მის მიერვე ერთხელ უკვე დასმულ კითხვებზე.

მაია ალავეიძე (ქუთაისი)

ინტერვიუს როგორც დიალოგური მეტყველების პრაგმატიკული თავისებურებანი

დისკურსის განმარტებით თუ ვიმსჯელებთ, დიალოგური მეტყველება მის ყველაზე ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ისტორიულად ენის ძირითადი ფუნქცია განისაზღვრებოდა მისი კომუნიკაციური დანიშნულებით, რაც პირველ რიგში, გულისხმობდა ინფორმაციის მიწოდებასა და გაცვლას, რომელიც მოტივირებული იყო ადამიანთა პრაქტიკული მოთხოვნილებით. დიალოგური დისკურსის უმთავრეს მახასიათებელს მისი ინტერსუბიექტურობა და ინტერაქტიურობა წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ სამეტყველო ურთიერთობა ცალკეული აქტებისგან შედგება.

თითოეული სამეტყველო აქტი ქმნის სოციალურ-კომუნიკაციურ ველს, რომლის ძირითად კომპონენტად გვევლინება ადრესანტი და ადრესატი. დიალოგური დისკურსის ინტერაქტიულობა გულისხმობს კომუნიკანტთა თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, ხოლო ინტერსუბიექტურობა კი გაიგება, როგორც ფსიქოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (მაკაროვი 2003). შესაბამისად, სამეტყველო ურთიერთობის პროცესში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება პრაგმატიკული ასპექტების კვლევას, რადგან პრაგმატიკა კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებს ითვალისწინებს, რომლებშიც კონკრეტული კომუნიკანტები მონაწილეობენ თავიანთი ჩანაფიქრებით და ფსიქომოციური განწყობით.

კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრეებს გააჩნიათ მოტივი, რომელიც მათ სტიმულს აძლევს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, საუბრის სტიმულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება სოციალურ კონტაქტში შევიდეს სხვა ადამიანებთან.

პოლიტიკოსების შემთხვევაში, დიალოგური მეტყველების მოტივად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გადაცემის სურვილი ან პუბლიკის ფსიქიკის ემოციურ და ინტელექტუალურ სფეროებზე ვერბალური ზეგავლენის მოხდენა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დაკავშირებულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციასთან.

დაბოლოს, შეიძლება ვთქვათ, რომ ინტერვიუ უნდა ჩაითვალოს ერთადერთ ჟურნალისტურ ჟანრად, რომლის ჟანრობრივი განსაზღვრა გულისხმობს დიალოგურობას და ეყრდნობა მას. მისი დანიშნულებისა და მიზნების გარკვევის ერთდაერთი შესაძლებლობა კი ინტერვიუს პრაგმატიკული ანალიზია.

მატერია იოანე პეტრიწის კომენტარებში

ნაშრომის მიზანია, მატერიის ცნების ანალიზი იოანე პეტრიწის კომენტარში პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებზე“ და მისი ანტიკური ფილოსოფიური წყაროების დადგენა. ამასთან დაკავშირებით, განხილულია შემდეგი საკითხები:

(1) რა არის მატერია? ყველაფერი, მატერიის ჩათვლით, უზენაეს ერთზე არის დამოკიდებული. რაზე არ არის მატერია დამოკიდებული? ის არაფერზე არ არის დამოკიდებული, გარდა უზენაესი ერთისა; ასე, მაგალითად, ის არ არის დამოკიდებული გონებაზე ან სულზე. პეტრიწი მატერიას განსაზღვრავს, ძირითადად, უარყოფითი პრედიკატებით (აპოფატიკურად), ან ნახევრად უარყოფითად (ამგვარი განსაზღვრებებია, მაგალითად “უგვარო გვარი”, “უმსგავსო მსგავსება”). ამ კუთხით განვიხილავთ პროკლეს ტექსტებს როგორც პეტრიწის “განმარტების” წყაროებს. პეტრიწი განმარტავს მატერიის დამოკიდებულებას უზენაეს ერთზე პირველსაწყისის “მხოლოდობის” კონტექსტშიც: პროკლეს მსგავსად (და მანიქეველთა საპირისპიროდ), ის ამტკიცებს, რომ უზენაესი საწყისი არის ერთი და ის ერთადერთია. ამდენად, პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ განმარტავს პეტრიწი პროკლეს ონტოლოგიური წყვილის (პირველი საზღვარი - პირველი უსაზღვრობა) მეორე წევრის (პირველი უსაზღვრობა) მიმართებას მატერიასთან.

(2) პეტრიწი განმარტავს მატერიას, როგორც ფორმის ნაკლებობას და მატერიას „სტერესის“ უწოდებს. შესაბამისად, პეტრიწის წყაროებად მატერიის ამ განმარტებასთან დაკავშირებით განვიხილავთ არა მხოლოდ პლატონსა და პროკლეს, არამედ არისტოტელესაც.

(3) პლატონის „ტიმაიოსის“ შესაბამისად, პეტრიწი მატერიას უწოდებს „ნიადაგ მესხუაეი მდედრს“, რომლის წვდომა მხოლოდ “უკანონოდ შობილ აზროვნებას” შეუძლია. მისი უფორმობის გამო, მატერია მიუწვდომელია გონებისთვის, როგორც ინდივიდუალურისთვის, ასევე უნივერსალურისთვის. კითხვა, რომელიც პეტრიწის „განმარტების“ საფუძველზე გვგზავნის, ასეთია: არის თუ არა მატერია უზენაესი ერთისთვისაც სრულიად მიუწვდომელი?

(4) მიმართება პირველ მატერიას როგორც უფორმო არა-არსს, და მატერიალურ საგნებს შორის საკმაოდ რთულია. “ქვემოდან” (ანუ მატერიის “დონიდან”) თუ შევხედავთ, კითხვა შეიძლება ასე დაისვას: სად და რატომ იწყებს ან წყვეტს ფორმა თავის მოქმედებას? ამასთან ერთად, რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში უზენაესი ერთი როგორც ყველაფრის შემოქმედებითი მიზეზი? რა არის გადამწყვეტი “წმინდა” მატერიის (აბსოლუტური არ-არსის) მდგომარეობიდან გაფორმებული მატერიის (სხეულოვანი არსის) დონეზე და პირიქით გადასვლის ფაქტში/აქტში: შემოქმედებითი (მოქმედი) მიზეზის პოზიტიური აქტივობა (მოქმედება) თუ გონების ნეგატიური პასიურობა (ანუ ფორმის მაქსიმალური ნაკლებობა)? ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვს ძალისა და მოქმედების (ბერძნ. *დინამის-ენერგია*) დიალექტიკაში ჩაღრმავებას.

(5) პეტრიწის აზრით, არის თუ არა, ან უნდა იყოს თუ არა, და რა გაგებით, მატერია თეოლოგიის საგანი?

(6) მატერია და ბოროტება: რა მიმართებაა მათ შორის? რას ნიშნავს ადამიანისთვის, ეთიკისა და გამოხსნის თვალსაზრისით, ის, რომ მას აქვს სხეული, რომელიც არის მატერიალური “ქიტონი”? რა როლს თამაშობს მატერია თავისუფლებისა და აუცილებლობის, იგივეობისა და სხვაობის დიალექტიკაში?

(7) მატერია პეტრიწისთვის “არ-არსია”, ის “არარაა”. პეტრიწის თანახმად, უზენაესი ერთი ქმნის არსს არ-არსიდან. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, გულისხმობს თუ არა პეტრიწი აქ აბსოლუტურ არარსს თუ მატერიას როგორც არსის ნაკლებობას, თუმცა ის ნამდვილად არ საუბრობს თავად მატერიის შექმნის შესახებ.

ქართული წინადადების სინტაქსური ანოტირების სტრუქტურა

მოხსენებაში განხილული იქნება ქართული წინადადების სინტაქსური ანოტირების სტრუქტურა ლინგვისტური კონსტრუქციების ბინარული მიმართებების მიხედვით, სადაც თითოეულ სიტყვასთან მითითებულია მისი როლი სიტყვათა კავშირში.

წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირები შესაბამისობაშია სინტაქსური ხის სტრუქტურასთან. წინადადების წევრები (სიტყვები) წარმოდგენილია სახელური (NP) და ზმნური (VP) ფრაზების ელემენტებად. ხის სტრუქტურის ერთიანობის შესანარჩუნებლად შემოდის ნულოვანი კვანძის ცნება (S-წინადადება), რომელიც უპირო ზმნის შემთხვევაში მხოლოდ VP-ზმნური ფრაზის, ხოლო სხვა შემთხვევაში კი NP-ს და VP-ს მოშობელია.

აღწერილია წინადადების ყველა წევრი (მთავარიც და არამთავარიც). თითოეულ მათგანთან აუცილებლად მითითებულია მისი სინტაქსური როლი: ეს არის სინტაქსური *მშობლისა* და სინტაქსური *მემკვიდრის* როლი. *მშობლის* როლში შეიძლება იყოს როგორც სახელური ფრაზა, ასევე ზმნური ფრაზაც. ეს ფრაზები თავისუფლად შეიძლება მონაწილეობდნენ *მემკვიდრის* როლშიც.

ნაჩვენებია აგრეთვე, რომელ სინტაქსურ კონსტრუქციაში მონაწილეობს წინადადების ესა თუ ის წევრი, რომელსაც, თავის მხრივ, მიწერილი აქვს ყველა შესაძლო როლი სათანადო გრამატიკული მახასიათებლებით.

მაგალითად, პირდაპირი დამატება არის VP ზმნური ფრაზის მემკვიდრე (VP=V+N). ის შეიძლება გადმოცემული იყოს სახელით (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, სახელზმნა) მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში. მისი ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი. დაირთავს თანდებულებს (ვით, თან, ზე, ში) და ნაწილაკებს (-ც, -და, -ვე), ასევე სხვათა სიტყვის ნაწილაკებს (ო, მეთქი, თქო).

ქართული წინადადების სინტაქსური ანოტირების სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორფოლოგიური ანალიზის შედეგად დაგროვილი ცოდნა, რომელიც ამომწურავ სინტაქსურ ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითად, მოთხრობითი ბრუნვით გადმოცემული სახელი მხოლოდ ქვემდებარე შეიძლება იყოს და ა.შ.

ასეთი სტრუქტურის მქონე სინტაქსური ანოტირების სისტემა გრამატიკული მახასიათებლების მეშვეობით ქართული წინადადების სრულყოფილი აღწერის საშუალებას იძლევა.

მანანა ანთაძე (თბილისი)

უილიამ შექსპირის „მაკბეთის“ თარგმნის ზოგიერთი საკითხი

თარგმნა, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების ინტერპრეტაციაა. სწორედ ამის გამო, ბუნებრივია, თარგმანში ავტორის გვერდით მთარგმნელიც არსებობს. ამასთან, ნებისმიერ თარგმანსა და დედანს შორის ყოველთვის დარჩება რაღაც სივრცე, რომელიც გამუდმებით აცდუნებს ნებისმიერ მთარგმნელს. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც აქტუალურია მე-11 საუკუნეში, კონტანტინოპოლში მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი თეორია, რაც მან უამრავ თხზულებათა ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოტანისას ჩამოაყალიბა და სამი მთავარი პრინციპით განსაზღვრა, ყოველ ნაწარმოებს თავისებურად ესადაგება ზოგადი პრინციპები.

როდესაც შექსპირის ტექსტს შეეხები, მაშინვე იგრძნობ, უსასრულო შესაძლებლობები გეძლევა. შენს ხელთაა ორმაგი რეალობა, ქვეტექსტების სიუხვე, მახვილგონიერება, ტროპული მეტყველება - უმდიდრესი ლექსიკა, სინონიმების წარმოუდგენელი რაოდენობა და მოულოდნელი ენობრივი ექსპერიმენტები. ეს ყველაფერი ერთად ქმნის შექსპირულ მეტატექსტს, რომელიც თავის უძირო სიღრმეში გითრევს, სადაც ტრანსფორმაციის მოწმე და მონაწილე ხდები. აღორძინების ხანის ინგლისური ენა, როგორც ხშირად ამბობენ, ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა. უამრავი ახალი სიტყვა დამკვიდრდა ლექსიკონში, რასაც დიდად შეუწყო ხელი უილიამ შექსპირისა და მისი თანამედროვეების მიერ შექმნილმა თეატრალურმა რიტორიკამ. შექსპირმა, რომლის სიტყვანი 27 870 ერთეულს შეადგენს (შედარებისათვის, ძველი ალექსანდრის 5 642-ია, მილტონის 8 000), 1 500-ზე მეტი ახალი სიტყვა დატოვა ენაში, თუმცა თავის დროზე გაცილებით მეტი შექმნა. ამასთან, უსაზღვროდ გააფართოვა სიტყვის მნიშვნელობა და ფუნქცია.

ჩვენ შევხებით შექსპირული ლექსის საზომის გადმოტანის გზებს და კუდიანების პირველ სცენაში გაჟღერებულ ცნობილ ტირადას, რომლის ინტერპრეტაცია პიესის გასაღებს წარმოადგენს.

ქეთევან ანთელავა (თბილისი)

სიტუაციური კომედიები, რომლებმაც შეცვალეს ამერიკელი ქალები და წარმოდგენები ქალებზე

ტელევიზიის არსებობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იგი კულტურის ხატად იქცა და ჩვენს ეკრანებზე გამოჩენილი სახეები როგორც პირდაპირ, ასევე შენიღბული ფორმით, მრავალმხრივ და სრულ ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ტელევიზია ერთდროულად საზოგადოების სარკეცაა და გავლენის და პროცესების წარმართვის იარაღიც. ამ შესაძლებლობების მქონე მრავალფეროვანი სატელევიზიო ჟანრებიდან ერთ-ერთი სერიალი, კერძოდ, სიტუაციური კომედიაა.

50 წელზე მეტი ხნის მანძილზე ამერიკაში სიტუაციური კომედიები ართობენ მაყურებელს და ამავე დროს ასახავენ და რიგ შემთხვევაში ცვლიან ამერიკულ რეალობას, რომლის ერთ-ერთი თემა ქალი და საზოგადოებაში მისი როლია. 1950-იან წლებში გამოსული “I Love Lucy”-დან “Sex and the City”-მდე, სიტუაციური კომედიები წარმოაჩენენ ქალ პერსონაჟებს, რომელთა ევოლუცია ისევე საინტერესოა, როგორც თავად ქალთა მოძრაობა. ათწლეულების მანძილზე სერიალებში ნაჩვენები ქალი პერსონაჟები წარმოგვიდგებიან რადიკალურად განსხვავებული გარეგნობით, სამუშაოთი, განათლებით, პირადი ურთიერთობებით და საზოგადოებრივი როლით.

დროსთან ერთად, იცვლება ქალის სახეც ამერიკულ კომედიურ სერიალში, იცვლება კომედიური სიტუაციაც და თვით ის გასართობი, კომედიური თუ შემეცნებითი “მორალიც”, რომელიც ამერიკელ მაყურებელს სერიალიდან გამოაქვს. თუ ადრეულ გმირებს ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული საოჯახო და სოციალურ ფასეულობათა დაცვის ტენდენცია, მოგვიანებით უკვე გვხვდებიან: ჭარბწონიანი, პრინციპულად მარტოხელა და მაინც თავდაჯერებული და წარმატებული, მიზანდასახული და საქმეში დაუნდობელი, მეოჯახე და სქესობრივ ურთიერთობებში მოუწესრიგებელი ქალები.

ამ მისაწვდომი და სახალისო საშუალებით ამერიკისმცოდნეობის, ქალთა საკითხების შემსწავლელ სტუდენტებს და მკვლევრებს უფრო ნათელი წარმოდგენა ექმნებათ როგორც ამერიკული საზოგადოების, ისე მასში ქალთა შეცვლილი როლის შესახებ.

ცნობიერების მდგომარეობის გაგება და მისი როლი შემეცნების პროცესში

სტატიაში წარმოდგენილია ცნობიერების მდგომარეობის გაგება და მისი ცვლილება კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობიერების მდგომარეობის გააზრება და მისი ფარგლების დადგენა შემეცნების პროცესის გაგებისათვის, ასევე, ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულებისათვის.

ცნობიერების მდგომარეობის საკითხი კორელაციაში მოდის ფსიქოფიზიკური პარალელის კარტეზიანულ გაგებასთან. ამიტომაც აღნიშნული საკითხის კვლევისას შეუძლებელია გვერდი აუარო დუალიზმის კლასიკური ფორმების მატერიალისტურ და ბიჰევიორისტულ კრიტიკას. ცნობიერების მდგომარეობის ნებისმიერი დეფინიცია ეფუძნება როგორც თანამედროვე საბუნებისმეტყველო აღმოჩენებს, ასევე ტექსტებს, რომელშიც ცნობიერების ფილოსოფიის საკითხების გარშემო არსებული დებატებია ასახული. მოცემული საკითხის კვლევა ითხოვს შემეცნების პროცესის გაგების ხელახალ გადააზრებას ისეთი თეორიების ფარგლებში როგორცაა ინტუიტივიზმი, ბიჰევიორიზმი, ფუნქციონალიზმი, ინსტრუმენტალიზმი და სხვ.

ავთანდილ არაბული (თბილისი)

სახელმწიფო ენის განვითარების უახლესი ამოცანები

მესამე ათასწლეულის მიჯნაზე ქართული სახელმწიფო ენა სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ეს განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა გარემოებამ:

- კარდინალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტირები და განვითარების ვექტორი;
- შეუქცევადი ხასიათი შეიძინა კულტურისა და განათლების კავშირ-ურთიერთობამ მოწინავე ევროპულ ცივილიზაციასთან;
- თავისი პირობები შემოგვთავაზა სწრაფმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და გლობალიზაციამ;
- მძაფრ კონკურენტულ გარემოს ქმნის უსაზღვრებო საინფორმაციო სივრცე;
- ქართული სახელმწიფო ენა უშუალო პარტნიორი აღმოჩნდა განვითარებული ევროპული ენებისა - ინგლისურისა, გერმანულისა, ფრანგულისა...

თუ გავიაზრებთ, ერთი მხრივ, ამ საერთაშორისო პირობებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ენის მნიშვნელობას ქართული სახელმწიფო-ფოებრიობის მომავლისათვის, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას:

დღევანდელი მდგომარეობა ქართული სახელმწიფო ენისა, რომელსაც მდიდარი ისტორია და დიდი, ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს, არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება:

ყოველთვის როდი უპასუხებს იგი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის თანამედროვე მოთხოვნებს;

ყოველთვის როდი შეესაბამება მისი ფუნქციონირების პირობები მოწინავე ენებთან თანამედროვე კონკურენციის პირობებს;

ყოველთვის არ ხერხდება მისი საარსებო სივრცის დაცვა-შენარჩუნება; იგრძნობა სახელმწიფო ენის რეგულირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დეფიციტი;

თითქმის აღარავინ ზრუნავს ენობრივი ნორმების მოვლასა და დაცვაზე; თვალშისაცემია ენობრივი კულტურის საერთო დაქვეითება.

არსებითად უკონტროლო ხასიათი შეიძინა უცხოენოვანი ტერმინო-ლოგიისა და ფრაზეო-ლოგიის გამოყენებამ იქაც კი, სადაც კანონიერი ქართული შესატყვისები არსებობს;

თითქმის არანაირ ენობრივ სტანდარტებს არ ცნობს ქართული მედია;

ასევე არ არის სახელმწიფო ენის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი მეცნიერებისა და განათლების სფეროში...

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფო ენა, ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტი სახელმწიფოებრიობისა, გარდაუვალად მოითხოვს უახლოეს მოთხოვნათა შესაბამის რეფორმირებას როგორც ოფიციალური სტანდარტიზაციისა (გრამატიკული და ტერმინოლოგიური ნორმალიზაციისა) და ამ მოთხოვნათა ელექტრონული უზრუნველყოფის, ისევე, განსაკუთრებით, ფუნქციონალური რეგულირების თვალსაზრისით.

ავთანდილ არაბული (თბილისი)

ხუცესის ინსტიტუტი ისტორიულ ფხოვში

აკადემიკოს აკაკი შანიძის ერთი საუკუნის წინანდელი ექსპედიციის დროს ისტორიულ ფხოვში, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხების ხატ-სალოცავების მთავარი ღვთისმსახურის სახელწოდება ცხადად იყო გარჩეული (ანუ განსხვავებული): ჳევისბერი ფმ., ხუცესი ჳ., დეკანოზი მთ. დამწყალობნებელი ხატში. ხუცესი, ხუცეზი (ხატში) ჳ. მთავარი ღმერთ-მსახური ხატში, დამწყალობნებელი (ხატში) (ა. შანიძე, თხზ., ტ. 1, ლექს.). ა. შანიძე მოხეურის ვარიანტს არ უთითებს, თუმცა ისინიც ამ შინაარსით დეკანოზ-ტერმინს იყენებენ.

ვაჟა-ფშაველასთან ასევე ჩანს განსხვავება ხევსურულსა და ფშაურს შორის: „ვის ამწყალობნებ...?“ - ჳკითხავს ალუდას ხუცესი გადაწეულის მკლავითა („ალუდა...“); ხევისბრობს ბერი ლუხუმი, ხმატკბილად მოუბარია („ბახტრონი“); თუმცა ხევისბერ-ტერმინს პოეტი ხევსურულ გარემოშიც იყენებს: ხევისბერს აძლევს მოზვერსა, დადგა დახრილის თავითა („ალუდა...“).

ხუცესი რომ ფშავეშიც ვლინდება, ამას ადასტურებს ზოგი სხვა წყარო (იხ. გ. ხორ-ნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ. 2000). უფრო სავარაუდოა, რომ აქ ეს იყოს უფრო არქაული ვითარების ნაშთი, ვინაიდან ხუცეს-წარმოება საკულტო ტერმინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ერთეულია.

რაც მთავარია, ხევსურეთში (ისტორიულ ფხოვში) შემორჩენილია შესაბამისი რიტუალის ამსახველი ზმნური ფორმა ხუც-ობ-ა, რომელიც, თავის მხრივ, ინახავს ამ წარმოების უფრო არქაულ (ხუც-) ვითარებას: ხუცობა ჳ. საკლავზე რისამე ან ვისიმე კურთხევის დროს ლოცვების წარმოთქმა ხუცესის მიერ (ჳ. მას.) (ა. შანიძე, თხზ., ტ. 1, ლექს.). ამავე ფუძის წარმოებაა: სახუცო კოჭობი, სახუცარი თასი - თასი ან კოჭობი, რომელსაც მხოლოდ ხუცესი და დასტურ-ველოსნები ხმარობენ (ალ. ჳინჭ., ხევს. ლექს., 2005).

მოხსენებაში საუბარია ამ ინსტიტუტის რაობასა და შესაბამის წარმოებათა ურთიერთმიმართებაზე.

ენის როლი კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბებასა და ეროვნული იდენტობის გააზრებაში

ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესებმა აქტუალური გახადა კოლექტიური კულტურული მეხსიერების და იდენტურობის კვლევა.

თანამედროვე საზოგადოებაში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს კულტურული მეხსიერების თეორიის კვლევა-დამუშავება, რომლის ფორმირების შედეგად ყალიბდება ერის მენტალიტეტი, რაც წარმოადგენს ეროვნული იდენტურობის აუცილებელ პირობას.

სოციალურ-ეთნიკურ საზოგადოებად თავის გააზრება-წარმოჩინება გვამღვებს საშუალებას - გავიგოთ ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, ასევე, გავიგოთ და გავიაზროთ ჩვენი წარსული, თუ ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ჩვენი წინაპრები, რა გადაიტანეს საუკუნეების მანძილზე. სახელდობრ, ერთობლივი სატკივარი და განცდა - წარმოადგენს იმ ერის ეროვნული სპეციფიკის გაგება-გააზრებას.

ავტორები მონოგრაფიისა - „ქართველების თვალთ დანახული ბულგარეთი“ - მ. აროშიძე და თ. ფუტკარაძე აღნიშნავენ, რომ დღევანდელი ცხოვრება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთარი წარსულის კულტურული გამოცდილების გააზრებაზე.

კულტურული მეხსიერება - კოლექტიური ფენომენია, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ კოლექტიური მოგონებანი წარმოადგენენ არა მხოლოდ ინდივიდუალური მოგონებების ნაყოფს, მონათხრობის კრებულს.

მოსაზრება, რომ კოლექტიური მეხსიერება განსაზღვრული სოციალური ჯგუფით იქმნება და მის წარმოშობა-წარმოქმნაში მონაწილეობს სხვადასხვა ფაქტორი, უპირველესად, ხალხვაკსს მიეკუთვნება.

ხალხვაკსი გულისხმობს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა, მაგალითად, თავად ინტერაქტიული კომუნიკაციის პროცესი; ოჯახის ტრადიციები, განსაკუთრებით, არისტოკრატიული, სადაც პატივისცემით, სათუთად ეპყრობიან და ეგოგმანებიან ღირსეული წინაპრების მემკვიდრეობას, დანატოვარს; რელიგიური დაჯგუფებების სამახსოვრო ტრადიციებს, მაგალითად, სამონაზვნო ერთობებს.

უფრო მეტიც, ცალკეული ერის მეხსიერება არა მარტო „ინდივიდუალურია“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმ შემთხვევაში, თუ ყოველი ინდივიდი მოიაზრებს საკუთარ თავს განსაზღვრული ჯგუფის წევრად და „იხსენებს“ მას მეხსიერების კონტექსტში, მაშინ ჯგუფის მეხსიერება აქტუალიზდება თავისი წევრების ინდივიდუალურ მეხსიერებაში.

კოლექტიური მეხსიერების ქვეშ ხალხვაკსი მოიაზრებს ფაქტორს, რომელიც აერთიანებს ჯგუფს და განამტკიცებს მის იდენტურობას. ადგილები, გმირები, მოვლენები აერთიანებენ სოციალურ ჯგუფს და ამავდროულად, განსაზღვრავენ მის არსსა და სპეციფიკას. წარსული მუდამ რეორგანიზდება და აისახება კოლექტიურ მეხსიერებაში.

ეკატერინე არჩვაძე (ქუთაისი)

ზეფრაზული ერთიანობა, როგორც აღწერა-შეფასების ტექსტობრივი მექანიზმი

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ზეფრაზულ ერთიანობას განიხილავს, როგორც ორი ან მეტი დამოუკიდებელი წინადადების ერთობლიობას, რომელიც ხასიათდება აზრობრივი, კომუნიკაციური და სტრუქტურული დასრულებულობით და ავითარებს ერთ მიკროთემას. იგი

ერთ-ერთი უმაღლესი დონის საკომუნიკაციო ერთეულია, რომელიც შედგება სტრუქტურულად და სემანტიკურად დამოუკიდებელი წინადადებებისგან და კონტექსტიდან ამოღების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს შესაბამის სემანტიკურ დამოუკიდებლობას. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ტექსტის შემადგენლობაში ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად მიჩნეულ უნდა იქნეს აზრობრივი კრიტერიუმი, რაც ერთიანი მიკროთემის არსებობას გულისხმობს და თავის მხრივ შეიძლება დაკონკრეტდეს, როგორც აზრობრივი დასრულებულობა და დამოუკიდებლობა.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ მიკროთემის ერთიანობის როლი, როგორც რთული სინტაქსური მთლიანობის გამოყოფის უმთავრესი კრიტერიუმი; ასევე, ბრიტანული და ქართული პრესის მასალების საფუძველზე გავაანალიზოთ ზეფრაზული ერთიანობა, როგორც აღწერა-შეფასების ტექსტობრივი მექანიზმი სრულიად განსხვავებული სისტემის მქონე ინგლისურსა და ქართულ ენებში მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის მიზნით.

თანამედროვე ბრიტანულ და ქართულ პრესაში იკვეთება ინტერესი მოხდეს შესაფასებელი სუბიექტის, ფაქტის ან მოვლენის აღწერა-შეფასება არა მხოლოდ ექსპლიციტურად, არამედ იმპლიციტურადაც. ამგვარი შემთხვევების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრის გამოხატვის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს კომუნიკაციაში მონაწილეთა მიერ და წარმოაჩენს კომუნიკაციური მიზანდასახულობების მრავალფეროვან სპექტრს. ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ შერჩეული ზეფრაზული ერთიანობები თანამედროვე ბრიტანული და ქართული პრესიდან საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს და იძლევა საფუძველს შეპირისპირებით პლანში განვიხილოთ საკვლევ პრობლემა.

ზურაბ არჩვაძე (ქუთაისი)

„მართებულობის“ პრინციპისათვის ფრანგულ კლასიციტურ ტრაგედიაში

კლასიციზმის ესთეტიკის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოები, კერძოდ კი ტრაგედია, უნდა აგებულიყო მრავალი „წესის“ დაცვის საფუძველზე. ერთ-ერთი ამ წესთაგანი არის „მართებულობის“ წესი, რომლის დაცვითაც ფრანგული კლასიციტური ტრაგედიის დიდოსტატებმა - კორნელმა და რასინმა გამართეს თავიანთი პიესები: „სიდი“, „პოლიექტივექტი“, „ფედრა“, „ბაიაზეთი“ და ა.შ. მრავალი „უხილავი“ დეტალის გაშიფვრა მხოლოდ მაშინ არის სრულფასოვნად შესაძლებელი მრავალ სხვა „წესთან“ ერთად, თუ წინასწარ შევისწავლით „მართებულობის“ პრინციპის საკითხს, რომელიც ასე საფუძვლიანად დაამუშავეს თეორიულად და პარალელურად პრაქტიკაშიც დანერგეს ფრანგმა კლასიციტმა დრამატურებმა.

ასმათ არძენაძე (ზათუმი)

ადმინისტრაციული განცხადებების სტრატეგია და ტაქტიკა

დღესდღეობით სხვადასხვა ტიპის დისკურსში აქტიურად იყენებენ კომუნიკაციის სტრატეგიებისა და ტაქტიკის კონცეფციებს. გამოიყოფა ორი ძირითადი მიდგომა - კოგნიტიური და ინტერაქტიული (სამეტყველო სტრატეგია), რომლებიც არ არიან ურთიერთგამომრიცხველნი. უმეტეს შემთხვევაში საკომუნიკაციო სტრატეგია უკავშირდება მოტივებს, ინტენციას, მოსაუბრის გარკვეულ ზოგად (მაკრო) მიზნებს და ამ მიზნის მიღწევისათვის არჩეულ ადეკვატურ გზებს. ეს მთავარი ამოცანა მიიღწევა სამეტყველო-კომუნიკაციური ტაქტიკის დახმარებით, რომელიც სტრატეგიის განხორციელებისათვის აერთიანებს ერთ ან რამდენიმე მოქმედებას. რეალურ

ურთიერთობათა სიტუაციას ახასიათებს ის ფაქტი, რომ კომუნიკაციის მიზანი მიიღწევა რამდენიმე საკომუნიკაციო ეტაპის განხორციელების პროცესში, რომელიც შეესაბამება ცნება - ტაქტიკას.

საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და ტაქტიკის, ურთიერთობის ერთეულების კონცეფციის ფართო გამოყენება კვლევის სტადიაშია. ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა ყურადღება მიმართული იყო უფრო კომპლექსურ ერთეულებზე, ვიდრე სამეტყველო აქტია, ისეთებზე, მაგალითად, როგორიცაა: სამეტყველო ჟანრები, დიალოგიური ერთიანობა, სამეტყველო მოვლენა და ბოლოს, საკომუნიკაციო-სამეტყველო სტრატეგიები და ტაქტიკა. ტაქტიკის ცნება დაკავშირებულია სამეტყველო ჟანრთან, როგორც მის კომპონენტთან. მაგალითისთვის შეიძლება მუქარის განზრახვის ინტენცია მოვიყვანოთ, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც სამეტყველო ტაქტიკა (ე. მ. ვერემაგინი), როგორც სამეტყველო ჟანრი (თ. ვ. შმელიოვა) და როგორც სამეტყველო აქტი (ა. ა. რომანოვი).

მეტყველების სტრატეგია და ტაქტიკა სხვადასხვა კულტურაში განსხვავდება, ე.ი. ის არ არის უნივერსალური. ისინი გარკვეულ სიტუაციაში სამეტყველო ქცევის ნაციონალურ-კულტურულ მოდელებს წარმოადგენენ. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ადმინისტრაციული განხვადებების სტრატეგიისა და ტაქტიკის გააზრება.

აბესალომ ასლანიძე (ბათუმი)

თეოლოგია თუ რელიგიათმცოდნეობა? (საკითხის დასმისთვის)

ბოლო პერიოდში ბევრს კამათობენ იმაზე, თუ რა ისწავლებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში - თეოლოგია თუ რელიგიათმცოდნეობა. განსჯის საგანია ისიც, თუ რა სპეციალობა (პროგრამა) უნდა არსებობდეს უნივერსიტეტებში, თეოლოგიის თუ რელიგიათმცოდნეობის. ამ დროს, თეოლოგია და რელიგიათმცოდნეობა არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან.

თეოლოგია (მოძღვრება ღმერთის შესახებ, მას ხშირად ღვთისმეტყველებასაც უწოდებენ) თავისი არსით რელიგიის აპოლოგეტია და მისი მთავარი დანიშნულება ღმერთის არსებობისა და რელიგიური დოგმების დასაბუთებაა, დასაბუთება კი რწმენასა და წმინდა წიგნებს ეფუძნება და მტკიცებულებებისგან, მეცნიერებისგან შორსაა, ამიტომაც თეოლოგიის სწავლება საუნივერსიტეტო სწავლების ამოცანა ვერ იქნება. თეოლოგია ისწავლება და უნდა ისწავლებოდეს სასულიერო სემინარიებში.

რელიგიათმცოდნეობა (თანდათან მკვიდრდება ახალი ცნება - რელიგიის მეცნიერება) გულისხმობს რელიგიის მეცნიერულად შესწავლას ისტორიულ თუ ფილოსოფიურ ჭრილში და მის ამოცანას არ წარმოადგენს რელიგიური დოგმების დასაბუთება. შესაბამისად, საუნივერსიტეტო სწავლებაში სწორედ რელიგიათმცოდნეობა უნდა ფიგურირებდეს.

საქართველოს განათლების სამინისტროს საუნივერსიტეტო საგნების კლასიფიკატორში საერთოდ არაა რელიგიათმცოდნეობა, მაშინ როდესაც ჩამონათვალში მითითებულია თეოლოგია და მის ერთ-ერთ მიმართულებად - რელიგიის ფილოსოფია. არადა, თეოლოგია და რელიგიის ფილოსოფია თავისი არსით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. სად არის გამოსავალი? რა უნდა ვასწავლოთ უნივერსიტეტებში, თეოლოგია თუ რელიგიათმცოდნეობა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა ჯანსაღი მეცნიერული კამათი.

ქართული ლექსიკა რუსეთის ელჩის ფედოტ ელჩინის საგზაო ნარკვევებში (1639-1640 წწ.)

ისტორიის გარკვეულ ეტაპზე გადაიკვეთა ქართველ და რუს ხალხთა ბედი. უკვე მე-16-17 საუკუნეებიდან იკვეთება ამ ხალხის ურთიერთობა, რამაც გამოიწვია რუსული და ქართული ენების ურთიერთხემოქმედება. ქართული ლექსიკა ჯერ გაჩნდა რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში, მხატვრულ ლიტერატურაში კი ის აღწევს უფრო მოგვიანებით, როცა საქართველოსთან ურთიერთობდნენ არა მარტო დიპლომატები და მოგზაურები, არამედ ინტელიგენციის, ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის წარმომადგენლები. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქართულ ენაში აღწევდა ონომასტიკური ლექსიკა, რაც მისი საინფორმაციო ღირებულებით იყო განპირობებული. საინტერესოა ამ კუთხით საგზაო ნარკვევები „ფედოტ ელჩინის ელჩობა საქართველოში“ (XVII საუკუნის დასაწყისის საგზაო წერილები), რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ პირველ რუსულ დოკუმენტს, სადაც გამოყენებულია ქართული სიტყვები. აქ ჩვენ გვხვდება ქართული ტოპონიმური და ანტროპონიმური ლექსიკის დიდი რაოდენობა, მაგალითად: *Тюфлис, Зубдиди, Хони, Рьян (Риони), Моргули, Дидьянская земля, Гурьельское царство, Шуайский монастырь; Темраз (Теймураз), Элистан (Элизбар), Микулаз* და სხვა. აგრეთვე გამოყენებულია ქართული საზოგადო სიტყვა «*азнаур*» („ძველი რუსული ლიტერატურის საგანძური. XVI-XVII საუკუნის რუსი მოგზაურების წერილები“, მოსკოვი, 1988, გ. 270-289).

ელჩინის საგზაო ნარკვევებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ, როცა არ არსებობდა რუსულ ენაზე უცხოური სიტყვების გადაცემის არანაირი ნორმები, ქართული ტოპონიმები და ანტროპონიმები რუსულ ენაში სხვადასხვანაირად აღწევდა: ერთ შემთხვევაში ამ ლექსიკის ფიქსატორები, ელჩინის თანაშემწეები (ვარაუდობენ, რომ თვითონ ელჩინი წერა-კითხვის უცოდინარი იყო და ჩანაწერებს კარნახობდა), ეყრდნობოდნენ მხოლოდ თავიანთ სმენით აღქმას, ენობრივ ალღოს, რაც ხშირად იწვევდა ქართული სიტყვების ფონეტიკურ დამახინჯებას. სხვა შემთხვევაში, როცა ქართული ლექსიკა ფიქსირდებოდა პროფესიონალი გადამწერების მიერ, ნარკვევებში ადგილს იკავებდა ან ქართული სიტყვების სწორი ფორმები, ან კიდევ ორიგინალიდან გადახრები იყო მინიმალური.

ჩვენი სტატია წარმოადგენს რუსული ენის მიერ უცხოური ლექსიკის ადაპტაციის კანონზომიერებების ძიების მცდელობას.

ნაშრომში გაანალიზებული ელჩინის საგზაო ნარკვევები არა მარტო ლინგვისტური კუთხითაა ღირებული. მათში აგრეთვე ბევრი საინტერესო ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობებიც მოიპოვება.

ავტონომიური სწავლის ტექნიკა უცხო ენის შესწავლისას უმაღლეს სკოლაში

ზემოხსენებული თემა ეყრდნობა ემპირიულ კვლევას, რომელიც ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ავტონომიური სწავლის სწავლების აუცილებლობის დადგენა უცხო ენის შესწავლისას. კვლევა ეყრდნობოდა საუნივერსიტეტო სივრცეში უცხო ენის შემსწავლელთა გამოკითხვას (აპრობირებული კითხვარებისა და ინტერვიუს მეშვეობით). ავტონომიური სწავლის სწავლება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს. ასევე, თვითმენეჯმენტს – დროის განაწილებას, დროის მართვის სწავლას, მიზნის გაცნობიერებასა და ასე შემდეგ.

სტუდენტების უმრავლესობა არასაკმარისად დამოუკიდებელია უცხო ენის შესწავლისას. ისინი ნაკლებად აცნობიერებენ ავტონომიური სწავლის აუცილებლობას. ბოლონის პროცესის

შედეგად შემოდებული ცნება „დამოუკიდებელი მუშაობა“, სამწუხაროდ, ატარებს ფორმალურ ხასიათს და სტუდენტს არ აქვს გაცნობიერებული, რომ დამოუკიდებელი საათები მან რეალურად უნდა შეასრულოს. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია უცხო ენის პედაგოგმა შეითავსოს ე. წ. „მრჩეველის“ ან „გზამკვლევის“ როლი და გააცნოს სტუდენტს ავტონომიური სწავლების სტრატეგიები და მათი მნიშვნელობა (აუხსნას, რა უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს ავტონომიური სწავლის ესა თუ ის მეთოდი).

ამრიგად, უცხო ენის სწავლებაში არ მოიაზრება მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, არამედ პედაგოგმა უნდა გააცნოს შემსწავლელს ავტონომიური სწავლების ტექნიკა, რათა სწავლის პროცესი უფრო ეფექტური გახდეს და აკმაყოფილებდეს სასურველ შედეგს.

ციური ახვლედიანი, ნანა დურმიშიძე (თბილისი)

მეტაფორის პრაგმატიკული როლი ესპანურ მასმედიაში

მეტაფორა მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მასმედიაში. პოლიტიკურ კონტექსტში მისი გამოყენების მიზანია რთულ პოლიტიკურ კონცეპტთა შეცვლა სემანტიკურად უფრო ადვილად გასაგები გამონათქვამებით მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთათვის; მეტაფორა გამოიყენება ევფემიზმთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებად, უტაქტო და არასასურველ გამონათქვამთა თავიდან აცილების მიზნით. განსაკუთრებულია ის შემთხვევები, როდესაც მეტაფორული გადატანის საშუალებით იქმნება არა ახალი სიტყვა, არამედ ნეოლოგიზმი-მნიშვნელობა, რომელიც წარმოიქმნება სიტყვისშიდა სემანტიკური დერივაციის შედეგად. ასეთი მეტაფორის წყაროს, როგორც წესი, წარმოადგენს მაიდენტიფიცირებელი არსებითი სახელი, რომელიც გადადის რა პრედიკატის კატეგორიაში, მიეკუთვნება სხვა დენოტატს ან დენოტატთა კლასს. მეტაფორა ასრულებს ასევე მნიშვნელოვან შიდაენობრივ სემანტიკურ ფუნქციებსაც; კერძოდ, ნომინატიური მეტაფორა, რომელიც ემსახურება იდენტიფიკაციას, წარმოადგენს ომონიმის წარს. ამგვარად, მეტაფორის როლი მასმედიის ენაში ფრიად მნიშვნელოვანია; იგი ხელს უწყობს ძირითადი პრაგმატიკული და კომუნიკაციური მიზანდასახულობის რეალიზაციას, იმავდროულად გადმოსცემს არსებულ თემასთან სუბიექტურ დამოკიდებულებასაც.

ციური ახვლედიანი, ნინო წულუკიძე (თბილისი)

მეტაფორა ფრანგულ ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში

ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ხატოვანი ასოციაციები ეყრდნობა მნიშვნელობის მეტაფორულ გადატანას. მეტაფორა, ერთი მხრივ, აცოცხლებს ფრაზეოლოგიზმის რეალურ მნიშვნელობას, მეორეს მხრივ კი, ნათლად ასახავს მის ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებებს. მეტაფორის წყალობით, ენობრივი სისტემა მუდმივ დინამიკაშია. მისი საშუალებით შესაძლებელია შედგეს ადამიანური აზროვნების ზოგად კანონზომიერებათა სფეროში და მოცემული ენის მატარებელთა ტიპური ასოციაციების გამოვლენა. ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური მდგომარეობა, ენაში ხშირად წარმოგვიდგება მეტაფორის საშუალებით. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად, გამოვყავით ფრანგულ ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენელი მეტაფორები, დაკავშირებულნი შემდეგ ცნებებთან: 1. კვების პროდუქტები; 2. სტიქიები (მიწა, ჰაერი); 3. საგნები; 4. სხეულის ნაწილები (სომატიზმები).

ქართულ ფილოსოფიურ ლექსიკონთა ტერმინოლოგიური გაფორმების საკითხისათვის

მოხსენებაში გაანალიზებულია ფილოსოფიის დარგის ქართულ ლექსიკონებში გამოყენებული მრავალრიცხოვანი ფილოსოფიური ტერმინოლოგია, რომელიც წარმოებული ლათინური სიტყვების თარგმანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავება ოდითგანვე ორგანულად ერწყმოდა ქართული ფილოსოფიური სკოლების აკადემიურ მოღვაწეობას, ქართული ფილოსოფიური ლექსიკონი, როგორც ასეთი, ქართველ მეცნიერთა ავტორობით და სპეციალური დარგობრივი ტერმინოლოგიური გაფორმებით ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. ქართულ ენაზე აქამდე შესრულებული ყველა ფილოსოფიური ლექსიკონი მხოლოდ უცხო ენებიდან თარგმნილ ზუსტ ქართულ ასლს წარმოადგენს (მთარგმნელ ავტორთა მხრიდან ყოველგვარი დამატებების, ჩასწორებებისა და შენიშვნების დართვის გარეშე). აქედან გამომდინარე, მომხსენებლის მსჯელობის საგანია მხოლოდ იმ ფილოსოფიურ ლექსიკონთა ტერმინოლოგიური გაფორმების საკითხები, რომლებიც თუმცა ქართულ ენაზეა მოცემული, მაგრამ მაინც არ არის აბსოლუტურად „ქართული“. მოხსენების ავტორის აზრით, სწორედ აღნიშნული სირთულეებია იმის მიზეზი, რომ ფილოსოფიურ ლექსიკონთა სხვადასხვა ქართულ თარგმანში ტერმინთა შეუთავსებლობა და სიჭრელე სუფევს.

მომხსენებლის მიერ ქართულ ლექსიკონებში ფილოსოფიური ტერმინების კვლევის ობიექტად არჩევა იმანაც განაპირობა, რომ დღემდე ლათინურ-ქართული ტერმინოლოგიის მონაცემები არ გამხდარა საგანგებო ანალიზის საგანი; ამ ორი სხვადასხვა სისტემის ენის მასალა არ ქცეულა შედარების საფუძვლად.

მოხსენება წარმოადგენს იმის მცდელობას, რომ ლათინურ ტერმინებთან შეაჯეროს წარმოებული ფილოსოფიური ლექსიკა, რომელსაც ფილოსოფიის დარგის ლექსიკონთა სხვადასხვა ცნობილი მთარგმნელი ავტორი იყენებს; შეძლებისდაგვარად, ახსნილია ის ობიექტური მოტივები, რის გამოც ისინი უპირატესობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქართულ შესატყვისს, ლათინური ტერმინოლოგიის სტრუქტურისა და სემანტიკის გათვალისწინებით.

ნუნუ ბაკურიძე (ბათუმი)

უოლტ უიტმინის შემოქმედების ასახვა ი.ტურგენევის ლექსი პროზაში

მოცემულ სტატიაში ერთგვარი პარალელია გავლებული ამერიკელი მწერლის – უოლტ უიტმინისა და რუსი კლასიკოსის – ივან ტურგენევის შემოქმედებებს შორის. ერთი შეხედვით, მათ შორის არ არის არანაირი კავშირი და პრინციპში არც უნდა იყოს, რადგან რუსული კლასიკა ძალიან შორსაა თავისუფალი და ქარიზმატული ამერიკულ პოეზიისგან, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ხანდაზმულ ასაკში ტურგენევი შემთხვევით გადააწყდა უ. უიტმინის ლექსებს.

თავისი ცნობილი თხზულებების, მოთხრობებისა და სხვა ნამუშევრების შემდეგ, რუსი კლასიკოსი გამოხატავს თავის რელიგიურ შეხედულებებს რუსული ლიტერატურისთვის ისეთი ნოვატორული და ორიგინალური ფორმით, როგორცაა ლექსი პროზაში.

**ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები ლინგვოკულტურულ
ჭრილში**

ევფემიზმები მსოფლიოს ყველა ერის ენაში არსებობს, არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად ცივილიზებულია ესა თუ ის ქვეყანა. ევფემიზაციის პროცესი საერთო მოვლენაა თითქმის ყველა ენისთვის, რადგან ყველა კულტურაში არის ცნებები, რომელთა პირდაპირ ხსენებას ადამიანები თავს არიდებენ. ამიტომ მათი სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებების შესწავლა ლინგვოკულტურულ ჭრილში მნიშვნელოვანია. ეს საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ ინგლისურ და ქართულ ევფემიზმებს და გამოვყოთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება. ევფემიზმების გამოყენება მეტყველებაში გამოწვეულია მოსაუბრის ინტენციით - გაანეიტრალონ ნეგატიური პრაგმატიკული ეფექტი. ისინი წარმოიშობიან მეტყველების დროს განსაზღვრულ კონტექსტში. მათი ექსპრესიულობა სუბიექტურია, რადგან ინფორმაციულ ტექსტში ისინი ნეიტრალური სიტყვებია და აქვთ ნომინაციური ფუნქცია. ინგლისურ ტექსტში ევფემიზმების გამოყენება შემოქმედებითია, რადგან ამ დროს ხდება სუბიექტური აზრის ინტერპრეტაცია და კონტექსტის ემოციურად შეფასება. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ევფემიზმები და გამოვარკვიოთ, თუ რა სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები ახასიათებს მათ ინგლისურ და ქართულ ენებში.

ირაკლი ბარამიძე (ბათუმი)

საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები ბათუმში 1917 წელს

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა ჩააბარა განსაკუთრებულ კომიტეტს, ე.წ. „ოზაკომს“, რომლის მიერ მიღებული საარჩევნო დებულებების საფუძველზე, ამავე წლის ივლისში, ბათუმში ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები. რევოლუციის შედეგად მიღებული თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობის უფლების რეალიზება სცადა ბათუმში მოქმედმა ყველა პარტიამ, თუმცა, განსაკუთრებული წარმატების მოპოვება მხოლოდ ორმა - ესერებმა და სოციალ-დემოკრატებმა - მოახერხეს, რომელთაც 60 ადგილზე შესაბამისად 26 და 24 ხმოსნის გაყვანა შეძლეს ადგილობრივ სათათბიროში. არჩევნები, ძირითადად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში ჩატარდა, თუმცა ერთმა ინციდენტმა ჩრდილი მიყენა მთელ ამ პროცესს. კერძოდ, არჩევნებში, შესაბამისი პროცედურის დაწყებამდე 2 დღით ადრე, ზეწოლისა და სამხედრო მუქარის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, მონაწილეობის უფლება მისცეს ბათუმში ბათუმში მყოფი ჯავშნოსნის - „ვოლიას“ ეკიპაჟის დაახლოებით 100-მდე წევრს. მართალია, მათ მონაწილეობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არჩევნების შედეგებზე, მაგრამ თავად ფაქტი ბევრი უსიამოვნების შემცველი იყო. როგორც შემდეგში გაირკვა, „ვოლია“-ს ეკიპაჟმა, იმის გამო, რომ ქალაქის არჩევნები ერთდროულად არ ტარდებოდა იმპერიის ყველა ქალაქში, ხმა მისცა ასევე სევასტოპოლში, ნოვოროსიისკსა და სოხუმში.

კომპოზიციებისათვის სამხრულ მეტყველებაში

ისტორიული საქართველოს (ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის...) ეთნიკური ქართველებისა და მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში შედგენილობისა და კომპონენტთა შეერთების წესების მიხედვით გვხვდება თხზულ სიტყვათა სხვადასხვა ჯგუფი.

1. შედარებით ნაკლებია გაორკეცებულფუძიანი კომპოზიციები. ორკეცდება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნიზედა.

დასტურდება თურქულ სიტყვათა გაორკეცების შემთხვევაც: ადრი-ადრი, ბეთ-ბეთი, სირა-სირა...

2. მრავალფეროვანია სხვადასხვაფუძიანი კომპოზიციები.

▪ ორივე კომპონენტი არსებითი სახელია: გობიყანა, ნენე-ზაბოდ, ქალ-კაცი...

▪ მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიციები (როგორც პირდაპირი, ისე ინვერსიული წყობისა).

ატრიბუტულ-მსაზღვრელიანი: ახალბიჭი, დიდალმართი, შავტყე... ფეხწითელი, ყურმოჭრილი, ქვადედოფალად, სამყურად, გულიბიჭი, მამაწმინდა, პირნათელა...

სუბსტანტიურ-მსაზღვრელიანი - მოკვეცილია მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ს (ასეთი კომპოზიციები უმეტესად ტოპონიმებია): დელიპირი, ხართივალა, ხობოყლაპია, ყველიდედა.

მსაზღვრელად არის საწყისი, ან განყენებული სახელი, რომელსაც დაკარგული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ს, საზღვრულია დროის აღმნიშვნელი ხანი: დრობიხან, ადგომოხან, გამოყვანიხან...

მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიციის ერთ-ერთი კომპონენტი თურქული სიტყვაა: იმსოდ, სუთმმა, სუთდა, უკანმერე.

3. კომპოზიციები საერთოდ სახელებია. იშვიათად გვხვდება კომპოზიტი ზმნებიც: ათვალყურებდით, დაათვალყურე. საპირისპირო ზმნისწინიანი ფორმებია: გვედო-გამოდო, მიმყევ-მომყევ, გადააბრუნ-გადმოაბრუნა.

4. სამხრულ კილოებში განსაკუთრებით ბევრია ასონანსური კომპოზიციები, გვხვდება როგორც ქართულ ისე თურქულ სიტყვათაგან მომდინარე: ხე-მე, თოფი-მოფი, ქინძი-მინძი, პირში-მირში, ღარჭი-ღურჭი, მაფია-მუფია, ეზიეთი-მეზიეთი, ნეხვი-მეხვი, ადრან-მადრან და მრავალი სხვა.

ასეთი ფორმებით სამხრული მეტყველება განსხვავდება ქართული ენის სხვა კილოთაგან.

თხზული სიტყვები - კომპოზიციები ქართული ენის სამხრული კილოების ლექსიკის დიდ ნაწილს შეადგენს.

რუსლან ზარამიძე (ზათუმი)

ახალი დისკურსის ფორმირების დასაწყისი: სახელმწიფო ჩარევა და რელიგიური თემის პროტესტი (ონლაინმედია და სოციალური ქსელი „მადლის საქმეზე“)

სტატიაში წარმოდგენილია 2005–2011 წლებში საქართველოში მუსლიმური რელიგიური სასწავლებლის ქსელთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზი იმ ინტერნეტმასალებზე დაყრდნობით, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით შეიქმნა (სხვადასხვა ონლაინგამოცემა, ჟურნალისტების პირადი გვერდები, ბლოგები, სოციალური ქსელი და ა.შ.). საუბარია იმ საინფორმაციო ველზე, სპეციფიკური დისკურსის ფორმირებაზე და მის შემოქმედებზე, რომლებმაც განაპირობეს, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და მუსლიმურ თემს შორის ურთიერთობის ახალი (წინააღმდეგობრივი, კონფლიქტური) ფორმატის შექმნა; ხოლო მეორე მხრივ – გამოიწვიეს


ავტორების არგუმენტებისა და დამოკიდებულებების ფორმირება, რაც შემდგომ პერიოდში რელიგიურ თემთან დაკავშირებულ სხვა პროცესებში გამოიყენებოდა (უფრო დაზუსტებული, გამოკვეთილი და კონკრეტული შინაარსით). შესაბამისად, ნაშრომში აღწერილია იმ პროცესების საზოგადოებისათვის გაცნობის თავისებურებანი, რაც 2005–2011 წლებში მუსლიმურ თემს და სასულიერო სასწავლებლების ერთ-ერთ ქსელს ეხებოდა.

შორენა ბარბაქაძე (ქუთაისი)

სინდისი და თეოფრასტოსის „ხასიათები“

თეოფრასტოსის „ხასიათები“ წარმოადგენს სოციალური ნაკლისა და სისუსტეების ჩანახატებს, თუმცა, არა საზიზღარ მანკიერებებს. ეს არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ ზოგადი სოციალური ტიპის რეალური აღწერაა. ავტორი მოღვაწეობდა ახალი ატიკური კომედიის აღორძინებისა და არსებული მორალური ტიპების სრულყოფილების ხანაში. იყო მენანდროსის მასწავლებელი და მეგობარი. ეს ხასიათები განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სცენაზე წარმოსადგენად და ემსახურებოდა უკვე არსებული მორალური კომიკური სახე-ტიპების დახვეწას. აქ მხოლოდ იმიტაციაა იმისა, თუ როგორ იქცევა ესა თუ ის ტიპი სხვადასხვა სიტუაციაში. ძველი ბერძნები დადგენილი ნორმებიდან ყოველგვარ გადახრას მანკიერებად მიიჩნევდნენ. ავტორი აღწერს მხოლოდ უზნეო ხასიათებს, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები უკავშირდება ახალ ატიკურ კომედიას. ეს ტრაგედიის მისიაა კეთილშობილთა აღწერა, კომედიისათვის კი საჭიროა სასაცილო, ექსცენტრული, ანუ ზნეოტიპი. აქ ავტორს ორი მიზანი აქვს –გართოს და დაარიგოს მაყურებელი. განხილულია სულ 30 ხასიათი (ტიპი), ადამიანის 30 თვისება, ნაკლი, მეტ-ნაკლებად მძიმე, მთელი გალერეა ადამიანისათვის დამახასიათებელი სისუსტეების, დეტალურად აღწერილი და დახასიათებული – „ტიპების“ თითქმის სრულყოფილი პორტრეტები.

უსინდისოს კრებისათი პორტრეტი



მათ შორის არ არის ცალკე გამოყოფილი *უსინდისობა*, არადა, ეს უკანასკნელი, ლოგიკურად ამ ტიპებში ჯდება. ჩვენ მხოლოდ 11 შევარჩიეთ. ესენია: თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, უტიფრობა, კადნიერება, სიძუნწე, უზნეობა, ავსიტყვაობა, სულმდაბლობა, ანგარება. ჩავატარეთ გარკვეული ექსპერიმენტი: თეოფრასტოსის ხასიათების „დახასიათებებში“ ყველა ცალკეულ შემთხვევაში

ჩავანაცვლეთ, სადაც ეს შესაძლებლობა გვქონდა, სიტყვით *უსინდისობა*, ტექსტი კი უცვლელი დავტოვეთ. თეოფრასტოსის დახასიათებები ამ სიტყვის არსს ყველა შემთხვევაში გამოხატავდა. ასე მივიღეთ უსინდისოს კრებსითი პორტრეტი, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად გამოვხატეთ:

ცირა ბარბაქაძე (თბილისი)

მეტაფორა და ნღპ (ნეიროლინგვისტური პროგრამირება)

ნღპ - მეცნიერების ეს ახალი დარგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ნევროლოგიის, ლინგვისტიკისა და კიბერნეტიკის ურთიერთკავშირი. ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, „იწერება“ მის ნერვულ ქსოვილებში, ვლინდება მეტყველებაში და ექვემდებარება პროგრამირებას.

თითოეული ადამიანის მიერ გარესამყაროს ხედვა უნიკალური, იდუმალი და სრულიად სუბიექტურია, რაც განაპირობებს კონკრეტული ადამიანის ქცევებს.

რას აკეთებს ამ შემთხვევაში ნეიროლინგვისტიკა?

ის სწავლობს და ავლენს მეტყველებაში აზროვნების შტამპებს, რომლებიც ხელს უშლის ადამიანს (ერს) კომუნიკაციაში და შლის მესხიერების მყარი დისკიდან, შემდეგ კი ახდენს ახალი პროგრამის ჩაწერას...

ეს წინადადება მეტაფორაა, მაგრამ ზუსტად ასახავს ნეიროლინგვისტური პროგრამირების არსს.

ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ქმნის და აგებს ჩვენი აზროვნება შაბლონებს და შტამპებს და როგორ შეიძლება მათი ჩანაცვლება ახალი სისტემით, რაც, საბოლოო ჯამში, აფართოებს ჩვენს (ერის) ცნობიერებას.

განვიხილავთ ერის ცნობიერებაში არსებულ მეტაფორულ შტამპებს და მათი „წაშლის“ გზებს და საშუალებებს.

ნეიროლინგვისტური პროგრამირების შესწავლით ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, როგორ მუშაობს ჩვენი აზროვნება და შეგვიძლია თვითონ შევცვალოთ „პროგრამები“ და თავიდან ავიცილოთ სხვების მიერ ჩვენი დაპროგრამება.

იმერი ბასილაძე, ვლადიმერ ადეიშვილი (ქუთაისი)

შალვა სიხარულიძე –

XX საუკუნის ქართული პედაგოგიკური აზროვნების ერთ-ერთი მესაძირკვე

XX საუკუნის ქართველ პედაგოგთა შორის ქართული სკოლისა და პედაგოგიკური მეცნიერების შექმნისა და განვითარების საქმეში გამორჩეული ადგილი უჭირავს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. შალვა ასლანის ძე სიხარულიძეს.

1924-1928 წლებში ჟურნალში „ახალი სკოლისაკენ“ შ. სიხარულიძემ გამოაქვეყნა 30-მდე სტატია. ამ სტატიებმა გარკვეული როლი შეასრულა ქართული სკოლის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში.

1933 წელს მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი „საბჭოთა პედაგოგიკის პრობლემები“. წიგნში ნათლად ჩანს შ. სიხარულიძის პოზიცია 30-იანი წლების პედაგოგიკურ ცხოვრებაში.

1937 წელს გამოიცა შ. სიხარულიძის წიგნი „სწავლების პროცესის კანონზომიერებანი“, რომელიც საფუძველი გახდა 1940 წელს გამოქვეყნებული შრომისა – „საბჭოთა სკოლის

დიდაქტიკა“. ეს წიგნი ქართულ პედაგოგიკურ სივრცეში იყო ერთ–ერთი პირველი ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია სწავლების თეორიის სრული კურსი. მასში პირველად დამუშავდა დიდაქტიკის პრინციპული საკითხები.

ნაშრომში განხილულია შემდეგი დიდაქტიკური პრინციპები: 1. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის; 2. შეგნებულობისა და აქტიურობის; 3. აღმზრდელითი სწავლების; 4. თვალსაჩინოების; 5. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის; 6. მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის; 7. მასწავლებლის ხელმძღვანელი და წამყვანი როლი.

1948 წელს გამოდის მისი საინტერესო წიგნი „სკოლა და პედაგოგიური აზროვნება XVIII საუკუნის საქართველოში“. მასში ღრმა მეცნიერულ დონეზე განხილულია პედაგოგიკის ისტორიის საკითხები, რომლის ტრადიციებსაც ეყრდნობოდა ქართული საგანმანათლებლო სივრცე.

1961 წელს გამოიცა შ. სიხარულიძის ნაშრომი „სკოლათმცოდნეობა“ (ბ. კიზირიასთან თანავტორობით). წიგნში განხილულია სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები.

ამდენად, დიდია პროფ. შ. სიხარულიძის პედაგოგიკური მემკვიდრეობის როლი. მისი შრომები ემსახურება მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდის საქმეს და თითოეულ მათგანს წითელ ზოლად გასდევს, რომ აღზრდა არის წამყვანი ფაქტორი პიროვნების ფორმირებაში.

მანანა ბაქრაძე (ქუთაისი)

თავაზიანობის ენობრივი გამოხატულებების ძირითადი წინაპირობები და კომპეტენციები თანამედროვე გერმანულ ენაში

„თავაზიანობის“ ცნება მრავლისმომცველი და ამასთანავე კულტურულად დეფინირებული ფენომენია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა კულტურაში თავაზიანობის აღქმაც განსხვავებულია, მაგრამ იგი ნებისმიერ კულტურაში წარმატებული კომუნიკაციისათვის ერთ–ერთი აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. თავაზიანობა არა ეგზოტიკური, არამედ მეტად ყოველდღიური აღბათ საყოველთაო ფენომენიც კი არის. ეს ნიშნავს, მოქმედების ან გამოხატვის ისეთ ინტერპრეტირებას, როგორი მდგომარეობის დამკვიდრებაცა და დამტკიცებაც სურს მოქმედ პირს თავისი ადრესატის მიმართ. თავაზიანი ქცევა შედგება მოქმედებებისაგან, რომლებიც არა მარტო ენობრივი საშუალებებით შეიძლება იქნას აღსრულებული. კომუნიკაციისას თავაზიანობას ვერბალურთან ერთად არავერბალური გამოხატვის ფორმებიც გააჩნია. ვერბალურ ფორმებს განეკუთვნება ლექსიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ერთეულები, ხოლო არავერბალურს – პარალინგვისტური ელემენტები, რომლებიც თან ახლავს ენობრივ ქმედებებს, ავსებს მათ და ახდენს ასევე მათ მოდიფიცირებას. თავაზიანობის სისტემა არ არის მკაცრი, პირიქით, ის ძალიან მოქნილია და დროთა განმავლობაში ცვალებადიც კი. გერმანულ ენაში „თავაზიანობის“ განმარტება მომდინარეობს შუა საუკუნეებიდან და უკავშირდება „სამეფო კარს“ და იქ დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების, ეტიკეტისა და ქცევის ნორმების გაზიარებას, ხოლო უკვე თანამედროვე განმარტებით თავაზიანი ადამიანი მოიაზრება როგორც განათლებული, კარგი მანერების მქონე, დამკვიდრებული ქცევის ფორმების მიხედვით ტაქტიანი და ყურადღებიანი სხვა ადამიანების მიმართ. აღნიშნულ თემას მიეძღვნა არა ერთი სტატია და კვლევა როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ენათმეცნიერების (და არა მარტო) მხრიდან. ჩემს ნაშრომში „თავაზიანობის ენობრივი გამოხატულებების ძირითადი წინაპირობები და კომპეტენციები თანამედროვე გერმანულ ენაში“ შევეცდები გამოვყო და გავაანალიზო ის კომპეტენციები, რაც ხელს უწყობს წარმატებულ ინტერაქციას.

ასკეტური სრულქმნილების მოდელი და მისი განსახილველად ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ანთროპოდიცეული ლიტერატურაა, რომელიც ეფუძნება თავისუფლების ქრისტოლოგიურ გაგებას. ანთროფოსის ონტოლოგიური პერსპექტივები ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში გაფართოებულია და ასკეტური ღვწა, მოქალაქეობა, პრაქსისი ქეშმარიტ თავისუფლებასთან, ღვთაებრივ ცნობიერებასთან დაბრუნების საწინდარია. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თეოდიცეური ლიტერატურაცაა და, აქედან გამომდინარე, როცა ვსაუბრობთ მონასტრული ცხოვრების პრინციპებზე, ასკეტური სრულქმნილების იდეალზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ერთმანეთს თანხვდება ეს ორი ნაკადი; თეოდიცეა და ანთროპოდიცეა და მათი გათვალისწინებით აუცილებელია და საჭირო პრაქსისის, „გონიერი ქმნადობის“ თეურგიული დასაბუთება, შექმნილი არსის ონტოლოგიურად დამცრობილი მდგომარეობის გათვალსაჩინოება ცოდვითდაცემის შემდეგ, ასკეტიზმისა და სოტერიოლოგიის ურთიერთკავშირის ანალიზი. ჰაგიოგრაფია „ახერხებს“ ღმერთისა და ადამიანის გამართლებას ასკეტური ღვწისა და მისტიკური ქმნადობის შინაგანი მექანიზმების წარმოჩენით.

სახისმეტყველებითი პროზის ნიმუშების წმინდა წერილსა და ეკლესიის მამათა შრომებთან მიმართების საკითხი ლიტერატურის ისტორიის ტრადიციულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. ზოგადი ინფორმაციის წყარო ბიბლიაა; ბიბლიურ რემინისცენციათა დაფიქსირებას ხშირად მივყავართ ეკლესიის მამათა მიერ განსაზღვრულ ბერმონაზვნურ ცხოვრების წესთან. „მოწესე“ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში წესით მცხოვრებას ნიშნავს. ბიზანტიურ ბერძნულშიც ამ სიტყვას ანალოგიური მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ბერმონაზვნური ცხოვრების იდეალების გამოკვეთა წმინდა მამათა „ცხოვრებაში“ შეუძლებელია მონაზვნური ცხოვრების წესის გაგების გარეშე.

„წესი ქრისტიანობისაი და ტვირთი სჯულისაი“ მკვეთრადაა გამიჯნული ქართულ სახისმეტყველებით პროზაში და განსაკუთრებით წმინდანთა „ცხოვრებაში“. ჰაგიოგრაფია მიერ უდაბნოში მოქალაქეობის, მოღვაწეობის იდეალად მოიაზრება ასკეტურგანაწესთა ზედმიწევნით შესრულება და მმათა კრებულში წეს-განგებით დასახული მოღვაწეობის ყველა ასპექტის გათვალსაჩინოება.

გურამ ბახტაძე (ბათუმი)

კავკასიელი ეთნოსის წარმომადგენელი პერსონაჟები ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში

ქართველ ერს დასაბამიდანვე, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა თუ ისტორიული გარემოებების გამო, სხვადასხვა ქვეყანასთან ჰქონდა ურთიერთობა, რაც თავისთავად პოულობდა ასახვას ლიტერატურასა და ფოლკლორში. მწერლობაში ეს ურთიერთობა გაფორმებულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული მხატვრული სახეებით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება. ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში უხვად არიან წარმოდგენილი კავკასიის მკვიდრი სხვადასხვა ეროვნების პერსონაჟები. თითოეული მათგანი თავისი ხალხის ტკივილისა და სევდის, იდეალების, მისწრაფებების ღირსეული მატარებელია. ჩვენი მიზანია - ვიკვლიოთ ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟთა სისტემა, რომელსაც კავკასიელ ერთა შვილები ქმნიან. საინტერესოა, რა დოზით ან რა ასპექტით არიან მწერლის შემოქმედებაში წარმოდგენილი ისინი; რა მიზნით გაამახვილა თითოეულ მათგანზე ავტორმა ყურადღება და რატომ აქცია ისინი თავისი შემოქმედებითი ინტერესის საგნად? რამდენადაა შესაძლებელი

კონკრეტული პერსონაჟისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებებზე, თუ ამავე ნაწარმოების მოქმედ პირთა ურთიერთ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით რაიმე ზოგადი ხასიათის დასკვნები გავაკეთოთ.

ყაზბეგამდე დავით გურამიშვილი საკმაო სიცხადით შეეხო მე-17-მე-18 საუკუნის კავკასიელი ტომების საქართველოსადმი დამოკიდებულებას. გრიგოლ ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობა ჩრდილო კავკასიაში გახმაურებული ფაქტია; მოგვიანებით ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ ისტორიულ დრამაში „ქართველის დედა“ (სცენა მომავალი ცხოვრებიდამ), რომანტიკული ჭვრეტით წარმოიდგინა გაერთიანებული კავკასია. ჩვენს ლიტერატურაში გამოვლენილი ამგვარი ტენდენციების ფონზე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების მიმართება აღნიშნული საკითხისადმი გარკვეულ ინტერესს ბადებს.

დალი ბახტაძე (თბილისი)

ლოგოგრამისა და ანბანის ენობრივი სტატუსის ტაქსონომიური ეტაპები (კოლხური და გერმანიკული რუნების მიმართების საკითხისათვის)

რუნულ ლოგოგრამაში მოცემული ცნებათა ჯაჭვი ენაში რეალიზებულია, როგორც განზოგადებული კონცეპტები. ლოგოგრამის აზრობრივი ფორმა არ წარმოადგენს არც ლექსიკურ და არც ფონემურ ერთეულს. ცნებათა იდეოგრამული კრებული გარკვეულ სახელებთან არის შესაბამისობაში, მათში აბსტრაქტული მეტია, ვიდრე კონკრეტული. ყურადღებას იპყრობს საკუთრივ ენობრივი და ლოგიკური აბსტრაქციის ურთიერთმიმართებები, რომლებიც ლოგოგრამის შინაგან ფორმას აყალიბებენ.

ლოგოგრამიდან ანბანისაკენ მიმავალი გზა აზრობრივ კონსტრუქტებზე გადის, სადაც აქტუალური ხდება მთელისა და ნაწილის მიმართების საკითხი. მართალია, ანბანურ რუნებში ბგერის ფონემური არსიც აბსტრაქციის გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს, მაგრამ პროცესი იდეოგრამიდან ასო-ბგერამდე საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. მასში ჩართულია რეფერენციის სტადიალური ცვლილებები.

ნუნუ ბახტაძე (ბათუმი)

მეტაფორის პოლიტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია

ენობრივი კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკისთვის. პოლიტიკურ დისკურსში დარწმუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, შეიძლება ითქვას, არის მეტაფორა.

ადამიანების უმრავლესობისთვის მეტაფორა არის მხატვრული წარმოსახვის ხერხი და რიტორიკული მაღალფარდოვნება. მიჩნეულია, რომ მეტაფორა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის არის კოგნიტური თვალსაზრისით დამაჯერებელი და, ამასთანავე, ემოციური რეაქციის გამომწვევი.

ტრადიციული გაგებით აღიარებულია, რომ მეტაფორა უფრო სემანტიკის სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე პრაგმატიკის. მაგრამ კონტექსტთან ერთად, პრაგმატიკამ უნდა უზრუნველყოს მეტაფორული ინტერპრეტაცია. თუკი მეტაფორა არ არის სათანადოდ აღქმული, ან არ/ვერ ხდება მისი ინტერპრეტირება აუდიტორიის მიერ, შესაბამისად, ვერ ხორციელდება მისი პოლიტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია. მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნა სკულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით.

ინგლისელ ვაჭართა ქველმოქმედებანი (XV-XVI სს.)

XV-XVI საუკუნეების ინგლისის ისტორიიდან მეტად მნიშვნელოვანია ინგლისელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა, რასაც ადასტურებს იმპერიოდის არაერთი წყარო.

XV ს-ის დამდეგს ინგლისის სამეფოს ხელში გადავიდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და ამ დროისათვის სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა 16-მდე სახელმწიფოსთან, რამაც საშუალება მისცა ინგლისელ ვაჭრებს გასცნობოდნენ სხვადასხვა ხალხის კულტურას, გადმოეტანათ და ესწავლათ ბევრი რამ მათგან.

ვაჭართა კლასს მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი ეჭირა ინგლისის ქალაქების ცხოვრებაში. მატერიალური ცხოვრების მაღალი დონე და მდიდრულად მოწყობილი სახლები საშუალებას აძლევდა ვაჭრებს მიეღოთ საპატიო სტუმრები, თვით მეფეც კი.

როგორც წესი, ლონდონის მდიდარი ვაჭრები ანდერძით გადასცემდნენ ხოლმე კომპანიას: ძვირფას ნივთებს, ფულს, საცხოვრებელ სახლებს, მიწებს. გამოყოფდნენ მატერიალურ სახსრებს ქალაქში სახლის, ეკლესიის თუ გალავნის მშენებლობასთან დაკავშირებით. ისინი უშუალო მფარველობას უწევდნენ დავრდომილთა თავშესაფარს (მოხუცებულთა სახლი) – ე.წ. უიტინგტონის კოლეჯს, რომელიც დახმარებისათვის ყოველთვის მიმართავდა ვაჭართა კომპანიას, ხოლო ეს უკანასკნელი არაერთგზის იხილავდა მათ საკითხებს თავის კრებებზე.

ლონდონელი ვაჭრები დიდ დახმარებას უწევდნენ ავადმყოფებს, ობლებს, მარტოხელებს და კომპანიის მძიმე მდგომარეობაში მყოფ წევრებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვაჭართა დაინტერესება სწავლა-განათლების საქმით. ვაჭრები დაინტერესებულან სკოლის დაარსებით, რომელიც უკვე 1512 წელს 153 ბავშვისათვის გაიხსნილა წმინდა პავლეს ტაძართან. სკოლის ორგანიზება და მასზე მზრუნველობა მათვე უკისრიათ.

ლონდონელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა დაკავშირებული იყო მათ შეგნებაში მომხდარ ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან. ზღვის გაღმა ფართო სავაჭრო საქმიანობამ, ახალი ბაზრების გაცნობამ დიდი ცვლილებები შეიტანა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიის შეგნებაში. ვაჭართა შორის ჩნდება დაინტერესება განათლების, ლიტერატურის მიმართ, ისინი მზრუნველობას იჩენდნენ ქალაქის კეთილმოწყობაზე.

თინათინ ბელიაშვილი (თბილისი)

ნეოლოგიზმების ღირებულება ლიტერატურულ დისკურსში

ვერ გავექცევით ბანალურ ჭეშმარიტებას: კომუნიკაცია ადამიანებს შორის თავდაპირველად ხორციელდება სიტყვების შექმნით, რაც სამყაროს აღწერის აუცილებლობითაა გამოწვეული. ადამიანი სამყაროს აღიქვამს და ამ აღქმით გამოწვეული შეგრძნებებისა და აზრების გამოთქმის საჭიროებაც დგება. ანუ ადამიანის საქმიანობის სიმბოლური გამოხატულება ჩნდება ადამიანის სურვილისაგან, აღწეროს გარემო, გამოხატოს საგნები, იდეები და ფაქტები მათი სუბსტიტუტების - ბგერების, ნიშნების საშუალებით. როგორც არ უნდა იყოს ინტერპრეტაცია, მეტაფიზიკური, ბიოლოგიური თუ ლინგვისტური, მეტყველება ეწერება შემოქმედებით სამეტყველო პროცესში ანუ ნეოლოგიურ პროცესში.

ნეოლოგია არსებითია ენის სიცოცხლისათვის. ის არის გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული გზა ენის არსებობის მანძილზე. ახალი სიტყვების შექმნა ყველა კატეგორიისა და ასაკის ადამიანისათვის თანმდევი პროცესია. ამავე დროს, ნეოლოგიზმები ასახავენ ტექნიკის განვითარებას, ტექნოლოგიურ პროგრესს, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცვლილებებს.

ყველაზე მეტად, ჟურნალისტებთან ერთად, ახალ სიტყვათა არსებობის აუცილებლობას შეიგრძნობს მწერალი.

ამ თვალსაზრისით, XX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბორის ვიანს, რომლის მხატვრული სამყარო ფრანგული ენის ახალ-ახალი შესაძლებლობების აღმოჩენითაა ნაკვები. ამ აღმოჩენებზე დაკვირვებისათვის შევარჩიეთ მისი რომანი „L'écume des jours“, ხოლო მისი ნეოლოგიზმების საგულდაგულო განხილვისათვის შევადარეთ რომანის ფრანგული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი („დღეთა ქაფი“, მთარგმნელი პაატა ჯავახიშვილი. 2000 წ.).

სვეტლანა ბერიკაშვილი (თბილისი)

ახალი ბერძნულის პონტოური დიალექტის ერთი თავისებურებისათვის (არქაული ელემენტები ნაცვალსახელთა სისტემაში)

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ახალი ბერძნულის პონტოური დიალექტი ძველი ბერძნულის იონიურ დიალექტთან უფრო ახლოსაა, ვიდრე თანამედროვე ბერძნულთან (იხ. მ. დეფნერი, გ. ხაძიდაკისი, ა. პაპადოპულოსი, პ. ბორტონე, პ. მაკრიჯი, ხ. მიძილისი, ი. სიტარიდუ და სხვ.), მაგრამ საქართველოში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მეტყველება ამ თვალსაზრისით ჯერ არავის განუხილავს. ჩვენი მოხსენება სწორედ ამ საკითხს ეხება.

ჩატარებული კვლევა განხორციელდა საერთაშორისო პროექტის: The impact of current transformational processes on language and ethnic identity: Urum and Pontic Greeks in Georgia (არსებული ტრანსფორმაციული პროცესების ზეგავლენა ენასა და ეროვნულ იდენტობაზე: ურუმი და პონტოელი ბერძნები საქართველოში) ფარგლებში (ბილგეფილდის უნივერსიტეტი, გერმანია). კვლევისას ვეფუძნებით მულტიმედიური კორპუსის მონაცემებს. ინფორმანტთა ჩანაწერები მიჰყვება საერთაშორისო სტანდარტებს, აღნიშნულ ჩანაწერთა გლოსები შესრულებულია კომპიუტერული პროგრამის ELAN-ის გამოყენებით და მიჰყვება გლოსირების ლაიფციგის წესებს.

გარკვეული საკითხების განხილვისას ვიყენებთ აღწერით მეთოდს და ვავლებთ პარალელურ ძველ ბერძნულ და ახალ ბერძნულ სისტემებს შორის. მოხსენებაში შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ არქაული ელემენტებით, რომელიც პონტოური დიალექტის ნაცვალსახელთა სისტემაში გვხვდება. მოხსენება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) მთლიანად იდენტურ ფორმებს;
- ბ) მორფოლოგიური ნიშნების დონეზე იდენტურ ფორმებს (მაგ., ბრუნების პარადიგმა);
- გ) სინტაქსური წყობის სხვადასხვა ფორმებში დამთხვევის შემთხვევებს (მაგ., კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა);
- დ) სინტაქსური კონსტრუქციების დამთხვევის შემთხვევებს (მაგ., კითხვითი ან უარყოფითი კონსტრუქცია).

**მეტაფორა მეცნიერებასა და პოეზიაში
(ხოსე ორტეგა-ი-გასეტის „ორი დიდი მეტაფორას“ მიხედვით)**

ნაწარმოებში „ორი დიდი მეტაფორა“ ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-ი-გასეტი საუბრობს მეტაფორის მნიშვნელობაზე მეცნიერებასა და პოეზიაში. ნაშრომში იკვეთება სულიერი კულტურის ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სფეროს - მეცნიერებისა და ხელოვნების (კერძოდ, პოეზიის) მსგავსება-განსხვავების ნიშნები „მეტაფორას“ მიხედვით. გასეტის თანახმად, მეტაფორის არსებითი ფუნქციაა არა მხოლოდ ის, რომ იგი ემსახურება „დასახელებას“, არამედ ისიც, რომ იგი ემსახურება აზროვნებას. აი, როგორ გადმოგვცემს გასეტი მეტაფორის მნიშვნელობას:

„მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, მეცნიერული აზრის ფორმაა. პოეზია მეტაფორაა; მეცნიერება მხოლოდ მიმართავს მეტაფორას, არც - მეტი, მაგრამ არც ნაკლები. მეტაფორა გვჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ, მიღებული დასახელების წყალობით, ჩვენი აზრი სხვათათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ; იგი თავად ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისთვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ - აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღიც. მეტაფორა აზრის ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი კონცეპტუალური ველის ათვისებას ვახერხებთ. ჩვენთვის ახლობელი, იოლად მისაწვდომი ობიექტები აზრს შორეულ და ჩვენთვის მოუხელთებელ ცნებებზე მიუთითებენ. მეტაფორა ინტელექტის „ხელს“ აგრძელებს; ლოგიკისთვის მისი მნიშვნელობა შეიძლება შევადაროთ ანკესს ან შაშხანას. მეტაფორის გარეშე ჩვენს მენტალურ ჰორიზონტზე შეიძლება წარმოქმნილიყო ყამირი ზონა, ფორმალურად ჩვენი აზრის იურისდიქციას დამორჩილებული, მაგრამ ფაქტობრივად - ათვისებული და დაუმუშავებელი“.

კაფკა და ანტიკაფკა მაკა მიქელამის მოთხრობაში „გადამწერელნი“

მაკა მიქელამის მოთხრობა „გადამწერელნი“ 2012 წელს გერმანიის გამომცემლობა FVA-ს მიერ გამოცემულ ქართველი მწერალი ქალების ანთოლოგიაში „Techno der Jaguare“, ხოლო 2013 წელს ქართულ კრებულში „შავი ავაზა“ დაიბეჭდა. მოთხრობის პირველივე აბზაცი, მთავარი პერსონაჟის უჩვეულო სახეცვლილება აშკარად მიგვანიშნებს ფრანც კაფკასეულ ტენდენციებზე.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია გაანალიზდეს, რას გულისხმობს მეტამორფოზის კაფკასეული იდეადა როგორ აისახება ის მაკა მიქელამის მოთხრობაში; რა დატვირთვას იძენს ინტერტექსტუალური ასპექტები; რამდენად ჰგავს გაუცხოებისა და თვითგაუცხოების სიმბოლოდ ქცეული გრეგორ ზამზას პერსონაჟი „წიგნისთავა“ თინოს მხატვრულ სახეს და რა სიმბოლოებს იყენებენ ავტორები გარშემომყოფი საზოგადოების დასახასიათებლად.

ნაშრომის მთავარი მიზანია, ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით წარმოადგინოს კაფკასეული და ანტიკაფკასეული მოტივები მაკა მიქელამის მოთხრობაში „გადამწერელნი“.

ქართული დიალექტური კორპუსის ფერეიდნული ლექსიკონი

ფერეიდნული ლექსიკა მხოლოდ გამოცემულ ტექსტებსა და გამოკვლევებზე დართული სალექსიკონო მასალების სახით არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ დიალექტის კვლევას საკმაო ისტორია აქვს, დღემდე არ გვაქვს ფერეიდნულის ლექსიკონი.

ქდკ-ს ფერეიდნული ლექსიკონის წყაროებად გამოყენებულია გამოცემულ ტექსტებზე დართული სალექსიკონო მასალა (არნ. ჩიქობავა, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, თ. უთურგაძე, მ. თოდუა...) და კორპუსის ტექსტური კოლექცია, რომელიც ეყრდნობა გამოქვეყნებულ და ჩვენ მიერ მიერ მოპოვებულ მასალას.

დღეისათვის ქდკ-ს ფერეიდნულ ლექსიკონში შესულია 4500 ლემაზე მეტი (არ იგულისხმება ფონეტიკური და გრამატიკული ვარიანტები, ასევე ომონიმური ფორმები, მათი რაოდენობის დაფიქსირება გაცილებით გაზრდის ლექსიკონის სიტყვანის რაოდენობას).

ბეჭდური სახით არსებული სალექსიკონო მასალა დაახლოებით 1400–1600 ლემითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი ირანში მივლინების დროს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალიდან შეივსო.

საავტორო ლექსიკოგრაფიული მასალის ინტეგრირებისას საჭირო ხდება ლექსიკოგრაფიული რედაქტორის რიგი მოთხოვნების გათვალისწინება და ავთენტური ლექსიკონების მნიშვნელოვანი ცვლილება:

- ზუსტდება იმ ლემების მნიშვნელობა, რომელთა განმარტებაც სხვადასხვა საავტორო გამოცემაში განსხვავებულია;
- გამოიყოფა/ემატება ფონეტიკური ვარიანტები, გრამატიკული ვარიაციები;
- ცალკე ლემად გამოიყოფა მეორე მნიშვნელობა, მათ შორის, გადატანითიც;
- ვამატებთ შიდა ბმულებს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებს სინონიმურ ვარიანტებს, აზუსტებს სემანტიკურ მიმართებებს;
- თითოეულ ლემას მიეწერება თავისი გრამატიკული მარკერები;
- დამატებითი ინფორმაციის მოწოდების საშუალებას იძლევა ენციკლოპედიისა და შენიშვნის ფანჯარა;
- სპარსული წარმომავლობის სიტყვებს მიეწერება სპარსული შესატყვისები და მათი ტრანსკრიპციები.
- ცალკე ლექსიკურ ერთეულად შედის ტროპული ლექსიკა: ფრაზეოლოგიზმები, წყევლისა და ლოცვის ფორმულები...

მოხსენებაში განხილული იქნება ქდკ-ს ფერეიდნულ ლექსიკონთან დაკავშირებული ყველა საკითხი, წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას.

მ. ბერიძე, მ. ბარიხაშვილი, ე. ნაპირელი (თბილისი)

ქდკ-ს ინგილოური ლექსიკონი

ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკოგრაფიული კონცეფცია ითვალისწინებს ქართული დიალექტური ლექსიკის ელექტრონულ წარმოდგენას უნივერსალური ინტერაქტიური ლექსიკოგრაფიული ბაზის სახით. ამ ამოცანის შესრულების გზაზე ერთ-ერთი ნაბიჯია ქდკ-ს ინგილოური ლექსიკონი.

ინგილოური დიალექტის შესწავლას ნაყოფიერი კვლევის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საფუძვლიანად არის გამოკვლეული და შესწავლილი ინგილოური ლექსიკაც. ქდვ-ს ინგილოური ლექსიკონის ძირითად ლექსიკოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს როგნედა დამბაშიძისა და ნათელა როსტიაშვილის ცნობილი ლექსიკონები, აგრეთვე 1935 წელს საინგილოში მოპოვებული შინამრეწველობის მასალები. ბეჭდური ლექსიკონების ინტეგრირება კორპუსში ხდება სპეციალურად შემუშავებული კონცეფციის მიხედვით და მათი უბრალო ელექტრონული ასლების შექმნას არ გულისხმობს, არამედ ლექსიკონების ინფორმაცია ჩვენი კონცეფციის შესაბამისად გადანაწილდება სხვადასხვა ველში ან სალექსიკონო სტატია მდიდრდება დამატებითი ინფორმაციით.

წარმოვადგენთ ამ სამუშაოს ზოგიერთ ასპექტს:

- როცა ლექსიკონის ლემად წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული, მათგან ერთ-ერთი რჩება ძირითად სტატიაში, დანარჩენებს კი ეძლევა კვალიფიკაცია: ახალი ლემა; ფონეტიკური ვარიანტი; ფორმაწარმოებითი / სიტყვაწარმოებითი ვარიანტი;

- როცა სტატიაში წარმოდგენილია ორი ან მეტი მნიშვნელობა, მათ შორის გადატანითი, იქმნება ცალკე სტატიები თითოეული მნიშვნელობისთვის;

- სტატია მდიდრდება გრამატიკული ინფორმაციით: ენიჭება: ლემას ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის მახასიათებელი, ფორმაწარმოებით/სიტყვაწარმოებით ვარიაციას - როგორც ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფის, ისე გრამატიკული კატეგორიების მახასიათებელი;

- ემატება ფორმაწარმოებით / სიტყვაწარმოებით ვარიაციები ილუსტრაციებიდან;

- ემატება შიდა ბმულები და ა. შ.

მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული ყველა საკითხი, რომლებიც თავს იჩენს ქდვ-ს ინგილოური ლექსიკონის შექმნის პროცესში.

ოლიგო ბერიძე (თბილისი)

ეკვრასისის თავისებურებები XII-XV საუკუნეების ქართულ მწერლობაში

ჩვენი მოხსენება ეძღვნება მედიევსტიკაში კარგად ნაცნობ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კი ნაკლებად ხმარებულ ტერმინს – ეკვრასისს. ქართველი თეორეტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს – მხატვრული აღწერა. ვცდილობთ, კონკრეტული მაგალითების მოხმობით, საუკუნეთა სივრცეში თვალი მივადევნოთ, რა ობიექტების აღწერაზე ამხვილებს ყურადღებას ქართული მწერლობა, როგორ იცვლება დროში მხატვრული გამოსახვის სტილი, რა მხატვრული ხერხების საშუალებით ხდება სინამდვილის ხედვა, მისი განცდა და მხატვრულ სახედ გარდაქმნა.

ეკვრასისი – ტექსტის ნაწილი, ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც იძლევა ბიძგს ახალი აზრების დაბადებისთვის, არის ერთგვარი წყარო აზრობრივი აფეთქების, მიისწრაფვის გულით და გონებით აღსაქმელი საზღვრების გაფართოებისაკენ დამატებითი კონტექსტური გახსნით სივრცესა და დროში. ამ კუთხით განვიხილავთ XII-XV საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ეკვრასისის მაგალითებს, პარალელებს ვავლებთ ამ პერიოდის ბიზანტიურ მწერლობასთან.

გურამ დოჩანაშვილის „თანამგზავრის“ ინგლისური თარგმანის შესახებ

მთარგმნელობითი აქსიომის მიხედვით, მხატვრული პროზის არამშობლიურ ენაზე თარგმანი წარუმატებლობისთვის წინასწარ არის განწირული. ალბათ, ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც სიზიფეს შრომაა, თუმცა, სამეცნიერო კვლევისა და შედეგების ანალიზის გარეშე ეს აქსიომა ტრადიციულ მისტიფიკაციად მიგვაჩნია.

ნ. პოკორნი, ვრცელ შრომაში, „ტრადიციული აქსიომების ნგრევა: თარგმნა არა-მშობლიურ ენაზე“ (Challenging the Traditional Axioms: Translation Into a Non-mother Tongue) კვლევის შედეგად აბათილებს აღნიშნულ მოსაზრებას.

ოგივე სამეცნიერო დასკვნებს ვხვდებით დორსლერის შრომებში: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსფორმაციებს, კულტურულ ელემენტებს. რაც პრობლემას წარმოადგენს მთარგმნელისათვის, თუკი ის არ ფლობს ლიტერატურული ნაწარმოების ორიგინალის ენას“ (Doorslaer 1995: 265).

მოხსენებაში განხილულია გურამ დოჩანაშვილის „თანამგზავრის“ ინგლისური თარგმანის (რომელიც დაიბეჭდა აშშ-ს Dalkey Archive Press-ის მიერ, Best European Fiction-ის 2014 წლის გამოცემაში) მიკრო- და მაკროსტრუქტურები, ავტორისეული სტილის ნიშნები და თარგმანისათვის ძნელად დამყოლი ენობრივი ელემენტები. დასკვნებში აღნიშნულია, რომ ექსტრალინგვისტური ინფორმაცია, რაც ძირითადად სემანტიკურ მაკროსტრუქტურებსა და ფრეიმებში ვლინდება, კულტურული ღირებულების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას, რაც სრულებით თანხვდება თანამედროვე თეორეტიკოსთა მოსაზრებებს.

სოფიკო ბერულავა, მანანა ბუკია, მარინა ჯღარკავა (თბილისი)

მასალები ლაზური ელექტრონული ლექსიკონისათვის

პროექტის „ქართული ენა საზღვარგარეთ - ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში“ მიხედვით მომზადებული ლაზური ელექტრონული ლექსიკონისათვის მასალები მოპოვებულია თურქეთის ლაზეთის სხვადასხვა რეგიონში (ვიწური, არქაბული, არდაშნული ტექსტები) 2012-2014 წლებში.

რესპონდენტებად შერჩეულ იქნა სხვადასხვა ასაკის, სქესის, სოციალური წრის და პროფესიის ადამიანები.

მთქმელები ძირითადად უზუცესები და საშუალო ასაკისანი არიან (60–85 წელი), რომელთაც შედარებით კარგად იციან ლაზური. გამონაკლისის სახით გვყავდა 12 წლის რესპონდენტი ჭურკან უზუნჰასანოღლუ, რომელიც თავისი ასაკის ლაზებისაგან განსხვავებით კარგად ფლობს ლაზურს.

ტექსტების უმეტესი ნაწილი არის თხრობა, დიალოგი. ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: მოიცავს ზეპირ ისტორიებს, ძველი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და რიტუალების აღწერას; ასევე ჩაწერილია დარგობრივი ლექსიკა, შინამრეწველობის მასალები; მშენებლობასთან, მეზღვაობა-მემინდვრობასთან, კულინარიასთან დაკავშირებული, თამაშობების, ნადირობის აღმნიშვნელი ლექსიკა-ტოპონიმები.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის შედარებამ გამოქვეყნებულ ტექსტებთან და ლექსიკონებთან გვაჩვენა, რომ ლაზური უფრო ინტენსიურად განიცდის უცხოენოვან (ძირითადად, თურქულ) ზეგავლენას, რაც დაჩნდება ენის ყველა დონეზე.

აღმოჩნდა ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აქამდე გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ არის წარმოდგენილი (ძირითადად გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტები, ასევე, თურქულის გზით შემოსული ლაზური ფონოტაქტიკის წესებით გაფორმებული თანამედროვე ტექნიკური და სხვა სახის ლექსიკური ერთეულები);

ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში ბევრად უფრო ხშირად ჩნდება ლაზურისთვის (resp. ქართველურისთვის) არაბუნებრივი ბგერები (დიფთონგები, ჭ თანხმოვანი, რომელიც მორფემადაც გვევლინება...);

ცვლილებები ჩანს მორფოსინტაქსის დონეზეც, რაც ასევე თურქულის გავლენით უნდა აიხსნას (ლაზურ სიტყვაზე დართული თურქული მორფემები, აღწერითი შემასმენელი...).

ლაზურის ელექტრონული ლექსიკონი წარმოგვიდგენს ველზე მოპოვებულ თანამედროვე ემპირიულ მასალას და ხელს შეუწყობს ლაზურის შესწავლის საქმეს.

მაია ბოლქვაძე (ბათუმი)

პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტიკური ასპექტები

მსოფლიო ქვეყნების განვითარებისას მნიშვნელოვანი წილი ამ შეუქცევად პროცესში უჭირავს ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო პოზიციას პოლიტიკურ არენაზე და იმისათვის, რომ დღევანდელი გლობალიზაციის პროცესში ქვეყანამ მკვეთრად ინდივიდუალური და დინამიური პოზიცია დაიჭიროს, საჭიროა მიმდინარე პროცესების სათანადო ინფორმაციული დამუშავება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სწორ, ადეკვატურ და სიზუსტით გადაცემულ ინფორმაციას. ინფორმაციის ძირითადი გადამცემები საერთაშორისო ურთიერთობებში როგორც წესი არიან პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც არაერთგზის სხვადასხვა ფორუმებსა თუ დიპლომატიურ, ოფიციალურ ვიზიტებზე აქედრებენ ქვეყნის ზოგად პოზიციას.

XX ს-ში პოლიტიკური კომუნიკაცია გახდა სამეცნიერო ინტერესის საგანი. პრობლემები, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა სფეროებს ეხება, მოითხოვს არსებული კვლევის მეთოდებისა და მიდგომების ინტეგრაციას. ასე, პოლიტოლოგიისა და ფილოლოგიის საზღვარზე წარმოიშვა დისციპლინა - პოლიტოლოგიური ფილოლოგია (ვ.ზ. დემიანკოვი), რომელიც პოლიტოლოგიის კონცეპტუალურ ერთეულებს განიხილავს უშუალოდ მოსაუბრეთა ქვეყნის ენობრივ თავისებურებებსა და მათი საუბრის ინტერპრეტაციასთან კავშირში.

დღეისათვის აღინიშნება ლინგვისტების განსაკუთრებული ყურადღება აქტიური სოციალური ჯგუფების დისკურსის პრობლემებისადმი, უპირველესად ყოვლისა კი ამ ყურადღების მეტი წილი პოლიტიკოსებს ეთმობა. პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში მომეტებულად ვლინდება და რომელსაც განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა გააჩნია ამ საზოგადოებისათვის. ამასთან პოლიტიკური დისკურსის ფენომენი ერთმნიშვნელოვან განმარტებას არ ექვემდებარება.

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს კვლევის რთულ ობიექტს, რამდენადაც იგი სხვადასხვა დისციპლინების თანხვედრის ზღვარზეა - პოლიტოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, ასევე იგი დაკავშირებულია განსაზღვრულ სიტუაციებში გამოყენებული დისკურსის ფორმის, ამოცანებისა და მნიშვნელობის ანალიზთან, რაც ჩვენი აზრით ამ საკითხს შესასწავლად კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

**ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“ – ქართული მემუარისტისკის
საინტერესო ნიმუში**

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა მემუარული პროზა, რაც ეპოქალური ცვლილებით იყო გამოწვეული. საბჭოური პოლიტკორექტულობით, უხეში და ყალბი რეალიზმით შექმნილი ნაწარმოებები ვეღარ უძლებდნენ ღირებულებათა გადაფასების ქარიშხალს. მწერლობამ, საზოგადოებამ დაინახა იდეოლოგიური ლიტერატურის ჩანაცვლების აუცილებლობა. ამასთან უკვე ისტორიულ ნარატივებად ქცეული საბჭოთა რეალობის შეულამაზებლად თხრობა სამოცდაათწლიანი დუმისის შემდეგ ერს სულიერ მოთხოვნილებად ექცა. როგორც ჩანს, მკითხველის შინაგანი მოთხოვნილება, ამჯერად მაინც სიმართლე გაეგო, სწორად იგრძნეს თანამედროვე პროზაიკოსებმა და არ დარჩენილა ცოცხალი კლასიკოსი, რომელსაც მკითხველისთვის მემუარი არ შეეთავაზებინა.

ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“ თანამედროვე მხატვრულ-დოკუმენტური პროზის (მემუარისტისკის) ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემოქმედი ბილინგვია. ის ნაწარმოებს ორ ენაზე გვთავაზობს: მას ეკუთვნის მემუარების ქართული და რუსული ვარიანტები.

ვახუშტი კოტეტიშვილის მემუარები ყურადღებას იპყრობს უმდიდრესი ლექსიკით. ავტორი, როგორც ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი - სწორედ ამ კუთხით წარმოაჩენს ქართული ენის სალაროს ფლობას. ნაწარმოებში მხატვრულ სტილს ენაცვლება ესეისტიკა, ინტერაქცია მომავალ თაობასთან, ვინც, როგორც ჩანს, მოიაზრება ადრესატად.

ცნობილი მამის, საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და დედის, ნუსია დილეგსკის, გახსენება-გაცოცხლება ავტორს სხვათა გადმოცემებით უწევს. ნაწარმოებში განსაკუთრებული დატვირთვის ცნებაა „ოჯახი“. ის დაკავშირებულია ერის უხილავ ხერხემალთან. წარმოჩენილია, როგორც ქართული მენტალიტეტის მატარებელი მონოლითური ინსტიტუცია.

საინტერესოდ არის წარმოდგენილი ტრადიციული ღირებულებების რღვევის, ზნეობისა და რწმენის პარტიული მორალითა და იდეოლოგიით ჩანაცვლების უმძიმესი პროცესი.

ნაწარმოებში თხრობა წყდება სკოლის წლებზე. ავტორი გვპირდება მეორე წიგნსაც, რომლის დაწერაც, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრო.

„ჩემი წუთისოფელი“ გვიცოცხლებს ქართველ ხელოვანთა და მეცნიერთა შესანიშნავ პლეადას, მათ გვერდით ალუზიური პერსონაჟებიცაა, პოსტმოდერნისტული ფიქციის ხერხით ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგაში ორგანულად მოქცეული.

ინტერტექსტური პასაჟებით ავტორი ცდილობს აღიარებული ჭეშმარიტებები თანამედროვეობის ელფერით ახალი რეალობის, მისეული იდეის გადმოსაცემად გამოიყენოს. ის ოსტატურად ციტირებს ანტიკურ ლიტერატურას, ქართულ ზეპირსიტყვიერებას, საღვთო წერილსა და კლასიკოსებს.

ლიტურგიკული პრაქტიკა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

ძველმა ქართულმა ლიტერატურამ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი გადმოგვცა. მათ შორის გვაწვდის ინფორმაციას ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის შესახებ. ვინაიდან ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები უშუალოდ ქრისტიანული ლიტერატურაა,

გასაკვირი არც უნდა იყოს ის, რომ ლიტერატურული ნაწარმოები თავისთავად ქართული ღვთისმსახურების შესახებ გარკვეულ ინფორმაციებს გვაწვდის კიდეც. გამონაკლისი არც გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“. მასში დაცულია ცნობები ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ბერ-მონაზვნების ცხოვრების წესების, კანონების შესახებ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის, აგრეთვე, იმის შესახებაც, თუ როგორ ცდილობდა გრიგოლ ხანძთელი, ზიარებოდა საზღვარგარეთის მონასტრებში არსებული წესებს და ნერგავდა კიდეც, მაგ. საბაწმინდის მონასტრის განგების ჩამოტანა, მისი მოგზაურობა კონსტანტინეპოლში და გაცნობა იქაური მონასტრების წეს-ჩვეულებების, ღვთისმსახურების წესებისა და მერე ტაო-კლარჯეთის მონასტრებში დაწესება „ბრძენთაგან განუკითხველი“ კანონებისა.

დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი, ექსეტერი)

პომპონიუს მელა კოლხეთის შესახებ: ცოდნა, გეოგრაფია და ადგილობრივი ტრადიცია

პომპონიუს მელას გეოგრაფიული ტრაქტატი ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უძველეს კოლხეთთან და საზოგადოდ შავი ზღვის რეგიონთან. მისი მოკლე შეფასებები ხშირად გვთავაზობს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც უმეტესწილად უცნობია დანარჩენი ლიტერატურული ტრადიციისათვის. შესაბამისად, მაგალითად, მელას (და მხოლოდ მისი) დამსახურებაა, რომ ქალაქ ფაზისში ოიკისტის სახელი გაგვაჩნია (ვინმე თემისტაგორასი).

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მელას ნაშრომი სისტემატურად მოიხსენიება რეგიონის შესწავლასთან დაკავშირებულ კვლევებში, მის ნაშრომთან დაკავშირებულ პრობლემებს ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ ნაშრომის მიზანია განიხილოს ტრაქტატი ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის იმპერიული რომის კონტექსტში. დეტალურად იქნება განხილული მრავალი „უცნაურობა“, რათა (1) უკეთ გავიაზროთ ეს ნაშრომი, და (2) გავარკვიოთ, რატომ უნდა (ან არ უნდა) გამოვიყენოთ მელას „მტკიცებულებები“ ჩვენს ინფორმაციაში კოლხეთის შესახებ. ამ მიზნით, დეტალურად იქნება განხილული ტრადიცია (მელასთან განსაკუთრებით), რომლის მიხედვით უძველესი გიენოსი (რომელსაც ოჩამჩირესთნ მოიაზრებენ) იწოდება, როგორც კიკნუსი (გედი) და მისი წარმოშობა უკავშირდება გედის არსებობას იმ ადგილას, სადაც ვაჭრებმა სამოსახლო შექმნეს.

ნინო ბუაძე (ქუთაისი)

მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ზოგიერთი ნიშნის სინთეზი ნატალი საროტის „ოქროს ნაყოფში“

1963 წელს გამოქვეყნებული „ოქროს ნაყოფი“ ნატალი სარატოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ცნობილი რომანია. ფაქტობრივად, ეს არის რომანი „ახალი რომანის“ შესახებ, სადაც შეჯერებული და ხორცშესხმულია როგორც ამ მიმდინარეობის ესთეტიკური ნიშნები და მხატვრული კონცეფციები, ასევე თავად ნატალი საროტის თეორიული შეხედულებები „ახალ რომანზე“, ზოგადად ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხებზე.

„ახალმა რომანისტებმა“, რომლებმაც უარყვეს კლასიკური ლიტერატურული ტრადიციები, შემოქმედებითი ინტერპრეტაციით აითვისეს როგორც მოდერნისტული ლიტერატურის

ტენდენციები („ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა, ნაწარმოების სტრუქტურის ახლებური გააზრება, აბსურდის იდეის აქცენტირება, ინტერტექსტები, მეტაფორა და ა.შ.) ასევე პოსტმოდერნიზმის ჩანასახოვანი ზოგიერთი ნიშანი (ანტიფორმა (ღია), თამაში, მონაწილეობა, ირონია, განუსაზღვრელობა, ანტინარატივი, მეტონიმია); „ახალმა რომანისტებმა“ შექმნეს უწყვეტი ჯაჭვი მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის, სადაც „ახალი რომანი“ მოგვავლინეს დამაკავშირებელ, გარდამავალ რგოლად.

ნატალი საროტის „ოქროს ნაყოფში“, როგორც „ახალ რომანზე“ დაწერილ რომანში, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ნიშნები იმდენადაა გადახლართული ერთმანეთში, რომ რთულია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ სად იწყება მოდერნიზმი და სად - პოსტმოდერნიზმი. ვიზიარებ პოსტმოდერნიზმის მკვლევრის – ლიოტარის აზრს იმის შესახებ, რომ პოსტმოდერნიზმი არ წარმოადგენს მოდერნიზმის ანტიტეზას, იგი მოდერნიზმის ნაწილია. მაგალითად:

- ნატალი საროტის რომანში თავს იყრის როგორც მოდერნისტული, ასევე პოსტმოდერნისტული ინტერტექსტების ნიშნები. და სწორედ ეს სინთეზი შეიძლება მივიჩნიოთ იმ თვისობრივ სიახლედ, რითაც საროტის რომანი გამოიჩევა სხვა ტექსტებისაგან, რომლებიც ასევე მიმართავენ ინტერტექსტუალობას;

- „ოქროს ნაყოფში“ ქრონოტოპი წარმოჩენილია მეტაფორით, მეტონიმით, ირონიით, თამაშით, მონაწილეობით, ინტერტექსტით, ტროპიზმით, ქვესაუბრით. ნათელია, რომ აქაც სინთეზირებულია მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ნიშნები.

პაატა ბუხრაშვილი (თბილისი)

მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ფშავი)

ტრადიციული საკულტო გეოგრაფიისათვის

კვლევა წარიმართა ფშავში, რომელიც მდებარეობს ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-აღმ. მთიან ნაწილში, ფშავის არაგვის ხეობაში. შეგროვდა ზუსტი გეოგრაფიულ-კოორდინატული ინფორმაცია იქ არსებული ჯვარ-ხატების, სალოცავების, სათემო, საგვარო მიჯნების შესახებ.

შემოთავაზებული კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ ის, რომ ხევისბრებთან და ხატისშვილობის საფუძველზე გაერთიანებულ მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობის საფუძველზე, მომზადდა მაქსიმალურად უცდომელი საზოგადოებრივ - თემობრივი რუკა. კვლევითი ჯგუფი შეეცადა და აღწერა თითოეული თემის და მასში შემავალი არეალის საზღვრები, დასახლების, წმინდა ნაგებობების, კვრივების, ხატის, მიწების აღწერის საფუძველზე მაქსიმალური სიზუსტით აღადგინა იქაური ტრადიციული იერსახე.

ამისთვის გამოყენებულ იქნა ქართულ ეთნოგრაფიაში აპრობირებული სხვადასხვა კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომელიც გულისხმობს უშუალოდ ერთი კულტურული ფენომის სიღრმისეულ შესწავლას როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ჭრილში.

კომპიუტერული დაპროექტების სისტემების საშუალებებით შედგა მოძიებული და სისტემატიზებული მასალების გრაფიკული, სიბრტყობრივი და მოცულობითი სქემა.

შემუშავდა მულტიმედიური პროექტის შესრულების სისტემატიზების და დემონსტრირების აუდიო და ვიდეოფორმები.

ცალკეული არქიტექტურული ნაგებობები და ფოტოები დამუშავდა გრაფიკული პროგრამებით; აუდიო და ვიდეომასალა კომპიუტერულად დამუშავდა და ჩაისვა საერთო სცენარში.

მომზადდა მულტიმედიური პროექტი კომპაქტდისკზე სასწავლო და სადემონსტრაციო დანიშნულებისათვის.

პროექტის შესრულების შედეგად უფრო მეტად საჩინო გახდა ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის სულიერი და მატერიალურ-კულტურული ყოფის ხილული თუ დაფარული მხარეები და ამით, ადგილობრივი ნიუანსების გათვალისწინებით, მეტად დაჩქარდება ამ მხარეების ჯეროვანი ინტეგრირება თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმთან.

ციცინო გაბესკირია (თბილისი)

უცხო წარმომავლობის მქონე ზედსართავ სახელთა გადმოცემისათვის ქართულში (მათემატიკურ ტერმინთა მაგალითებზე)

მათემატიკურმა ტერმინებმა, რომელთაც უცხო წარმომავლობა აქვთ, დიდი სახეცვლილება განიცადეს, სანამ ქართულ ენაში დამკვიდრდებოდნენ. წინამდებარე სტატიაში ინგლისურ ენასთან შეპირისპირების გზით განხილულია უცხო წარმომავლობის ზედსართავი სახელები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ქართულ -ურ (-ულ) ბოლოსართს ირთავენ, ზოგჯერ კი -ალ-ურ სუფიქსს, რაც ორი, ერთი და იგივე ფუნქციის მქონე სუფიქსის შეერთებას წარმოადგენს, ერთი - არაქართული - ალ-ის, ხოლო მეორე – ქართული -ურ(-ულ)-ისა.

ჩვენი დაკვირვების თანახმად, უფრო ადრინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში, ლექსიკონებში გვხვდება ორივე ბოლოსართით ნაწარმოები ზედსართავი სახელები, ხოლო თანამედროვე ლიტერატურაში თანდათან მოხდა -al-ის განდევნა და -ic სუფიქსის დამკვიდრება, -al სუფიქსი ზოგ შემთხვევაში სულ განიდევნა, ზოგჯერ კი პარალელურ ფორმად დარჩა.

ჩვენი მიზანია განხილული მაგალითების საფუძველზე დავადგინოთ ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპი ნასესხები სიტყვების გადმოცემისას, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ის არეგ-დარევა, რომელიც უცხო ენებიდან შემოსულმათემატიკურ ტერმინებს ახლავს თან.

ჯულიეტა გაბომე, მაია არველაძე (თბილისი)

კლასიკოსთა თხზულებების ახალი აკადემიური გამოცემების ტექსტოლოგიური პრინციპები და ტექნოლოგიური მეთოდები

მოხსენების მიზანია განისაზღვროს აკადემიური გამოცემის მნიშვნელობა თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებისა და საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისათვის. წარმოვადგინოთ კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემების მომზადების თანამედროვე ტექსტოლოგიურ პრინციპებს (უცხოური და ქართული გამოცემების ძველი და ახალი გამოცდილების გათვალისწინებით).

განვიხილავთ დღეისათვის არსებულ ახალი აკადემიური გამოცემების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულებისა და გალაკტიონის და სხვ. ახალი აკადემიური თხუთმეტომეულის გამოცემის სიახლეებს.

მიმოვიხილავთ მათი მომზადების ტექსტოლოგიურ პრინციპებსა და ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებს: თხზულებათა განლაგების ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ პრინციპს, ატრიბუციისა და დათარიღების საკითხებს, კლასიკოსთა ტექსტების ციფრული კორპუსების, საკომენტარო მასალისა და სხვადასხვა ტიპის საძიებლების ციფრული ბაზების შედგენის საკითხებს.

ამრიგად, საერთაშორისო კონფერენციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება გაიზარდოს ჰუმანიტარული საზოგადოების ჩართულობა, რადგან კლასიკოსის აკადემიური გამოცემა მხოლოდ ერთი ინსტიტუტის, ან ერთი კვლევითი ცენტრის საქმე როდია, მის მომზადებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სხვადასხვა პროფილის მქონე მეცნიერები: ლიტერატურათმცოდნეები,

ენათმეცნიერები, ლინგვისტები, ისტორიკოსები, ფოლკლორისტები, არქივებისა და ფონდების სპეციალისტები, მთელი საზოგადოება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური გამოცემის მომზადებისას საზოგადოების, განსაკუთრებით – ჰუმანიტარული საზოგადოების ინფორმაციულობას.

ნუგეზა გაგნიძე (ქუთაისი)

გრიგოლ რობაქიძის „კავკასიის სილუეტები“

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალებიდან და ბევრი მისი ნაწარმოები კვლავ უცნობია ქართველი და გერმანულენოვანი მკითხველისათვის, რაც, ცხადია, განაპირობა გასულ საუკუნეში მსოფლიოში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციებმა და მწერლის მძიმე ცხოვრებამ. მათი ძიება და აღმოჩენა ახალ პერსპექტივებს უხსნის და დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ლიტერატურის ისტორიკოსებსა და მკვლევრებს საინტერესო სამეცნიერო საქმიანობისათვის. ზოგიერთი მათგანის შესახებ მწერალი მიუთითებს სიცოცხლის ბოლო წლებში შვეიცარიაში ემიგრაციის დროს დაწერილ ნაშრომებში.

წერილში „გულნადები“, რომლითაც რობაქიძემ 1947 წლის ოქტომბერში ქართველ მწერლებს შეხვედრიდან მიმართა, წერს, რომ როცა გერმანიის ჯარი კავკასიონს მიადგა, ბრიუსელის გერმანულენოვანმა გაზეთმა მას სთხოვა, მიეწოდებინა პუბლიკაციები კავკასიაზე. მან გაზეთისათვის ხუთი სილუეტი დაწერა: „საქართველო და ჯვაროსნები“, „ივანე ორბელიანი“, „პრომეთეს ნაშიერნი“, „იმამ შამილი“, „წმინდა მთები“.

როგორც რობაქიძე აღნიშნავს, ამ სტატიებში მან პოლიტიკური „აქცენტი“ თავიდან აიცილა, რასაც მისგან გაზეთის გამომცემლები მოელოდნენ და რაც მაშინდელი იდეოლოგიური სიტუაციიდან და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო. იგი აგრძელებს მის მიერ არჩეულ გზას და „ბრიუსელის გაზეთში“ დაბეჭდილი სტატიებით მკითხველს კავკასიაში მცხოვრები მცირე ერების ტრადიციებსა და კულტურის შესახებ მოუთხრობს.

„კავკასიის სილუეტებით“ გრიგოლ რობაქიძე მეორე მსოფლიო ომის მძვინვარე წლებში ევროპას საქართველოს ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს, ქართველი ხალხის თვითმყოფად მითოსს და ადათ-წესებს აცნობს. ამავდროულად, მათში ხაზგასმულია კავკასიელი ერების, კერძოდ კი – ქართველი ხალხის განსაკუთრებული ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

თამარ გაგოშიძე (თბილისი)

მსმენელი და დისკურსი

უკანასკნელ დრომდე ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავდა, როგორც თავის თავში შეკრულ იმანენტურ სისტემას და აწარმოებდა ლიტერატორული ტექსტის ე.წ. „შიგნიდან“ გამოკვლევას. ამგვარად, უარყოფილი იყო ყველა გარეშე ფაქტორის არსებობა და მხატვრული ტექსტი აღიქმებოდა, როგორც თავის თავში შეკრული ერთიანობა.

აქედან გამომდინარე, მკითხველის, ხოლო დისკურსის დროს – მსმენელის როლი თითქმის იყო იგნორირებული. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა რაიმე ზეპირი ამბის წერილობითი გამოსახულება, დავრწმუნდებით ზემოთ მოყვანილი აზრის სიყალბეში. ყოველი თხრობა, თავისთავად, გულისხმობს მთხრობელის, ამბის და მსმენელის არსებობას. ლიტერატორული ნაწარმოებიც იქმნება ამ სამი

უეჭველი ფაქტორის გათვალისწინებით, რასაც ვოლფანგ კაიზერი „პირველ სათხრობ სიუჟეტს“ უწოდებს.

რას უკავშირდება კითხვის პროცესი მის მოყვარულთათვის? საუკუნეთა მანძილზე არსებობდა მკითხველის ორი კატეგორია: პირველი, რომლისთვისაც კითხვა წარმოადგენდა ჩვეულებრივ „გართობას“ და მეორე, რომელიც წიგნს ისე ეკიდებოდა და შეისწავლიდა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშს.

„გართობისა“ და „თავისშექცევის“ მოყვარული მკითხველი კითხვის პროცესში ეძებს ყოველდღიური ცხოვრებიდან თავის დაღწევის საშუალებას და მიამიტად „შედის“ მწერლის მიერ წარმოდგენილ სინამდვილეში, თანაც ცდილობს, რომ მასში შესაძლებლად გამონახოს რაც შეიძლება უფრო მარტივი გზა.

როგორც აღნიშნავს ერთ-ერთი ფრანგი კრიტიკოსი, სწორედ ეს გარემოება ხსნის იმ ფაქტს, რომ შედარებით მარტივი ჟანრული თვისებების მქონე ნაწარმოებებს მეტი გავრცელება აქვთ. მაგალითად, საფრანგეთში ჰიუგოს, ბალზაკს და ზოლას რომანებს მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე რემბოსა და მალარმეს პოეზიას. აზროვნების დამაბვის გარეშე რთულად გასაგები სიმბოლისტიკის პოეზია ნაკლებად ვრცელდება მასებში, ვიდრე პარნასელთა და რომანტიკოსთა ლექსები.

ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის აღნიშნული გამოკვლევები გარკვეულწილად საფუძვლად დაედო დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის თვისებების შესწავლას.

იამზე გაგუა, ნინო ჯორბენაძე (თბილისი)

ბერძნულ-ლათინური სიტყვების სესხებისა და ნორმირება – მართლწერის საკითხისათვის ქართულში

ბერძნული და ლათინური ძირის შემცველი სიტყვები ქართულში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით არის შემოსული. თუ როგორი ფორმით იყო მართებული მათი დამკვიდრება მსესხებელ ენაში, ეს არაერთგზის გამხდარა მეცნიერთა თუ მწერალთა მსჯელობის საკითხი – საკითხი, რომელიც აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. საბოლოოდ, ქართულ ენაში, ნორმირება-სტანდარტიზაციის სხვა საკითხებთან ერთად, შემუშავდა კონკრეტულ ბერძნულ-ლათინურ ფორმათა გადმოტანის წესებიც.

მოხსენებაში განხილულია (და საჭიროების შემთხვევაში მათი მართლწერა-ნორმირების რეკომენდაციებიცაა მოცემული) შემდეგი სახის ბერძნულ-ლათინური ფორმები და მათი ქართული შესატყვისობები:

1. საკუთარი სახელები;
2. **h** ფონემაზე დაწყებული ტერმინები;
3. **-al (-ar), -ia, -tia, -tio, -sio, -ium...** სუფიქსიანი სიტყვები;
4. **“qu” კომპლექსის** შემცველი სახელები;
5. **მიმღობის** სპეციფიკური ფორმები და *სხვა...*

ჰაველის დრამატურგიული სამყარო

შემოქმედი ნასაზრდოებია იმ გარემოთი, სადაც გაიზარდა. ჰაველიც, ისევე, როგორც ყველა შემოქმედი, მხატვრულ სამყაროს აგებს იმ შთაბეჭდილებებისა და დრო-სივრცის საფუძველზე, რომელშიც გაიზარდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰაველის ოჯახის კულტურულ-აღმშენებლობითი მნიშვნელობა პრადის ისტორიაში, ასევე, ჰაველის საოჯახო ბიბლიოთეკა, განათლება და მისი დამოკიდებულება სხვა შემოქმედებთან.

შემოქმედის პორტრეტის წარმოსაჩენად აუცილებელია თვალი მივადევნოთ მის პირველ ნაბიჯებს: შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისს, მისი პირველი ლიტერატურული ცდებს.

ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას დიდი ადგილი უჭირავს ჰაველის დრამატურგიაში, ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მხატვრული კონცეფციის გასააზრებლად ნი-იანი და შემდგომი წლების წნეხსა და რეპრესიებს.

ჰაველის პიესები ღრმა ფილოსოფიურ აზრს და სამყაროს თავისებურ საინტერესო აღქმას გვთავაზობს. ისეთ სამყაროს ქმნის, რომელიც არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ შემოქმედი გვაჩვენებს იმ კუთხიდან, საიდანაც მხოლოდ თვითონ ხედავს. წარმოსახვითი, არარსებული სამყარო, პირველადი, რეალური სამყაროს სიმულაციაა, რაც ნამდვილი სამყაროს სიღრმისეულ შრეში შეღწევის საშუალებას იძლევა. ფსიქოანალიზიდან ცნობილია, რომ ადამიანის ფანტაზია უკვე ნაწილობრივ და განცილებული ინტერპრეტაციაა. ადამიანი ისეთ ვერაფერს წარმოიდგენს, რაც არ უნახავს ან არ გაუგია. ყველაზე მდიდარი წარმოსახვის უნარი კი ადამიანური წარმოდგენების ჩარჩოებში ჯდება და ადამიანურ არსს ასახავს. ადამიანი რეალობას ცნებათა მეშვეობით აღიქვამს. „იდეები თითქოს სათვალთვალო პუნქტებია, საიდანაც ვაკვირდებით სამყაროს“ (გასეტი). ჰაველი ეძებს ისეთ სათვალთვალო პუნქტებს, საიდანაც სრულყოფილად გამოჩნდება სინამდვილე.

დარეჯან გელაძე, მზიური გელაძე (ბათუმი)

საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა დაწყებით კლასებში

თანამედროვე ეპოქაში ცხოვრება კომპიუტერის გარეშე წარმოუდგენელია. ის ბავშვები-სთვისაც ჩვეულებრივი მოხმარების საგნად იქცა. ბავშვს ადრეული ასაკიდანვე შეუძლია ამ ტექნიკასთან ურთიერთობა. თავდაპირველად ის ერთობა თამაშებით, რომლებიც ხელს უწყობს ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების განვითარებას, ავითარებს რეაქციის სისწრაფეს, ხელის მოტორიკას. კომპიუტერული თამაშების გმირები ხშირად ამ ასაკის ბავშვებისათვის უკვე ცნობილი ზღაპრული ან მულტიპლიკაციური პერსონაჟები არიან, რაც ასეთ თამაშებს მათთვის კიდევ უფრო სასურველსა და მიმზიდველს ხდის.

პატარებს ძალიან უყვართ ინტერაქტიური სათამაშოები; მათთვის კი კომპიუტერი სწორედ ასეთ სათამაშოს წარმოადგენს. გატაცების კვალდაკვალ ბავშვი სწავლობს კომპიუტერის მოხმარებას - სიამოვნებით უყურებს მულტფილმებს, ხსნის მარტივ ლოგიკურ ამოცანებს, ეუფლება სხვადასხვა თამაშს. სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწავლისათვის მზაობის გაცილებით უკეთეს დონეს ის პატარები ამჟღავნებენ, რომლებსაც სკოლამდელ პერიოდში კომპიუტერთან ჰქონდათ შეხება.

მუდმივად ცვალებად, ინფორმაციით სავსე სამყაროში აუცილებელია, მოზარდმა შეძლოს მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება, რაც მას განუვითარებს ინფორმაციის დამუშავების უნარს, გაუძლიერებს შესასწავლი საგნის მიმართ ინტერესს, ბავშვი მიეჩვევა დამოუკიდებელ საქმიანობას, დაეხმარება ლოგიკური აზროვნების, გონებრივი შრომის კულტურის ამაღლებაში,

დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების ფორმირებაში. კომპიუტერი სწავლებაში თვალსაჩინოების ოპერატიული საშუალებაა. მისი გამოყენება აფართოებს პედაგოგის შესაძლებლობებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა დაწყებით კლასებში:

- ✓ ზრდის მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციას;
- ✓ უვითარებს ბავშვს ინფორმაციის დამუშავების უნარს;
- ✓ ააქტიურებს მოსწავლეთა შემეცნებით საქმიანობას;
- ✓ საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი მეტად დინამიკური და ინდივიდუალური გახდეს;
- ✓ კომპიუტერის საშუალებით თამაშის ელემენტების ჩართვა სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ აღქმას.

კომპიუტერულმა თამაშებმა ბავშვს ფსიქიკა რომ არ დაუზიანოს, უფროსი სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს, თუ რა ინფორმაციის გაცნობით არის დაკავებული ბავშვი კომპიუტერთან ჯდომის დროს. მშობელი ყურადღებით უნდა მოეკიდოს კომპიუტერული თამაშების შერჩევას.

გელდიაშვილი ნუნუ, შიუკაშვილი თამარ, ღარიბაშვილი მანანა (თელავი)

სიტყვათა და წინადადებათა რიგის საკითხისათვის მეტატექსტში

ტექსტის ლინგვისტიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სიტყვათა რიგი, რომელიც მეტატექსტის კომპონენტთა, წინადადებათა დაკავშირებას გულისხმობს. „სიტყვათა განლაგების მნიშვნელობა საერთოდ დიდია ყველა ენაში“ სინტაქსური თუ სტილისტიკური თვალსაზრისით. ჩვენი კვლევა სწორედ აღნიშნული საკითხის შესწავლას ეფუძნება.

სტატიაში გაანალიზებულია სიტყვათა განლაგებისა და წინადადებათა თანამიმდევრობის თავისებურებები/ნიშანდობლობები ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების მეტატექსტებში; კომპონენტთა ურთიერთმიმართებანი სხვადასხვა ტიპის წინადადებაში. ორი სხვადასხვა სისტემის ენის საანალიზო მასალის (ხალხური ზღაპრები) კონტრასტულ ჭრილში გამოწველი-ლვითი შესწავლის საფუძველზე, დადგენილია მსგავსებები და განსხვავებები, გამოკვეთილია სიტყვისა და წინადადებათა ადგილის როლი და მნიშვნელობა ზღაპართა მეტატექსტებში და საერთოდ ზღაპრის ენაში.

საკითხი საინტერესო და აქტუალურია, რადგან ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებების გათვალისწინებით ნაკლებად, შეიძლება ითქვას, საერთოდ არაა დამუშავებული; ეს კი გვიბიძგებს, გაცილებით სიღრმისულად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული დასმული პრობლემა.

ქართული და ინგლისურ ზღაპართა მეტატექსტების შეპირისპირება წარმოადგენს საკმაოდ ტევად და რთულ სტრუქტურულ თუ სემანტიკურ ქვესისტემას, რაც განაპირობებს როგორც ქართველი, ისე ინგლისელი ენათმეცნიერების ინტერესს მისი შესწავლის მიმართ.

ზეინაბ გვარიშვილი (ბათუმი)

Acquis-ის საკანონმდებლო ტერმინების კორპუსული კვლევა

კვლევის ობიექტი - Acquis-ის საკანონმდებლო ტერმინების ადეკვატური თარგმანი წარმოადგენს საზოგადო პრობლემას, ვინაიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციისას, ადგილი აქვს მულტილინგვიზმით განპირობებულ ტერმინთა კონცეპტუალურ დისტინქციებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ ტერმინების კონცეპტუალური განსხვა-

ვებები პოტენციურად შეიძლება გახდეს კანონის არასწორად ინტერპრეტაციის განმაპირობებელი მიზეზი.

აღნიშნული ლინგვისტური პრობლემა კვლევის აქტუალობას იმდენად განაპირობებს, რამდენადაც, საქართველომ ხელი უკვე მოაწერა პარაფირების კანონს და ევროინტეგრაციის კონტექსტში მიმდინარეობს Acquis-ის საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კვლევა ეყრდნობა მონაცემების ტექნოლოგიური ბაზას, რომელიც ადაპტირებული ღია პლატფორმა სპეციალიზებული ენობრივი კორპუსებისათვის და უზრუნველყოფს ქართული ენის პარალელური კორპუსის განვითარებას, მულტიენოვანი ერთიანი სამეცნიერო ტერმინოლოგიური ბაზის ჩამოყალიბებას, დაინტერესებული სპეციალისტებისათვის ერთიანი სამუშაო პლატფორმის შექმნას. აღნიშნული ღია პლატფორმა შეიქმნა ბსუ-ს პოლიტიკური თარგმანის კორპუსთან ევროკომისიის მულტილინგვური კორპუსების ინტეგრაციით.

კვლევის მიზანია საერთაშორისო გამოცდილებისა და სტანდარტების გათვალისწინებით შექმნილ Acquis-ის მულტილინგვურ ბაზაში არსებული ენის ზოგადი მახასიათებლების შეგროვება, და მულტილინგვური ტერმინების შეპირისპირებითი კვლევა.

კვლევის მეთოდი და მისი სიახლე - კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ კორპუსის ლინგვისტიკის განვითარებაში ბუნებრივად წარმოშვა პარალელური კორპუსების შექმნისა და თარგმანმცოდნეობის ახალი მეთოდოლოგიით კვლევის აუცილებლობა. დარგის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თარგმანმცოდნეობის კვლევითი მიმართულებები ეფუძნებოდა შეპირისპირებით ლიტერატურათმცოდნეობასა და ლინგვისტიკას, ხოლო 1990-იანი წლებიდან დაიწყო თარგმანის შესწავლა კულტურათმცოდნეობის კონტექსტში. მიუხედავად კვლევითი მიმართულებების აქტუალობის ცვალებადობისა, ღირებული სამეცნიერო დასკვნების ჩამოყალიბებისათვის უცვლელი რჩებოდა სამუშაო პრინციპი: ვრცელი ემპირიული მასალის: დედნისა და თარგმანის ტექსტების მიზნობრივი კვლევისათვის მოძიება, შეგროვება და ანალიზი.

ეკატერინე გიგაშვილი (გორი)

დაწყებით საფეხურზე დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების პრობლემური საკითხები

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების ცოდნა და მათი გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ეხმარება პედაგოგს დაამყაროს კონტაქტი ბავშვთან, უხელმძღვანელოს მათ განვითარებას, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხში. დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია: მოსწავლეებში აკადემიური უნარების ჩამოყალიბება-განვითარება, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა და შემდგომი საფეხურისთვის მათი მომზადება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა დასწავლის უნარის დარღვევებზე, რომელიც სწორედ აკადემიურ მოსწრებაში ვლინდება, რადგან ბავშვი სწორედ დაწყებით საფეხურზე ავლენს წერის, კითხვის ან ანგარიშის მიმართ გარკვეულ სირთულეებს. სამწუხაროდ, მდგომარეობას ართულებს ის, რომ მოქმედ მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამები არ ითვალისწინებდა მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომების და სპეციალური სჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენის საკითხებს, ასევე, დღეისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

ფაქტობრივად არ არიან სპეცმასწავლებლები, რომლებიც დაეხმარებიან მასწავლებლებს პრობლემის იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრის გზების ძიებაში. მასწავლებელთა უმრავლესობას არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული მოკლევადიანი ტრენინგები აქვს გავლილი ინკლუზიურ განათლებაში, ასევე, არ ექცევა ყურადღება დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მოლოდინებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და სოციალური მიღწევების კუთხით.

ნაშრომში განხილულია სპეციფიკური საკითხები დაწყებით საფეხურზე დასწავლის უნარის დარღვევების სხვადასხვა შემთხვევისათვის. ასევე, შემოთავაზებულია მცირემასშტაბიანი კვლევის - „მასწავლებელთა მოლოდინი წარმატებებისადმი ინკლუზიურ კლასში“ - შედარებითი ანალიზი.

მარინე გიორგაძე (ბათუმი)

პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული ტრადიციები

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული ტრადიციები მრავალფეროვანია და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ბერძენთა დიასპორის ისტორიასა და თანამედროვე პრობლემებზე. ექსპედიციების მსვლელობისას ჩაწერილი ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები, ასევე აუდიო-ვიდეომასალები მრავალმხრივ საყურადღებოა, განსაკუთრებით, ემიგრანტული ციკლის ფოლკლორი, რაც წარმოდგენილი გამოკვლევის ძირითადი თემაა.

მარინე გიორგაძე, თეონა აბულაძე (ბათუმი)

პონტოური ბერძნულის დარგობრივ-თემატური ლექსიკონის შედგენის პრინციპები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „პონტოელი ბერძენები – წარსული და თანამედროვეობა“ - ფარგლებში, დაგეგმილია პონტოური ბერძნულის დარგობრივ-თემატური ლექსიკონის შედგენა, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ლექსიკონის საფუძველზე.

ლექსიკონზე მუშაობა უკვე დაწყებულია, შემუშავებულია ლექსიკონის შედგენის პრინციპები, თემატური რუბრიკები, ძირითადად, საყოფაცხოვრებო თემების ამსახველი. ლექსიკონში შეტანილი იქნება, ასევე, სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენებული გამოთქმები, ფრაზები.

კომპლექსური სავლე ექსპედიციების ფარგლებში მოპოვებული მასალები, ძირითადად, წარმოადგენს აჭარაში ბერძენთა დასახლებას, ოჯახურ ისტორიებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, საოჯახო საქმიანობას, მეურნეობას, ტრადიციებს, ფოლკლორს და ა.შ.

ლექსიკონზე მუშაობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სავლე მასალის შეგროვება წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით; აქტუალური ლექსიკონის წარმოჩენა და მასალის კლასიფიცირება თემატური ჯგუფების მიხედვით, რელიგიური, სოციალური, საყოფაცხოვრებო ტერმინების დაფიქსირება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი განმარტება.

გამოიყოფა ლექსიკონის სხვადასხვა ფენა: დიალექტური სიტყვები, არქაული ფორმები, სხვადასხვა ენიდან მომდინარე ნასესხობები (ქართული, რუსული, თურქული ენების გავლენა).

შეიქმნება შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რაც აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ენისა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) და მეტყველების თავისებურებების შესწავლის საფუძველი გახდება.

მირანდა გობიანი (ქუთაისი)

სოციალური კატეგორიები გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების ენაში

ახალგაზრდების ენობრივი მასალა იქმნება სტანდარტულ ენაზე დაყრდნობით. სტანდარტული ენის შეცვლა ხდება სპეციფიკური ენობრივი და სტილისტური საშუალებებით. ახალგაზრდების საუბარში ჭარბობს სხვა პიროვნებებზე მსჯელობა. ეს გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა, როგორც უნდათ ან არ უნდათ თვითონვე იყვნენ. აღქმული რეალური სამყარო მათ დიფერენცირებული აქვთ სოციალურ კატეგორიებად. სოციალური კატეგორიების სახელდებით ისინი ამდიდრებენ საკუთარ ლექსიკას.

სტატიაში განვიხილავთ ჩვენ მიერ ჩაწერილი ახალგაზრდების საუბრების აუდიო-ვიდეოჩანაწერების ტრანსკრიპტებს სოციალური კატეგორიების შექმნის, სახელდების, შეფასების, თვისებებისა და ნიშნების მიწერის თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ საუბრის ეთნოლინგვისტური ანალიზი. შენარჩუნებულია ენობრივი და სოციალური ინტერაქციის კვლევის ეთნოგრაფიული ტრადიციები. ანალიზი ეფუძნება პირველ რიგში ხელთარსებულ ემპირიულ მასალებს. ჩანაწერთა ტრანსკრიპცია შესრულებულია GAT-ის მიხედვით (Grsprächsanalytische Transkription).

გურანდა გობიანი (ქუთაისი)

მეხსიერების ფენომენის პოსტმოდერნისტული „ანაბეჭდები“ გონის ანთროპომეტრულ ჭრილში (ნ. გელაშვილის „ჩვენება (ანაბეჭდები)“

ნ. გელაშვილის მოთხრობა „ჩვენება (ანაბეჭდები)“ ინპლიციტურ და ცნობიერ მეხსიერებაში აღდგენილ მიკროტექსტების კომპოზიციურ მთლიანობას წარმოადგენს. ავტორი საკანცელარიო საბუთების, ჩანაწერებისა და განცხადებების საფუძველზე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან პოსტმოდერნისტული ნაწარმოებს ქმნის, რომელშიც ყოველგვარი ჰარმონიის გარეშე წარმოდგენილი ჰეტეროკლიტური ელემენტების კოლაჟი, ერთგვარ ქაოტურ სურათს ხატავს, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის გელაშვილის ინტერტექსტულურ სამყაროს.

ავტორი მშრალი „ჩვენებებითა“ და „განცხადებებით“ კარგად ახერხებს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასახვას, მისი შინაგანი და სულიერი განწყობის, როლისა და ადგილის პოვნას, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. ცნობიერებასა და რეალობას შორის არსებული ტრაგედია ნარატივში გადმოცემულია ორმაგი კოდირებით, რაც, ზოგადად, პოსტმოდერნისტული „ღია ტექსტისათვის“ დამახასიათებელი ნიშანთვისებაა.

ტექსტში უდიდეს ადგილს იკავებს ასოციაციები, რემინისცენია-ალუზია, ორაზროვნება, სიმბოლოზობა, მცირე ისტორია, მოულოდნელობით დატვირთული სივრცეები, ინტერტექსტუალობა.

ფუკოსეული დისკურსის ცნება და დისკურსის ლინგვისტური ანალიზის უახლესი მიდგომები

მნიშვნელობათა სიმბოლური ან ცოდნის სისტემები, რომლებიც კოლექტიურად იქმნებიან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ადამიანურ აზროვნების სტილს და იმავდროულად, აღწერენ ადამიანების დამოკიდებულებას სამყაროსადმი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საზოგადოებრივი ცოდნის სისტემებისა და სიმბოლური წესების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს ცნებებმა „დისკურსი“, „დისკურსის თეორია“ და „დისკურსის ანალიზი“. ეს განსაკუთრებით ეხება ცნობილი ფრანგი ენის ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს ნაშრომების ფართომასშტაბიან რეცეფციას.

ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი დისკურსის ცნების პოპულარიზაციას. ცნების დღევანდელი გაგებისათვის მისი კვლევები ყველაზე წონადია. წიგნებში როგორებიცაა „დისკურსის წესი /ხასიათი“ (ფუკო 1974) და „ცოდნის არქეოლოგია“ (ფუკო 1988), ასევე მრავალრიცხოვან ესეებში იგი გამოთქვამს ფუნდამენტურ მოსაზრებებს დისკურსებზე საკუთარი თეორიისა და ექსპერიმენტული ცოდნის/პრაქტიკული გამოცდილების შესახებ. დისკურსის ცნების მისეული გააზრება ეყრდნობა რიგ მეცნიერულ დისციპლინებს, კერძოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ფსიქოლოგიურ თეორიებს, სამართალმცოდნეობას, მედიცინას, ფილოსოფიასა და რელიგიას, როგორც ისეთ ინსტიტუციებსა და ადგილებს, სადაც დისკურსები იქმნებიან და ვითარდებიან. ის დისკურსებს განიხილავს უპირატესად სოციოლოგიური ცოდნისა და კონსტრუქტივისტული კუთხით და მათ განიხილავს როგორც შემთხვევით/პირობით მოვლენებს, რომლებიც თავიანთ არსებობას უმადლიან ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებულ ფორმირებებს/სისტემებს.

დისკურსის შესახებ თეორიების და დისკურსული ანალიზების კვლევის საგანია ლაპარაკსა და წერას (როგორც ენობრივი აქტივობების) შორის კავშირ-ურთიერთობა, აზროვნების/ცოდნის სისტემების პროდუცირება და რეპროდუცირება, ასევე ამ სისტემების მონაწილე სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ დისკურსის პროდუცირება-რეპროდუცირება და ასევე მათი ტრანსფორმაცია იმ კონკრეტული წესებისა და რესურსების კვლავამოყენების შედეგად, რომლებიც მათ პრაქტიკული გამოცდილების შედეგად შეიძინეს. კვლევის ობიექტია ასევე ის წესები, რომლებიც ამ პროცესებს უდევს საფუძვლად. დისკურსის კვლევის ცენტრში დგას მეტწილად (გამო)ნათქვამების პრაქტიკული ფუნქციონირების ინსტიტუციური რეგულირების ანალიზი და მათი პერფორმაციული, რეალობის შემქმნელი ძალა.

გიორგი გოგელაშვილი (თბილისი)

თემის ნიშანთა განაწილების პრინციპისათვის ახალ ქართულში

ახალ ქართულში რამდენიმე თემის ნიშანი („აწმყოს ფუძის მაწარმოებელი“ - არნ. ჩიქობავა) გვაქვს; ძირითადად ეს არის: -ებ, -ობ, -ავ, -ამ. თითო შემთხვევაში გვაქვს -ემ (მისცემს/მისცა; არის ტენდენცია მისი ფუძეში გადარიცხვისა ს-ცემ-ა) და -ოფ (ყ-ოფ-ს/ გა-ყო)... -ი ელემენტს ჩვენ თემის ნიშნად არ განვიხილავთ...

-ავ და -ამ თემის ნიშანთა ქცევა იდენტურია, ამიტომ ამჯერად მათ მორფოლოგიურ ვარიანტებად განვიხილავთ - ავ/-ამ. მსჯელობა გვექნება სამ ვარიანტზე: -ებ, -ობ, -ავ/-ამ.

ახალ ქართულში არსებული ვითარება და დიალექტებში დადასტურებული ენობრივი ტენდენციები გვიჩვენებს, რომ თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად ედება გვარის კატეგორია:

- ა) მოქმედებითი გვარის ზმნებთან მკვიდრდება -ავ/-ამ;
- ბ) ვნებითი გვარის ზმნებთან – -ებ;
- გ) საშუალო გვარის ზმნებთან – -ობ.

სხვადასხვა დიალექტში ეს ტენდენცია სხვადასხვა დონეზეა გამოვლენილი.

ნანა გოგოლაშვილი (თბილისი)

თარგმანის თეორიების არსი და მნიშვნელობა

თარგმანის სხვადასხვა თეორიაზე მსჯელობისას, აუცილებელია, გავარკვიოთ, როგორია საერთოდ თარგმანისადმი დამოკიდებულება, რა ფუნდამენტური დებულებები, აზროვნებითი კატეგორიები და ტერმინოლოგია უდევს საფუძვლად მეცნიერებას თარგმანის შესახებ რომელსაც „ტრანსლათიკას“ ვუწოდებთ.

თარგმანმცოდნეობისთვის საინტერესოა, როგორ აღვიქვამენ ადამიანები კულტურის იმ უდიდეს ფენომენს, რომელიც საუკუნეების მანძილზე მუდმივად იწვევდა ინტერესს; რა როლს თამაშობს ტრანსლათიკა კულტურის სფეროში და ხომ არ არის იგი იზოლირებული სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებისაგან? რატომ განიცადა თარგმანის შესახებ მეცნიერებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, და რა როლს თამაშობს ნათარგმნი ლიტერატურა მსოფლიო კულტურათა გლობალიზაციის პროცესში.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი პრინციპული საკითხი: როგორია თარგმანის ენის ბუნება? რა კავშირი აქვს მას გარე სამყაროსთან? როგორ ფუნქციონირებს თარგმანის ენა კულტურათა ურთიერთდაახლოების პროცესში?

ლინგვისტიკა ვერ იძლეოდა სრულყოფილ პასუხებს ამ კითხვებზე და მათზე ყურადღებას მხოლოდ ენათმეცნიერების პოზიციიდან ამახვილებდა, არადა, აღმოჩნდა, რომ თარგმანის ენა აშკარად გვევლინება იმ რიგის მოვლენად, რომელიც არ შეიძლება მხოლოდ ტრადიციული ლინგვისტური კატეგორიებითა და მეთოდებით აიხსნას. ამ ფენომენის კვლევისას აშკარად ვეჩხებით ინტერდისციპლინარულ კატეგორიებსა და ცნებებს, რომლებიც მოითხოვენ ტრანსლათიკის კვლევის სფეროში ახალი აზროვნებითი კატეგორიებისა და ანალიზის მეთოდების შექმნას.

თარგმანის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ენობრივი უნივერსალების გავლენებთან, მაგრამ არ არსებობს იმპლიკაციები, რომლებიც განაპირობებენ ამ გავლენების აუცილებლობას.

იმპლიკაცია განეკუთვნება მხოლოდ მათი შეგრძნებების ალბათობას. ტრანსლათიკის ამოცანაა, დისკურსის ანალიზის მეშვეობით, გამოყოს მისი კონვერგენტულ-დივერგენტული მარკერები და ემპირიულ საფუძველზე შეაფასოს მასში ენობრივი უნივერსალების თანამონაწილეობის ხარისხი.

საქართველოს ხსნა ევროპაშია

ჩვენ ვართ ძირძველი ევროპელები და ქართველმა ხალხმა თავისი ქმედებებით დაამტკიცა, რომ ღირსია იყოს ევროპული თანამეგობრობის წევრი. ევროპა ქართული მხარის ნებისმიერ წინადადებას განიხილავს და საქართველოს ეკონომიკური დახმარების გარდა, პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებაშიც უწყობს ხელს. ევროპა ხელს შეუწყობს ყველა იმ მცდელობას, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას ემსახურება და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც საქართველო თავის მეზობლებთან განახორციელებს.

ევროპამ კარი გაუღო საქართველოს და დანარჩენი კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი თვისებრივად ახალ ეტაპზე ავიდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას ითანამშრომლოს ევროპულ სტრუქტურებსა და სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

განა ადრეც ასე არ იყო? როდესაც ჩვენს ქვეყანას აგრესორების მხრიდან საფრთხე დაემუქრებოდა, დახმარებას სახელმწიფოს მესვეურები უმეტესად ევროპისაგან მოელოდნენ. ამიტომაც სტუმრობდნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ევროპის სახელმწიფოებს. გავიხსენოთ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოგზაურობა და მოლაპარაკებები ევროპელ ლიდერებთან. ან უკვდავი სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტი ევროპაში, სადაც ევროპელი ლიდერები აღფრთოვანებული იყვნენ ამ დიდებული პიროვნებით. ასეთი ვიზიტები ყოველ საუკუნეში იყო. მართალია, რეალური დახმარება ხშირად ვერ ხერხდებოდა, მაგრამ ურთიერთობები ყოველთვის იყო. აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ იმ ოქროს ხანაზე, როდესაც არა მარტო ევროპა, არამედ იმდროინდელი მსოფლიო საქართველოს ანგარიშს უწევდა, როგორც მოწინავე და გამორჩეულ სახელმწიფოს – ეს იყო დიდი დავითისა და თამარის ხანა. ღმერთმა ქნას, დაბრუნდებოდეს საქართველოს იმდროინდელი სიკაშკაშე და ბრწყინვალეობა.

კავკასიის რეგიონის განვითარების ზოგიერთი ასპექტი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ამერიკული სტრატეგია უნდა გავრცელდეს მთელს ევრაზიაზე. იგი მიუთითებს შავი ზღვა-კასპისპირეთის რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მას „ევრაზიულ ბალკანეთს“ უწოდებს. „ევროპაში სიტყვა „ბალკანეთი“ იწვევს ეთნიკური კონფლიქტებისა და რეგიონში ძლიერი სახელმწიფოების მეტოქეობის ასოციაციას. ევრაზიას ასევე გააჩნია თავისი „ბალკანეთი“, თუმცა, „ევრაზიული ბალკანეთი“ გაცილებით დიდია, უფრო მჭიდროდაა დასახლებული და მეტი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა“. ბჟეზინსკის აზრით, აშშ, რომელმაც ფსონი დადო გეოპოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებაზე პოსტსაბჭოთა ევრაზიაში, დაინტერესებულია არა მარტო ამ რეგიონის რესურსებით, არამედ მის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის დომინირების აღკვეთით.

იუმორის ლინგვოკულტურული თავისებურებები

ერის, კულტურისა და ენის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ის ღირებულებები, რასაც ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას. ეს ფასეულობები ბევრ ენობრივ ერთეულში მჟღავნდება: ფრაზეოლოგიაში, ანდაზებში, გამოცანებში, ზღაპრებსა თუ ლეგენდებში. იუმორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტია ეროვნული ხასიათის და კულტურის გადმოსაცემად. ის ენაში ასახავს სამყაროს ნაციონალურ ხატს, ეფუძნება ერის კოლექტიურ მეხსიერებას, ხუმრობით ახასიათებს ადამიანების დადებით და უარყოფით მხარეებს და აღვიძებს დადებით ემოციებს. ამ გრძნობისათვის ძირითადად დამახასიათებელია ორმაგი ბუნება: ერთი მხრივ, დაკვირვებულობა, რომელიც ეფუძნება ფონურ ცოდნას საზოგადოების კულტურის შესახებ, ადამიანის უნარს - შეამჩნიოს სასაცილო ჩვეულებრივში და, მეორე მხრივ, გამოხატოს საკუთარი ემოცია ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ფაქტის მიმართ. იუმორი არის გასართობი, მხიარულების გამომწვევი, კომიკური, ზოგჯერ აბსურდული და გამკილავი, ადამიანის ხასიათის და მისი მახვილგონიერების გამომხატველი და ა.შ.

ყველასთვის ცნობილია, რომ ინგლისური იუმორი განსხვავდება სხვა ქვეყნების იუმორი-საგან. ის დასცინის ადამიანების სიძუნწეს, შურს, სიხარბეს, სიბრაზე, ეჭვიანობას, ღალატს, სიზარმაცეს, ქედმაღლობას და სხვა ადამიანურ სისუსტეებს. ინგლისურ იუმორში ხშირია ინგლისური ეტიკეტისადმი ირონიული დამოკიდებულება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ იუმორში იშვიათია გაუმადრობის გაკილვა, რაც, ალბათ, გამოწვეულია მათი ინდიფერენტულობით საჭმლის მიმართ. ნაშრომში ყურადღება მიექცევა იუმორის სემანტიკურ და პრაგმატიკულ მხარეებს. სემანტიკური თვალსაზრისით, განხილული იქნება რეფერენციისა და ცნების შეუთავსებლობა, პრაგმატიკული თვალსაზრისით კი - შეფასების და სიტუაციის, ნორმისა და შედეგის შეუსაბამობა, რაც კომიკური ეფექტის გამომწვევია.

ქეთევან გოჩიტაშვილი, მარიამ მანჯგალაძე (თბილისი)

ენის შემსწავლელი ელექტრონული და დისტანციური კურსების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

ციფრული და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი მაღალი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაა. უცხო/მეორე ენის შემსწავლელი ელექტრონული კურსების მზარდი რაოდენობა ადასტურებს, რომ მათ მიმართ ინტერესი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობების განვითარების კვალდაკვალ იზრდება. ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, საგანმანათლებლო პროცესებში ICT (ინფორმაციული და კომუნიკაციური) ტექნოლოგიების ინტეგრირება პედაგოგიური და საგანმანათლებლოს ამოცანების შესასრულებლად შემსწავლელისათვის ქმნის კომფორტულ სასწავლო გარემოს, რომელიც შედარებით აიოლებს ენის შესწავლის პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული და დისტანციური განათლების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი მიზანია შემსწავლელს მიაწოდოს მაქსიმალურად მაღალი ხარისხის ცოდნა, კურსის შექმნისა და მიწოდების პროცესში შეამციროს რისკები, რომლებმაც ამ ტიპის საგანმანათლებლო პროცესში შეიძლება იჩინოს თავი, იგულისხმება: შინაარსის არარელევანტურობა; პედაგოგიური პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია;

მიწოდების ფორმებისა და მეთოდოლოგიის შეუსაბამობა კურსის მიზნებსა და ამოცანებთან, ერთი მხრივ, და შინაარსთან, მეორე მხრივ და სხვ.

მოხსენების პირველ ნაწილში წარმოვადგენთ კლასტერებს, რომლებითაც ენის შემსწავლელი ელექტრონული და დისტანციური კურსების შეფასება უნდა მოხდეს (მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილება; კონკურენტუნარიანობა; კანონმდებლობასთან შესაბამისობა; მდგრადობა). თითოეული კლასტერი დაყოფილია ქვეკუთხეულებად და შეთავაზებულია მეთოდები, როგორ უნდა მოხდეს მათი კურსთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოხსენების მეორე ნაწილი წარმოადგენს მეგზურს, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ის ინდიკატორები, რომლებიც ენის ელექტრონული/დისტანციური მაღალხარისხოვანი კურსის შექმნას უზრუნველყოფს. განსაზღვრულია მოსალოდნელი სირთულეები ენის ელექტრონული კურსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დადგენის პროცესში (ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა; საკანონმდებლო დაბრკოლებები; არავალიდური შეფასების სისტემა და ა. შ.).

ქუქუნა გუმბარიძე (ბათუმი)

ვერბალური აგრესია პოლიტიკურ დისკურსში

სტატიის მიზანია გავანალიზოთ პოლიტიკურ დისკურსში სიტყვიერი აგრესია და შევისწავლოთ ის ფიგურალური თუ სტილისტიკური ხერხები, რომლებსაც იყენებენ პოლიტიკოსები დებატების, ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების დროს. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ დისკურსში ემოციების გამოხატვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს რიტორიკული მაღალფარდოვნების ოსტატობა. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსთა ვერბალური პაექრობა სცილდება ენის ნორმატიულ გამოყენებას და როცა საქმე ეხება ერთმანეთის მიმართ აგრესიის გამოხატვას, პოლიტიკოსები განსაკუთრებით მიმართავენ ფიგურალური ენის აქტუალიზაციას, რაც ისეთი სტილისტიკური ხერხების გამოყენებაში გამოიხატება, როგორიცაა მეტაფორა, შედარება, ალუზია, ირონია და სხვ. ვერბალური აგრესია პოლიტიკურ დისკურსში შეიძლება აღვიქვათ როგორც ფიგურალური პაექრობა კონკურენტებს შორის, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ აუდიენციას საკუთარი მოსაზრება და იყვნენ დამაჯერებლნი გამომდინარე იქედან, თუ რა ლექსიკურ სელექციას მოახდენენ ისინი საკუთარი მენტალური ლექსიკონიდან აუდიტორიასთან კომუნიკაციის დროს. სწორედ რომ ენის ფორმულირებაზეა დამოკიდებული პოლიტიკოსმა სათანადოდ მოახდინოს რეაგირება გამოწვევებზე და იყოს ვერბალურად მეტანაკლებად აგრესიული. მაგ. თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას შეფასებით, ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ზოოპარკიდან გამომდინარე, ცხოველების ალუზია აქვს. უგულავა ყოფილი პრემიერის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, "უგულავა ფაფარაშლილი ლომივით იდგა". მსგავსი მაგალითები იმდენად ხშირია პოლიტიკურ დისკურსში, და იმდენად საინტერესოა ლინგვისტური კუთხით, რომ უდაოდ იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. წინამდებარე სტატიის მიზანაც იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი კორპუსი ქართულ და ინგლისურ ენებზე გვამღვეს შესაძლებლობას გავანალიზოთ ის ლინგვისტური და სტილისტიკური ხერხები, რომლებიც პოლიტიკურ დისკურსს ექსპრესიულობას მატებს.

ლიტერატურული ონიმები, როგორც გამომხატველობითი სახესხვაობა და მათი თავისებურებანი თანამედროვე ლიტერატურაში

ენა ერის მახასიათებელია, ის ყოველთვის გამოხატავს ეთნოსს, კულტურის ცვლილებასთან ერთად ხდება ენის მოდიფიცირება, რის საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა ლიტერატურული შედეგები. ლიტერატურულ შემოქმედებაში, მწერლის აქტივობის მიზანს ობიექტური ნაწარმოების შექმნა წარმოადგენს, რომელიც რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც ნებისმიერი დეტალი მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება. საინტერესო ნაწარმოების შექმნის დროს ძირითადი ამოცანა ისაა, რომ უკვე არსებული, ან ზოგჯერ არარსებული სიუჟეტი მკითხველის წარმოსახვისა და განწყობის მიზეზი გახდეს, რასაც ხელს უწყობს ლიტერატურული ონიმების არსებობა ლიტერატურაში.

ლიტერატურული ონიმები გამოიყენება ექსპრესიული მიზნებისათვის, ამდიდრებს და სისტემურობას ანიჭებს ნაწარმოებს. ყოველდღიურ კომუნიკაციაში ვიყენებთ საკუთარ სახელებს, რომელსაც მიეკუთვნება რეალურად არსებული ადამიანის, ქალაქის, მდინარის, მთისა თუ ნებისმიერი ობიექტის სახელი, რომლითაც მწერლები ლიტერატურულ პერსონაჟებს, საგნებსა და სიუჟეტებს ქმნიან, ისინი გარდაიქმნებიან ლიტერატურულ ონიმებად.

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განსხვავებულ, სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რომლითაც მწერლის ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი ვლინდება და რომლის დანიშნულებაც, შექმნას შესაბამისი განწყობა, რათა ზემოქმედება მოახდინოს მკითხველის ქცევისა თუ განცდის მიმდინარეობაზე. სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული ონიმების მოხსენიებით ხდება აზროვნების ფიქსაცია ერთ კერძო დენოტატზე, გონება ქვეცნობიერად აერთიანებს, მობილიზაციას უკეთებს, ყველა არსებულ ინფორმაციას მოცემულ ობიექტზე. მწერალი ერთი სახელდებით მკითხველის გონებაში მის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ლოკალიზებას ახერხებს.

საკუთარი სახელები თავისებურ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ასპექტში გამოვიკვლიოთ: ენასა და მეტყველებაში, დიალექტსა და ლიტერატურაში. განსაკუთრებით საინტერესოა ონიმების კვლევა ფსიქოლინგვისტიკაში. სახელდების ზემოქმედება განწყობისა და ემოციის გამოხატულებაზე.

მწერლები არსებითი მნიშვნელობების გარდა, მრავალმნიშვნელოვან „ლიტერატურულ სისტემებს“ იყენებენ, რომელიც შემოქმედებას გამოხატულების პრაგმატიკულ და კოგნიტიურ ღირებულებას ანიჭებს.

თანამედროვე მსოფლიოს პრობლემები ფრედერიკ ბეგბედერისა და მიშელ უელბეკის შემოქმედებაში (ნაწარმოებების - „99 ფრანკი“ და „პლატფორმა“ მიხედვით)

ფრედერიკ ბეგბედერისა და მიშელ უელბეკის რომანებმა მთელს მსოფლიოში სკანდალები გამოიწვია, თავად ავტორებს კი „მეამბოხე მწერლის“ სახელი დაუმკვიდრა. მათ მკითხველი უპირველესად „ენის თავისუფლებით“ და პირდაპირობით მიიზიდეს, რაც არსებული ობიექტური რეალობის წარმოჩენის მათეულ არაორდინალურ მანერასა და ესთეტიკურობაზე მიუთითებს. მახვილი ენა, მოქნილი ფრაზეოლოგია, რეალობასთან შეხვედრული პროვოკაცია და მოულოდნელობა – აი, ის ნიშნები, რომლებიც მათ რომანებს ახასიათებს. ბეგბედერისა და უელბეკის შემოქმედებაში მწვავედ დგას თანამედროვე მსოფლიოს პრობლემები. მთავარი კითხვა, რაც მათ

შემოქმედებას აერთიანებს, მდგომარეობს შემდეგში: რა არის ადამიანის დანიშნულება და რისკენ ილტვის კაცობრიობა? პასუხი სხვადასხვაა, თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ ძირითადად ძალაუფლებისკენ, ფულისკენ, სიამოვნების მიღებისკენ, სრულყოფილებისაკენ. ყველას სურს სხვას აღემატებოდეს. სწორედ ამ დაუწერელი კანონის ფურცელზე გადატანა შეძლეს ფრედერიკ ბეგბედერმა და მიშელ უელბეკმა, რომლებმაც, როგორც ამ საუკუნის შვილებმა, ასახეს ირგვლივ არსებული პრობლემები: ადამიანისა და მისი როლის გაუფასურება, კომერციალიზებული სიყვარული, ფული, ძალადობა, ხელოვნების რადიკალური სახეცვლილება. მათთან ასევე ვხვდებით მატერიალისტური დამოკიდებულებების მიმართ პროტესტის შეგრძნებას, ადამიანების სევდის, ადამიანური ურთიერთობების დეფიციტისა თუ კომუნიკაციის წყურვილის თემებს.

მათი რომანები შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც რომანი-პროტესტი, მიმართული თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ.

მაინც როგორია ის რეალობა, რომელსაც ისინი თავიანთ რომანებში აღწერენ? რატომ გვხდება მათთან ასე მოჭარბებულად გროტესკი, ცინიზმი, ირონია, ან რა განაპირობებს მათ კრიტიკულ განწყობასა და დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი? სწორედ ამის გარკვევას ისახავს მიზნად რომანების – „99 ფრანკი“ და „პტაფორმა“ – განხილვის მაგალითზე ჩვენი ნაშრომი და წარმოადგენს თანამედროვე სამყაროსადმი ამ ავტორთა სუბიექტური და ობიექტური შეხედულებების, დამოკიდებულებისა და პოზიციის კვლევის ცდას, სამყაროსადმი, რომელსაც, ბეგბედერის ირონიული დასკვნით, „ალტერნატივა არ აქვს“.

სოფიკო დარასელია (თბილისი)

სერგეი შაროვი (დიდი ბრიტანეთი, ლიდსი)

ქართული ენის ვებკორპუსი - KaWaC

კორპუსის ლინგვისტიკის ახალ მიმართულებას წარმოადგენს ვებკორპუსები, რომლებიც კორპუსების ცალკე ოჯახს/ჯგუფს განეკუთვნებიან. ვების როგორც კორპუსულ წყაროდ გამოყენება სიახლეს არ წარმოადგენს კორპუსის ლინგვისტიკაში. მსოფლიოს მრავალი ენისათვის შექმნილია ვებკორპუსები, მათ შორის აღნიშვნის ღირსია ინგლისური ენის ვებკორპუსი – UkWaC, გერმანული ენის ვებკორპუსი – DeWaC-ი, იტალიური ენის ვებკორპუსი – itWaC. ლიდსის უნივერსიტეტში სადოქტორო კვლევის ფარგლებში შეიქმნა ქართული ენის ვებკორპუსი – KaWaC, რომელიც არის დიდი, რეპრეზენტაციული და დაბალანსებული ქართული ენის თანამედროვე ვებკორპუსი, კერძოდ ასახავს ქართული ენის განვითარების ბოლო 10-15 წელს. აღნიშნული პროექტის საწყის ეტაპზე განისაზღვრა კორპუსის ტიპი და შეირჩა შესაბამისი ვებწყაროები. ინტერნეტიდან ვებრესურსების ჩამოტვირთვა განხორციელდა *wget*-ის ინსტრუმენტის გამოყენებით, ჩამოტვირთული მასალის გაფილტვრა და შემდგომი დამუშავება BootCat-ის ინსტრუმენტების საშუალებით.

ქართული ენის ვებ-კორპუსი - KaWaC, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: *Ka* – *Kartvelian* - ქართული და *WaC* – *Web as a Corpus* - ვები როგორც კორპუსი, ე.ი. ქართული ენის ვებკორპუსი განთავსებულია ლიდსის უნივერსიტეტის ვებსაიტზე და მოიცავს 150 მილიონ სიტყვას.

პროექტის საწყის ეტაპზე შეირჩა სხვადასხვა ბმულები რეპრეზენტაციულობის მიზნით. ტექსტის ტიპები/ჟანრები აღწერილია ფუნქციური ჟანრული განზომილებების (Functional Genre Dimensions) მიხედვით. შემუშავდა ტექსტები ქართული ენისათვის და ქართული ენის კორპუსი – KaWaC არის მორფოლოგიურად ანოტირებული მულტიტექსტური მორფოსინტაქსური სპეციფიკაციების (MULTEXT – East Morphosyntactic Specifications) მიხედვით.

მუსიკის როლი და მუსიკალური ინსტრუმენტები ანტიკურ საბერძნეთში

სტატიაში ნაჩვენებია, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მუსიკას და როგორი იყო მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურასა და ხელოვნებაში. ძველ საბერძნეთში მუსიკა ცხოვრების ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენდა. მუსიკა ჟღერდაკერძო თუ სახალხო დღესასწაულებზე, საქორწინო ცერემონიალის, ნადიმების, ომებისა და დაკრძალვის დროს. მასვე გააჩნდა თერაპევტული თვისებაც – მუსიკას იყენებდნენ ფიზიკური და მენტალური დაავადებების სამკურნალოდ, იგი მორალურ და ემოციონალურ ეფექტს ახდენდა მსენელის შინაგან ბუნებასა და სამყოვოზე, მის სულზე. მუსიკა ასევე გახდა ფილოსოფიური შესწავლის ელემენტი განსაკუთრებით კი პითაგორელების მიერ, რომლებსაც სჯეროდათ რომ იგი კოსმიური სამყაროს მათემატიკური გამოხატულება იყო.

მუსიკის როლის გაზრდას ხელი შეუწყო მუსიკალურმა შეჯიბრებებმა, რომელიც იმ დროის საბერძნეთში ხშირად იმართებოდა. სპეციალური მუსიკალური შეჯიბრებები თითქმის ქვეყნის ყველა ნაწილში ეწყობოდა. ერთ–ერთი ასეთი ყველაზე უძველესი მუსიკალური შეჯიბრება იყო „კარნეა“ სპარტაში. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მუსიკას ორ დიდ ფესტივალზე, როგორც იყო „დიდი დიონისეები“ და „ლენეები“.

სტატიაში ასევე ყურადღება გამახვილებულია, თუ რა სახის მუსიკალური ინსტრუმენტები არსებობდა ანტიკურ საბერძნეთში – მუსიკალური ინსტრუმენტები მოიცავდა სიმებიანს, სასულესა და დასარტყამს. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ლირა, ავლოსი (განსაკუთრებით ორმაგი) და სირინქსი. რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა სახის ინსტრუმენტებიც – მათ შორის ჟღარუნა, ნიჟარა, საყვირი, სტვირი და სხვა. ეს მუსიკალური ინსტრუმენტები ფრესკების, სკულპტურათა და ბერძნული ჭურჭლის, განსაკუთრებით გეომეტრიული რენესანსის, შავ–ფიგურული და წითელ–ფიგურული სტილის ხელოვნების ერთ–ერთი მთავარი განმსაზღვრელი ელემენტი იყო.

თავისი დატვირთვა ჰქონდა ასევე მუსიკას მხატვრულ ლიტერატურაშიც. მწერლები პოეტურ ნაწარმოებებს ასრულებდნენ სიმებიანი ინსტრუმენტების აკომპანიმენტით. მუსიკის შესახებ ცნობებს ვხვდებით ჰომეროსის პოემებში; ასევე, შემთხვევითი არაა, რომ ძველი რომაელი მწერალი ჰორაციუსი თავის ოდებს უწოდებდა „სიტყვებს, რომლებიც უნდა ჟღერდნენ სიმებთან ერთად“; ადრეული მუსიკალური დოკუმენტი, რომელიც შემორჩა არის რამდენიმე ტაქტი ევრიპიდეს ტრაგედიებიდან. ყველაფერი ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ანტიკური კულტურა(ლიტერატურა და ხელოვნება) წარმოუდგენელია მუსიკის გარეშე.

თამარ დემეტრაშვილი (თბილისი)

მარკირების პრობლემები სპარსული ენის დიაქრონიულ ჭრილში (ძველი, საშუალო და ახალი სპარსული)

ნაშრომი ეხება სპარსული ენის დიაქრონიაში მარკირების პრობლემებს. განხილული იქნება სპარსული ენის სამივე სინქრონული დონე - ძველი, საშუალო და ახალი სპარსული. მოხმობილი იქნება მაგალითები ყველა სინქრონული დონისთვის. ვიყენებ დიაქრონიულ და რეტროსპექტიულ მეთოდებს.

მთელ დიაქრონიულ ჭრილში, დაწყებული ძველი სპარსულით და დამთავრებული ახალი სპარსულით, შეიმჩნევა საკვლევ ელემენტთა სიმრავლე, მრავალფეროვნება და, რაც მთავარია,

ისეთი მოვლენები, როგორცაა ფორმათა სინკრეტიზმი, ფუნქციური შერევა, პოლისემია, პოლიმორფიზმი და სხვ.

ზმნასთან დაკავშირებულ სახელს, სუბიექტის ან ობიექტის გამომხატველს, შეუძლია ზმნის ფორმაში თავისი ნიშანი გააჩინოს. ამრიგად ზმნის “პირიანობა” განისაზღვრება ზმნის ფორმაში ფორმალურად, მატერიალურად აღნიშნული პირების რაოდენობით.

მთლიანობაში გამოიყოფა სუბიექტური, სუბიექტ-ობიექტური და ობიექტური წყობის ენები. ამ თვალსაზრისით, სპარსული ზმნა სუბიექტური წყობისაა, რადგან მასში აისახება მხოლოდ სუბიექტის ნიშანი. თუმცა ახალ სპარსულში უხვადაა ზმნის ისეთი ფორმები, რომლებშიც წარმოდგენილია ობიექტური პირის მაჩვენებელი ნაცვალსახელური ენკლიტიკის სახით, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც ობიექტური პირის ნიშანი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ძველ სპარსულშიც დაიმბნება ზმნის ისეთი ფორმები, სადაც ზმნაში ფორმალურადაა წარმოდგენილი ობიექტური პირის მაჩვენებელი.

ჯამში, წარმოდგენილი იქნება სუბიექტური და ობიექტური პირის მაჩვენებლები სპარსული ენის დიაქრონიაში და განხილული იქნება ის საკითხები (სპეციალური მორფოსინტაქსური კონსტრუქციები), რომლებიც დაკავშირებულია მარკირების საკითხებთან.

ნინო დვალი, ნესტან კოსტავა (ქუთაისი)

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები და გაკვეთილზე მათი გამოყენების პედაგოგიური საფუძვლები

როცა ვსაუბრობთ თანამედროვე გაკვეთილზე და მისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს პრობლემური საკითხია თანამედროვე ტექნოლოგიების სწორი გამოყენება.

დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ აუცილებელია აქტიური და ინტერაქტიური სწავლება სწავლების ეს ფორმები მოსწავლეს ასწავლის აზროვნებას .სოციალურ გარემოში თავისი თავის დამკვიდრებას, სწორი ღირებულების მიმართ პატივისცემას, ამაღლებს თვითკრიტიკისა და თვითგანათლების უნარს და ყველაზე მთავარი ამ დროს მოსწავლის დაინტერესებაა.

თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, სტუდენტს, მასწავლებელს და პროფესორს მოისმინოს ინტერნეტის საშუალებით საინტერესო ლექციები და შემდეგ მოხდეს მისი ანალიზი.

თანამედროვე ტექნოლოგიები ასწავლის მოსწავლეს და სტუდენტს კვლევას. უყალიბებს მას კვლევის უნარს, რომელიც ასე აუცილებელია არა მარტო მომავალი მეცნიერისთვის ან მასწავლებლისათვის, არამედ ზოგადად ადამიანისათვის, რადგან ამ დროს პიროვნება ხარ და მზად ხარ ცხოვრებისთვის.

ნინო დვალიძე (ბათუმი)

თანამედროვე ინგლისურენოვან პუბლიცისტიკაში გამოყენებული საზღვაო იდიომების ეტიმოლოგია და მათი ქართული ლექსიკონური შესატყვისები

ცნობილმა ამერიკელმა პოეტმა და მომღერალმა – ბობ დილანმა, გემ „ტიტანიკის“ ჩადირვასთან დაკავშირებით, 2012 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა თავის ლექსი და სიმღერა „Tempest” – „ქარიშხალი“, სადაც მან გამოიყენა ასეთი ფრაზა: „They battened down the hatches but

the hatches wouldn't hold“... რომელიც სიტყვა-სიტყვით თარგმანში ასე ჟღერს: „მათ გაამაგრეს, (აჭედეს) ლიუკები (პატარა კარები) გემბანის ქვეშ, მაგრამ კარებმა ვერ დაიჭირეს...“

თუ ინგლისურენოვან ლექსიკონებში ჩავიხედავთ, ეს ფრაზა არის იდიომი და ნიშნავს: **უბედურებისათვის მომზადებას - to prepare for trouble.**

ამ იდიომის ეტიმოლოგია უკავშირდება ქარიშხლის მოლოდინში მეზღვაურების მზადებას და როგორც ლინდა და როჯერ ფლაველების იდომების ლექსიკონი გვამცნობს, იგი აქტიურ ხმარებაში შემოვიდა მე-18 საუკუნის ბოლოდან.

აღნიშნული ინგლისური იდიომი თ.მარგალიტაძის ონლაინ ლექსიკონშიც ასე არის განმარტებული, მაგრამ არის მთელი რიგი იდიომებისა, რომელთა ქართული შესატყვისი ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. ეს ეხება როგორც, ზოგადად, სხვადასხვა თემაზე შექმნილ, ასევე რამდენიმე ისეთ საზღვაო იდიომს, როგორცაა: **“broad in the beam”; “on one’s beam ends”; “to give something/someone a wide berth”; “to go by the board”** და ა.შ.

ამ შემთხვევაში, მე დავინტერესდი:

1. რამდენად ხშირად გამოიყენებენ სახვადასხვა სახის საზღვაო იდიომებს ინგლისურენოვან თანამედროვე პუბლიცისტიკაში, კერძოდ, 2000-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში: „გარდიანი“, „ფორტუნა“, „შოტლანდიელი“, „დამოუკიდებელი“ და სხვ. (THE GUARDIAN; FORTUNE; THE SCOTSMAN; THE INDEPENDENT);

2. როგორია მათი ეტიმოლოგია (ინგლისურენოვან ლექსიკონებზე დაყდნობით);

3. თუ მოგვეპოვება მათი შესატყვისები ქართულენოვან ლექსიკონებში.

ზემოაღნიშნული იდიომების შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ის ინფორმაციული დეფიციტი, რომელიც მათი შესატყვისი ფორმების უქონლობის შემთხვევაში წარმოიშობა. ამდენად, ფრაზეოლოგიების ამ პლანში შესწავლას, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება, რადგან ასეთი კვლევები ხელს შეუწყობს და გააადვილებს კულტურათაშორის დიალოგს და ამით საფუძველი ჩაეყრება, აგრეთვე, შეიქმნას იდიომების ქართულენოვანი ახალი მცირე ლექსიკონი.

ბიჭიკო დიასამიძე (ბათუმი)

ეგრის-აფხაზეთის საეკლესიო ცენტრები X საუკუნეში

VIII საუკუნის შუა ხანებში „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ შექმნით, საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოს და მისი ეკლესიის ბიზანტიის დაქვემდებარებიდან განთავისუფლებისათვის ბრძოლას, რაც IX საუკუნის ბოლოსათვის წარმატებით დასრულდა.

X საუკუნის დასაწყისისათვის დამოუკიდებელი ეგრის-აფხაზეთის ეკლესია აერთიანებდა ფაზისის სამიტროპოლიტოს მასში შემავალი საეპისკოპოსოებით (პეტრა, საისენი (ცაიში), როდოპოლისი, ძილანევი (გუდაყვა) და სებასტოპოლისის და ნიკოფსის საარქიეპისკოპოსოებს.

X საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამ მოძრაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრძოლას „ქართლსა ზედა“ მისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის გამო. აქ ეგრის-აფხაზეთის მეფეთა გავლენა ისეც დიდი იყო. ახლა მათ მიზანს მცხეთის საკათალიკოსოს მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ეს მეფეები ამის მიღწევას ცდილობდნენ ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის მცხეთის ეკლესიაზე დაქვემდებარების პირობით, ამიტომ ეგრის-აფხაზეთის მეფეები აარსებენ ახალ საეპისკოპოსოებს ძველი საეპისკოპოსოების გაუქმების ხარჯზე.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ეს პროცესი ახსნილია იმით, რომ ეს ძველი საეპისკოპოსოები (პეტრა, საისენი (ცაიში), როდოპოლისი, ძილანევი (გუდაყვა)) ბერძნული იყო.

მეორე მხრივ, ბოლო ხანების სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძველი საეპისკოპოსოები ლოკალიზებულია სამხრეთ შავიზღვისპირეთში ჭოროხიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიაზე.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ეს ძველი საეპისკოპოსოები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ეგრის-აფხაზეთი) მდებარეობდა და მათი შეცვლა ახალი საეპისკოპოსოებით (ჭყონდიდი, ქუთაისი, ბედაი, ნიკორწმინდა, ხინო..) გამოწვეული იყო პოლიტიკური ინტერესებით. ახალი საეპისკოპოსოების მხრივ ხელისუფლება ნაკლებ წინააღმდეგობას ელოდა აფხაზთა საკათალიკოსოს მცხეთაზე დაქვემდებარებისას.

ვიქტორია დიასამიძე (ბათუმი)

კომიკურის კატეგორია თანამედროვე ფრანგულ ქალაქურ ფოლკლორში

მოცემული სტატია მიეკუთვნება იმ კვლევითი სტატიების სერიას, რომლებიც ზეპირ-სიტყვიერ ფრანგულ ქალაქურ ფოლკლორს შეისწავლის. ამ კერძო სექტორის კვლევა ხელს უწყობს ისეთი პრობლემების დამუშავებას, რასაც კულტურათაშორისი პრობლემატიკა ეწოდება. საფრანგეთში შესასწავლი საკითხი ნაკლებად შესწავლილ საკითხთა რიგს მიეკუთვნება. შეიძლება იმის კონსტატირებაც, რომ მსგავსი ტექსტები ფართოდ გამოიყენება ცხოვრების ბევრ სფეროში, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურში.

აღებული თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ იგი ახალი სფეროა და კულტუროლოგიისა და ლინგვისტიკის მიჯნაზე უნდა იყოს შესწავლილი - ეს სფეროს შიძლება იუმოროლოგიაც ვუწოდოთ.

არსებობს მდიდარი ემპირიული მასალა იქნება ეს პრესაში თუ ტელევიზიაში, ასევე მრავალ სხვადასხვა კრებულში. ეს კვლევითი მიმართულება წვლილს შეიტანს მსოფლიო ენების სურათის შექმნაში. იგი მხოლოდ ერთ-ერთი მცირე სეგმენტია ზეპირისპირებითი ლიტმოდნეობისა და ფოლკლორისტიკისა.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქალაქური ფოლკლორი ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს; იგი თავისებური რეაქციაა ყველა ამ პროცესში.

თორნიკე დიასამიძე (თბილისი)

ჩერქეზეთში, სენტის ტაძრის ბერძნულენოვანი წარწერა

ქართული კულტურის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში აქტიურ ფაზაში შედის IX-X საუკუნეებიდან. ამ დროიდან მოყოლებული, თემურ ლენგის შემოსევებამდე, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე შეიმჩნევა ქართული კულტურის გავლენა, კერძოდ, გამოვლენილია ტაძრები და წარწერები, რომლებიც შესრულებულია ქართულ ენაზე.

ჩვენი მოხსენების საკითხს წარმოადგენს ჩერქეზეთში მდებარე ქართული ტაძრის - სენტის კედელზე აღმოჩენილი ბერძნულენოვანი წარწერის განხილვა და ანალიზი. წარწერა პირველად აღმოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში აქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროს, თუმცა მის შესახებ ვრცელი მოხსენება არასდროს დაწერილა, მხოლოდ რამდენიმე ავტორი ეხება თავის ნამუშევარში აღნიშნულ წარწერას.

სენტის ეკლესია აგებულია X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფოს მეფეთა ძალისხმევით. ჩვენამდე მოაღწია კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის

წერილმა, რომელშიც პატრიარქი მადლობას უხდის ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს ალანთა მთავრისა და მისი ოჯახის გაქრისტიანების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

წარწერაში საუბარია ალანეთის ეპისკოპოსზე, ასევე, მეფეებზე და ბიზანტიის იმპერატორზე. წარწერიდან შეგვიძლია გავიგოთ ტაძრის აგების ან განახლების თარიღი.

ივდით დიასამიძე (ზათუმი)

აზნაღის ძირითადი მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა

აზნაღი აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებათა ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც ერთ მთავარ თემას განიხილავს და სააზნაღო შეწყვეთ გამოიყოფა. აზნაღი სათქმელის ლინგვისტური გამოხატულებაა და, როგორც ლინგვისტური კატეგორია, ხასიათდება წმინდა ლინგვისტური ნიშნებით: ინტონაცია, პაუზა, სემანტიკური კავშირები.

სტრუქტურულად, აზნაღი შედგება: (1) ძირითადი წინადადებისგან, (2) თანამდევი წინადადებისგან, (3) შემაჯამებელი, დასკვნითი წინადადებისგან (4) და დეტალებისგან. ტრადიციული აზნაღი შემდეგი მახასიათებლების მიხედვით განიხილება: ერთიანობა, კოჰერენტულობა და ადეკვატური განვითარება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზნაღი ყოველთვის არ არის აგებული იმ ლოგიკურ პრინციპებზე, რომლებიც ტრადიციულ აზნაღს ახასიათებს. გამონათქვამთა ესთეტიკური ინფორმაციისა და ავტორისეული ჩანაფიქრის გაცხადებამ ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტში ხშირად ტრადიციული აზნაღის მახასიათებლების შეგნებული უგულებელყოფითაა შესაძლებელი. რაც, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს სწორი მიმართულებით განვახორციელოთ მისი ავტორის ზოგადი ინტენციისა თუ ესთეტიკური ჩანაფიქრის დეკოდირება.

მედია დიასამიძე (ზათუმი)

უცხო ენის სწავლება სტუდენტთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით

სტუდენტური ასაკის პრობლემის ფსიქოლოგიურ პედაგოგიური შესწავლა, შემსწავლელთა ასაკობრივი, ეთნოკულტურული, ინდივიდუალური, მოტივაციური თავისებურებების გათვალისწინება უმაღლეს სასწავლებელში უცხოური ენების სწავლების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ტერმინი „სტუდენტური ასაკი“ ბოლო წლებში უფრო და უფრო პოპულარული ხდება. სტუდენტის ინტელექტუალური განვითარების შესაბამისად უნდა აიგებოდეს უცხოური ენის სწავლებაც, რომელიც შინაარსობრივად უფრო მაღალ ინტელექტუალურ მოთხოვნებს უნდა უყენებდეს სასწავლო მასალას.

უცხოური ენის შესწავლა ამ ეტაპზე არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ტექსტებზე მუშაობას და ენობრივი მასალის დაგროვებას, იგი უნდა იყოს ჩართული სტუდენტის სასწავლო კვლევით აქტივობაში.

აშშ-ს მიერ იაპონიის წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ

იაპონიაში, ჰიროსიმაში და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოგდება განახორციელა აშშ-მ 1945 წლის აგვისტოში, მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე.

15 აგვისტოს, ზუსტად ნაგასაკის დაბომბვიდან და სსრკ-ს მიერ იაპონიის წინააღმდეგ ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში, იაპონიამ გამოაცხადა კაპიტულაცია. 2 სექტემბერს, მან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. დაბომბვის როლი იაპონიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებაში და მისი მორალური გამართლება კერ კიდევ სადაო საკითხია ისტორიკოსებს შორის.

თამარ დოლიძე (ბათუმი)

საქმიანი კომუნიკაცია: ენა და კულტურა

ნაშრომი ეძღვნება საკომუნიკაციო ინგლისური ენის სწავლების თავისებურებებს ინგლისური ენის ახალი სასაუბრო სტილის გათვალისწინებით. ამჟამად, ინგლისური ენის, კერძოდ კი „ბიზნესინგლისურის“ სწავლებას უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ჩვენ შეხება გვაქვს ძირითადად ინგლისური ენის ორ ვარიანტთან: ბრიტანული ანუ PR (სტანდარტული პრონანსი) და ზოგადი ამერიკული ინგლისური.

გარდა ამისა, ინგლისური ენა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კერძო საკუთრებას უკვე დიდი ხანია არ წარმოადგენს. ისეთ ქვეყნებში, როგორც ინდოეთი, ზამბია, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა და ა. შ. (რომ არაფერი ვთქვათ ამერიკა, კანადასა და ავსტრალიაზე), ინგლისურმა ენამ ინსტიტუციონალიზაცია განიცადა და მიიღო „lingua franca“-ს სახე იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სხვა სასაუბრო ენა არ აერთიანებთ. ამგვარად, ინგლისური ენა გარკვეულწილად უკვე გადაიქცა აზიის ან თუნდაც აფრიკის ენად. შედეგად, ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებლები ცოტათი დააბნია იმ საკითხმა, რომელიმე ერმა უნდა გადაიღოს ბრიტანული, ანუ PR ან ამ ქვეყნების ლიდერების პრონანსი, ამდენად, პედაგოგებმა საშუალება უნდა მისცენ აფრიკელ მოსწავლეებს მათი წარმომავლობა მათი პრონანსის საშუალებით გამოხატონ.

ამდენად, საქმიანი კომუნიკაციის, როგორც დისციპლინის, მიზანია შეისწავლოს საერთაშორისო კომუნიკაციის პრობლემები ბიზნესის ენაზე ფოკუსირებით, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის უმთავრეს, თუმცა არაერთადერთ საშუალებას.

ნინო დონდოლაძე (ბათუმი)

რეალიზმი უილიამ ფოლკნერის რომანში

უილიამ ფოლკნერი ის მცირერიცხოვან მწერალთაგანია, რომლის შემოქმედებითი მეთოდსაც იმდენად სხვადასხვა თვალთ ხედავენ კრიტიკოსები, რომ კრიტიკულ ლიტერატურაში არ არის მკვეთრად გამორკვეული, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ფოლკნერი. ზოგიერთი კრიტიკოსი ფოლკნერს რეალისტად მიიჩნევს, ზოგიერთისთვის იგი მოდერნისტი. ფოლკნერის შემოქმედებითი მეთოდის მკვეთრ ჩარჩოში ჩასმა

და ინდექსირება შეუძლებელია. ფოლკნერი ერთდროულად რეალისტადაც მოჩანს და მოდერნისტადაც.

უილიამ ფოლკნერი ხატავს ადამიანის მიერ საერთოდ, და კერძოდ მისი სხვადასხვა ფსიქოტიპის მიერ სამყაროს ფაქტების აღქმის თავისებურებებს ისე, რომ მწერლის მსოფლმხედველობა ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილშია ჩაქსოვილი. ამავე დროს უილიამ ფოლკნერის შემოქმედება შეიძლება გამოადგეს სოციოლოგსა და ისტორიკოსს სამხრეთის გარკვეული პერიოდის ისტორიული და სციოლოგიური კვლევის ობიექტად იმდენად მკვეთრად და ხელშესახებად მოჩანს იქ ამ დროისა და რეგიონის რეალური ყოფა, რეალური ტკივილი. ამის გამო უილიამ ფოლკნერი გარკვეულწილად რეალისტად მოჩანს და ეს აძლევს საფუძველს კრიტიკოსებს უილიამ ფოლკნერის რეალისტად აღქმისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ფოლკნერის შემოქმედებაში დახატულია სამხრეთის ყოფის სურათი, ფოლკნერი უდაოდ მოდერნისტია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს უპირველეს ყოვლისა, უილიამ ფოლკნერის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელიც ასახვის შესაბამისი ფორმებით და ტექნიკით გამოიხატება. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ უილიამ ფოლკნერი მიმეტური მწერალია, როგორც ყველა დიდი მწერალი, რომელიც სამყაროს რეალურ სურათს იძლევა.

მაია ღუმბაძე (ბათუმი)

**გერდა ფონ რინლინგენი - ქალი ამორძალი
თომას მანის „პატარა ბატონი ფრიდემანის“ მიხედვით**

ნაშრომის მთავარი მიზანი იმის დამტკიცება გახლავთ, რომ თომას მანის ცნობილი ნოველის „პატარა ბატონი ფრიდემანის“ მთავარი მოქმედი გმირი ქალი - გერდა ფონ რინლინგენი ამორძალი ქალია. აღსანიშნავია, რომ ბევრი ლიტერატურული ნაშრომი არსებობს ამ იდუმალი ქალბატონის პიროვნების შესასწავლად, მაგრამ ამგვარ ჭრილში იგი ჯერ არასდროს განხილულა. ქალბატონი გერდას ფიზიკური ნიშნებისა და სულიერი სამყაროს სიღრმისეული კვლევა და ზუსტი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაგლოთ პარალელები ამორძალ ქალებთან. რატომ დგას იგი ყოველთვის წინა პლანზე თავისი არაქალაქობით, მეზრძოლი და მზრძანებლური ხასიათით? მისი ცივი სილამაზე ერთდროულად მიმზიდველიც არის და შიშის მომგვრელიც. თავისუფლების, საკუთარი სურვილების გატანის, საზოგადოებაში წამყვანი პოზიციის დამკვიდრების მოყვარული ქალბატონი გერდა ნოველაში ყველა სხვა გმირი ქალისგან განსხვავებული პერსონაჟია. სწორედ მისი ეს და სხვა ბევრი მსგავსება ამორძალ ქალებთან გვაძლევს იმის საბაზს, რომ ამ ქალბატონში ერთ-ერთი, შეიძლება ცოტათი სახეშეცვლილი, ამორძალი ქალი დავინახოთ.

გერდა ფონ რინლინგენი არსებულ კვლევებში წარმოდგენილია, როგორც ლამაზი, უცნაური, საშიში, გულცივი, უცხო, მაცდური, იდუმალებით მოსილი, სადისტური და ეროტიული ქალი. იგი ხან *Femme fatale*-ა, ხან ტირანი, ხან მას ახასიათებენ ნადირობის ან შურისმაძიებელ ქალღმერთად. სწორედ ამგვარი აღწერით და ყველა ამ თვისებებით შეიძლება უკვე გერდას ამორძალ ქალად მიჩნევა.

მაგრამ უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი, რაც ჩვენ იმის დამტკიცებაში გვეხმარება, რომ გერდა ამორძალია, მაინც არის ნადირობის მოტივი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქალის ფიგურა ჩნდება სანადირო ეტლში, ცხენებსაც კი თავად მართავს, ნადირობა უყვარს და რაც კიდევ უფრო ხაზსგასასმელია, ხელში მათრახი უჭირავს. ალბათ არ იქნება გადაჭარბებული იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს ამორძალ ქალებთან ყველაზე კარგ ანალოგად.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებით, ასევე, ამორძალ ქალებთან სხვა პარალელების გავლებით, ნაშრომი ახერხებს გერდა ფონ რინლინგენის ამორძალ ქალად წარმოდგენას.

იოანე ოქროპირის ნათლისღების ჰომილიის და კოზმა იერუსალიმელის ნათლისღების ჰიმნოგრაფიული კანონის ქართული თარგმანები

მეათე საუკუნეში შატბერდში გადაწერილ მიქაელ მოდრეკილის იადგარსა და სინურ და უდაბნოს მრავალთავეებში გვხვდება ნათლისღების ჰიმნოგრაფიული კანონები და ჰომილიები. ჩვენი მოხსენება ეძღვნება იოანე ოქროპირის საკითხავისა და მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესულ კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონის სახისმეტყველებით-ტექსტობრივ ანალიზსა და ქართული თარგმანების ტექსტობრივ და მთარგმნელობით თავისებურებებს.

ნათლისღების თემა ჰომილეტიკაშიც და ჰიმნოგრაფიაშიც მომდინარეობს სახარებიდან და თეოლოგიური სახეებიც სწორედ ახალი აღთქმიდან იღებს სათავეს.

ჰიმნოგრაფია და ჰომილეტიკა, როგორც ქრისტიანული მწერლობის ნაწილი, ნასაზრდოებია იმ ზოგადესთეტიკური მონაპოვრით, რომელიც კაცობრიულ კულტურას პოეტურმა მეტყველებამ უმემკვიდრა და, მეორე მხრივ, მისი პარამეტრების განმსაზღვრელია ტრადიცია, რომელიც საღმრთო წერილს აქვს სიმბოლურ-ალეგორიული და იგავური მეტყველების სახით. ეს ორგვარი მხარე ჰიმნოგრაფიისა და ჰომილეტიკის განხილვას ორმაგ მიმართულებას სძენს - თეოლოგიურს და ლიტერატურათმცოდნეობითს.

მაცხოვრის ნათლისღების თემა ქრისტიანულ ესთეტიკაში გამორჩეულია. წმინდა წერილის შემდეგ ნათლისღების სიმბოლიკა ყველაზე მრავალფეროვნად აისახა სწორედ ჰომილეტიკასა და ჰიმნოგრაფიაში. ერთია, როგორ არის გააზრებული და წარმოდგენილი ეს თემა ბიზანტიურ ესთეტიკაში, მაგ., იოანე ოქროპირის ჰომილიასა და კოზმა იერუსალიმელის საგალობელში და მეორეა - როგორ არის ასახული დედნისეული სიმბოლურ-მხატვრული სახეები და ფორმა ქართულ თარგმანებში.

ჰიმნოგრაფიისა და ჰომილიების ავტორების სახისმეტყველებითი ინტერპრეტაცია განისაზღვრება მხატვრულ-ენობრივი თავისებურებებით, რაც ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში რიგ შემთხვევაში დედნის ადეკვატურად, ზოგჯერ კი ბერძნული დედნისგან განსხვავებულად არის ასახული ქართულ თარგმანებში.

იოანე ოქროპირის ჰომილიისა და კოზმა იერუსალიმელის საგალობლის თარგმანების შემთხვევაში დედანსა და თარგმანებს შორის მიღწეულია დინამიკური ეკვივალენტობა და მცირედი გადახვევები, რაც ქართული ენის ბუნების თავისებურებებებით აიხსნება, დედნისგან მნიშვნელოვან დაშორებად ვერ ჩაითვლება, რადგან სასულიერო მწერლობის ყველა თავისებურება საღვთისმეტყველო შინაარსი და სიღრმე და დედნების ტექსტების მხატვრულ- ესთეტიკური სახეები ეკვივალენტურად არის ასახული ქართულ თარგმანებში.

მირიან ებანოიძე (ქუთაისი)

ჰაიდეგერი და აღმოსავლური აზროვნება

დაოდებიანი მრავალგზის არის მოხსენებული ჰაიდეგერის ნაშრომებში. მან სემინარებიც მიუძღვნა ამ თემას. რაინჰარდი აჩვენებს, რომ ჰაიდეგერი ხშირად სესხულობს იდეებს აღმოსავლური აზროვნებიდან. „გზად ენისაკენ“ იწყება სწორედ ცნობილი „დაილოგიით იაპონელსა და შემკითხველს შორის [Heidegger, On the Way to Language, P. D. Hertz, trans. (New York: Harper & Row, 1971)]. ეს მიმართულება არა მარტო ჰაიდეგერის ინტერპრეტაციისთვის, არამედ ტრანს-კულტურული და შედარებითი კვლევებისათვის არის მნიშვნელოვანი. ეს არ ნიშნავს, რომ

იგნორირებას ვახდენთ ჰაიდეგერის ფილოსოფიის წმინდა დასავლური ორიენტაციისა. უფრო მეტიც, ის სკეპტიკურად იყო განწყობილი დასავლური და აღმოსავლური აზროვნების სინთეზის მიმართ. მიუხედავად ამისა, ჰაიდეგერის მიერ დასავლური აზროვნების ტრადიციის საფუძვლების ძიება და ფენომენოლოგიური განაზრებანი შესაძლებლობებს ხსნის გამოვიყენოთ ისინი აღმოსავლური ეკლესიის თეოლოგიური პრობლემების და ბუნდოვანი საკვანძო საკითხების ჭრილში. თავის ესეიში – „პერსონალიზმი და ყოფიერება“ თეოლოგი იოანე ზიზულასი არკვევს ჰაიდეგერის დამოკიდებულებას ტრინიტარიზმისადმი. ლოგოცენტრიზმის უარყოფა, ჩვენი აზრით, კიდევ ერთ ახალ საფეხურს გვთავაზობს დასავლური და აღმოსავლური აზროვნების საიდუმლოებათა წვდომის საქმეში.

ლალი ეზუგბაია (თბილისი)

**პრეზენტაცია პროექტისა: „ქართული ენა საზღვარგარეთ -
ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში“**

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე 2011-2014 წლებში ხორციელდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი „ქართული ენა საზღვარგარეთ - ქართული დიალექტები და ლაზური თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში“. პროექტის მხარდამჭერია „ცოდნის ფონდი“, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო ექსპედიციებში თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობას (მათი შერჩევა ხდებოდა კონკურსის წესით).

პროექტის მიზანია, ერთი მხრივ, **თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში ლაზურისა და ქართული დიალექტების (ტაო-კლარჯულის, ფერეიდნულის, ინგილოურის) თანამედროვე ტექნოლოგიებით დოკუმენტირება და შესწავლა**, მეორე მხრივ, ისტორიულ სამშობლოსთან ენობრივი და კულტურული რეინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა. შესაბამისად, პროექტის მიხედვით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. შეიქმნა ფერეიდნულის, ინგილოურის, ნიგალურ-კლარჯულისა და ლაზურის ნიმუშების ვიდეო (აუდიო) კოლექცია;
2. გაიშიფრა და გამოსაცემად მომზადდა აღნიშნული კოლექციის დიდი ნაწილი;
3. ქართული დიალექტებისა და ლაზურის ტექსტური კოლექციის საფუძველზე მომზადდა ელექტრონული ლექსიკონები.

დიალექტური ტექსტებისა და ელექტრონული ლექსიკონების დამუშავება მოხდა ქართული დიალექტური კორპუსის მეთოდოლოგიის საფუძველზე (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, <http://mygeorgia.ge/gdc/>). შესაბამისად, ტექსტები და ლექსიკონები ინტეგრირებულია კორპუსში. ფერეიდნულის, ინგილოურის, ნიგალურ-კლარჯულის და ლაზურის ელექტრონული ლექსიკონები ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია. სიტყვანი დაემყარა როგორც პროექტის მიხედვით მოპოვებულ მასალას, ასევე სხვადასხვა გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ტექსტურ მასალას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამეცნიერო ექსპედიციები ირანში (2012), თურქეთში (2013). მასში ენათმეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა სამეცნიერო ნაშრომები ფერეიდნულის სოციოლინგვისტურ და ეთნოლინგვისტურ საკითხებზე, ასევე, სტუდენტების მიერ შედგენილი „ჩვენებურების ქართული ლექსიკონი“ კრებულების სახით გამოიცა.

ქალაქი როგორც ტექსტი შუა საუკუნეების რაინდულ რომანში

შუა საუკუნეებმა თავისი კულტურული მოდელები აიღო ბიბლიიდან, სადაც *ქალაქი*, როგორც სიმბოლო და როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული რეალობა, ამბივალენტური ცნებებია და *უდაბნოს - ველური ბუნების* – ოპოზიციად მოიაზრება. შუა საუკუნეების რაინდულ რომანში ქალაქის ფუნქცია შეითავსა ციხესიმაგრემ, რომელსაც, საომარის გარდა, სხვა ფუნქციებიც ჰქონდა – ეს იყო სენიორიის ცენტრი, რომელშიც თავს იყრიდა ძალაუფლების ყველა ფორმა – ეკონომიკური, სასამართლო თუ პოლიტიკური. ბუნებრივია, რომ ამ ეპოქის ლიტერატურული გემოვნება პრივილეგირებული კლასის დაკვეთის შესაბამისად ყალიბდებოდა, რამაც ასახვა ჰპოვა როგორც თხზულებათა ჟანრობრივ სპეციფიკაზე (ტრუბადურული ლირიკა, რაინდული რომანი), ისე მათ კომპოზიციასა თუ პოეტიკაზე.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქების აყვავებას, დახურული ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლას, შედეგად მოჰყვა მატერიალური თვალსაზრისით ძლიერი კლასის (ვაჭრების) დაწინაურება, რამაც ააღორძინა ქალაქის **კომერციული** ფუნქცია. ქალაქი გახდა ეკონომიკური და კულტურული მეკვლე შუასაუკუნეობრივი ცხოვრებისა: ეკონომიკის მამოძრავებელი და ახალი ცოდნის გამავრცელებელი. ამ გარემოებამ გავლენა ვერ მოახდინა შუა საუკუნეების რომანის ე.წ. „ქალაქურ ტექსტზე“ – სენიორის კარმა შეინარჩუნა ფეოდალური ორგანიზაციის ცენტრის ფუნქცია, რამაც თვალსაჩინო გახადა კონტრასტი მხატვრულ და ისტორიულ რეალობას შორის. მხოლოდ *ვეფხისტყაოსანში*, შუა საუკუნეებიდან რენესანსზე გარდამავალი პერიოდის ძეგლში, ტრადიციული "ქალაქური ტექსტის" გვერდით ამ ტექსტის სახეცვლილი ვარიანტიც გვხვდება (ვაჭართა ქალაქი გულანშარო), რომლის სოციალური, მორალური და ეთიკური ფასეულობანი მაქსიმალურადაა დაშორებული ეპოქის ლიტერატურულ თუ იდეოლოგიურ კონტექსტს (რაინდულ მორალს) და იმ ეპოქის სუნთქვით არის აღბეჭდილი, რომელიც ევროპაში *ვეფხისტყაოსნის* დაწერიდან საუკუნის შემდეგ დადგა.

ლელა ებგვერაძე (ქუთაისი)

უბრალო დამატებისა და გარემოების დიფერენცირების ერთი კონკრეტული შემთხვევის შესახებ

უბრალო დამატებისა და გარემოების დიფერენცირება ხშირად გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამ პრობლემებს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მეორეხარისხოვან წევრებს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურულ-ფორმოზომიერი მახასიათებლები არ გააჩნია და მათი სინტაქსური კვალიფიკაცია ძირითადად გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ სიტყვას შორის არსებულ აზრობრივ მიმართებას ემყარება, რაც ზრდის სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობას და კონკრეტულ შემთხვევათა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

პრობლემას კიდევ უფრო ართულებს უბრალო დამატების, როგორც წინადადების წევრის, დეფინიციის არსებული ბუნდოვანება და მისი სემანტიკური მრავალფეროვნება. სინტაქსის სახელმძღვანელოებში მოცემულ განსაზღვრებებში ფაქტობრივად მხოლოდ აღწერილია უბრალო დამატების კერძო შემთხვევათა სემანტიკური და ფორმოზომიერი მახასიათებლები და არაფერია ნათქვამი იმ საერთო ნიშნებზე, რომელიც ამგვარ მრავალფეროვნებას საერთო რკალში აქცევს, შინაარსობრივად განსხვავებულ ამ ფორმათა ერთი და იმავე წინადადების წევრად მიჩნევის საფუძველს ქმნის. ამასთან, ზოგჯერ უბრალო დამატებად მიჩნეულ ფორმების სემანტიკური

მიმართება გაბატონებულ წევრთან სათანადოდ არ არის დასაბუთებული. პრაქტიკულად, უბრალო დამატებად მიიჩნევა ყველაფერი, რაც წინადადების სხვა წევრის ფარგლებში ვერ თავსდება.

მოხსენებაში შევეხებით აბსტრაქტული სახელებისა და საწყისების „-ში“ თანდებულიან ფორმებს, რომლებიც სახელმძღვანელოებში უბრალო დამატებადაა მიჩნეული, თუმცა ეს წევრები ხშირ შემთხვევაში აშკარად ვითარების გარემოების სემანტიკას გამოხატავენ (გზას **სიბნელეში** მიიკვლევდა, ასეთ **სიცივეში** გაძლება გაუჭირდა, სჯობს **მონობაში** გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი) და, შესაბამისად, ვითარების გარემოებად უნდა იქნეს კვალიფიცირებული.

არჩილ ვარშალომიძე (ბათუმი)

პოლიტიკური ვითარება საქართველოში ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917-1918 წწ.)

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინაიდან ამ მოვლენამ საქართველოსთვისაც დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ხელსაყრელი პირობები შექმნა, თუმცა, ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა ერთბაშად არ მომხდარა. მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხარეო მმართველობა, შემდეგ კი ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

4 მარტს თბილისის სახალხო სახლში შეიკრიბა მუშათა წარმომადგენლობა, სადაც აირჩიეს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო – ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ჩატარდა ქალაქის მმართველობის არჩევნებიც. ახალ თვითმმართველობას სათავეში ჩაუდგნენ ნოე ჟორდანია, ქალაქის თავი ხატისოვი და რუსი ოფიცერი პოპოვი. ამგვარად, საქართველოში ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, 9 მარტის დადგენილებით ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა სპეციალური ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიც შევიდნენ მე-4 სათათბიროს დეპუტატები - ბ. ხარლამოვი (თავმჯდომარე) მ. პაპაჯანოვი, მუსავატი – ნ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო შეცვალა მენშევიკური პარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა – აკაკი ჩხენკელმა.

მთავარი მაინც ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია იყო. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ შექმნა, რომელიც ფაქტიურად ეროვნული ხელისუფლების ჩანასახი იყო საქართველოში. ეს იყო სინამდვილეში პოლიტიკურ ძალთა პირველი გაერთიანება, რომლის წევრები საჯაროდ და საქვეყნოდ მსჯელობდნენ საქართველოს მომავალზე და მის პოლიტიკურ ბედზე. საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის პროგრესს ბიძგი მისცა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა კონტრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელსაც ქართული პოლიტიკური ძალების ინტერესთა ერთგვარი დაახლოება მოჰყვა.

დამოუკიდებლობის მიმავალ გზაზე, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რამელმაც ქართველი ერის წინამძღოლობის ფუნქცია თავის თავზე აიღო, და შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მთავრობის როლში მოგვევლინა.

1918 წლის დასაწყისში უკვე ნათელი გახდა საბჭოთა რუსეთის ზრახვები ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. მიტომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ამიერკავკასიის სათათბირო ორგანოს

– ამიერკავკასიის სეიმის შექმნა გადაწყვიტა, რამაც თავის მხრივ უფრო მეტად შეუწყო ხელი საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფას.

მაიკლ ვიკერსი (დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი)

ვენეციური რაშები: ვაჭრობის ასპექტები ადრიატიკის და შავ ზღვებში კლასიკურ პერიოდში

კლასიკურ ბერძნულში ეტლში შებმული ცხენების შეჯიბრებისთვის ცხენების შერჩევა ადრიატიკის სანაპირო ზოლიდან მომდინარეობს და ვენეციური რაშების სახელწოდებითაა ცნობილი (თუმცა, მათი წარმოშობა სავარაუდოდ უფრო შიგა ტერიტორიებიდანაა შესაძლებელი, უნგრეთის დაბლობებში). ცხენები ძვირი უნდა ყოფილიყო, ამდენად მხოლოდ მდიდარ ბერძნებს თუ შეედლოთ ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობა (მაგ. ისეთებს, როგორცაა ალსიბიადესი ან დიონისე I სირაკუზელი. ცხენები ერთადერთი მოხმარების საქონელი არ იყო, რომლითაც ჩრდილოეთ ადრიატიკა ვაჭრობდა. სხვა საქონელი მოიცავდა ქარვას (ბალტიიდან) და რკინის მადანს (ეთრურიადან). ამ ვაჭრობის ხელშემწყობი იქნებოდა ემპორიებიც, ისეთები როგორც იყო, მაგალითად, სპინაში, ადრიაში, ან ალტინუმში. ამას ადასტურებს სპინაში მოპოვებული დიდი რაოდენობით ბერძნული კერამიკული ნაწარმი. თუმცა, კერამიკული ნაწარმით ვაჭრობის მიზეზი მხოლოდ ცხენები არ შეიძლება ყოფილიყო. ისინი ამ უზარმაზარ გემებში სივრცის შესავსებად გამოიყენებოდნენ. ახლახან აღმოჩენილი თრაკიის ატიკური ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც დღეს სოფიაში და პლოვდივშია, მიუთითებენ იმ სახის ნაწარმზე, რაც ასევე შესაძლო იყო გადაეზიდათ. ეს ოქროს ფიგურებიანი ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც წითელ-ფიგურიათი კერამიკის შემქმნელების მიერ იყო შთაგონებული, დაგვეხმარება წარმოვიდგინოთ იმ ნივთების სახეობა, რომლებიც სინამდვილეში იყო მიმოქცევაში ცხენებისთვის ადრიატუკაში თუ მარცვლეულისთვის შავ ზღვაზე.

ლალი ზაქარაძე (ბათუმი)

ტოლერანტობა - თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ტოლერანტობის ერთიანი კონცეფცია არ არსებობს. ამ, ერთი შეხედვით, ცხადი და ნათელი, უაღრესად მნიშვნელოვანი ცნების ირგვლივ მეცნიერებაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია არსებობს.

თანამედროვე სამყაროს ღირებულებათა გადაფასების/ტრანსფორმაციის პროცესი ცხადყოფს, რომ არსებობს პრობლემები, რომელთა მიმართ ტოლერანტობის შენარჩუნება სულ უფრო რთულდება. ამ სირთულეთა გადალახვის ერთ-ერთი მცდელობაა აქცენტების გადატანა მოქმედებისა და შეხედულებების განხილვის წესიდან (რომლებიც ტოლერანტობის ობიექტად განიხილება/არ განიხილება) საკუთრივ ადამიანზე. ფოკუსის გადანაცვლება ადამიანზე, რომელიც ამა თუ იმ შეხედულების/მოქმედების მატარებელია, ადამიანთა უფლებების თანამედროვე კონცეფციებთან შეპირისპირებით პრაქტიცირდება.

წინამდებარე სტატიაში ტოლერანტობა - როგორც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა - ა. მაკინტიარის, პ. ნიკოლსონისა და ნ. ბობიოს შეხედულებების ჭრილშია გაანალიზებული.

‘Etic’ და ‘Emic’ თვალსაზრისით კვლევის მეთოდური მნიშვნელობა

სტატიაში შესწავლილია კ. ლ. პაიკის მიერ დამკვიდრებული ‘etic’ და ‘emic’ ტერმინების ეტიმოლოგიისა და განვითარების საკითხი, განხილულია მათი გამოყენება და ის გარკვეულწილად განსხვავებულ მიდგომა, რაც ზოგიერთ ანთროპოლოგს გააჩნია etic/emic შინაარსისადმი. ასევე, გაშუქებულია აღნიშნული თვალსაზრისით კვლევის მნიშვნელობა ენის სწავლების მეთოდიკისთვის.

პაიკი განიხილავს ენას, როგორც ქცევას ორი სხვადასხვა თვალსაზრისით. სისტემის შიგა და გარეგნულმა ხედვამ, მისმა ორმხრივმა კვლევამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. ორივე მიდგომას – ეტიკურსა და ემიკურს – დიდი ღირებულება გააჩნია ქცევის ანალიზის გარკვეული ფაზებისათვის. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინება განსაკუთრებით ღირებულია უცხო ენის სწავლების პროცესში.

მოცემული თვალსაზრისით კვლევა კიდევ უფრო ამყარებს ლინგვისტა და მეთოდისტა შორის არსებულ იმ მოსაზრებას, რომ სხვადასხვაენოვანი შემსწავლელელებისათვის განსხვავებული სახელმძღვანელო საჭირო. ცალკეული „მოდული“ სხვადასხვა ენის შესაბამისი თარგმანით არ გამოდგება. ბევრი სპეციფიკური დეტალი – etics – ინგლისურის, ქართულის და სხვა ენათა ბევრები, გრამატიკა და ლექსიკა განსხვავდება. ასე, რომ მათი სწავლება საჭიროა ცალკეულ საკითხებად. დამატებით, (და ენისთვის ეს შესაძლოა კიდევ უფრო რთული იყოს) ამ საკითხთა ემიკურ ერთეულებად და თანმიმდევრობებად დაჯგუფება საკმარისად განსხვავდება იმისათვის, რომ საჭიროდ მივიჩნიოთ მათდამი სპეციფიკური მიდგომა. ამასთან, ინგლისური ენის შესასწავლი სახელმძღვანელო ქართულად მოლაპარაკეთათვის სრულიად განსხვავებულად უნდა იყოს შედგენილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოსაგან, რომელიც გათვალისწინებულია ინგლისურ ან სხვა ენებზე მოლაპარაკეთათვის.

შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოცემული პრობლემის განზოგადება: როცა ერთი ენა შეიცავს მაგ. ორ ეტიკურად განსხვავებულ ხმოვანს, რომლებიც ემიკურად იგივეა, ამ ენაზე მოლაპარაკეთ შეექმნებათ სირთულე იმ ბგერათა წარმოთქმისას იმ უცხო ენაში, რომლებშიც ისინი ემიკურად განსხვავებულია. რაც უფრო მეტად ვიცნობთ ქმედების ორ შესადარებელ, მაგრამ განსხვავებულ სისტემას, მით უფრო ადვილია იმ სირთულეების წინასწარ პროგნოზირება, რომლებიც უნდა გადალახონ შემსწავლელებმა. შესაბამისად, აღნიშნული თეორეტიკული პრინციპი საფუძველად უნდა დაედოს უცხო ენების პრაქტიკული კურსის სახელმძღვანელოების მომზადებას.

თეა ზოიძე (ბათუმი)

შემოქმედებითი ბილინგვი – კულტურათაშორისი კომუნიკაციის მედიატორი

სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, ფართოვდება სამეცნიერო და ენობრივი კონტაქტები. ამის შედეგად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოლინგვისტურ პრობლემას ბილინგვიზმი წარმოადგენს. მეორე ენის ფლობა და კომუნიკაციაში მისი ეფექტური გამოყენება სხვადასხვაენოვან საზოგადოებაში დამატებით მნიშვნელობას იძენს, ამის შედეგად წინა პლანზე დგება აუცილებლობა იმისა, რომ მოხდეს ენათა ურთიერთობა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გათანამედროვეებულ ფონზე.

ინტერკულტურული ურთიერთობის პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელია კონტაქტი ერთი ენის ფარგლებში. ასეთ პირობებში ორენოვნება უკვე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. შემოქმედებითი ბილინგვიზმის ფენომენის ანალიზი ძალზედ მნიშვნელოვანი საფეხურია ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიისათვის, ენობრივი კუთვნილების, როგორც ერთი მთლიანი ობიექტის, შესწავლის აუცილებლობაზე თანხმდებიან სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები.

წყარო ენასა და სამიზნე ენას შორის არსებული განსხვავებები მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა. თუმცა, ენებს შორის არსებული სემანტიკური განსხვავება არ შეიძლება თარგმანისათვის დაუძლეველი დაბრკოლება იყოს გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ენებთან, როგორც აბსტრაქტულ სისტემებთან, არამედ კონკრეტულ ტექსტთან. ორიგინალისა და სათარგმნი ენის სემანტიკური ეკვივალენტობა, რომელიც აუცილებელია თარგმნის განხორციელებისათვის, არსებობს არა ტექსტის ცალკეულ ელემენტებს შორის, არამედ მთლიანად ტექსტებს შორის. ბილინგვი ავტორის შემოქმედებით აზროვნებაში ერთი ენიდან მეორეზე გადაცემისას, ორ ნიშანთა სისტემას შორის „შეთანხმების მიღწევის“ რთული პროცესი (დიალოგი) მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ბილინგვი შემოქმედი პიროვნება „გაორების“, „გარკვეული პროსტრაციის“, „გაუცხოების“, „წინააღმდეგობების“, „გაურკვევლობის“, „ყოფნა-არყოფნის“ სიტუაციაში იმყოფება, ვინაიდან მის გონებაში ორ სუბიექტს შორის დიალოგი მიმდინარეობს.

შემოქმედი ბილინგვი არის პიროვნება, რომელსაც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ყველა დონეზე შეუძლია ფუნქციონირება: გააჩნია გლობალური, ზოგადსაკაცობრიო ენობრივი ურთიერთობების პოტენციალი, საკუთარ თავში განსხვავებული ლინგვოკულტურის ენობრივი კულტურის აღქმის უნარი, ინტერპერსონალური, ინდივიდის სტრუქტურაში არსებულ წინააღმდეგობათა გაგებით მოპყრობის უნარი. მასსადაამე, მისთვის დამახასიათებელია კულტურის გლობალური ფორმით, ინვარიანტში და მის ეროვნულ-სპეციფიურ ვარიანტში აღქმა.

ინგა ზოიძე (ბათუმი)

მედიის გავლენა საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე

ნაშრომში განხილულია თანამედროვე მასმედიის ყველა არსებითი თეორიული საკითხი და მის ფონზე ის პრაქტიკული ხასიათის პრობლემები და მათი დამლევის გზები, რომელიც დღევანდელი საქართველოს რთულმა ისტორიამ შემოგვთავაზა. ამჟამად მასმედია საინფორმაციო საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს და ის ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია სოციალური თუ სულიერი პრობლემების დასაძლევად. მასზე მოწმობს განხილული და შესწავლილი თეორიები. მთელი რიგი საკითხების ნუსხა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: რა გავლენას ახდენს მასმედია საზოგადოების ცნობიერებაზე? არის თუ არა მასმედია პოლიტიკისა და პოლიტიკა მასმედიის მანიპულატორი და მართავს თუ არა სახელმწიფო მასმედიის საშუალებით საზოგადოებას? როგორ ყალიბდება საზოგადოების ცნობიერება კულტურული, ეროვნული, რელიგიური, თუ სხვა საკითხების გაშუქებით? თავისი მასშტაბურობითა და მნიშვნელობით ეს თემა ამოუწურავია და ისე, როგორც აუცილებლობამ მოითხოვა, განხილულია რამდენიმე ურთიერთმიმჯნავე დისციპლინების ფონზე. თანამედროვე მასმედიის მხოლოდ ერთი რომელიმე კუთხით განხილვა ხომ საკითხის მხოლოდ ნაწილობრივ დამუშავებას გულისხმობს. საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის მეთოდები ჟურნალისტური შემოქმედების ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ კონტექსტში არის განხილული.

ამ ნაშრომის მიზანია საზოგადოების ცნობიერებაზე მასმედიის უარყოფითი ზეგავლენის გამოვლენა აჭარის თანამედროვე რეგიონული მედიის მაგალითებზე. ნაშრომში ასევე გათვალისწინებულია მსოფლიო მედიის საზოგადოების ცნობიერებაზე უარყოფითი გავლენის ისტორიული ფაქტების შესწავლა. ნაშრომში განხილული და შესწავლილი მრავალი საკითხის ცოდნა, გვამღებს იმის საშუალებას რომ, თავიდან იქნას აცილებული მედიის უარყოფითი გავლენა საზოგადოების როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ თუ სოციალურ ცნობიერებაზე.

ნიაზ ზოსიძე (ბათუმი)

რუსეთ-ოსმალეთის პოლიტიკა XIX საუკუნის სამხრეთ საქართველოში და მუჰაჯირთა შთამომავლების ისტორიული მეხსიერების საკითხები

მუჰაჯირობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო 1877-1878 წლების ომის შემდეგ. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთის იმპერიას შეუერთდა ქართული პროვინციები. ამავე კონგრესის გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული ტერიტორიების მცხოვრებთ უფლება ეძლეოდათ 3 წლის განმავლობაში გადასახლებულიყვნენ თურქეთში.

ომისშემდგომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მუჰაჯირობის მიზეზებზე, ორგანიზებულ თუ ქაოტურ გადასახლებაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, დღეს ხელმისაწვდომია ახალი მასალები, მათ შორის, თურქეთის არქივებში არსებული დოკუმენტები, მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში შემორჩენილი ფაქტები ანუ საველე ექსპედიციების მრავალფეროვანი მასალა.

აღნიშნული ინფორმაციის გაცნობა საშუალებას გვამღებს, უფრო დეტალურად შევისწავლოთ სამშობლოდან გადასახლებულთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოსმალეთში, მკვიდრი მოსახლების განწყობა ახალჩასახლებულების მიმართ, მუჰაჯირთა თვითდამკვიდრების ურთულესი პროცესი.

ნაშრომში განხილულია მუჰაჯირთა პირველი თაობის მცდელობანი სამშობლოში დასაბრუნებლად, თურქეთის და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ამ ტენდენციის შესაჩერებლად: ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ იმპერიას ერთგვაროვანი პოზიცია ჰქონდა, რამაც მუჰაჯირთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

ორი დიდი სახელმწიფოს გარიგების ფონზე, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებრიობის პოზიცია მუჰაჯირთა დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში უხვად შემორჩენილი ფაქტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (გამოყენებულია 2012 წლის ორდუს, 2013 წლის საქარის და ქოჯაელის ექსპედიციების მასალები). ისტორიული მეხსიერება ინახავს თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ისტორიული სამშობლოსკენ მისწრაფების მრავალ ფაქტს და ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ ფაქტების სისტემატიზაციაა.

სოფიკო თავართქილაძე (ბათუმი)

მასმედია და გონებრივი მანიპულირება

მასობრივი კომუნიკაციის საშუალება ადამიანის ციფიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია და ამასთანავე, ქმნის საჭირო აღქმის რეალობას, ზემოქმედებებს მოცემულ მიმართულებით ან პირიქით, ახასიათებს მოჩვენებითობა და უმოქმედობა. გარდა

ძირითადი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა, მას ასევე მიეკუთვნება კინო, თეატრი, ცირკი, ყველა გასართობი ღონისძიებები და ლიტერატურა, ფილმები, კომპიუტერი, სხვადასხვა სახის სარეკლამო და ვიდეო გადაღება, და ა.შ. რის შედეგადაც შესაძლებელია მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების განხორციელება.

კომუნიკაცია - ეს არის ინფორმაცია, შეტყობინება. საკომუნიკაციო საშუალებები კი წარმოადგენს ვრცელ ტერიტორიებზე შეტყობინებების გადაცემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდებს.

კომუნიკაცია - წარმოადგენს მასების ჩართულობას ამ პროცესში.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების *ფსიქიკაზე გავლენის მეთოდები*:

- მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ინფორმაციები და პროპაგანდა.
- მასობრივ ცნობიერებაზე მანიპულირება და მასობრივი კომუნიკაციის საშუალება.
- ტელევიზიის ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავისებურებანი.
- კომპიუტერულ თამაშზე დამოკიდებულება.
- კინემატოგრაფიული ხერხების მანიპულირება მასობრივ აუდიტორიაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგები და პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ პოსტუნდუსტრიალურ საზოგადოებაში ცოდნისა და ინფორმაციის ძალა ხდება გადამწყვეტი საზოგადოების მართვისას.

ამავე დროს, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ადმინისტრაციას ან სხვა იძულების ფორმა სულ უფრო მეტად იცვლება საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით.

სოციალური კომუნიკაციის მთავარ არხებს, რომლის საშუალებითაც თავად მანიპულატორი გავლენას ახდენს მანიპულირებულზე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს.

ტრანსფორმაციის ელექტრონული მედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის არსებითი ელემენტია პოლიტიკური დისკურსი, საარჩევნო კამპანიების ძირითადი ინსტრუმენტი, ეს სოციალური მექანიზმი გადაიქცა ძლიერ პოლიტიკურ ინსტიტუტად, გარდაქმნას რა სისტემის პარამეტრების საჯარო ორგანო. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ნაკლებობა, სისტემატური პირდაპირი კომუნიკაცია მედია რიგით მოქალაქეებთან გახადა მასობრივი კომუნიკაციის საშუალება გახდა ისეთივე მისაღები როგორცაა ოჯახი, ეკლესია, განათლების სისტემა.

ლალი თავაძე (ბათუმი)

დეიქსისის როლი და გამონათქვამის ინტერპრეტაცია

ენისა და სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე ნათელ გამოხატულებას დეიქსისის ფენომენთან პოულობს. დეიქსისი გულისხმობს ტექსტში დასახელებული ან თემატიზირებული რეალების ჩვენებას, ჩვენება კი, თავის მხრივ გულისხმობს განსაზღვრულ დროით და სივრცით კოორდინატებს. როგორც ცნობილია არ არსებობს გამონათქვამი, რომელსაც არ გააჩნია დეიქსური სტრუქტურა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, კონტექსტის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა: სად და როდის წარმოითქვა გამონათქვამი და ვის მიერ. ეს ის სამი განზომილებაა, რომელიც ყველა ლინგვისტური მოვლენის ე.წ. დეიქსურ ცენტრადაა მიჩნეული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტექსტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამონათქვამის სწორი ინტერპრეტაციისათვის. სწორედ გამონათქვამის ელემენტებს ითვისებს დეიქსისი და შემდეგ მათ ინტერპრეტაციის დროს მითითებისათვის იყენებს. უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტი მიგვანიშნებს, როგორ გავიგოთ ის. ეს კი ხაზს უსვამს კონტექსტის უდიდეს მნიშვნელობას. მთელი გამონათქვამის სტრუქტურა დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც ის წარმოითქვა.

**„საპედაგოგო ფაკულტეტი“ და
მომავალ მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება**

„პედაგოგები რაოდენობის მხრივ ნაკლები კი არა, უფრო მეტიც არის საჭირო, ვიდრე მედიკოსები, და თუ მედიკოსებს ვანდობთ ჩვენს ჯანმრთელობას, აღმზრდელებს ვანდობთ ჩვენი შვილების ზნეობას და გონებას, ვანდობთ მათ სულს და მასთან ერთად ჩვენი სამშობლოს მომავალს. აღზრდას, გაუმჯობესების კვალობაზე შეუძლია დიდად გააფართოოს ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივ ძალთა საზღვრები. პედაგოგიური განათლება ესაჭიროება არა მარტო მომავალ მასწავლებელს, არამედ ყველა პიროვნებას, რომელსაც შეხება აქვს მოზარდი თაობის აღზრდის და განათლების საქმესთან“ (კ. უშინსკი).

საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი ადამიანები, ერის ჭეშმარიტი მამულიშვილები ზრუნავდნენ საშუალო სკოლებისათვის მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა მოსამზადებლად. მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ უნივერსიტეტის ბედიც, საბოლოოდ, საშუალო სკოლაში მომზადებული აბიტურიენტის ხარისხზეა დამოკიდებული. თუ სკოლას კარგი მასწავლებელი ეყოლება, უნივერსიტეტიც კარგ შევსებას მიიღებს. თუ სკოლა არ იქნება უზრუნველყოფილი საუნივერსიტეტო განათლების პედაგოგიური კადრებით, მომავალში არც უნივერსიტეტს ეყოლება სასურველი სტუდენტთა კონტინგენტი ეკონომიური, სამედიცინო, იურიდიულ და სხვა სპეციალობებზე.

1919 წლის 18 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში გაერთიანდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანა იყო: ა) ბავშვთა სულიერ-გონებრივ აღზრდასთან და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა-ძიება; ბ) საქართველოს გაეროვნებული სკოლებისათვის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადება; გ) პედაგოგიური ლიტერატურის შექმნა და ცოდნის მოყვარეობის განვითარება. ამ ამოცანების შესრულება პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორს – დიმიტრი უზნაძეს დაევალა. დ. უზნაძის ინიციატივით, პრაქტიკის ორგანიზაციისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდების შემოწმებისათვის, საპედაგოგო ინსტიტუტთან გაიხსნა უმაღლეს-დაწყებითი ოთხკლასიანი სასწავლებელი (130 მოსწავლე), შეიქმნა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პირველი ექსპერიმენტული კაბინეტები, რომელთა ბაზაზე შემდგომ ჩამოყალიბდა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები. ამ კაბინეტების ბაზაზე აღზრდის პრობლემებზე ექსპერიმენტული კვლევების გაძლიერებასთან პედაგოგიური დისციპლინების კურსის გეგმიან, შინაარსიან, ორგანიზებულ და საინტერესო სწავლებასთან ერთად სტუდენტები საბაზო სკოლაში ატარებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას, აწყობდნენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, წერდნენ რეფერატებს.

მოხსენებაში განხილული იქნება „საპედაგოგო ფაკულტეტის“ დანიშნულება მომავალ მასწავლებელთა მომზადების საქმეში.

ლაშა ტბაური - რეპრესიებს შეწირული ახალგაზრდა პოეტი

1937 წლის რეპრესიებმა უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. მსხვერპლის გადება მოუხდა ქართულ მწერლობას, მათ შორის საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას – სიკვდილით დასაჯეს ახალგაზრდა პოეტი ლავრენტი ძიმისტარიშვილი,

იგივე ლაშა ტბაური. საარქივო ფონდში დაცული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი 1935 წლის 14 ოქტომბერს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, მიზეზი იმ ეპოქისათვის სტანდარტული იყო: „ვინაიდან მწერ. კავშირის კანდიდატად დამტკიცებულმა ლავრენტი ლაზარეს-ძე ძიმისტარაშვილმა არ გაამართლა საბჭ. მწერლის საპატიო სახელი და საბჭოთა საზოგადოებრიობის ნდობა, იგი, ძიმისტარიშვილი, გაირიცხოს კავშირიდან“.

მართალია, 50-იანი წლების შემდგომ ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ გაიხსენა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება (შ. ქურიძე), მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, გარდაცვალების გარემოებებზე არავის მიუთითებია.

ლავრენტი ძიმისტარაშვილის რეპრესიის შესახებ ცნობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩნდება. ირკვევა, რომ ახალგაზრდა პოეტის წინაღმდეგ მიმართული კამპანია 1934 წელს დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლებამ მოღალეტეობრივ ქმედებებად ჩაუთვალა 1932-34 წლებში ბათუმელი მოსწავლეების - დიმიტრი ძიმისტარიშვილის, შოთა გოგუასა და პავლე მორჩილაძის მიერ დაარსებულ საქართველოს ისტორიის და ქართული პოეზიის შემსწავლელ წრესთან ურთიერთობა. როგორც ჩანს, ლავრენტი ძიმისტარიშვილი ყოველთვის ვერ თავსდებოდა იდეოლოგიის ჩარჩოებში და უკმაყოფილებას გამოხატავდა. გარდა ამისა, ალბათ, მისი ასაკი გახდა საბაზი იმისა, რომ მოსწავლეებთან ერთად, ამ წრის შექმნის გამო დაესაჯათ – პირველ ეტაპზე მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, შემდეგ გადაასახლეს და გადასახლებაში დაიღუპა.

ლილე თანდილავა (ბათუმი)

თურქული ელემენტები ორდულ მუჰაჯირთა მეტყველებაში

კვლევის ძირითადი მიზანია თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ლაზების მეტყველებაში თურქული ელემენტების დაძებნა და მათი ფონეტიკური ცვლილებების შესწავლა. მუჰაჯირების მეტყველებაში რამდენად ხშირად იხმარება თურქული სიტყვები.

დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალების მიხედვით, რომლებიც ჩაწერეს მამია ფაღავამ, მამია ბარამიძემ, მერი ცინცაძემ და გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტში (კრებული VII, 2013 წ.), ასაკობრივად მთხრობელები 87-44 წლის ასაკის ადამიანები არიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი ყველაზე გვიან ჩავიდნენ საქართველოდან და იქ შექმნეს ახალი საქართველო, მათ ყველაზე კარგად უნდა იცოდნენ ენა - ეს მასალებიც ამის დასტურია. მათ თხრობაში ძალზე ცოტა თურქული ელემენტები მოიძებნება.

ამ თვალსაზრისით ძირძველი მცხოვრებლების პრობლემა უფრო რთულია, რადგან ამ ხალხს სხვა, უფრო ცუდი ბედი ეწიათ. ტაოს მოსახლეობა ინეგოლში გადასახლეს. მთის რთულმა ცხოვრებამ ბევრი ბარად ჩამოიყვანა. ბარში მცხოვრებლები კი უკვე მოწყდნენ თავიანთ ყოფას, ახლობლებს, ქართულს, და მის ნაცვლად თურქულმა დაიკავა ადგილი.

მოცემული მასალიდან ჩანს, რომ მუჰაჯირების ქართული უფრო წმინდა ქართულია. უსუფ იალჩინის 3-გვერდიან მონათხრობში სულ თორმეტი თურქული სიტყვაა გამოყენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მან ენა კარგად იცის, ამიტომაც მათი სასაუბრო ენა ჯერ კიდევ ქართულია. ვიმედოვნებთ და ვისურვებთ, რომ დიდხანს ესაუბროთ ქართულად.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ინგლისური ენის სწავლების პროცესში

ინგლისური ენის სწავლებისას მრავალი ხედვა, მეთოდი და საშუალება გამოიყენება. შესაბამისი მეთოდის შერჩევა სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. კითხვა, რომელიც აშკარა უთანხმოებას იწვევს მკვლევართა თუ მასწავლებელთა შორის, არის -გამოიყენონ უნდა თუ არა სწავლების პროცესში მხოლოდ შესასწავლი ენა, თუ მშობლიური ენაც, ანუ თარგმანი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი კვლევა ტარდება, რომელთა შედეგებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მშობლიური ენის გამოყენებას უცხო ენის სწავლების პროცესში უარყოფითი შედეგი გააჩნია, ხოლო მეორე ნაწილი ამას აუცილებლად მიიჩნევს და თვლის, რომ ენის სწავლებისას ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი.

ნაშრომი განიხილავს გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შენიშონ, თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენას შორის, რაც ენის სისტემის უკეთ გაგნობიერების და ენის უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ლალი თიბილაშვილი (თბილისი)

შიო არაგვისპირელის საბავშვო ნოველები

შიო არაგვისპირელი, როგორც საბავშვო მწერალი, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი. მიგვაჩნია, რომ იგი, ამ მხრივაც, დირებული, საინტერესო ავტორია და მისი საბავშვო მოთხრობების ანალიზი აუცილებელია.

მწერალს არაერთი საბავშვო ნოველა აქვს დაწერილი, რომლებიც საოცარი გულწრფელობით, სიფაქიზითა და უშუალოდ გამოირჩევა. ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, რომ მათში უფრო მეტი სევდა და ტკივილი იფარება, ვიდრე ყმაწვილური სილაღე და უდარდებლობა.

შიო არაგვისპირელი ცდილობს ავტორისეული ტენდენციურობის გარეშე ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს აზიაროს მოზარდები, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სიყვარულსა და სიძულვილზე დააფიქროს ისინი.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან ერთად („მიწაა“), შიო არაგვისპირელი ცხოველებისა და ფრინველებისადმი სათუთ დამოკიდებულებას ასწავლის ბავშვებს („ჩემო შვინდავ“, „მოგონება“). ეს თემა ახალი არ არის ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ მწერალმა ზნეობრივი პრინციპების წინ წამოწავით კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჭეშმარიტი საბავშვო მწერლობის მისია.

შიო არაგვისპირელი, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიის შესანიშნავი მცოდნე, ნოველაში „საჩივარი“ ყურადღებას ამახვილებს აგრესიის თავისებურ ფორმაზე, რომელიც ბავშვების მიერ საკუთარი ნივთების უმოწყალოდ განადგურებაში ვლინდება. თუ ადამიანში თავიდანვე არ აღმოიფხვრა აგრესია, ზრდასრულ ასაკში ამან, შესაძლოა, საშიში სახე მიიღოს.

შიო არაგვისპირელის საბავშვო ნაწარმოებების პოპულარიზაცია საშურ საქმედ მიგვაჩნია, რადგან მოზარდის აღზრდასა და ზნეობრივ ადამიანად ჩამოყალიბებაში ამ საინტერესო მწერლის ნოველებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია.

ლიტერატურის როლი საზოგადოების ცნობიერების ფორმირებაში

XX საუკუნის დასაწყისი მრავალი მნიშვნელოვანი და გამორჩეული მოვლენით აღინიშნება, რომელთა უმრავლესობამაც უდავოდ დიდი კვალი დატოვა თანამედროვე ადამიანის აზროვნებისა და ღირებულებათა ფორმირებაზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ მოვლენათაგან რუსეთის იმპერიაში მომხდარი სოციალისტური რევოლუცია იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას, რომლის იდეოლოგიური საფუძველიც, უმრავლეს შემთხვევაში, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოყენებით იქმნებოდა.

სწორედ ეს იდეოლოგიური მუშაობა იქცა იმ ძლიერ ფუნდამენტად, რომელზეც საბჭოთა იმპერია დაფუძნდა.

მოხსენებაში განვიხილავ საბჭოთა მწრობის პირველ ეტაპს - ქართული ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში, სადაც მკვეთრად გამოიხატა ლიტერატურის როლი, როგორც საზოგადოებაში ახალი ცნობიერების ფორმირებისათვის მორგებული საშუალება. ეს გახლავთ საბჭოთა ეპოქა, რომლის აზროვნებისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდაა მწერლის როლი, რაც იმ პოლიტიკური კურსის მიერ განხორციელებული მიზანი, გეგმა იყო, რომელიც მართავდა საბჭოთა ეპოქას; მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ხელოვნების, მწერლობის ძალა. სტალინისეული ლოზუნგით: „მწერლები ადამიანის სულის ინჟინრები არიან“ - მწერლებს მისცეს ფუნქცია ადამიანის ცნობიერებაში, სულში ეშენებინათ საბჭოთა იმპერია.

ჩემს მოხსენებაში ამ პროცესებს განვიხილავ 20-30-იანი წლების ქართული ლიტერატურის მაგალითზე, სადაც ნათლად ჩანს იდეოლოგიის საერთო მახასიათებელი როგორც ინსტრუმენტი და მისი როლი საბჭოთა პოლიტიკის იდენტობაში, თუმცა ლოკალურ თავისებურებებზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა. ამ ყველაფერმა ბევრი ინტელიგენტი მწერალი გაანადგურა და მათზე ჩვენ უმთავრესად ვსაუბრობთ, როგორც მსხვერპლზე, მაგრამ ისინი ამის თანაშემქმნელებიც იყვნენ.

ათინა თოიძე (ბათუმი)

კვანტორული განსაზღვრება, როგორც სარეკლამო ინგლისურენოვანი ბეჭდური ტექსტის მარკერული მაჩვენებელი

ბეჭდური მედიის ტექსტებში გვხვდება კვანტორის (რიცხვითის) შეთანხმება ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთან როგორც პროცენტული ერთეული. კვანტორული კონსტრუქციის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი :

1. Discussing daily activities, more than half of the presidents, *53 percent* said they spent part of everyday on fund-raising. („პრეზიდენტების ნახევარზე მეტმა, 53%-მა განაცხადა, რომ ისინი დიდ დროს უთმობენ ქველმოქმედებას“).

ამ მაგალითში არსებული დიფერენციული კვანტორული განსაზღვრება 53 ასრულებს ნაცვალსახელის ფუნქციას. მხატვრულ ლიტერატურაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ასეთი ჩანაცვლება, ვინაიდან იგი საგაზეთო სტატიებისთვისაა დამახასიათებელი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი რიცხვით სახელთან შეთანხმებისას წარმოქმნის სხვადასხვა სახის შეთანხმებას. მაგ: Their bodies were found on January 22, *several* days after Mr. Entwistle flew to England from Boston (მათი გვამები აღმოჩენილი იქნა 22 იანვარს რამდენიმე დღის შემდეგ, რაც მისტერ ენტისტლის ბოსტონიდან ინგლისში გაფრინდა).

ამგვარად, კვანტორული განსაზღვრება ნამდვილად ითვლება თავისებურ მარკერად ბეჭდური მედიის ინგლისურენოვან ტექსტებში, იმდენად, რამდენადაც მკითხველს გადასცემს ობიექტურ, ხარისხიან ინფორმაციას ამა თუ იმ მოვლენაზე, რომელიც რეალურად ხდება ცხოვრებაში. მსგავსი ინფორმაცია კი გაცილებით ლაკონურია და ნაკლებ დროს ან ძალისხმევას მოითხოვს აღსაქმელად, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში დროის სიმცირის გამო.

ეკატერინე თოფურია (ქუთაისი)

ანტროპოცენტრისტული პარადიგმა და ენობრივი კულტურემები

ენობრივი პიროვნების წინა პლანზე წამოწევამ, რაც ანტროპოცენტრისტული პარადიგმის ჩამოყალიბების შედეგია, კულტურული იდენტობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რამდენადაც ენობრივი პიროვნების ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურის ჩარჩოებში ხდება, მეცნიერებმა მიზნად დაისახეს იმ ენობრივი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც „ენობრივი პიროვნების“ „კულტურულ პიროვნებად“ ქცევას უწყობს ხელს. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი ლინგვოკულტურული ნიშნების შესწავლა, როგორებიცაა „ლინგვოკულტურემები“. ამ უკანასკნელთა სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის ერთიანობას წარმოადგენენ და შეიცავენ როგორც ენის, ასევე – კულტურის სეგმენტს. ლინგვოკულტურემა წარმოადგენს ერთგვარ კოდს, თავისებურ მატრიცას, რომელიც ასახავს აზროვნების წესს, წარმართავს მენტალური და ენობრივი რეპრეზენტაციების შინაარსსა და ფორმას.

სწორედ ენის შინაარსობრივ მხარეში (ნაკლებად, გრამატიკაში) ვლინდება ამა თუ იმ ეთნოსის სამყაროს სურათი, რომელიც ყველა კულტურული სტერეოტიპის საფუძვლად იქცევა. მისი ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, თუ რით განსხვავდებიან ნაციონალური კულტურები, თუ როგორ ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ამ სიტყვების ყველა მნიშვნელობა კულტურულ-სპეციფიკური იქნებოდა, სრულიად შეუძლებელი გახდებოდა კულტურულ განსხვავება-თავისებურებათა კვლევა, ამიტომ ნაციონალურ-კულტურული ასპექტების შესწავლისას აუცილებელია ენობრივ ერთეულთა უნივერსალური თვისებების გათვალისწინებაც.

ამრიგად, სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მუდმივი ურთიერთქმედების მდგომარეობაში იმყოფება. ისინი სათავეს იღებენ სამყაროს რეალური სურათიდან, ანუ, უფრო ზუსტად, გარე სამყაროსგან, რომელიც ადამიანს აკრავს.

ლელა თურმანიძე (ბათუმი)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პრიორიტეტები (ელექტრონული ბაზები და ბიბლიოთეკები)

საქართველოში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, ტექნოლოგიების და სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებების განვითარების ფონზე სტუდენტებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციული წიგნიერების უნარების გამომუშავება. საწარმოები და დამსაქმებლები საჭიროებენ ცვალებად გარემოში ადაპტირებად კადრებს. ამდენად, შეიცვალა მოთხოვნები და მიდგომები განათლების სფეროში.

ბიბლიოთეკას ყოველთვის განსაკუთრებული ფუნქცია და როლი ეკისრება გარშემომყოფ საზოგადოებაში წიგნიერების ამაღლების, ინფორმაციის დაგროვების, დაცვისა და გავრცელების თვალსაზრისით. განვითარებასთან ერთად, იზრდება მოთხოვნები ბიბლიოთეკის მიმართ, ტრადიციულ ვალდებულებებთან ერთად დამატებითი როლი აკისრია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია უნივერსიტეტის დაარსების დღიდან იწყება და 78 წელს ითვლის. აქ თანამედროვე სამეცნიერო, მხატვრულ და პოპულარულ ლიტერატურასთან ერთად, დაცულია 1815-1917 წლებში გამოცემული, მეცნიერული და ისტორიული ხასიათის ძველი გამოცემები. დღეისთვის კი ფონდის შემადგენლობაშია 300 ათასზე მეტი დასახელების საბიბლიოთეკო დოკუმენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მკითხველს უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებითი პერიოდული გამოცემითა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით. იგი შედგება ერთი ცენტრალური, ორი საფაკულტეტო და ერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიბლიოთეკისგან. გასულ წელს უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიომა ბაკურიძის ინიციატივითა და ძალისხმევით, ცენტრალური ბიბლიოთეკა გაფართოვდა და გაიზარდა ბიბლიოთეკის სამუშაო დრო.

ლიტერატურის ძიების გასამარტივებლად შექმნილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი, მკითხველთა ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ელექტრონული რესურსების განყოფილება მუშაობს ბიბლიოთეკის მართვის ინტეგრირებულ სისტემაში - „open biblio“, სათანადო მონაცემების ასახვაზე. გვაქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე: EBSCO Publishing, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, BioOne. მომხმარებელთა ინტერესების შესწავლა და ბიბლიოთეკის სათანადო ბაზებით უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია.

ჩვენი პრიორიტეტებია ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობა, თანამედროვე ლიტერატურის შეძენა და სხვადასხვა ინტერესის მქონე მკითხველისთვის შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის მაქსიმალური ხელშეწყობა, სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობა.

რუსუდან თურმანიძე (ბათუმი)

ფონური ცოდნის გამოხატვის ხერხები მედიატექსტებში

წინამდებარე სტატიაში განხილული და წარმოდგენილია ფონური ცოდნის გამოხატვის საშუალებები მედიატექსტებში, სადაც მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტებისა და ცოდნის გათვალისწინება:

- ისტორიულ-კულტურული ფონი (ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა ქვეყანა, მისი საზოგადოება და კულტურა ისტორიულ პროცესში). ტექსტებში ხშირად გვხვდება მინიშნებები ან ალუზიები ისტორიულ პიროვნებებზე და ლიტერატურულ პერსონაჟებზე. იმისათვის, რომ მთარგმნელმა ეს მკითხველამდე მიიტანოს, მას განსაკუთრებული ერუდიცია სჭირდება.

- სოციოკულტურული ფონი (ეს არის ცნობები საზოგადოების ურთიერთობის, ნორმების, ღირებულებების, ეტიკეტის, ჟესტების ენის შესახებ).

- ეთნოკულტურული ფონი (ცნობები ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების, ეროვნული დღესასწაულების შესახებ).

- სემიოტიკური ფონი (ცნობები ეროვნული სიმბოლიკისა და ტოპოგრაფიული დასახელებების შესახებ). საკუთარი სახელების თარგმნა, რომელსაც ყველგან ვხდებით, შესაძლოა

სერიოზული სირთულეების წინაშე დააყენოს მთარგმნელი, ვინაიდან საკუთარი სახელები შეიძლება ისეთ ბგერებს შეიცავდეს, რომლებიც სათარგმნ ენაში არ არსებობს.

ნებისმიერი გამონათქვამი, მასში არსებული კონცეპტუალური იმპლიციტით, გაცილებით დიდია, ვიდრე ის ფორმულირება, რომლითაც ხდება მისი ენაში გადმოცემა. რაც უფრო სრულად ხდება იმპლიციტის გაგება, მით უფრო იოლია ლინგვისტური ფორმებიდან აზრის გამოტანა.

ეკა თხილავა (თბილისი)

საზოგადოების მანიპულირება მედია PR-ით

PR თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების არსებითი კომპონენტია; ეს ფაქტი არაერთხელ დაადასტურა ბოლო ოცწლეულის პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა საქართველოში; როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის – რიჩარდ ნიქსონის გუნდის წევრი რეი პრაისი წერდა, „პოლიტიკა უფრო ემოციონალურია, ვიდრე რაციონალური და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს არჩევნებისას“. ეს მოსაზრება უდავოდ საინტერესო და საგულისხმოა. ამასთან, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი სადავო მოსაზრება შეიძლება ჩამოვაცალიბოთ და მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკის საფუძველი თუ არ არის, უნდა იყოს რაციონალური და არაემოციური; თუმცა საარჩევნო პერიოდი დასტურია იმისა, რომ პოლიტიკა ხშირად ცდება რაციონალურის ზღვარს და ემოციურისკენ იხრება. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში (2012) ამის უდავო დასტურია. პოლიტიკური რეკლამა განსაზღვრავს პარტიის მიმართულებას, მისწრაფებასა და იდეებს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ცნობადია პარტია, რაზე სჭირდება ხაზგასმა და რას თვლის მთავარ პრიორიტეტად.

უკანასკნელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ საზოგადოებრივ აზრს განსაკუთრებული ძალა აქვს. იგი მოქმედებს სახელმწიფო პოლიტიკაზე, საკანონმდებლო პროცესებზე, პოლიტიკური პარტიების ორიენტაციასა და კურსზე, საარჩევნო კამპანიების დინამიკაზე... ანუ, საზოგადოებრივი აზრი ძლიერი და დინამიური ძალაა. მსოფლიო პოლიტიკურმა ისტორიამ დაადასტურა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმთავრესი იარაღი სწორედ **PR** კამპანიებია. პოლიტიკური რეკლამებით ხდება საზოგადოების გარკვეული პოზიციის ჩამოყალიბება; ინფორმაცია, რომელსაც ამომრჩეველს აწვდიან ტელევიზიით, საზოგადოებას უქმნის შთაბეჭდილებას, უყალიბებს გარკვეულ პოზიციას ისე, რომ იგი ხშირად სულაც არ ახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მას იღებს, როგორც მოცემულობას. ნებისმიერი პოლიტიკური განცხადება, რომელიც ტელევიზიით კეთდება, არის პოლიტიკური გზავნილი, რომელსაც აუდიტორია აღიქვამს.

ნანული კაკაურიძე (ქუთაისი)

მითოპოეტის საკითხები თომას მანის ესეისტიკაში

მოხსენებაში გაანალიზებულია თომას მანის შეხედულებები მითოპოეტის საკითხებზე მწერლის ესეებში: „ვნებანი და სიდიადე რიჰარდ ვაგნერისა“, „რიჰარდ ვაგნერი და „ნიბელუნგის ბეჭედი“, „იოსები და მმანი მისნი“, „დოქტორ ფაუსტუსის“ შექმნის ისტორია. ერთი რომანის რომანი“.

აღვნიშნავთ, რომ მეოცე საუკუნის ლიტერატურაში მითოლოგიზმი თავისი სიმბოლიკით იქცა რომანის სტრუქტურირების საშუალებად. ამ ეპოქის რომანებში ხშირად ვხვდებით მითის პაროდიულ ტრავესტიას, მითოლოგიურ რემინისცენციებს, ზოგჯერ მითის პაროდიულ-

მადისკრედიტებელ რეცეფციასაც. მითოლოგიის პოეტიკას აქვს ინტელექტუალური ექსპერიმენტატორობის ხასიათი. მეოცე საუკუნის ავტორები "თამაშობენ" მითოლოგიური მასალით. ნეომითოლოგიზმის ერთი არსებითი ნიშანი არის მისი მჭიდრო კავშირი ნეოფსიქოლოგიზმთან, ანუ ქვეცნობიერის უნივერსალურ ფსიქოლოგიასთან.

თომან მანის შემოქმედებაში მითოლოგიზმი ერწყმის ფსიქოლოგიური სიღრმეების ანალიზს, მისთვის მეტად მნიშვნელოვანია კონტრაპუნქტის ტექნიკა, ლათიმოტივები და მითის გამოყენება სიუჟეტის შინაგანი ორგანიზაციისათვის. თავის ესეებში იგი ხაზგასმით მიუთითებდა ფსიქოლოგიისა და მითის შერწყმაზე. მას განსაკუთრებით აინტერესებს გოეთესა და ვაგნერის დამოკიდებულება მითთან. ვაგნერთან მითის რეცეფციას აქვს პათეტიკური, სერიოზული, ტრაგიკული ხასიათი, გოეთესთან კი წინა პლანზე მოდის მითის გადამშავების თავისუფალი ფორმა, სიმსუბუქე, იუმორი, ნატიფი ენა. გოეთე „თამაშობს“ მითით, ხუმრობს, გოეთეს მიერ მითის "ირონიულ ყაიდაზე გააზრება" თომას მანისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ესთეტიკური ღირებულების მქონე ხერხია.

თავად მწერალი მიუთითებს თავის "მხიარულ მითოლოგიურ თამაშზე"(რომანი "იოსებზე"), "კომიკურ იდეებზე", მასალის პაროდირებაზე, მაგრამ ასევე-"ინტელექტუალური სიფხიზლის" აუცილებლობაზე მითიური სიუჟეტის ინტერპრეტაციისას. "დოქტორ ფაუსტუსზე" მუშაობისას იგი ცდილობს ხელი არ შეუწყოს "ახალი გერმანული მითის" შექმნას, არ განადიდოს გერმანული "დემონიზმი". ამ პერიოდში თომას მანი უკვე შეუძლებლად მიიჩნევს "მითოლოგიურ თამაშს".

გიული კალატოზიშვილი (თბილისი)

სიმბოლიზმი და ფუტურიზმი ქართულ ლიტერატურაში – მეოცე საუკუნის დასაწყისის ახალი მოდერნისტული პერსპექტივა

XX საუკუნის ქართული სახელოვნებო და ლიტერატურული კულტურა ფეხს უწყობს იმ მოვლენებსა და მიმდინარეობებს, რომელმაც თავი იჩინა ევროპისა თუ რუსეთის ესთეტიკურ აზროვნებაში საბჭოური რეჟიმის გაბატონებამდე. საუკუნის დასაწყისი ქართული ინტელიგენციის ცხოვრებაში ხასიათდება სერიოზული მზადმყოფი განწყობით მიელო და გაეაზრებინა ის პროცესები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ევროპისა თუ რუსეთის ესთეტიკურ აზროვნებაში. ასე იწყება „ქართული ავანგარდიზმის“ დამკვიდრება ქართულ ცნობიერებაში.

ამ პერიოდის საქართველოში ევროპიდან შემოსული მოდერნისტული მიმდინარეობებიდან ჯერ სიმბოლიზმი იკიდებს ფეხს. მის გავრცელებას საქართველოში სათავეში ედგა ევროპაში, პარიზში განათლებამიღებული ქართული ინტელიგენცია. ქართული ფუტურიზმი იტალიური ფუტურიზმის მსგავსად სიმბოლისტური სულების, მთვარისა და ღამის იდუმალების საპირისპირო მრწამსი იყო და ქართველი ფუტურისტები ბრძოლას უცხადებენ ამ უკვე კრიზისში მყოფ მიმდინარეობას და მის წარმომადგენლებს თავისი ესთეტიზმით.

მოხსენების მიზანია განვიხილო მეოცე საუკუნის დასაწყის საქართველოში ლიტერატურულ-ავანგარდისტული მიმდინარეობების – სიმბოლიზმის და ფუტურიზმის გავრცელება და შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის შედარებითი ანალიზია ხალიმ ოდერნისტული პერსპექტივის ჭრილში.

ქართულ-სომხური ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნეში

ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. კავკასიური ცივილიზაციის ამ ორი უძველესი წარმომადგენლის ინტენსიურ თანამშრომლობას განაპირობებდა არა მარტო გეოგრაფიული მეზობლობა, არამედ საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტერესები, რასაც აძლიერებდა საუკუნეების მანძილზე საერთო საგარეო საფრთხის ფაქტორი. სწორედ ამან გააჩინა XI-XII საუკუნეებში ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეა, რომლის განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა დავით აღმაშენებელმა.

XV-XVI სს-დან კავკასიის ხალხებისათვის მკვეთრად შეიცვალა საგარეო პოლიტიკური გარემოცვა. ამიერიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი დიდი სახელმწიფო: ოსმალეთი, ირანი და რუსეთი. მათი მეტოქეობა კიდევ უფრო გამწვავდა XVIII საუკუნეში. ეს პერიოდი ძალზე საყურადღებოა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის თვალსაზრისით. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის ხალხებს მხოლოდ გაერთიანებით შეეძლოთ აეცილებითათ სრული დაპყრობისა თუ ფიზიკური განადგურების საფრთხე. XVIII ს. პირველ მეოთხედში ვახტანგ VI-ს ღონისძიებებით ქართლი, ხოლო XVIII ს. მეორე ნახევარში თეიმურაზ II და ერეკლე II-ს პოლიტიკით ქართლ-კახეთის სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სომეხებს, რომელთაც XI ს-ის შემდეგ აღარ გააჩნდათ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, იმედად და მხარდამჭერად ქართული სამეფო ესახებოდათ, რამაც ხელი შეუწყო ქართველი მეფის ხელისუფლებით ერთიანი ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეის განვითარებას. ამ იდეის განხორციელებას პრაქტიკულად უჭერდნენ მხარს სომეხი მოღვაწეები: ისრაელ ორი, ესაია ჯალალიანი, იოსებ ემინი და სხვები. მაგრამ ჯერ ვახტანგ VI, შემდეგ კი ერეკლე II მარცხმა ირანთან ამ გეგმის განხორციელება ჩაშალა.

ალკაზარ კაშია (ბათუმი)

სიზმრის ფუნქციისათვის „ქოროღლის ეპოსის“ ქართული ვერსიის აჭარულ ვარიანტებში

ეპოსურ ნარატივებში, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების ყველა არქაულ ქანრში, ტრადიციულად ხშირად გვხვდება წინასწარმეტყველური სიზმრები, რომლებიც მატერიალური რეალობის მიღმა არსებულ სამყაროსთან კავშირის საშუალებად არის წარმოდგენილი („არსენას ეპოსში“ არსენას სიზმრით ეუწყება ტრაგიკული აღსასრულის შესახებ; ეპიკურ ლექსში „მეცხვარის სიკვდილი“ თუში მეცხვარე სიზმრით გებულობს მოსალოდნელი სიკვდილის თაობაზე; საზღაპრო ეპოსში სიზმარში ნახულობენ საბედოს, რომელსაც შემდეგ აუცილებლად მოიპოვებენ და ა.შ.).

„ქოროღლის ეპოსშიც“, რომელიც გენეზისით აზერბაიჯანულია, მაგრამ იმთავითვე ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიის, მცირე აზიისა და შუა აზიის ხალხებში და დღემდე თორმეტკამდე ეროვნული ვერსიით არის ცნობილი, სიზმრისადმი მსოფლიოს უძველეს ხალხთა ეპოსისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დამოკიდებულება აისახა და კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, რომ წინასწარმეტყველური სიზმრით დასაზღვრული ბედისწერა აუცილებლად უნდა აღსრულდეს.

„ქოროღლის ეპოსის“ ქართული ვერსიის აჭარული ვარიანტები ამ მხრივაც გამორჩეულია. მათში წინასწარმეტყველური სიზმრების მეშვეობით საცნაური ხდება ეპოსის

პოზიტიურ გმირთა ესა თუ ის გასაჭირი, რომელიც აუცილებლად დაიდრევა; სიზმარში, ტრადიციული ქართული ხალხური საზღაპრო ეპოსის მსგავსად, „ქოროლის ეპოსის“ გმირი ნახულობს საცოლეს, რომელსაც აუცილებლად მოიპოვებს. სიზმარი, როგორც ქვეცნობიერი სფეროს ემპირიულ ყოფასთან დამაკავშირებელი ფენომენი, „ქოროლის ეპოსის“ ქართული ვერსიის აჭარულ ვარიანტებში ეპოსის გმირთა წინასწარი გაფრთხილებაა, რაც სიკეთის მსახურების ნიშნით არის აღბეჭდილი და ეგრეთ წოდებული „კეთილშობილი ყაჩაღის“ გამარჯვებას, მიზნის მიღწევას ემსახურება.

ამირან კახიძე (ბათუმი)

ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები აჭარის ზღვისპირეთიდან

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარის თანმიმდევრული, სისტემატური, გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი სულ რაღაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მომცველია. გამოვყოფთ სამ ძირითად ეტაპს. პირველი, საწყისი – მოიცავს 1958-1994 წლებს. სწორედ ამ პერიოდში განახორციელა უმნიშვნელოვანესი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ქართველოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა როგორც აჭარის ზღვისპირეთში, ისე მთიანეთში. მეორე ეტაპი 1994-2010 წლებით შემოიფარგლება. განსაკუთრებული სიახლე გახლავთ ის, რომ 20 წლის წინ, 1994 წელს შეიქმნა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. ამ უკანასკნელის მუდმივმოქმედი ექსპედიცია ყოველწლიურად აწარმოებს საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს როგორც შიდაციხის, ასევე შემოგარენის, მდ. ჭოროხის ქვემო წელის არაერთ სხვადასხვა ეპოქის ძეგლებზე.

ბუნებრივია, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ფართოდ ვისაუბროთ ყველა ძეგლის შესახებ. განსაკუთრებით ნაყოფიერი სამუშაოები განხორციელდა ფიჭვნარსა და მის შემოგარენში. ამ უნიკალური ძეგლის მაგალითზე, ვფიქრობთ, ნათელი წარმოდგენა შეიქმნება მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უმთავრეს შედეგებზე.

ამ ბოლო წლებისათვის განებივრებული ვართ შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენებითაც. პირველ რიგში აღსანიშნავია ფიჭვნარის ახლოს, ჩოლოქ-ნატანების აკვატორიაში ზღვისპირა ზოლიდან 10 კმ-ის მოშორებით 119 მ-ის სიღრმეზე ჩამირული გვიანელინისტური ხანის სავაჭრო გემის ნაშთები. მსგავსი მასალა ადრე უცნობი იყო ჩვენი სინამდვილისათვის. გაჩნდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახალი ასპექტები.

2013 წელს კაპანდიში შემთხვევით აღმოჩნდა რომაული ხანის, ახ.წ. პირველი საუკუნეების მეტად საინტერესო განძი. წარმოდგენილი იყო როგორც საიუველირო ხელოვნების, ასევე ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშები.

საყურადღებოა, რომ განძის აღმოჩენის ადგილებში ექსპედიციამ თანადროული ქვის სამტეხლოს – კარიერის არსებობაც დაადასტურა. ქვის კვადრების ზომების მიხედვით ჩანს, რომ კარიერი გამოყენებული ყოფილა გონიოს ციხის მშენებლობისას.

2014 წლის თებერვლის თვეში მუზეუმის ექსპედიციამ არქეოლოგიური არტეფაქტების შეგროვების მიზნით გარკვეული სამუშაოები განახორციელა მარადიდ-კირნათ-ჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე. მოვიპოვეთ ფერადი ლითონების დასანაწევრებად გამოყენებული სახელურიანი ქვის სანაყი – წინასწარულად ძვ.წ. III–II ათასწლეულების ნაკეთობა უნდა იყოს. შედარებით პატარა ზომის ქვის სანაყები შევაგროვეთ თვით მარადიდისა და მის მიკრორაიონში – ძაბლავეთში. მათი რიცხვი ხუთს უდრის. გვაქვს ინფორმაცია, რომ მსგავსი ქვის გობები მეზობელ თურქეთის მარადიდის ტერიტორიაზეც ჩნდება. ამ მონაცემებმა დიდი ინტე-

რესი გამოიწვია ახალი პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივნისის თვეში საინტერესო საველე სამუშაოები განვახორციელეთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭარნალის მურვანეთში. ჩანს, რომ მიკვლეულია გვიანბრინჯაოს ხანის ფერადი ლითონების დამამუშავებელი სახელოსნო. ამ მონაცემების მიხედვით შესანიშნავად დასტურდება, რომ ჭოროხის ხეობა, მართლაც, წარმოადგენდა ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთ მძალავრ წამყვან კერას საკავშირეო ცივილიზაციაში.

სიახლის მომცემია ქობულეთის დეპარტამენტის ჩაქვის ჩაისუბნის მარნის კვლევა-ძიების საწყისი ეტაპი. უკვე აღმოჩენილია სამი ქვევრი, რომელთა მსგავსი ადრე უცნობი იყო. ისინი ადრეშუასაუკუნეებით თარიღდება. ანალოგები ეძებნებათ სამხრეთ შავიზღვისპირეთის მასალებს შორის (არხავი, ოფი, სინოპი). ახალი მონაპოვრები გამოირჩევიან როგორც ფორმის, ასევე ორნამენტაციის მოტივებითაც.

ფართო მასშტაბის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი გრძელდება.

ემზარ კახიძე (ბათუმი)

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და რომაულ-ადრებიზანტიური სამყარო

როგორც რომაულ, ისე ადრებიზანტიურ ხანის კოლხეთში ანტიკური ცივილიზაციის თუ მისი მემკვიდრის გავლენა არ ყოფილა ღრმა და ყოვლისმომცველი. შეინიშნება გავლენა ლოკალურ სივრცეებსა და მოსახლეობის შეზღუდულ ფენებზე.

აქ არსებული ცენტრები – აფსაროსი და ციხისძირი საუკუნეების მანძილზე ჯერ რომის, ხოლო შემდეგ ბიზანტიის იმპერიის სტრატეგიულ პუნქტებს წარმოადგენდა. შესაბამისად, აქ ნაპოვნი იმპორტული ნაწარმი უპირატესად სწორედ რომაული და ბიზანტიური გარნიზონებისათვის იყო შემოტანილი. ბუნებრივია, სააღმშენებლო ურთიერთობაში, ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასები არ ღებულობდნენ მონაწილეობას. როგორც ჩანს, მასში ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი ელიტის წარმომადგენლები. სწორედ ისინი განიცდიდნენ აკულტურირებას, თუმცა ფართო ფენები ამ პროცესიდან შორს იყვნენ.

მართალია, ქრისტიანობამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ამ რეგიონის ყოფასა და ცხოვრებაზე, მაგრამ მანაც სულ მალე ვიწროეთნიკური ხასიათი მიიღო, რისი სიმპტომებიც დღესაც კი თვალნათლივ ჩანს.

მანანა კვატაია (თბილისი)

საარქივო წყაროების ნარატივი ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში

ნარატოლოგიის არეალის გაფართოება გარკვეული მოდალობის არამხატვრულ ტექსტებს მის ობიექტებად აქცევს. მათ შორისაა საარქივო წყაროები, რომელთა მრავალგვაროვნება ხელს უწყობს როგორც ტექსტის დონეზე ისტორიის სიღრმეების წვდომას, ისე ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა ინდივიდუალურ დრო-სივრცულ ასახვას.

მოხსენებაში კონკრეტული კვლევა-ძიების საგნად ვაქციეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის უცნობი მასალები, კერძოდ, ჩვენ მიერ მიკვლეული ის დოკუმენტები, რომლებიც ნათელს ჰფენს 1923-1924 წლების აჭარის რეალობის მნიშვნელოვან მომენტებს. აღნიშნულ არქივში ინახება ე.წ. “ბეგების საქმე”, რომელიც 1923 წლის იანვარში მემედ აბაშიძისა და მთელი მისი გარემოცვის დაპატიმრებისა და მათი შემდგომი ბედის

ნაკლებად ცნობილ დეტალებს გადმოსცემს. ამ ვრცელი მოცულობის ტომში საყურადღებოა თვით მემედ აბაშიძის სისხლის სამართლის საქმე, სადაც მრავალ სხვა დოკუმენტთან ერთად აღმოჩნდა მ. აბაშიძის ხელით დაწერილი უცნობი ტექსტები (ძირითადად, ოფიციალური წერილები იმდროინდელი უმაღლესი თანამდებობის პირებისადმი მემედ აბაშიძისა და მისი გარემოცვის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნით, აქვეა მ. აბაშიძის ოჯახის წევრების მიმართვები და სხვ.).

1924 წლის მასალებიდან განსაკუთრებული ღირებულებისაა ვ. ჩიტაიშვილის სისხლის სამართლის საქმე, სადაც დაცულია დღემდე უცნობი ინფორმაცია 1924 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ღამეს საგანგებო კომისიის ბრძანებით ბათუმში დახვრეტილი 23 ქართველი სამხედრო პირის შესახებ. საქმეში შემონახული დოკუმენტების მიხედვით აღმოჩნდა, რომ 1924 წლის ზაფხულში საქართველოს საგანგებო კომისიას ხელში ჩავარდნია დამიფრული წერილი, რომლის რუსულენოვანი აღდგენილი ტექსტი იმავე საქმეშია დაცული. წერილი ეხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას, კერძოდ, საუბარია ბათუმის ბატალიონზე, რომელიც პირველსავე ხელსაყრელ მომენტში მზად იყო, აჯანყებულთა მხარეს გადასულიყო. აქვე რეკომენდებულია ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმის შექმნა, რომელიც შეიარაღებული გამოსვლების სამხედრო ხელმძღვანელობას იკისრებდა. აღნიშნული დამიფრული წერილის შინაარსის გაცხადებას მოჰყვა ლ. ბერიას ოფიციალური მიმართვა, რომლითაც აჭარის საგანგებო კომისიის უფროსს სასწრაფოდ გამოძიების ჩატარება და დამნაშავეთა სასტიკი დასჯა დაევალა.

კახა კვამილავა (თბილისი)

აფხაზური ისტორიოგრაფია და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში

გასული საუკუნის 30-იან წლებში ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ, ფილოსოფოსმა, პოეტმა და ესეისტმა პოლ ვალერიმ ისტორიის შესახებ თქვა: „ისტორია ადამიანთა ერთ-ერთი სახიფათო გამოწვევაა“. რა თქმა უნდა, ისტორიკოსებისათვის ეს შეფასება არცთუ სახარბიელოა და შეგვიძლია, მის ავტორსაც კი შევედავოთ.

სამწუხაროდ, ბევრი ჟურნალისტი, კონფლიქტოლოგი თუ პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ სწორედ ისტორიული მეცნიერება და ისტორიკოსები არიან სხვადასხვა სახის (განსაკუთრებით, ეთნიკური) კონფლიქტების ერთ-ერთი გამწაღებლები. თვითონ პ. ვალერიც იქვე წერს, რომ ისტორია „...იწვევს მანათს განდიდებისას და მანათს დევნისას...“ თუმცა, როცა ამ სიტყვებს წერდა, ის მისი დროის უარყოფითი ემოციების გავლენის ქვეშ იყო, რადგან მსოფლიო შოვინიზმის, ფაშიზმისა და ნაციზმის საფრთხის წინაშე იდგა. სამწუხაროდ, მათ გავლივებში არცთუ ისე მცირე წვლილი შეჰქონდა ისტორიული მეცნიერებით სპეკულაციას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გაყალბებას და დამახინჯებას. სამწუხაროდ, სწორედ გაყალბებულ და დამახინჯებულ ისტორიას ხშირად იყენებენ კონფლიქტების გასაღვივებლად, ნაციონალისტური (ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით) და შოვინისტური მიზნების მისაღწევად.

ომში, თითქოსდა, „გამარჯვებულ“ აფხაზეთში აქტიურად გამოიცემა სხვადასხვა სახის ნაშრომები, რომელიც 1992-1993 წლების მოვლენებს შეეხება. მათი ანალიზი გვამძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ავტორთა უმთავრესი მიზანი სეპარატისტული პროპაგანდის მხარდაჭერაა და ისინი, ძირითადად, აყალბებენ მრავალსაუკუნოვან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა და აფხაზეთის ომის ისტორიებს. მათი სულისკვეთება, ფაქტობრივად, კიდევ უფრო აღრმავებს განხეთქილებას ჩვენს ერებს შორის. ამასთან, ზოგიერთი ავტორის მიერ გამოქვეყნებული

რამდენიმე ჩვენთვის აქამდე უცნობი დოკუმენტი ამაგრებს ქართული მხარის ზოგიერთ პრინციპულ საკითხს აფხაზეთში ომის ისტორიასთან დაკავშირებით.

მანანა კვაჭანტირაძე (თბილისი)

ლიტერატურათმცოდნეობა და ლიტერატურის ისტორია „ახალი ისტორიზმის“ კონტექსტში

1. „ახალი ისტორიზმი“, როგორც ჰუმანიტარული კვლევების ავანგარდისტული თეორია და პრაქტიკა, წარმოადგენს „მარქსისტული კრიტიკის სახესხვაობას“ (პეხტერი). ტრადიციული ლიტმცოდნეობისაგან განსხვავებით, იგი უარს ამბობს განსხვავების აღიარებაზე ლიტერატურასა და ისტორიას, ტექსტსა და კონტექსტს შორის; უარყოფს ლიტერატურის, როგორც კონტექსტისაგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ესთეტიკური სფეროს გაგებას და, შესაბამისად, ავტორსა და ნაწარმოებს, როგორც ავტონომიურ ერთეულებს. ყველა სხვა მიდგომასთან შედარებით, იგი უპირატესობას ანიჭებს ლიტერატურის სოციალური და იდეოლოგიური პროდუქტიულობის კვლევას.

ახალი ისტორიზმის ფუნდამენტური პრინციპებია: ისტორიის ტექსტურობა და ტექსტის ისტორიულობა, სინქრონია–დიაქრონიის ნაცვლად, ისტორიული წაკითხვების სუბიექტურობა და ა.შ.

2. ახალი ისტორიზმი ჩაანაცვლებს დეკონსტრუქციას და გამოდის, როგორც „იდეოლოგიის მწარმოებელი პროფესიული პრაქტიკა“ (ლუი მონროზი). იგი მთლიანად აუქმებს დისციპლინათმორის საზღვრებს ისტორიას, სოციოლოგიასა და კულტუროლოგიას შორის და ლიტერატურას აკუთვნებს მხოლოდ სამუშაო მოდელის როლს სოციალური კონტექსტის ასახსნელად. ლიტერატურის ისტორიის, როგორც ავტონომიური ისტორიულ-ლიტერატურული რიგის ნაცვლად, იგი გვთავაზობს ზოგადი კულტურული სისტემის მიერ შექმნილ სინქრონული ტექსტის კვლევას.

3. ისტორიზმის პრინციპის დამცველთა პოზიცია ეყრდნობა ისტორიის, მათ შორის, ლიტერატურის ისტორიის სტრუქტურულობისა და სისტემურობის აღიარებას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილებში; ლიტერატურის განვითარების გზის გააზრებასა და შეფასებას ეტაპობრივი ცვლილებებისა და ტრანსფორმაციების ფონზე.

ლიტერატურის ისტორია აღწერს ლიტერატურის შედარებით მდგრად და ცვალებად ესთეტიკურ-ჟანრულ ფორმებს დიაქრონულ ჭრილში, რაც ქმნის დროში ლიტერატურის ფუნქციური და ფორმალური ცვლილების სურათს. მხოლოდ ისტორიაში იცნობიერებს ლიტერატურა საკუთარ თავს, როგორც სოციალური, ფილოსოფიური, ჰუმანისტური და ესთეტიკური აზრებისა და ღირებულებების ავტონომიურ ენობრივ მთლიანობას, ნორმებისა და ტრადიციების ჯაჭვს, სპეციფიკური ინფორმაციის გადაცემის სისტემას, კომუნიკაციური პროცესების მარეგულირებელ ფაქტორს ადამიანთა სოციალურ, ინტელექტუალურ და კულტურულ ჯგუფებს შორის.

მაია კიკვაძე (ზათუმი)

სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლებისათვის თურქულენოვან ჯგუფებში

თურქულენოვან ჯგუფებში სირთულეს ქმნის სუბსტანტიური მსაზღვრელის სწავლება.

ქართულში ნათესაობითში დასმული სუბსტანტიური მსაზღვრელი მართულია საზღვრულისგან და გამოხატავს:

ა) კუთვნილება-დანიშნულებას (დედ-ის საჩუქარი, ბინ-ის ქირა), ბ) მიუთითებს მასალაზე, რისგანაც რამე მზადდება (ხის სახლი, ფაიფურ-ის კბილი).

თურქულშიც ნათესაობით ბრუნვაშია სუბსტანტიური მსაზღვრელი (oda-nın kapısı), მაგრამ უმეტესად სუბსტანტიური მსაზღვრელი ფუძის სახითაა. სწორედ ამის გაგება უჭირს თურქულენოვანებს. მათთვის გაუგებარია, რატომ **ბათუმ-ის** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როცა თურქულში **Batum Devlet Universitesi** მსაზღვრელი სიტყვა **Batum** ფუძის სახითაა. ამის ასახსნელად უნდა დავიხმაროთ იზაფეტური კონსტრუქციები თურქულში:

I იზაფეტი: მსაზღვრელი და საზღვრული ნულოვანი ალომორფითაა: **მ_0—ს_0**

გამოხატავს:

ა) ნივთიერებას, მასალას: **tas ev, mermer heykel...**

ბ) ტიტულს, წოდებას, პროფესიას: **bayan Ayse, profesör Maia, Sultan Murad...**

II იზაფეტი: **მ_0 —ს_III პ. კუთვნილ. სუფ.**

გამოხატავს:

ა) ზოგად კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას: **elbise dolab- 1, yatak odas- 1**

ბ) გეოგრაფიულ სახელებს, კვირის დღეებს, ჟურნალების, გაზეთების სათაურებს, დაწესებულებების, ორგანიზაციების სახელებს...**Batum Universitesi, „Sarke” derdisi, „Adjara” gazetesi...**

III იზაფეტი: **მ_ნათ. (in-in - ün -un) —ს_ III პ.კუთვნილ. სუფ.**

გამოხატავს:

ა)კონკრეტულ კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას: **babamin odasi...**

ბ) ნათესაურ კავშირებს : **Elenenin annesi, Hasanin amcası...**

გ) თანამდებობრივ, იერარქიულ ურთიერთობებს: **otelin müdürü, müdürünün yardımcısı**

დ) ნაწილის მთელთან მიმართებას: **odanın fenceresi, koltuğun ayağı...**

სუბსტანტიური მსაზღვრელებითაა გადმოცემული თურქულში იზაფეტური ჯაჭვიც: **Hasanın dedesinin akrabaları...**

ქართულში ეს ყველაფერი გადმოცემულია ნათესაობით ბრუნვიანი სუბსტანტიური მსაზღვრელებით. ამასთან, სუბსტანტიურ მსაზღვრელს სინონიმურ მეწყვილედ ერთსიტყვიანი წარმოქმნილი სახელი შეესატყვისება: **მასწავლებლ-ის ოთახი // სამასწავლებლო.**

ვლადიმერ კიკილაშვილი (თბილისი)

მცოცავი პოლიტიკა – რუსეთის ენობრივი პოლიტიკა კავკასიაში

რუსეთის ენობრივი პოლიტიკა სათავეებს იღებს XIX საუკუნის დასაწყისიდან. აქ უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ასპექტი: დროული და სივრცითი. ორივე ასპექტი მოიცავს თავის შიგნით რამდენიმე ძირითად დონეს.

დროული ასპექტის პირველი დონე – ეს არის სამხრეთ კავკასიის რუსიფიკაცია, კერძოდ, საქართველოში რუსული განათლების დამკვიდრება – პირველი საერო „რუსული სკოლა“ იხსნება სწორედ თბილისში.

შემდგომი ეტაპი მართლმადიდებლობის აღდგენის კომიტეტია, რომლის მიზანია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაყვანა რუსულ ღვთისმსახურებაზე.

ცალკე ყურადღების ღირსია ქართული დამწერლობის შეცვლის ცდები კირილიციით. აქ ორი ეტაპი უნდა გამოიყოს: პირველი - რევოლუციამდელი და მეორე - საბჭოური.

ანალოგიური ვითარებაა ჩრდილო კავკასიაში, რომელსაც იმ პერიოდისთვის არა აქვს საკუთარი დამწერლობა, თუ არ ჩავთვლით მეშვიდე-მეთხუთმეტე საუკუნეების დამწერლობას შესრულებულს ქართული გრაფიკით.

რუსული გრაფიკის დანერგვას მოჰყვა გარკვეული წინააღმდეგობა, მას დაუპირისპირდა არაბული დამწერლობა.

საბჭოთა პერიოდში რუსიფიკაციის გამტარებლებმა გამოიყენეს დაშვებული შეცდომა და ჩრდილო-კავკასიელ ხალხებს შესთავაზეს ლათინური ანბანი, რასაც მოჰყვა ათწლიანი დებატები და წინააღმდეგობა. საბოლოოდ, დებატებითა და რეპრესიებით დაღლილი კავასიელები დაითანხმეს „ნეიტრალურ კირილიცაზე“.

ზურაბ კვიციანი (თბილისი)

მითოლოგიური გადმოცემა წმ. მაქსიმეზე

ბერძნული წყაროებით ცნობილია, რომ წმ. მაქსიმე აღმსარებელი (582-662), გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, გადასახლებულ იქნა „ლაზიკაში“, სახელდობრ, ლეჩხუმში, სადაც მან ჰპოვა კიდევ აღსასრული. სიკვდილის შემდეგ ის წმინდანად იქნა შერაცხილი. მისმა მყოფობამ ლეჩხუმში დასტოვა კვალი მითოსისა და რიტუალის სახით, რომელიც სრულდებოდა XIX საუკუნის ბოლო ხანებამდე. მითოსის თანახმად, მაქსიმე არის მსხვერპლი, რომელიც ეწირება სოფელში სოციალური და ზნეობრივი წესრიგის აღდგენას. წესრიგის დამრღვევი და მაქსიმეს მკვლეელი (თუმცა უნებლიე), რომელიც აგრესიულად უპირისპირდებოდა მთელ სოფელს, გადაიქცევა მაქსიმეს მცნებათა მიმდევრად, ინანიებს დანაშაულს და მისი შთაგონებით აარსებს რიტუალს (ლაზარობის ანალოგიურს), რომლის მეშვეობითაც სოფელში ხდება დარ-ავდრის მართვა. მაქსიმეს მითოსი შეიცავს გავრცელებულ მითოლოგიებს და მოტივებს და, რაც მნიშვნელოვანია, მთელი თავისი შინაარსით წარმოადგენს რიტუალის (მისტერიის) დაარსების ანდრეზს. ამდენად, იგი საინტერესოა მითოსა და რიტუალის ურთიერთობის ზოგადი ასპექტით. მაქსიმეს მითოსი ადგილობრივი ლეჩხუმური წარმოშობისაა, საქართველოს სხვა კუთხეებში იგი უცნობია.

მედეა კინწურაშვილი (თბილისი)

განუსაზღვრელი პირის კონსტრუქციების სემანტიკა ფრანგულ და ესპანურ ენებში

განხილულია განუსაზღვრელი პირის კონსტრუქციების სემანტიკა ფრანგულ და ესპანურ ენებში. გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ განუსაზღვრელი პირის კატეგორია, როგორც ნებისმიერი გრამატიკული კატეგორია, ენაში არ არის წინასწარ მოცემული, არამედ მკვიდრდება ენის განვითარების პროცესში. ამგვარი კონსტრუქციების ფუნქციონირებას განაპირობებს გრამატიკული, ლექსიკური და კომუნიკაციური ფაქტორების ურთიერთქმედება. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამგვარი კონსტრუქციების გაერთიანება ფორმალური კრიტერიუმის საფუძველზე სრულად არ შეესაბამება ენობრივი კატეგორიების განვითარების თანამედროვე დონეს.

**აზრის გაგების პრობლემა პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში
(პინჩონის მოთხრობის - „ენტროპიას“ მიხედვით)**

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში განხილვის ერთერთი მეტად საინტერესო პრობლემაა მკითხველისა და ტექსტის ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც ზოგადად გაიაზრება, როგორც აზრის გაგების პარადიგმა. როგორ უნდა წავიკითხოთ და გავიგოთ ტექსტი, რომელსაც არ გააჩნია დასაწყისი, კულმინაცია ან ფინალი, ვინაიდან პოსტმოდერნისტულ ტექსტში რეციპიენტს პირდაპირი ფორმით არაფერი მიეწოდება. უმრავლესობა თანამედროვე ავტორების აცხადებს, რომ არაფერი იცის. შესაბამისად, ეს მკითხველზედაც ვრცელდება. მკითხველი ვერასოდეს იქნება ბოლომდე დარწმუნებული, რომ იგი სწორედ გაიაზრებს ავტორის მიერ მხატვრულად მოწოდებულ ინფორმაციას. პოსტმოდერნისტული ტექსტი ცდილობს წერისა და კითხვის პროცესს დაუბრუნოს “საწყისი ხიბლი”, რაც ხელს უწყობს მკითხველს ისიამოვნოს სპონტანური კითხვით და არ ეძიოს წინასწარ შეითხზნილი, დაგეგმილი ჭეშმარიტება, ათავის-უფლებს მას “ცოდნის მოპოვებისგან”.

თომას პინჩონის მოთხრობა “ენტროპია” ეხება პიროვნების დეზინტეგრაციის საკითხს ჩვენს თანამედროვე მასმედიაზე და მომხმარებელზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, რომელშიდაც შეუძლებელია გამოიტანო რაიმე აზრი. თხრობის პროცესში თანდათან იზრდება ქაოსის შეგრძნება. ადამიანის ცხოვრებაში ფარული, იდუმალი ჩანაფიქრების ძიებამ შესაზლოა იგი ნამდვილ პარანოიამდე მიიყვანოს, რაც თავისთავად ქმნის მისი არსებობის პარანოიულ მოდელს.

მკითხველი თითქოსდა მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში, მიჰყვება თხრობას, ცდილობს ახსნას ყველა საიდუმლო, გამოიცნოს მრავალი გამოცანა და რთული სიმბოლიკა, რათა ჩასწვდეს ავტორის ჩანაფიქრს.

პოსტმოდერნისტი მკითხველის მდგომარეობა ძლიერ წააგავს პოსტმოდერნისტული ტექსტის პერსონაჟის მდგომარეობას. მკითხველი როგორც პერსონაჟი ვერ პოულობს ვერანაირ ახსნას და თავს დაკარგულად და მარიონეტად გრძნობს. აზრის ძიებისას ის აღმოაჩენს, რომ მხოლოდ დაუცველი, სხვის მიერ მართვადი არსებია იმ ისტორიულ გარემოში, რომელსაც ის ვერასოდეს ჩასწვდება.

ანა კუპრავა-გოგოლაძე (თბილისი)

ზეპირი ისტორიები – კვლევის ალტერნატიული მეთოდი

ისტორიული კვლევის ეს მეთოდი ისტორიოგრაფიისთვის ჩვეული საარქივო და დამწერლობითი ფორმების ნაცვლად, ზეპირ ფორმას ემყარება და ტრადიციული ისტორიის მრავალფეროვანი გამოცდილებით გამდიდრებას ისახავს მიზნად. წარსულის მოვლენათა შემდგომ თაობებში ზეპირი ფორმით გადაცემის პრაქტიკა, ალბათ, ყველა ეპოქასა და კულტურაში არსებობდა, მაგრამ ზეპირი ისტორია, როგორც უშუალოდ კვლევის მეთოდი, 40-იანი წლებიდან იღებს სათავეს და შედეგია ისტორიის კვლევის და შენახვის ალტერნატიულ ფორმათა იმ ინტენსიური ძიებისა, რომელიც მე-20 საუკუნეში განხორციელდა. ზეპირი ისტორიის მეთოდმა უშუალო შესწავლის ობიექტად ისტორიის ტრადიციულ წერილობით წყაროებში ხშირად იგნორირებული, ჩვეულებრივი ადამიანების მოგონებები და მათი ცხოვრებისეული გამოცდილება გაიხადა. აქ ისტორიების შეგროვება ატარებს ინტერვიუს ფორმას, რომელიც მკვლევარსა და

ინდივიდის შორის იმართება (მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე მოგონება სტალინური პერიოდის რეპრესირებულთა შესახებ).

ფრანგი სოციოლოგის – მორის ჰალბვაქსის კოლექტიური მეხსიერების თეორიის თანახმად, მეხსიერება სოციალური ფენომენია და მის ფუნქციონირებასაც სოციალური ბუნება აქვს. კოლექტიური მეხსიერება განსხვავდება და ხშირად უპირისპირდება რეალურ ისტორიას. ის იმდენად არის ისტორიული, რამდენადაც თხზავს საკუთარ ისტორიას და იმდენადვე უპირისპირდება რეალურ ისტორიას რამდენადაც ცვლის არსებულ ფაქტებს. ჰალბვაქსი განასხვავებს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეხსიერებას.

ჰალბვაქსის თეორია გადაამუშავეს იან და ალაიდა ასმანებმა. იან ასმანმა კოლექტიური მეხსიერების ფარგლებში გამოყო კულტურული და კომუნიკაციური მეხსიერება. ამ ტიპის მეხსიერების ნიმუშს წარმოადგენს ერთი თაობის მეხსიერება, რომელიც ამ თაობის გაქრობასთან ერთად დავიწყებას ეძლევა. ასეთი სახის მეხსიერება დროში შეზღუდულია, კრიტიკული პერიოდი გარკვეული მოვლენიდან 40-50 წლის გავლის შემდეგ იწყება, ანუ თაობის თანდათანობით დაბერებასა და გარდაცვალებასთან ერთად. კომუნიკაციური მეხსიერება „განცდილ მეხსიერებას“ წარმოადგენს, რომელთა მფლობელები გარკვეული მოვლენების თვითმხილველნი არიან. ზეპირი ისტორიების ფენომენიც კომუნიკაციური მეხსიერების სფეროს განეკუთვნება.

ნესტან კუტივაძე (ქუთაისი)

ეთიკური პრობლემა შიო არაგვისპირელის ნოველისტიკაში

ცნობილი ქართველი პროზაიკოსის – შიო არაგვისპირელის სახელთან სამართლიანად არის დაკავშირებული ქართული ნოველის დამკვიდრება ეროვნულ მწერლობაში. არაგვისპირელის შემოქმედებაში კარგად შეერწყა ერთმანეთს ქართული მწერლობის ტრადიციები და ევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები, ძალზე საინტერესოდ რომ გადამუშავდა XIX-XX საუკუნეების მიჯნის არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში.

არაგვისპირელის თანამედროვე საზოგადოების მრავალმა საჭირობოროტო თემამ ჰპოვა ასახვა მის მინიატურებში, ესკიზებსა თუ ნოველებში ისევე, როგორც მის ერთადერთ რომან „გაბზარულ გულსა“ და ორიოდ პიესაში.

მცირე პროზისათვის ასე ნიშანდობლივი, ცხოვრებისეული ყოფითი დეტალები ესთეტიკურ ღირებულებას განსაკუთრებით მაშინ იძენს, როდესაც მწერლობა სოციალურ პრობლემატიკას წამოჭრის. ეს ასპექტი ხშირად ხდება გმირის სულიერი მდგომარეობის, მის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ფაქტორი და ასეთ ვითარებაში რამდენადმე გაფერ-მკრთალებულია ეთიკური საკითხი, რომელმაც თავისთავად არაერთ ვითარებაში შეიძლება იჩინოს თავი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შიო არაგვისპირელის მიერ სიყვარულის თემაზე შექმნილი ნოველების დისკურსი. თუ მწერლის ტექსტების ერთ ნაწილში აქცენტირებულია სოციალური საკითხი, სხვაში წინა პლანზეა წამოწეული ეთიკური ასპექტები. „მხრებილა ავიჩეყე“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ბალდი ყოფილხარ“, „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“ - ამ და სხვა ნოველებში ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსებისა და პლასტების ოსტატურად წარმოჩენით ავტორი პედალირებს ადამიანის ზნეობრივ დეგრადაციაზე და მორალურ პასუხისმგებლობასაც მთლიანად მას აკისრებს. აღსანიშნავია, რომ ნოველისტს გენდერული თანასწორობის თემაც არ რჩება მხედველობის არედან. ეს სწორედ ის საკითხი იყო, რომლის გამოც არაგვისპირელს მოპასუნის ეპიგონადაც აცხადებდნენ და აკრიტიკებდნენ არააქტუალური და ქართული სინამდვილისათვის არარელევანტური რეალობის თავს მოხვევის გამო (ივ. გომართელი...).

ეთიკური პრობლემა შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთ-ერთი კონცეპტუალური საკითხია და ვფიქრობთ, იგი კარგად წარმოაჩენს მწერლის ზნეობრივ მრწამსს.

გოჩა კუჭუხიძე (თბილისი)

„დავითიანის“ ერთი ლექსიკური ერთეულის განმარტებისათვის

დავით გურამიშვილი ქართველთა ერთ ნაწილზე წერს:

*„გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაჭასთან შექმნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი!“*

სიტყვები – „ყმად წაუვიდნენ ისასა“ მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. „ისა“, ერთ შემთხვევაში, განმარტებულია, როგორც იესო ქრისტე, სხვა შემთხვევაში – როგორც მაჰმადიანთა თიკუნი. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, გურამიშვილი ამბობს, რომ ზოგი ქართველი გამაჰმადიანდა და იესო ქრისტეს („ისას“) ჩამოშორდა.

მოხსენებაში ყურადღება იმ ფაქტზეა გამახვილებული, რომ ქართველები მაცხოვარს არასოდეს იხსენიებენ სახელით – „ისა“, მაცხოვარი ამ სახელით ყურანშია მოხსენიებული და იგი წარმოდგენილია არა როგორც ღმრთის ძე, არამედ როგორც ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. გურამიშვილისათვის იესო ქრისტე არის მამა ღმრთის ძე ღმერთი, ამიტომ ამკარაა, რომ პოემაში ყურანისეულ „ისაზე“, თუ შეიძლება ითქვას, ყურანისეულ პერსონაჟზეა ლაპარაკი და არა – ქრისტიანთა ღმერთზე, ან – მაჰმადიანებზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ გურამიშვილის ლექსიკონში „ისა“ უნდა განიმარტოს არა როგორც „იესო ქრისტე“, ან „მაჰმადიანთა თიკუნი“, არამედ დაახლოებით ამგვარი განმარტება უნდა დაიწეროს: „ისა – იესო ქრისტეს ყურანისეული სახელი, ყურანში სახარებისაგან განსხვავებულად წარმოდგენილი ქრისტეს სახელი“...

ეს სტრიქონი ამჟღავნებს, თუ როგორი ფსიქოლოგიური განწყობილება ჰქონიათ იმ ქართველებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ოფიციალურად ღებულობდნენ მაჰმადიანობას. რადგან ყურანი ამის უფლებას იძლეოდა, გამაჰმადიანებული ქართველები ახსენებდნენ „წინასწარმეტყველ ისას“, ლოცულობდნენ მასზე და ამით მაინც ინუგეშებდნენ თავს, რადგან უჭირდათ ქრისტიანობის დათმობა.

აქედანაც ჩანს გურამიშვილის ეპოქის ქართველთა ტრაგიზმი.

ციალა ლაგვილავა (ბათუმი)

კონცეპტი „სიკვდილის“ სემანტიკა თურქულ და ქართულ ფრაზეოლოგიაში

ჩვენი აზრით, შესიტყვებები თუ სხვა მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები შინაარსობრივი განსაზღვრულობის სპეციფიკურ, განსხვავებულ ფორმას წარმოადგენენ სიტყვიერთან შედარებით (ისინი არაა სიტყვის იდენტური) და უსაფუძვლოა მათი გაერთიანება სიტყვებთან ერთიანი სიტყვათველის ფარგლებში.

შინაარსობრივად დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფს, რომელიც ანაწევრებს, ანუ სიტყვებს გარკვეულ ექსტრალინგვისტურ მონაკვეთს და სიტყვებს შორის არსებული ურთიერთკავშირების საფუძველზე ქმნის ლექსიკის სტრუქტურულ ერთიანობას, "სიტყვათველს" ვუწოდებთ. სიტყვათველის დახასიათება შეიძლება, ერთი მხრივ, როგორც მთელისა, ხოლო, მეორე მხრივ,

მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებისა და ამ მნიშვნელობათა შორის არსებული მიმართებების მიხედვით.

ლექსიკის შესწავლა სიტყვათვლებების საშუალებით გულისხმობს მათ გამოყოფას და სიტყვიერი მნიშვნელობების საფუძველზე მასში მოქმედი დანაწევრების პრინციპების (თვალსაზრისების) დადგენასა და ანალიზს, ე.ი. ემპირიული კვლევის პირველ ეტაპზე, საქმე ეხება სიტყვათვლის გამოყოფის კრიტერიუმს მთელი ლექსიკიდან, რომელიც მდგომარეობს შინაარსობრივად ახლომდგომ სიტყვათა ჯგუფების დადგენაში. შინაარსობრივი ახლომდგომა განისაზღვრება მათი მიმართებით საერთო სუბსტანციურ ზონასთან, რომელიც აკავშირებს სიტყვათმნიშვნელობებს და არის საფუძველი სტრუქტურული მთლიანობის ველის აგებისა.

ჩვენ შემთხვევაში სემანტიკური თემა არის მიმართება "სიცოცხლის შეწყვეტის" სუბსტანციურ ზონასთან — კონცეფცი "სიკვდილი" თურქულსა და ქართულ ფრაზეოლოგიაში.

სიტყვის მნიშვნელობა არ არის იგივეობრივი საგნობრივი ვითარებისა, იგი არ არის ის, რისი სიგნიფიკაციაც ხდება (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), არამედ არის ის, თუ როგორ ხდება ეს სიგნიფიკაცია. ეს "როგორ" შეპირობებულია, აგრეთვე, იმითაც, რომ კონკრეტულ ენებში ადგილი აქვს საგნობრივი ვითარების ამსახველ საერთო, ერთნაირი სემანტიკური ნიშნების თავისთავად კომბინატორიკას და იმ შემთხვევაში, როცა კომბინატორიკაც თანხვედრა ერთმანეთს, სხვადასხვა ენის შესაბამისი მნიშვნელობები მაინც განსხვავდებიან როგორც მთელი (არა უბრალოდ ნაწილების ელემენტარული ჯამი) თავიანთი სტრუქტურულ-სემანტიკური ადგილის მიხედვით სიტყვათვლეში.

**ალექსანდრე ლაშხი (თბილისი),
ეკატერინე ჩხარტიშვილი (ბათუმი)**

ქართული ლექსწყობის ზოგიერთი პარამეტრის გამოთვლა კომპიუტერული მოდელებისა და გრაფიკული აგებების საშუალებით

ოთხი ათეული წელია, რაც კომპიუტერული, სტატისტიკური და ექსპერიმენტული ანალიზის მეთოდები გამოიყენება ლექსმცოდნეობაში. ქართულ ლექსმცოდნეობაში ამგვარ კვლევებს საფუძველი ჩაუყარა გ. წერეთელმა (1973წ). შემდგომი კვლევები უკავშირდება ა.სილაგადის სახელს (1987წ). ამ მხრივ საეტაპოა გ. თევზაძის გამოკვლევები (1996-1999), რომლებმაც პრობლემის კვლევა მათემატიკურ ჩარჩოებში მოაქციეს. გ. თევზაძის ნაშრომები საინტერესოა იმითაც, რომ მან ლექსმცოდნეობის კვლევები კომპიუტერულ-პროგრამულ პრინციპებს დაუკავშირა.

მოხსენების მიზანია:

• ქართული ლექსის ძირითადი პარამეტრების (სტროფი, ხაზი, სიტყვა, მარცვალი, ასო, სიმბოლო) თანაფარდობები და მათი დათვლა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;

• პოეტური ტექსტის კვლევის ანაგრამული პრინციპი;

• ტექსტის კვლევა მარცვლობრივი წყვილების საშუალებით;

• პოეტურ ნაწარმოებში მარცვალთა მონაცვლეობაზე დამყარებული გარკვეული ჰარმონიის წარმოშობა, რაც მეტ-ნაკლებად ინდივიდუალურია პოეტისათვის;

• მუსიკალური ტექსტის კვლევა სანოტო წყვილების საშუალებით.

• შედგენილია კომპიუტერული პროგრამები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანის შესასწავლად, რაც იძლევა საშუალებას დადგინდეს ლექსისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორი და შექმნის პერიოდი, აგრეთვე ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი.

**პოსტმოდერნული კულტურა:
ჰიპერრეალისტური სიმულაცია და სიმულაკრები**

თანამედროვე სამყაროში კულტურათა დიალოგზე ბევრს საუბრობენ. იქნება ეს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ფილოსოფიის თუ სხვა სფეროში. თუმცა ამათ შორის ყველაზე მეტყველ ფუნქციას მე ხელოვნებას მივანიჭებდი. ხელოვნებას ყველაზე მეტად შეუძლია ალაპარაკოს ადამიანთა ყოფიერება, ის შეიძლება იყოს დროის მიღმაც და დროშიც (მაგრამ არასოდეს დროს ჩამორჩენილი). ამიტომ არის ხელოვნება მარადიული, ამიტომ არის იგი ყველასთვის ყოველთვის ღირებული. ხელოვნება ხომ თავად თავისუფლებაა. ის ერთგვარი გზაა – საკუთარი არჩევანით, თავისუფალი მოქმედებითა და ამ მოქმედებებზე პასუხისმგებლობებით სავსე. ხელოვნებისთვის თვითცნობიერების შემეცნება უკვე კრეაციას უდრის.

რა არის თანამედროვე ხელოვნება და სად უნდა ვეძებოთ ჰიპერრეალიზმის ფილოსოფიური საფუძვლები? თავად რეალიზმი ბადებს ჰიპერრეალიზმს თუ აბსტრაქციონიზმსაც მიუძღვის თავისი წილი მის არსებობაში. ყველაზე მნიშვნელოვნად ამგვარი ხელოვნების მიმართ ადამიანის დამოკიდებულების შესახებ საკითხი მიმაჩნია. თანამედროვე გლობალურ, მულტიკულტურულ, სიურეალისტურ სამყაროში ჰიპერრეალიზმი ადამიანის ფიქრების, აზროვნების ფანტაზიის და წარმოსახვის საყრდენად გვევლინება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პოსტმოდერნულ სამყაროს ხელოვნების მიერ შექმნილი ახალი აბსოლუტი უკვე აღარაფერში ჭირდება.

თეთრი ფერის გააზრება ტერენტი გრანელის პოეზიაში

მხატვრული ნაწარმოები, როგორც ერთგვარი პოტენციური სტრუქტურა, აღქმის, ინტერპრეტაციის შედეგად რეალიზდება. ლიტერატურა გარკვეულ ნიშანთა სისტემა და რეცეფციაც სწორედ იმ ნიშნებს უნდა ემყარებოდეს, რომლებიც თავად ტექსტშია მოცემული. მნიშვნელოვანია, როგორც მთელი ტექსტის, ასევე მის სხვადასხვა ნიშანთა დეკოდირება. ტექსტის ერთ-ერთი ამგვარი ელემენტია ფერი.

ფერებთან დამოკიდებულება, მათი მნიშვნელობა, რომელიმე ფერისათვის უპირატესობის მინიჭება განპირობებულია ერის ტემპერემენტით, ტრადიციებით, ესთეტიკური ნორმებით, რელიგიური მსოფლმხედველობით, ბუნებით, ინდივიდის ხასიათით, სოციალური სტატუსით, განათლების დონით და ა. შ.

ფერი შეიძლება განვიხილოთ: სემანტიკური, სიმბოლური, ფსიქოლოგიური თუ სხვა თვალსაზრისით.

ფერს, როგორც გამოსახვის მრავალფუნქციურ საშუალებას, აქტიურად იყენებს ხელოვნების სხვადასხვა დარგი, მათ შორის, ლიტერატურაც. აზრობრივი თუ ემოციური დატვირთულობის თვალსაზრისით, ფერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოეზიაში. იგი სამყაროს აღქმის თავისებურებას, ავტორის სტილს, შემოქმედებით ინდივიდუალობას გამოხატავს.

ამიტომაც საინტერესო სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში გამოყენებულ ფერებზე დაკვირვება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას შევაჩერებთ ტერენტი გრანელის პოეზიაში თეთრი ფერის სიმბოლურ დატვირთვაზე, გავიაზრებთ მას ფსიქოლოგიური ასპექტით. ძირითადად

დავეყრდნობით ფერის შესახებ: გოეთეს, კანდინსკის, ტერნერის, ლუმერის თეორიებს, თუმცა, გავითვალისწინებთ სხვა შეხედულებებსაც.

ვფიქრობთ, ტერენტი გრანელთან თეთრი ფერისგააზრება მისი შემოქმედების ახალი კუთხით აღქმის საშუალებას მოგვცემს.

თამარ ლეკვეიშვილი (თბილისი)

**ირანელი ისტორიკოსის მოჰამმად ქაზემის ცნობა XVIII საუკუნის საქართველოს შესახებ
(„თაჰმურაზ მირზას ქალიშვილის ხელში ჩაგდება“)**

ნადირ-შაჰ აფშარის ეპოქა (1736-1747) უმნიშვნელოვანესი პერიოდია არა მხოლოდ ირანის, არამედ მთელი შუა აზიის ისტორიაში.

მოჰამმად-ქაზემი (დ. 170-21) არის ირანელი ისტორიოგრაფი, რომელიც XVIII საუკუნის ირანის შესახებ საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მისი ისტორიული თხზულება „ალემარა-იე ნადერი“ („ნადერის [მიერ] ქვეყნის დამშვენების [ისტორია]“), შედგება სამი წიგნისგან და მოიცავს ცნობებს ამ პერიოდის საქართველოს შესახებაც.

როგორც ქართული და უცხოური წყაროებიდანაა ცნობილი, თეიმურაზ II-ის ქალიშვილი, ქეთევანი მიათხოვეს ნადირ-შაჰის ძმის შვილს, ალი ყული-ხანს. ამ საკითხზე მოჰამმად ქაზემიც წერს. მას საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი არა მხოლოდ ქორწილის ეპიზოდი, არამედ თვით ცოლ-ქმრის პირველი დამეც კი. მაგრამ ერთ-ერთ თავში მოჰამმად ქაზემი უკვე თეიმურაზის სხვა ქალიშვილს ახსენებს, რომელიც თეიმურაზ მეფეს ჯერ გადაუმაღლავს, ხოლო შემდეგ ნადირ-შაჰისთვის მიუცია, რის შემდეგაც თეიმურაზისთვის და სხვა ქართველი დიდებულებისთვის ირანის შაჰს გარკვეული მიწები უბოძებია.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ თეიმურაზ II-ს ქეთევანის გარდა კიდევ ჰყვავდა ორი ქალიშვილი - ანა და ელისაბედი. ანა დიმიტრი ორბელიანის ცოლი იყო, ხოლო ელისაბედი - ჯერ გიორგი ამილახვარისა და შემდეგ კაცია დადიანის.

ქაზემის თანამედროვე ქართველ ისტორიოგრაფებთან არ ვხვდებით ინფორმაცია თეიმურაზის კიდევ ერთი ქალიშვილის შესახებ. ასევე, არაა ნახსენები ამგვარი რამ მირზა მაჰდი ხან ასთარბადისთანაც, რომელიც, ასევე, ნადერ-შაჰის თანამედროვე მემატანეა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ მოჰამმად ქაზემის ერთ ცნობას (სპარსულ ტექსტსა და მის ქართულ თარგმანს, რომელიც აქამდე არ ყოფილა თარგმნილი) ქართული წყაროთმცოდნეობისთვის უცნობი საკითხის შესახებ.

ვახტანგ ლიჩელი (თბილისი)

**ცენტრალური ამიერკავკასია ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში
(ახალი აღმოჩენები გრაკლიან გორაზე)**

გრაკლიანი გორა არის მრვალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლში (კასპის მუნიციპალიტეტი). აქ დადასტურებულია ათი კულტურული ფენა პალეოლითიდან – ვიდრე გვიანანტიკუტი ხანის ჩათვლით. რიგ შემთხვევაში კულტურული ფენებში გამოიყოფა ჰორიზონტებიც. მაგალითად, ადრე რკინის ხანის ფენაში (V ფენა) გამოიყოფა ორი ჰორიზონტი: 5 - ძვ.წ. VIII-VII

საუკუნეები და 5 - ძვ.წ. VI საუკუნე. 5 ჰორიზონტი წარმოდგენილია საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობებით, აგრეთვე სამარხებით; ხოლო 5 ჰორიზონტი კი – საკურთხევლით.

ასევე, VI ფენაში (ძვ.წ. V-IV საუკუნეები) ჯერ-ჯერობით გამოიყოფა სამი ფენა: 6 – ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარი; 6 – ძვ.წ. V საუკუნის მიწურული - ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისი; V8 - ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი. ეს, ანუ VI ფენა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან შეიცავს აქემენიდურ სამყაროსთან ურთიერთობის ამსახველ მასალას.

იმისათვის, რომ შევავსოთ გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი აქემენიდური პერიოდის არქეოლოგიური მასალის სამეცნიერო მნიშვნელობა, გასათვალისწინებელია მთელი ამიერკავკასიის ის არქეოლოგიური კონტექსტი, რომელიც ძვ.წ. V-IV საუკუნეებს განეკუთვნება. პირველ რიგში, ეს არის ე.წ. „აქემენიდური სასახლეები“, რომლებიც აღმოჩენილია როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე, ცხადია, აღმოსავლეთ ანატოლიაში. მეორე ნიუანსი, რომელიც ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, არის ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. V-IV სს-ის ნამოსახლარები აქამდე უცნობი იყო და შესაბამისად, ამ პერიოდის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების შეფასება ხდებოდა მხოლოდ სამაროვნების მასალისა და ერთი ნამოსახლარის – ხოვლე გორის ერთი ფენის მიხედვით. გრაკლიანი გორის გათხრებმა ტოტალურად შეცვალა ცენტრალური ამიერკავკასიის და კერძოდ, იბერიის ურბანული განვითარების არსებული სურათი, განსაკუთრებით, ეკონომიკის, კულტურისა და ქალაქგეგმარებითი ისტორიის თვალსაზრისით. დადგინდა, რომ ამ ხანაში ქართლის მოსახლეობა ეწევა აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას (ლითონისა და კერამიკული წარმოება), საკმაოდ ინტენსიურად ითვისებს საცხოვრებელ ფართობს (რაც ნაგებობათა განლაგების სიმჭიდროვეში აისახა) და სამოსახლოთა არეალში – გარდა საკულტო შენობებისა – იყენებს ღია ტიპის საკურთხევლებს ცეცხლთან დაკავშირებული კულტის შესასრულებლად.

ირინა ლობჯანიძე (თბილისი)

სასრული პოზიციის მორფოლოგიური ანალიზი და ზმნური პარადიგმის გენერაცია

აგლუტინაციური ენების კომპიუტერული მოდელირების დროს ხშირად ხდება სასრული პოზიციის ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგულარული სიმრავლეების ასახვას კონკრეტული ენის მოდელირების დროს. ქართული ენის სტრუქტურა ნარევი ხასიათისაა, იგი არ ექვემდებარება აგლუტინაციის ყველა პრინციპს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ზმნური პარადიგმის შესაძლებლობები.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სასრული პოზიციის მეთოდების, კერძოდ, ქსეროქსის სასრული პოზიციის ტექნიკური საშუალებების (xfst-სა და lex-ის) გამოყენება ქართული ზმნური პარადიგმის გენერაციისათვის. მორფოსინტაქსის დონეზე ქართული ზმნური პარადიგმის ძირითად სირთულეს მორფემათა შორის გრძელ-კავშირიან დამოკიდებულებათა არსებობა წარმოადგენს. აღნიშნული კავშირების მოდელირებისათვის ქსეროქსის კალკულუსი იყენებს ე.წ. დიაკრიტულ ნიშნებს (flag diacritics). აღნიშნული ნიშნები უზრუნველყოფენ გრძელ-კავშირიან დამოკიდებულებათა დამახსოვრებასა და გენერაციას.

მოხსენების სტრუქტურა შემდეგია: 1. თანამედროვე ქართული ენის ზმნური პარადიგმების ზოგადი მიმოხილვა სასრული პოზიციის ტექნიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით; 2. მორფოლოგიური ანალიზატორის ზმნური მოდულის ზოგიერთი ბლოკი; 3. მორფოლოგიური

ანალიზატორის ტესტირების შედეგები, შეცდომების ანალიზი და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივა.

ნანა ლომია (თბილისი)

ძირითადი ემოციების გამოხატვის თავისებურებები იტალიურ მხატვრულ ტექსტში

კომუნიკაციის დროს ემოციების გამოხატვა არა მარტო ადამიანის ორგანული რეაქციაა, არამედ ის, ასევე, მოტივირებული ზემოქმედებაა, რომელიც წარმართავს და ბიძგს აძლევს აღქმას, აზროვნებასა და ადამიანის ქცევას. ემოცია რთული მოვლენაა და აერთიანებს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს: ემოციურ მდგომარეობასა და ემოციურ რეაქციას. ემოციები ადამიანის ემოციურ მდგომარეობაში ვლინდება, რომლებსაც თავის მხრივ ემოციურ რეაქციაში გააჩნია ანალოგი. არსებობს ძირითად ემოციათა კლასიფიკაციის სხვადასხვა ტიპები. ჩვენ ვეყრდნობით კ. იზარდის კლასიფიკაციას და მის მიერ გამოყოფილი ათი ემოციიდან საინტერესოდ ჩავთვალეთ ისინი, რომელთა აღწერა ყველაზე ხშირად ხდება მხატვრულ ნაწარმოებებში. ესენია: სიხარული, მწუხარება/დარდი, რისხვა, შიში, შეძრწუნება, სირცხვილი, ზიზღი, სიძულვილი. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თვისებრივად განსხვავებულ ემოციებს შეიძლება ერთნაირი ემოციური რეაქცია მოჰყვეს.

ჩვენი კვლევის საგანია XX საუკუნის იტალიელ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის შედეგების შედარება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მონაცემებთან იმ მიზნით, რომ გამოვავლინოთ იტალიურ მხატვრულ დისკურსში ძირითადი ემოციების გამოხატვის თავისებურებების მრავალფეროვნება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მკითხველზე სტილისტური ზემოქმედების თვალსაზრისით.

ლიანა ლორთქიფანიძე, ლიანა სამსონაძე, ანა ჩუტკერაშვილი (თბილისი)

ქართული წინადადების სინტაქსური ანალიზატორი

მოხსენებაში განხილული იქნება ქართული ენის ავტომატური სინტაქსური ანალიზატორი. ეს პროგრამა განკუთვნილია ქართულენოვანი ტექსტების ავტომატური სინტაქსური მონიშვნისთვის. მასში რეალიზებულია ქართული ენის მოდელის როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური დონე.

პროგრამას შესავალში მიეწოდება ტექსტური კორპუსი. მომხმარებელი გამოსავალში ლებულობს წინადადებებზე დაყოფილ ტექსტს, სადაც თითოეულ სიტყვაფორმას მიწერილი აქვს მისი ამოსავალი ფორმა, გრამატიკული და სინტაქსური მახასიათებლები. სიტყვაფორმის სინტაქსურ მახასიათებელს განაპირობებს ის მიმართებები, რომლებითაც სიტყვაფორმა დაკავშირებულია წინადადების სხვა წევრებთან. სინტაქსური აღწერისას ჩვენ ვიყენებთ უშუალო შემადგენლების ხის და სინტაქსური როლებრივი სტრუქტურების აღწერას.

სინტაქსური გარჩევის ხე წარმოდგენილია სიტყვებს შორის ბინარული ურთიერთორიენტირებული კავშირებით. თითოეულ კავშირში მოცემულია *მშობელი სიტყვა* და *მემკვიდრე სიტყვა*. იმისათვის რომ შედეგად მიღებული გრაფი იყოს სინტაქსური გარჩევის ხე, დაცულია სინტაქსური ხის სტრუქტურირების წესები. ამ წესებზე დაყრდნობით და ქართული ენის სინტაქსური კავშირების წესების გათვალისწინებით შევადგინეთ წინადადებაში ყველა შესაძლო სახის კავშირებისა და სტრუქტურებისათვის ურთიერთმიმართების როლებრივი სინტაქსური კავშირების აღწერა ცხრილის სახით. აღნიშნულ ცხრილს შეგვიძლია ვუწოდოთ „ქართული ენის სინტაქსური როლებრივი სტრუქტურების ლექსიკონი“ (აღვნიშნოთ GLSRSV). ლექსიკონის ერთე-

ულში შედის: განხილულ სინტაქსურ კონსტრუქციაში *მემკვიდრე სიტყვის* სინტაქსური როლის სახელწოდების მარკერი (აბრევიატურა), შესაბამისი *მემკვიდრე სიტყვის* სინტაქსური როლის მარკერი, შესაბამისი *მშობელი სიტყვის* სინტაქსური როლის მარკერი, *მემკვიდრე სიტყვის* მორფოლოგიური მახასიათებლები და სხვ.

ტექსტური კორპუსის სინტაქსური ანოტირების სისტემა შედგება რამდენიმე მოდულისაგან: გრაფომეტრული ანალიზატორი, მორფოლოგიური ანალიზატორი, GLSRSV ლექსიკონი, სავარაუდო სინტაქსური ხეების კონსტრუქტორი. მოხსენებაში განხილული იქნება ამ მოდულების ურთიერთკავშირის ალგორითმზე აგებული პროგრამის მუშაობის პრინციპები და წინადადების ავტომატური გარჩევის მაგალითები.

სოფიკო ლორთქიფანიძე (ბათუმი)

არჩილი: „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“

არჩილის მხატვრულ-შემოქმედებით კონცეფციაში საგანგებო ადგილი უჭირავს „მართლის თქმის“ პრინციპს. სწორედ მასზეა აგებული არჩილის პოემა „მეფეთა საქებელნი“, სადაც მეფე-პოეტი ისტორიული სიზუსტით, მოკლედ და კონკრეტულად მოგვითხრობს მეფეთა შესახებ.

თავდაპირველად ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლება, მოიხსენიებსწარმართმეფეებს, ამბობს, რომ ისინი არ იცნობდნენ ღმერთს, თუმცა „საქმით კეთილნი“ და „მდაბლის გულითა“ იყვნენ.

არჩილის ქების ობიექტში მოხვდნენ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე. დავითის სახასიათოდ ავტორი იყენებს შემდეგ ეპითეტებს: „დამამშვენებელი“, „ბრძენთ შეხმობილი“, „ხორცით უმანკო“, „სულით სპეტაკი“, რომლის მსგავსიცარავინ ეგულება. თამარ მეფეს კი ღმერთს ადარებს, რაც საკმარისია იმისთვის, რომ გავიგოთ მისი დამოკიდებულება ქალი მეფისადმი.

ნაწარმოებში მეფე-პოეტი საკუთარ განცდებზეც საუბრობს და მწვავედ განიცდის სამშობლოსგან მოშორებით ყოფნასა და ნოსტალგიით გამოწვეულ აუტანელ გრძნობას. ბრძოლის ველიდან გაქცევასა და უცხოეთში გადახვეწას კი იგი სხვა მეფეთაგან განსხვავებითიძულებად მიიჩნევს და არა ნებაყოფლობით გადადგმულ ნაბიჯად. აქვე დასძენს, რომ უთავბოლო ხეტიალით „აღვირჩიე მე სამარე“ და „ყოვლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსახმარედო“.

სწორედ ამ საკითხებზე იქნება გამახვილებული ყურადღება მოხსენებაში, რომელშიც შევეცდებით გავანალიზოთ საუკუნეების წინ მეფე-პოეტის მიერ გაკეთებული შეფასება დიდებულთა ამა ქვეყნისათა მიმართ.

შორენა ლორთქიფანიძე (ბათუმი)

ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები ზურაბ გორგილაძის პოეზიაში

ენა მუდმივად ცვალებადი კატეგორიაა, მასში ჩნდება ახალი ლექსიკური ერთეულები, მდიდრდება ლექსიკური ფონდი. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ მხატვრული ლიტერატურის როლი, რომელიც არის ასპარეზი უამრავი ახალი ფორმისა, რომლებიც, შესაძლოა, დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში, მის კუთვნილებად იქცეს.

ნეოლოგიზმებად იწოდება ის ახალი სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იქცნენ შესატყვისი ცნებების შესაბამის დასახელებებად, შეინარჩუნეს სიახლის ელფერი და ჯერ კიდევ არ მოხვედრილან ლექსიკონებში. ადამიანებიც ჯერ არ არიან შეჩვეულნი ამ „სიახლეს“.

ჩვენი კვლევის საგანია ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმების შესწავლა ზურაბ გორგილაძის პოეზიაში. აქვე შემოდის ოკაზიონალიზმებიც. თუ სიტყვა შეიქმნა რაიმე შემთხვევის გამო, კონკრეტული კონტექსტისთვის, მას **ოკაზიონალური** ეწოდება (ლათ. casus- შემთხვევა).

ზ. გორგილამის ხალას პოეტურ ნიჭზე მეტყველებს სიტყვაქმნადობის იშვიათი ნიმუშები, რომელთაც პირობითად ასე ვაჯგუფებთ:

I. ნეოლოგიზმები, რომელთა შექმნაც განპირობებულია რითმით: *ნაოქროვარი* (მგლოვარს ერთიმება); *შემესისხლთაგანა, შემეხორცთაგანა* (ერთიმება ტაგანას); *მივდინდები* (ზინდები); *სხივტოტა* (მივდოდა).

II. ზოგი ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნას ალიტერაცია უნდა ედოს საფუძველად: *ზურნის ზუნზლი, ხვართქლი ხვართქლებს; შემომეფართქალა... ლოფორთქანა; საფორჩხელას ჩონჩხლო ჯაგები, ჟანგნაფლეთი ჟამი, ხვარჩი ... ხარჯი, ფურტკნავს ფუნჯი ...*

III. ზოგი სიტყვა მიღებულია სხვა სიტყვათა ანალოგიით: ხელისგული/ *უბეგული*,

IV. ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა არცერთი ზემოდასახელებული ფაქტორით არაა შეპირობებული: *ფერთაგორი, თოთოშა...* მეტად საინტერესოა ნასახელარი ზმნები (*გვანგაშებ, ვიძინარე, ბალიშდება, იპრინცება, იძღვენება, ნიაღვარდება, ზნეობს, გადაუკუნდა, ვაფარდაგებ*), *საწყისები (გამჩუმარება, გამდუმარება)* და კომპოზიტები (*ჭვავტოტა, კოჭბორჯგალა, ქვალვენთება, ბედბღვიალა, წელწაფრენილი, ფეხმსუბუქი*).

პოეტურ-ინდივიდუალური ნეოლოგიზმები მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა და მწერლის ან პოეტის შემოქმედებითი ნიჭის, მისი მხატვრული პოტენციალის საზომია.

მანუჩარ ლორია (ბათუმი)

მრავალთნიკური საქართველო

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ანთროპოლოგიური ფილმების შექმნის პროცესს დააჩქარა და აქცია წარმოების ნაწილად, და გვამცნო, რომ ფილმი არის მეცნიერული ტექსტის პრინციპულად ახალი, ნოვატორული სახე. სხვადასხვა ვიზუალური მასალის გამოყენებამ ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში საფუძველი დაუდო ვიზუალური ანთროპოლოგიის ჩამოყალიბებას. ვიზუალური ანთროპოლოგია ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მიმართულებაა, რომელშიც თავმოყრილია სახელოვნებო, სოციალური და ჰუმანიტარული დარგები. ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანია ეთნოგრაფიული ფოტოების, ჩანახატების, ფილმების შექმნა და ანალიზი. გამოჩენილი ამერიკელი ანთროპოლოგი მ. მიდი წერდა: „ვიზუალურ ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს კულტურის აუდიოვიზუალური დოკუმენტაცია და ანალიზი... ვიზუალური მასალები, რომლებიც ინარჩუნებენ დროის რეალობას, წარმოადგენენ ახალი ჰიპოთეზის აღუწერელ წყაროს“.

ნაშრომში ვიზუალური ანთროპოლოგიის გამოყენებით პირველადაა მთლიანობაში წარმოდგენილი ქართულ ფილმებში ასახულ მულტიეთნიკური საქართველო. კერძოდ 2007 წელს გადაღებული 9 დოკუმენტური ფილმი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების – სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ბერძნების, ქურთების, ქისტების, უდიების, უკრაინელების, ოსების ეთნოისტორიისა და კულტურის შესახებ. დოკუმენტური ფილმების ციკლი მოამზადა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USID) და განახორციელა საქართველოს გაეროს ასოციაციამ.

ანთროპოლოგიური კვლევის პროცესში სათანადო ვიზუალური მასალის გამოყენება (საველე-ეთნოგრაფიულ მასალებთან თუ წერილობით წყაროებთან შედარების გზით) საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ამ კუთხით, ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის პრინციპების დანერგვა თანამედროვე ქართულ ეთნოლოგიაში/ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

**მორფოლოგიისა და ფონოლოგიის პრიმატი
ბრუნვის ნიშანთა ალომორფების დისტრიბუციის ბრუნვის სისტემაში**

ცნობილია, რომ ენებს აქვთ ფონემათა შეერთების ძირითადი სინტაგმატური მოდელები, რომლებიც არეგულირებენ სიტყვაში ფონემათა განაწილებას. ამავე დროს, ენებს აქვთ მორფოლოგიური დონის მოდელებიც მორფემათა არანაწილების საკუთარი წესებით. ფონემატური წესები გამოიყვანება მორფემის ფარგლებში, რადგან საზღვარი ემორჩილება მორფოლოგიის კანონებს, შიგნით კი ფონემატური კანონზომიერებაა. ხშირად სიტყვაში მორფემათა და ფონემათა განაწილების წესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, ამიტომ ენა მიმართავს მორფონოლოგიურ ცვლილებებს.

საინტერესო სურათი იკვეთება ბრუნვის სისტემაში ალომორფთა რეალიზაციისას ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ მოდელთა პრიმატზე დაკვირვების შედეგად ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. დიალექტების მონაცემთა შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იქ ბრუნვის ნიშანთა ალომორფები მრავალი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი და მათი დისტრიბუცია რიგ შემთხვევებში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ წესებს ემორჩილება. მაგ.: მორფოლოგიური მოდელი უცვლელადაა რეალიზებული (ფონემატური დაწოლის გარეშე): იმან მოიტანა *შემა-ი* (ქართლური), მერე იკლო *ტყე-მა* (გურული), *ქალ-მან* უთხრა (ჯავახური), *რუ-ის* დასახვეტათ თოკი გვაქვს (კახური) და სხვ.; ზოგჯერ პრიმატი ეკუთვნის ფონოლოგიას: ნაოფლარს *ჯვარ-შ* დაგვიწერი (ხევსურული), იქნებ ან *წყალ-შ* წაილოო (ფშაური), გავიდა ქალი და ემახის *ქმარ-შ* (კახური) და სხვ.

მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ მოდელთა პრიმატის, მათი უპირატესობის წარმოჩენის შემაპირობებელ ფაქტორებზე დაკვირვება. შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებანი მოდელთა გაფართოება-დავიწროების თვალსაზრისითაც.

ნანა მაზმიშვილი, ნინო აროშიძე (ბათუმი)

საკვების თემატიკაზე აგებული იდიომებით დანახული ქართული და ინგლისური კულტურა

*„ჩვენი კვების ისტორია ჩვენი ისტორიაა“.
Wilson*

იდიომები წარმოადგენს ერის კულტურული ცხოვრებისა და ისტორიის გამოსახვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას იმდენად, რამდენადაც თითოეული იდიომი, ჩვეულებრივ, ერის ისტორიის რომელიმე კონკრეტულ პერიოდში იბადება, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი შემთხვევისა თუ მოვლენის საფუძველზე, რაც მხოლოდ ამ ერთან ან ქვეყანასთან ასოცირდება.

კონკრეტული ერის მატარებელი ერის სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების განსაკუთრებულობისა თუ ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ყოველდღიური ცხოვრების შესახებ მეტად მკაფიო მინიშნებას, საკვების თემატიკაზე აგებული სხვადასხვა ლექსემის შემცველი იდიომები იძლევიან, შეიცავენ რა მსგავსი კატეგორიის იდიომები ინფორმაციას კვების რაციონის სპეციფიკის, საკვების ტიპისა თუ ოდენობის, საკვების მიღების პროცესის თავისებურებების შესახებ.

სხვადასხვა კულტურაში არსებული საკვების თემატიკაზე აგებული იდიომების კვლევის შედეგები, ერის ყოფიერებისთვის დამახასიათებელი როგორც უნიკალური, ისე უნივერსალური ნიშნების შესახებ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. სხვადასხვა საკვების

სახელწოდების შემცველი ინგლისური და ქართული იდიომების შესწავლა ინგლისური და ქართული საზოგადოების საერთო და განმასხვავებელი ყოფიერების ნიუანსების მკაფიო სურათს იძლევა.

ელგუჯა მაკარაძე (ბათუმი)

ისტორიული პოეტიკის საგანი და მეთოდი

თანამედროვე ლიტერატურის თეორიაში ისტორიული პოეტიკის ცნება რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება, კერძოდ:

1. ლიტმცოდნეობის დარგია, რომელიც სწავლობს მხატვრული აზროვნების წარმოშობასა და განვითარებას კონკრეტული ჟანრის საზღვრებში;

2. წარმოადგენს გარკვეული მეთოდოლოგიური პრინციპებისა და კვლევის სტრატეგიების სისტემას;

3. შეისწავლის დამწელობამდელ სიტყვიერებასა და მითოლოგიას

4. შუალედური რგოლია ლიტერატურის ისტორიასა და თეორიას შორის, აღწერს ლიტერატურის გენეზისსა და ევოლუციის თავისებურებას.

თითოეული ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება ისტორიული პოეტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, არსებით ნიშნებს გამოხატავს, რომელთა გათვალისწინებით ისტორიული პოეტიკის საგანი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: ის სწავლობს ესთეტიკურ ობიექტის გენეზისსა და განვითარებას, მის არქიტექტონიკას, მის ჩამოყალიბებას შინაარსობრივი მხატვრული ფორმების პროცესში.

ისტორიული პოეტიკა ისტორიულ-შედარებითი ლიტმცოდნეობის წიაღში ჩაისახა და განვითარდა. მის ამოცანას იმთავითვე წარმოადგენდა ლიტერატურის განვითარების შინაგანი ლოგიკის ამოხსნა, პოეტური ევოლუციის კანონების გამორკვევა. დროთა განმავლობაში, აღნიშნული მეთოდი ყალიბდება, როგორც გენეტიკური და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდოლოგია.

ემზარ მაკარაძე (ბათუმი)

თურქეთის გეოპოლიტიკური ფაქტორი ცივი ომის შემდგომ პერიოდში

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ორპოლუსიან წყობაზე დაფუძნებული ცივი ომის ბალანსის გაქრობამ, მსოფლიოში კვლავ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვაკუუმის ზონები წარმოქმნა.

გეოპოლიტიკური ვაკუუმის ზონებმა დიდად დააინტერესა თურქეთი, რომელიც სარტყელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლზე - ანატოლიის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ამ ფაქტმა გარდაუვალი გავლენა იქონია ქვეყნის ძირითადი გლობალური და რეგიონული სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე.

ტაქტიკური ბრძოლა და ამ ბრძოლის გამო აქტუალური გეოპოლიტიკური ბალანსები, ცივი ომის შემდგომი პერიოდის ძალთა ბალანსზე დამყარებულ დინამიურ პირობებში, ახალ ელემენტებთან ერთად, კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, გეოპოლიტიკა, გლობალურ ბალანსებსა და რეგიონულ ურთიერთგავლენის ზონებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდის პარალელურად, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თურქეთი სახმელეთო და საზღვაო ძალაუფლების – აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაჭიმული რეგიონების ცენტრში მდებარეობს. თურქეთში იკვეთება ორი მნიშვნელოვანი სახმელეთო (ბალკანეთი და კავკასია) და საზღვაო გასასვლელი (სრუტეები). თურქეთი ამ რეგიონების ახლო აღმოსავლეთსა და კასპიის რეგიონთან დაკავშირებას უზრუნველყოფს. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით კი თურქეთი (ანატოლიის ნახევარკუნძული) წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს ევრაზიის კონტინენტის გარშემო მდებარე სტრატეგიულ ნახევარკუნძულებს შორის.

ნანა მაკარაძე (ბათუმი), იაგორ ბალანჩივაძე (ქუთაისი)

ცაცია ბავშვები და მათთან მუშაობის თავისებურებები

ადამიანის ტვინი ორი ნახევარსფეროსგან შედგება. თითოეულს თავისი „სამოქმედო არეალი“ და საკუთარი „გავლენის სფერო“ აქვს. მარჯვენა ნახევარსფერო იდეების გენერატორია და პასუხს აგებს არავერბალური ინფორმაციის გადამუშავებაზე (ნიშნები, სიმბოლოები, სახისმეტყველება...), წარმოსახვაზე (ვოცნებობთ, ვფანტაზიორობთ და ვთხზავთ), ფერის, მუსიკისა და რიტმის აღქმაზე და ა. შ. მარცხენა კი ვერბალურ ინფორმაციას ამუშავებს - მეტყველება, წერა, კითხვა, ფაქტების, სახელებისა და თარიღების დამახსოვრება, ანალიზი, ლოგიკა და მათემატიკური შესაძლებლობები მისი პრიორიტეტებია. სხეულის მოძრაობას უზრუნველყოფს ორივე ნახევარსფეროს ერთობლივი შეთანხმებული მუშაობა. მარცხენა ნახევარსფერო მარჯვენა ხელ-ფეხს მართავს, მარჯვენა კი – მარცხენას. მეცნიერთა და მკვლევართა დაკვირვებით, ერთ-ერთი ნახევარსფერო ყოველთვის დომინირებს. სწორედ მასზეა დამოკიდებული, მემარჯვენე იქნება ადამიანი თუ მემარცხენე (ცაცია). მემარცხენეობას განაპირობებს მარჯვენა ნახევარსფეროს დომინირება, თუმცა ასევე შესუსტებულია ტვინის ნახევარსფეროებს შორის კავშირი.

ცაცია არის ადამიანი, რომელიც თავისი საქმის აბსოლუტურ უმრავლესობას მარცხენა ხელით აკეთებს. იყო პერიოდი, როდესაც ცაცია, ანუ მარცხენა ხელის ხმარება, ლამის დანაშაულად ითვლებოდა. ბავშვს, რომელიც ცაციისაკენ იყო მიდრეკილი, გამუდმებით უკრძალავდნენ მარცხენა ხელით წერას, ბურთის სროლას და ა. შ. დღეს ცაციებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აღარ შეიმჩნევა, რადგან ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები და პედაგოგები ერთხმად აღიარებენ, რომ „მემარცხენეობა“ იშვიათი, მაგრამ ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ ბავშვისთვის მარცხენა ხელის ხმარების აკრძალვა დაუშვებელია.

მემარცხენეობის მიზეზი დღემდე ამოუცნობია. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ვხვდებით სხვადასხვა მოსაზრებას ცაციობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. 4 წლის ასაკისთვის, პრაქტიკულად, უკვე შესაძლებელია იმის განსაზღვრა, ბავშვი მარცხენა ხელს არჩევს სამოქმედოდ თუ მარჯვენას. არსებობს სპეციალური ტესტი, რომლის მონაცემებზე დაყრდნობითაც, ოჯახურ პირობებშიც კი შესაძლებელია დომინანტური მიმართულების განსაზღვრა.

თამარ მამარდაშვილი (ქუთაისი)

თავისებურებანი მიმლეობათა წარმოებაში

მიმლეობა არის ნაზმნარი სახელი, რომელიც საწარმოებლად აღებული ზმნის სუბიექტს ან პირდაპირ ობიექტს უდრის, ირიბი ობიექტის გამოხატვა მას არ შეუძლია, ზოგჯერ იგი აღნიშნავს

მოქმედების ადგილს ან იარაღს. მიმღობის იმ დანაკლისი ფორმების შესავსებად, რომლებიც ამათუ იმ ზმნის ფუძიდან არ იწარმოება, ენა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს, კერძოდ, მოქმედებითი გვარის აწმყო დროის მიმღობა ზმნისწინის დართვის შემთხვევაში ნამყო და მყოფადი დროის შინაარსით იტვირთება, თუმცა, მათ შორის სხვაობას უკვე ზმნისწინი ვეღარ ქმნის და ნამყო დროის სასუბიექტო მიმღობა სათანადო შინაარსს დაუბრკოლებლად გადმოგცემს აღწერთი წარმოების მეშვეობით, კერძოდ, ნამყო დროის საობიექტო მიმღობის წინ ამოსავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი დაისმის და რთული ფუძე მთლიანად მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტს დამოხატავს (ხმალამოწვდილი, ქუდმოგლეჯილი). როგორც კვლევაში გვიჩვენა, ამგვარ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია მხოლოდ ნამყო დროის -ილ და -ულ სუფიქსიანი ფუძეები.

მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვს მყოფადი და ნამყო დროის მიმღობები, მაგრამ რადგან მას აწმყო დროის საობიექტო მიმღობის ფორმები არ მოეპოვება, შესაბამისად, არა გვაქვს ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტის გამოსახატავი ფორმა აწმყო დროისა, რის გამოც ამ მიზნით სხვადასხვა საშუალებაა გამოყენებული. ჩვენს ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სახის მაწარმოებლიანი მიმღობები, მოცემულია მათი ფორმოზრვი-ფუნქციური და სემანტიკური ანალიზი, ყურადღებაა გამახვილებული პარალელურ ფორმებზე, რომელთა უმეტესობა არსებითად ერთი და იმავე სემანტიკური მნიშვნელობის გამომხატველია, ამდენად, მათ მორფოლოგიური ფუნქციაც იდენტური აქვთ, თუმცა, არის შემთხვევები, როცა საანალიზო ფორმებს შორის ნიუანსური სემანტიკური სხვაობა მაინც შეინიშნება, რასაც, რასაკვირველია, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, იქნება ეს ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების შეფარდება, ოდენ პრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური მიმღობების მიმართება თუ სხვა.

ნანი მამულაძე, მარინე გურგენიძე (ბათუმი)

შინ სწავლების თავისებურებანი, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს მიუხედავად შესაძლებლობისა, ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში. ინკლუზიური განათლება აღიარებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიმღებლობა გააჩნია და შესწევს უნარი შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს თითოეული მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

ინკლუზიური განათლება ეფუძნება **სპეციალური განათლების მოდელს**. ამ მოდელის ამოსავალი დებულებაა ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უნარების განვითარებისა და აკადემიური ჩვევების ასათვისებლად ესაჭიროებათ სპეციალური გარემო და სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

სპეციალური განათლების მოდელის ფარგლებში სწავლების რამდენიმე ალტერნატივას შორის საყურადღებოა შინ სწავლების მოდელი.

ნაშრომში წარმოდგენილია შინ სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეები და ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე მოწოდებულია რეკომენდაციები შინ სწავლების პროცესის ორგანიზების გასაუმჯობესებლად.

ნესტან მამუჭაძე (ბათუმი)

**ახალი ამბების გაშუქების ზოგიერთი ფუნქციური თავისებურება
(აჭარის მაგალითზე)**

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი სამსახურის სახეა, რომელიც ადამიანს გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. მოგახსენებთ, ასეთ ჟურნალისტიკას ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია აქვს. იგი არა მარტო საზოგადოების ინფორმირებულობას, არამედ გართობასაც განიზრახავს. „ნამდვილი ჟურნალისტები არიან არაოფიციალური საჯარო მოხელეები, რომელთა დანიშნულება საზოგადოების სამსახურში ყოფნაა“, – წერს უიკჰემ სტიდი (ლონდონის „ტაიმზის“ რედაქტორი). ჟურნალისტიკას აჭარაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეყრება საფუძველი და აქ ნაპოვნი პირველი გაზეთი 1911 წლით თარიღდება. რაც შეეხება სამაუწყებლო მედიას, იგი მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის ისტორიას ითვლის. ეს არცთუ ისე ხანგრძლივი პერიოდი ნათლად ადასტურებს კამიუს სიტყვებს: „რა პიროვნული სისუსტეებიც არ უნდა გვექონდეს, ჩვენი მოწოდების კეთილშობილება ყოველთვის გამყარებული იქნება ორ ზნეობრივ პრინციპზე, რომლებზე უშუალო დაკვირვებაც ძნელია: ვერ ვცრუობთ იმის შესახებ, რაც ვიცით, და ძალდატანებისადმი წინააღმდეგობა“.

ნაშრომში „ახალი ამბების გაშუქების ზოგიერთი ფუნქციური თავისებურება (აჭარის მაგალითზე)“, სწორედ ამ პრინციპების დაცვასა და წარმოჩენაზე გვექნება საუბარი. ამბისთვის სანდო და შესაფერისი ინფორმაციის მოსაგროვებლად ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რა აინტერესებს აუდიტორიას და რა უნდა იცოდნენ მათ; აუცილებელია ეძებოს მოვლენის განსხვავებული, უჩვეულო, უნიკალური მხარეები, რომლებიც მას ხატოვნად დაახასიათებდა და სხვა მსგავსი მოვლენისგან გამოარჩევდა. გაზეთები: „აჭარა“, „ბათუმელები“ და „აჭარა P.S“, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ და „ტელეარხი 25“ იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალი ამბების გაშუქების ზოგიერთი ფუნქციური თავისებურების კვლადკვალ დავკონკრეტდეთ და სათანადო მაგალითებსაც დავეყრდნოთ.

თინათინ მარგალიტაძე (თბილისი)

**ახალი ევროპულ-ქართული აკადემიური ორენოვანი ელექტრონული
ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგიის საკითხები**

წინამდებარე მოხსენებაში თავმოყრილია ბოლო წლების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, რომელთაც სასურველია დაეფუძნოს ახალი ევროპულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგია. აღნიშნული მოიცავს როგორც ლექსიკონების მაკროსტრუქტურას, ანუ სიტყვანის შერჩევის პრინციპებს, ისე ლექსიკონების მიკროსტრუქტურას, ანუ სალექსიკონო სიტყვა-სტატიამი ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს. ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგია თავისთავად გულისხმობს სიტყვა-სტატიისათვის მონაცემების მოძიებისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ენობრივი ეკვივალენტობის პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს ორენოვან ლექსიკონებში.

ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების შედგენისას მნიშვნელოვანია წყაროების საკითხი. მოხსენებაში ნაჩვენებია იქნება, რომ ასეთ წყაროებად გამოყენებულ უნდა იქნეს ევროპული ენების ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები; ევროპული ენების ელექტრონული კორპუსები; უნდა შეიქმნას ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსები, რისთვისაც უკვე შემუშავებულია პროგრამული პლატფორმა.

მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის გამოყენების პერსპექტივები ევროპულ-ქართულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებში.

რევაზ მარსაგიშვილი (თბილისი)

სიტყვა: სოციოკულტურული ინფორმაციის მატარებელი ენობრივი ერთეული

როგორც ცნობილია, თანამედროვე ენათმეცნიერების ე. წ. „პარადიგმული დინამიკა“ ორ ეტაპად წარიმართა. თავდაპირველად კომუნიკაციური პარადიგმის თეორიული საფუძვლები შემუშავდა და შესაბამისად, ემპირიული კვლევებიც კომუნიკაციურ ერთეულებზე – სამეტყველო ქმედებებზე, ტექსტებზე, დისკურსზე – განხორციელდა, მაგრამ ვინაიდან ნებისმიერი კომუნიკაციური ხდომილება ამა თუ იმ კულტურულ სივრცის კუთვნილებაა, ბუნებრივად დადგა ახალი – ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ინტერკულტურული შეპირისპირებითი კვლევების სიმრავლე.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კვლევები გასცილდა ზემოხსენებულ კომუნიკაციურ სტრუქტურებს და თავის ფარგლებში მოაქცია აგრეთვე ეროვნული კულტურული სპეციფიკით აღბეჭდილი ისეთი ენობრივი ერთეულებია, როგორცაა იდიომები, ევფემიზმები, უზუალური მეტაფორები, ტაბუირებული სიტყვები და ა. შ. ეს ის ლექსიკური ჯგუფებია, რომლებშიც დავანებულია ამ თუ იმ ერის კოლექტიური სოციალური პრაქტიკა, გამოცდილება, ფასეულობები.

მნიშვნელოვანად მიმაჩნია ის ფაქტიც, რომ უახლეს ლინგვისტურ კონტექსტში ხედვის ახალ კუთხეს იძენს ვილჰელმ ფონ ჰუმბლდტის მოძღვრება „სამყაროს ენობრივის სურათის“ შესახებ.

მოხსენებაში ქართული, ინგლისური და რუსული ენის მასალაზე დაყრდნობით, „სიტყვა“ განხილულია, როგორც განსხვავებული სოციოკულტურული ინფორმაციის მატარებელი ენობრივი ერთეული.

გიორგი მასალკინი (ბათუმი)

კოლექტიური ფსიქოლოგიური რეალობის საკითხისადმი

რეალური ნივთებისა და რეალური ურთიერთობების სამყაროს ცვლის ნიშნებისა და სიმულაკრების სამყარო, ერთგვარი ჰიპერრეალობა (ხელოვნური, ვირტუალური რეალობა), რომლის საფუძველს სიმულაცია წარმოადგენს. ეს ჰიპერრეალობა კოლექტიურ ფსიქოლოგიურ რეალობას წარმოადგენს და ის თანავედროვე ტექნოლოგიების პროდუქტია. ამ ჰიპერრეალობას ახასიათებს ერთადერთობა. მისი მეინსტრიმული ნაწილი მარტივი და შავ-თეთრია. მსგავსი რეალობა კარგად იკიდებს ფეხს არა მარტო იდეოლოგიზირებული (ტოტალიტარულ ან ავტორიტარულ) რეჟიმების პირობებში, არამედ ყველაზე დემოკრატიულშიც კი.

გარკვეული კულტურები და, მათ შორის, ქართული: მითოლოგიურ-რიტუალურ-მოზაიკური, - ადვილად ხდებიან სიმულაციური აქტივობით შექმნილ ჰიპერრეალობის ჰაფანგში.

იოლად რომ ვთქვათ, „სპექტაკლის საზოგადოება“ მოითხოვს კიდევაც „სცენურ (ხელოვნურ) რეალობას“, ეს მისთვის ნაცნობი და ხშირად ერთადერთი მისაღები გარემოა. ტექნოლოგიები და მასმედია მხოლოდ პასუხობს და შემდეგ აფორმებს და კვებავს საზოგადოებაში არსებულ მოლოდინებს.

მერაბ მაღრაძე (ქუთაისი)

ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ადგილი სწავლის მოტივაციაში

ბოლოდროინდელ განათლების ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა სწავლის მოტივების დაჯგუფება გარეგან და შინაგან მოტივებად, მაგრამ ამ კლასიფიკაციის პრინციპი ბოლომდე ნათელი არაა. საქმე ისაა, რომ მოტივის ცნების ნებისმიერი გაგება აუცილებლად გულისხმობს სუბიექტზე მის დამოკიდებულებას. ამდენად, მოტივში მხოლოდ შინაგანი (სუბიექტური) მდგომარეობა შეიძლება იგულისხმებოდეს. მაშინ, რას უნდა ნიშნავდეს გარეგანი მოტივი? ცხადია, მხოლოდ იმ საგნობრივ მოცემულობას, რომელიც ქცევითი აქტივობის ინტენციონალური ობიექტია.

სწავლის მოტივების გარეგანად და შინაგანად დაყოფა ანგარიშს ვერ უწევს იმ გარემოებას, რომ საგნობრივი ინტენცია სწავლასთან შინაგანად დაკავშირებულ მოთხოვნილებათა უმეტესობას აქვს. მაგალითისთვის შემეცნებითი ინტერესის დასახელებაც საკმარისია. ყველასთვის ნათელია, რომ იგი სუბსტანციონალური მოთხოვნილების ნაისახეობაა. აქედან გამომდინარე, ნამდვილად შინაგანი არის მხოლოდ საკუთრივ აქტივობის ტენდენცია, რომელიც ადამიანისთვის დამახასიათებელი ყველა ფსიქიკური თუ ფიზიკური უნარის შესაბამის ფუნქციონალურ მოთხოვნილებებად დიფერენცირდება.

თუ აუცილებელია სწავლის მოტივების დაჯგუფება ქცევითი ამოცანის ინტენციონალობის ნიშნით, მაშინ სწავლის ნამდვილად შინაგან მოტივებად მხოლოდ მისი განხორციელებისთვის საჭირო უნარების, პირველ რიგში, კოგნიტური პროცესების, აქტივაციის ფუნქციონალური მოთხოვნილებები უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი მიმართულნი არიან საკუთრივ პროცესზე და საგნობრივი (გარეგანი) ინტენცია არ ახასიათებთ. სწორედ ასეთი მოტივაციური საფუძველი აძლევს სწავლას ინტროგენური ქცევის ხასიათს და ხდის მას ქცევის დამოუკიდებელ ფორმად. მათი მონაწილეობის გარეშე მიმდინარე სასწავლო აქტივობა თუმცა გარეგნულად სწავლას ჰგავს, ფსიქოლოგიური შინაარსით იძულებითი შრომითი საქმიანობის თავისებური ფორმაა და სხვა არაფერი.

მალხაზ მაცაშვილი (თბილისი)

კულტურათა შორის კომუნიკაციის ხელის შემშლელი ფაქტორები ფსიქოფიზიოლოგიის თვალთახედვით

სახის გამომეტყველებით ემოციის გამოხატვა ძლიერ მნიშვნელოვანია ადამიანებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. სხვადასხვა ემოციის გამოხატვა სპეციფიკური მიმიკით უნივერსალურია – სახეობრივია და არ განსხვავდება ადამიანის პოპულაციებს შორის. სხვა საქმეა სახის გამომეტყველების შეფასება, რომელიც შესაძლებელია ინდივიდუალური ან პოპულაციურიც კი იყოს. ნაშრომში გამოკვლეულია როგორ ამოიცნობენ – აფასებენ ადამიანის სახის გამომეტყველებას ქართველი პოპულაციის წარმომადგენლები. სინჯად აღებულია სახის ნეიტრალური გამომეტყველების მქონე ადამიანების სახეები (ფოტოები). ფოტოები სპეციალურად

არის დამზადებული შვედი ფსიქოლოგების მიერ ემოციების ამოცნობის პროცესის საკვლევად, ექსპერიმენტულად შემოწმებულია და გამოიყენება შვედეთში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, როგორც სახის ნეიტრალური გამომეტყველების სტანდარტი. ცდის პირებს ვუჩვენებდით 9 ასეთ ფოტოს თანმიმდევრულად და ვთხოვდით, შემოეხაზათ მიწოდებულ ცხრილში ის პასუხი, რომელიც მათი აზრით ყველაზე მეტად შეესაბამებოდა სახის გამომეტყველებას: სიხარული, სიბრაზე, წყენა, ზიზღი, შიში, არ გამოხატავს არანაირ ემოციას. კვლევამ უჩვენა, რომ ცდის პირებმა, 18–25 წლის ქალებმაც და მამაკაცებმაც (სულ 300 ადამიანი) ყველაზე იშვიათად შეაფასეს სახე როგორც ნეიტრალური – ემოციის გარეშე. ამგვარად, ევროპაში მიღებულმა ნეიტრალური გამომეტყველების სახის სტანდარტმა საქართველოში ვერ იმუშავა. უფრო მეტიც, სახის შეფასებაში ჭარბობდა ნეგატიური შეფასებები – სიბრაზე და წყენა. ნაშრომში განხილულია ის შესაძლო მიზეზები, რომლებიც სავარაუდოდ განსაზღვრავს ქართველი პოპულაციის მიერ დასავლეთევროპელებისათვის ნეიტრალურად მიჩნეული სახის გამომეტყველების განსხვავებულ შეფასებას. სავარაუდოა ორი ჰიპოთეზა: სოციალური ფონიდან გამომდინარე ნეგატიური ხასიათის ტენდენციები, ან კულტურული ფაქტორი – ემოციის გამომხატველი მიმიკის აღქმის და ანალიზის კულტურული თავისებურებები.

ავტორი მადლობას უხდის ილიას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრებს და ბაკალავრებს კვლევაში გაწეული დახმარებისათვის.

თამარ მაჭუტაძე (ბათუმი)

„ფული“ ქართულ და ფრანგულ ანდაზებში

ეროვნული მენტალიტეტის თავისებურების განსაზღვრისას, ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად ერის ცნობიერებაში გვევლინება დამოკიდებულება „ფულის“ საკითხის მიმართ, „ფულის“ თემა როგორაა მოცემული, განხილული, აღბეჭდილი პარემიებში - საუკუნეობით მატარებელი ერის ეროვნული მენტალიტეტის გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაში.

ანდაზათა შესწავლა საფუძვლიანი იქნება, თუ მოვახდენთ ამ ანდაზათა კლასიფიკაციას გარკვეული ნიშნების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, გამოვყოთ ანდაზები:

1. მნიშვნელობით, ლექსიკური შემადგენლობით და გამოყენებით მსგავსი პარემიები;
2. მნიშვნელობით და გამოყენებით ანალოგიური, მაგრამ ლექსიკური შემადგენლობით განსხვავებული პარემიები;
3. განსხვავებული ანდაზები, რომელთა ანალოგი არ მოიპოვება ქართულ ენაში და პირიქით.

საგულისხმოა, ორთავე ენებში „ფულის“ შესახებ მოცემულ ანდაზებში სხვადასხვა კონცეპტთა გამოვლენა. ისეთი კონცეპტები, როგორიცაა: „დარდი“, „მეფე“, „მესამე ხელი“, „ეთერი“, „პატარა ღმერთი“, „ხმალამოდებული ხელმწიფე“, „ქვის დამადნობელი“, „ჯოჯოხეთის შემამინებელი“, „კლდის დამანგრეველი“.

მენტალიტეტის თავისებურების წვდომის ერთ-ერთ წყაროში ანდაზაში შესაძლებელი გახდა მივიღოთ შემდეგი დასკვნა: აქ შესაძლებელია გამოიყოს ანდაზათა 2 ჯგუფი, ანდაზები, სადაც საუბარია ფულის, როგორც ადამიანური უძლურების „ემშაკის მახის“ შესახებ და ზოგადად „ფულის“ ცნების შესახებ.

ქართველ და ფრანგ ხალხს საუკუნეობით მოცემულ ანდაზებში ერთნაირი შეხედულებები ჩამოუყალიბდათ ფულთან მიმართებაში ადამიანური ცდომილების სხვადასხვა გამოვლინებებში, ამასთან, გამოყო ანდაზათა ისეთი კატეგორია, სადაც ფულთან მიმართებაში ადამიანის მორალური მხარის უპირატესობაზეა საუბარი. შესწავლამ ცხადყო, რომ ფულზე უპირატესი არის შემდეგი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცნებები და ღირებულებები.

ქართველ და ფრანგ ხალხს საუკუნეობით ნაჯერ სიტყვაში - ანდაზაში, მენტალიტეტის თავისებურების წყაროში „ფულის“ შესახებ მოცემულ პარემიათა დიდ ნაწილში „ფული“ წყაროა არსობისა, მაგრამ არა ბედნიერების საწინდარი.

მერი მახარაძე (ზათუმი)

პოლიტიკური ფელეტონის თავისებურებანი

ფელეტონი არის მცირე მხატვრულ-პუბლიცისტური ფორმა, რომელიც დამახასიათებელია პერიოდული გამოცემებისთვის (გაზეთი, ჟურნალი) და გამოირჩევა მწვავე იუმორით.

სიტყვა „ფელეტონი“ ფრანგული წარმოშობისაა (feuilleton - ფურცელი). ის წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასაწყისში. საფრანგეთში 1800 წელს, გაზეთის «Journal des Debats» გამომცემელმა დაიწყო გაზეთისთვის დამატებითი ფურცლის გამოშვება, ხოლო მოგვიანებით, 1803 წელს შეცვალა გაზეთის ფორმატი, დააგრძელა გაზეთი და ეს დამატებითი ფურცელი ჩაემატა უშუალოდ გაზეთს ფელეტონის სახელით. თავდაპირველად ეს იყო ძირითადად სხვადასხვა ტიპის განცხადებები, თანდათან კი დღევანდელი სახე მიიღო.

ტერმინი „პუბლიცისტიკა“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან - „publicus», რომელიც საჯაროს ნიშნავს. პოლიტიკური ფელეტონი შეუძლებელია არსებობდეს აქტუალური პრობლემებისა და ცხოვრების მიმდინარე მოვლენების გაშუქების გარეშე. ასე რომ, პოლიტიკური ფელეტონი - ეს არის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი, გამსჭვალული მწვავე კრიტიკით, რომელიც თავის მიზანს აღწევს გადმოცემის განსაკუთრებული ხერხის მეშვეობით. პოლიტიკურ ფელეტონში გამოიყენება სატირისა და იუმორის ელემენტები, მისი სტილი გამოირჩევა სიცხოველით, სიმსუბუქითა და ხატოვანებით.

მიხეილ მახარაძე (ზათუმი)

გაუცხოების პრობლემა ქართველ ფილოსოფოსთა თხზულებებში

გაუცხოების პრობლემა მე-20 საუკუნის ევროპული ფილოსოფიის აქტუალური საკითხია. ქართულ ფილოსოფიაში იგი დღის წესრიგში დადგა მე-20 საუკუნის მეორე მახევარში. ქართველ ფილოსოფოსებს ამ საკითხის მიმართ თავიანთი ინდივიდუალური დამოკიდებულება გააჩნდათ. მათი შედარებითი ანალიზი ახალი კუთხით გვიჩვენებს გაუცხოების მოვლენას.

ნელი მახარაძე (თბილისი)

ტერმინი „იუბილეს“ წარმომავლობისა და ლექსიკური არქტიპისათვის

მოხსენებაში განხილულია ცივილიზებულ სამყაროში გავრცელებული და საყოველთაოდ ცნობილი ტერმინის - „იუბილეს“ ბიბლიური წარმომავლობის ისტორია, ბერძნულიდან ნათარგმნ ძველქართულ ძეგლებში დადასტურებული ფორმები; **იოვილო** (ἰωβηλο - ფლავიოსი), **იოვილეონი** (ἰωβηλαιον - თეოფილაქტე ბულგარელი), **იობელი** (მცხეთური ბიბლია), **იოვლიოს** (საბა), **იობელისნი** (საბა), რომლებიც ერთი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი ძველქართული სიტყვიდან მომდინარეობს: Ἰὸβελ/Ἰὸβῆλ - ἰωβηλ. ესაა „საყვირი“, კერძოდ კი - „რქა“ (por): ძველქართულში **ნესტჯ რქისაჲ**, რომლის „მმახებელი/მყივანი“ ხმითაც

(მგ. ქართ.) ხშირად მთელ ისრაელს ეცნობებოდა საყოველთაო ზეიმის – ეგვიპტიდან გამოსვლის 50-ე წლის – „წელიწადი მიტევებისა“-ს – დადგომა.

ნაჩვენები იქნება სიტყვის ლექსიკური ველის გაფართოებისა და მნიშვნელობის გადაწევის ისტორიული პროცესი.

თამარ მახაროზლიძე (თბილისი)

ქართული ჟესტური ენის დოკუმენტირების პროცესი

ქართული ჟესტური ენა არის ყრუთა ენა. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. აღსანიშნავია, რომ მათი ენა არ სხვაობს ნაციონალური ნიშნით, არამედ ეს არის ერთიანი ქართული ჟესტური ენა, რომელსაც აქვს ინდივიდუალური, ანუ კერძო გრამატიკული სისტემა. ევრო-ატლანტიკური ღირებულებების პარადიგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ფართო ინტეგრაციის უწყვეტი პროცესი.

თანამედროვე ეპოქაში ენის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ენის კორპუსის შექმნა და ენის დოკუმენტირება. ეს არის ისეთი მონაცემი, რომელიც შემდგომში ამ ენაზე მომუშავე ნებისმიერ სპეციალისტს უქმნის ხელმისაწვდომ სათანადო დოკუმენტირებულ ბაზას. ენის კორპუსი ფართოდ გამოიყენება მანქანური, პროგრამული თარგმანისათვის.

ქართული ჟესტური ენის დოკუმენტირების პროცესი მოიაზრებს ამ ენაზე ტექსტების, სიტყვა-გამოთქმებისა და ჟესტების პროგრამული სისტემით გადაღებასა და ჩაწერას ორ- და სამგანზომილებიანი ახალი ტექნოლოგიებით - კინექტითა და ლიფმოუშენით, ასევე, სტანდარტული ვიდეოფორმატით. ასეთი კომბინირებული ტიპის გადაღება-ჩაწერა არის ჩვენი ინოვაციური ფორმატის მიდგომა და აადვილებს შემდგომში ენის სრული კორპუსის შექმნას და შესაბამის მორფოლოგიურ ანალიზატორზე მუშაობას. ამ დროს პარალელურ რეჟიმში იქმნება ენობრივი ბაზა, რომელიც ყველა არსებულ ტექნოლოგიურ სისტემას მოერგება. მნიშვნელოვანია ამ ტიპის ბაზის შექმნა და არა მხოლოდ ვიდეოგადაღებები, რამდენადაც ასეთი მასალა სხვადასხვა პროგრამული მიდგომისათვის არის ხელმისაწვდომი და მარტივად წასაკითხი. ამ ტიპის ჩანაწერებს აღარ დასჭირდებათ ადაპტირება და გადაწერა პროგრამული კომპიუტერული თარგმანის განსხვავებული სისტემებისათვის.

შორენა მახაჭაძე (ბათუმი)

აკა მორჩილაძის პოსტმოდერნისტული ტექსტის თავისებურებანი

აკა მორჩილაძის პოსტმოდერნისტული ტექსტები შექმნილია „ორმაგი კოდირების“ პრინციპით, ის თანაბარი უფლებით იყენებს განსხვავებულ კულტურულ ენებს, მოდელებს, სტილებს. ტექსტი ისეა ორგანიზებული, რომ ის მისაწვდომია როგორც ელიტარული (ინტელექტუალური), ისე – მასობრივი მკითხველისთვის.

აკა მორჩილაძის ნარატივის დამახასიათებელია ინტერტექსტუალობა: პირდაპირი და შეფარული, რეალური და მისტიფიცირებული ციტაცია. ტექსტები სავსეა ალუზიებით, რემინისცენციებით, ასოციაციებით. ავტორი თავის ნაწარმოებებს ხშირად ურთავს საგანგებო შენიშვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას, რომლებშიც განმარტავს ან მიუთითებს ინტერტექსტის წყაროებს (ტრილოგია „მადათოვი“, „მორიდებული ზურმუხტი“...).

აკა მორჩილადის ტექსტებისთვის, ასევე, უცხო არაა კლასიკური სახეების ტრავესტირება, ირონიზება, პაროდირება („წიგნი“), თუმცა ამ შემთხვევაშიც ის ზომიერია და არასოდეს – უხამსი ნიჰილისტი.

აკა მორჩილადე მიზანმიმართულად იყენებს „ავტორის ნიღაბს“, ფრაგმენტირებულ დისკურსს, თხრობის პარადიულ მოდულს, ნონსელექციის პრინციპს, და ა.შ. ამ ხერხების მოშველიებით ის მკითხველთან ერთად ქმნის ვირტუალურ რეალობას, რომელიც „ენასთან თამაშის“ შედეგია. მსგავსი დისკურსით აიძულებს ის მკითხველს, რომ შემოქმედებითად აითვისოს ტექსტი, სხვადასხვა მოვლენის შესახებ გამოიმუშაოს პლურალისტული შეხედულება. მისი პოსტმოდერნისტული დისკურსი მუდამ ფრაგმენტული, დაუსრულებელი და „ღია“ ინტერპრეტაციებისთვის.

ნუგზარ მგელაძე, მამია ფაღავა (ბათუმი)

ქლასკური'ს (//ქლასქური'ს) ეტომოლოგიისათვის

ქლასკური (//ქლასქური) მოზრდილი ხეობაა ისტორიულ კლარჯეთში. ამავე სახელს ატარებს ხეობაში გაშენებული სოფელიც (ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით გამოიყოფა ზემო და ქვემო **ქლასკური**). ჩანს, თავდაპირველი უნდა იყოს ხეობის სახელწოდება, შემდეგ უნდა მიეღო იგივე სახელი სოფელს [შდრ. **აჭარა** (ხეობა), **აჭარა** - კუთხე, თავდაპირველი მნიშვნელობით აჭარისწყლის ხეობა]. **ქლასქური** ტიპური ხევის (/თემის) ტიპის დასახლებაა, რომელიც ცალკეულ უბნად იყოფა. დასახლების ეს ფორმა დამახასიათებელი იყო ისტორიული საქართველოსათვის.

ქლასკური (//ქლასქური) კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილი კოლხური **სქურ/სკურ'**ია. **სქური** ცნობილი ფუძეა კოლხურში, რომელიც მეგრულში ნიშნავს **ხევი**, **ხევში მდინარი**, **ღელე** (ა. ქობალია), ხოლო ლაზურში **სქურ'**ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **სქური** 1. ფერდობი, 2. ჭა; **სქური** - **ხევი**: „სქურეფე, აშენამს სერსი მუშითე“ - ხევს ამხიარულებს მისი ხმით (ალ. თანდილავა). კლარჯული **სქური** სწორედ ხევს უნდა ნიშნავდეს. **სკურ** გავრცელებული ფუძეა ქართველურ ჰიდრონიმიაში: **სკური**, **სკურიღელე**, **სკურდიდი**...

სკურ ფუძეს სხვა მნიშვნელობებიც აქვს, კერძოდ: **სქურ** იგივე უნდა იყოს, რაც **სქირ/სკირ** (შდრ. მეგრული -**სკი**: შვილი, ლაზური -**სკირი** (ვაჟიშვილი), რომელიც ქართველურ **შვილ** ფუძეს უკავშირდება და ცნობილ მნიშვნელობასთან ერთად შობის სემანტიკასაც გამოხატავს. **შობა** კიდევ პირველადი სემით **წყალს** უკავშირდება (ნ. მგელაძე, მ. ფაღავა).

ქლასკური უნდა იგულისხმებოდეს მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი ავტორის გიორგი კედრენეს შრომაში ნახსენებ **კლესურა**შიც. ეს უკანასკნელი უცხოურ გამოთქმაში გადახმოვანებული **ქლასკური** უნდა იყოს: **კლესურა<ქლესურა<ქლასურა<ქლასკურა**.

მადონა მეგრელიშვილი (ქუთაისი)

წარსული მარტივისა და განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტების კონტრასტული ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში

ინგლისურ ლინგვისტიკაში ზმნის წარსული დროის ასპექტ-დროის ფორმათა სემანტიკური ფუნქციები საფუძვლიანადაა შესწავლილი. ქართულ ენაში კი წარსული დრო ფუნქციობის თვალსაზრისით კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ორივე ენაში – ინგლისურშიც და ქართულშიც – წარსული დროის

პარადიგმული მნიშვნელობა – საუბრის მომენტთან მოქმედების ერთდროულობაა. წარსულის სფეროში უფრო ნათლად გამოიხატება ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლოკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისაკენ. ინგლისურ ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა ოთხი ასპექტ-დროის ფორმითაა წარმოდგენილი: მარტივი წარსული (Simple Past), წარსული განგრძობითი (Past Continuous), წარსული პერფექტი (Past Perfect) და წარსული პერფექტ-განგრძობითი (Past Perfect Continuous). ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებიდან განვიხილავ მხოლოდ მარტივი წარსულისა და წარსული განგრძობითის სემანტიკურ პოტენციალს მათი ქართული შესატყვისებით. ინგლისურ ენაში მარტივი წარსულის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებია: ცალკეული მოქმედების მარტივი წარსული, თანაფარდობითი მარტივი წარსული და მრავალგზისი მარტივი წარსული. წარსული განგრძობითის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები კი ინგლისურ ენაში შემდეგია: ცალკეული მოქმედების წარსული განგრძობითი, მრავალგზისი წარსული განგრძობითი და პროსპექტული წარსული განგრძობითი.

ინგლისურ ენაში მარტივი წარსულის სემანტიკურ მოდელს ქართულ ენაში შეესატყვისება შემდეგი მწკრივები: წყვეტილი, უწყვეტელი, I თურმებითი, II თურმეობითი და ხოლმეობითი. წარსული განგრძობითის სემანტიკური მოდელის შესატყვისები ქართულში არის: უწყვეტელი, წყვეტილი (უსრული), I თურმეობითი, ხოლმეობითი, მყოფადი, აწმყო. გრამატიკის სფეროში ამ ენათა შორის განსხვავება გრამატიკულ ფორმათა გამოყენების კანონზომიერებაშიც შეინიშნება. ამის მაგალითია პროსპექტული წარსული განგრძობითის ფუნქციონა ინგლისურ ენაში, რომელსაც ქართულში აწმყოს ან მყოფადის მწკრივი შეესატყვისება. სისტემიდან გადახრის შემთხვევები კანონზომიერი ხასიათისაა, რადგან ისინი ამ ორ ენას – ინგლისურსა და ქართულს – შორის არსებული ობიექტური განსხვავებულობიდან გამომდინარეობენ.

მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი)

ხელოვნების სწავლების მეთოდის საკითხები ამერიკელი მწერლის - მერი დანა გიქსის სახელმძღვანელო წიგნის მიხედვით

ამერიკელი მწერლის მერი დანა გიქსის ჩვენს მიერ თარგმნილი ნაშრომი წარმოადგენს უმცროს კლასელთათვის სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდურ სახელმძღვანელოს. ნაშრომი მიძღვნილია სახელდობრ ამერიკელი მასწავლებლებისათვის. ამერიკელი მწერალი ბწყინვალედ ფლობს ბავშვთა ფსიქოლოგიას, სწავლების დიდაქტიკურ თეორიასა და ესთეტიკურ-მხატვრული აღზრდის პედაგოგიურ პრაქტიკას. თითქმის ასი წლის წინ დაწერილი ეს სახელმძღვანელო თავისი ფორმით, სტრუქტურითა და შინაარსით აკმაყოფილებს სწავლების პედაგოგიური პროცესისა და სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ თანამედროვე, უმკაცრეს დიდაქტიკურ მოთხოვნებსაც კი.

მერი გიქსმა კარგად იცოდა შემეცნების ფილოსოფიური თეორია და შემეცნების პროცესის ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელთა მიხედვით მეცნიერულ შემეცნებამდე მხოლოდ პრაქტიკას მივყავართ და რომ შეგრძნებით იწყება აღქმა-გაცნობიერების პირველი და საწყისი მომენტი. მან ის ფუძემდებლური პედაგოგიური დებულებაც კარგად იცოდა, რომლის მიხედვითაც აღზრდისა და სწავლების პედაგოგიურ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ბავშვის აქტივობასა და თვითმოქმედებას, მისდამი სწორ პედაგოგიურ ხელმძღვანელობას ენიჭება. ავტორისათვის ისიც ცნობილი იყო, რომ ხელოვნების რომელიმე დარგის შესწავლა და ამ გზით ბავშვის ესთეტიკური განვითარება შეუძლებელია ხელოვნების სხვა დარგებთან და ესთეტიკურ-მხატვრული აღზრდის სხვა ფაქტორებთან კავშირის გარეშე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მერი გიქსმა თავის

სახელმძღვანელოს საფუძვლად დაუდო ისეთი ძირითადი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პრინციპები, როგორც პრაქტიკიდან მეცნიერულ შემეცნებისაკენ, შეგრძნებებიდან გაცნობიერებისაკენ, აქტივობიდან და თვითმოქმედებიდან მის სწორ პედაგოგიურ ხელმძღვანელობისაკენ და მრავალფეროვანი ფაქტორების ურთიერთკავშირიდან - ბავშვის საერთო ესთეტიკურ-მხატვრულ განვითარებისაკენ. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებითაა აგებული სახელმძღვანელო. იგი იწყება სწავლების გეგმის ზოგადი მიმოხილვით, რომელიც შეიცავს მეცადინეობათა წარმართვისათვის და სასწავლო მასალის განაწილებისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

კარინა მელიქჯანიანი (ბათუმი)

საზღვაო სატრანსპორტო (საკრუიზო) კომუნიკაციის ლინგვისტური ასპექტები

თანამედროვე სამყაროში საკომუნიკაციო სფეროები დინამიკას განიცდიან. ეს პროცესი ახალი სამეცნიერო მიმართულებების ფორმირებას იწვევს, რასაკვირველია, ნებისმიერი ახალი მიმართულება საკუთარ ტერმინოლოგიურ ბაზას, ანუ იმ რესურსებს აყალიბებს, რომლებიც მას პროფესიულ საქმიანობაში ესაჭიროება. საქართველო პირველ ნაბიჯებს კომუნიკაციური ინტერაქციის სფეროების დგამს ამ მიმართულებით და ეს პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია პროფესიული საქმიანობის ახალ სფეროებს, რომლებიც ადრე ან არ არსებობდა, ან არსებობდა რაღაც ფორმით ერთგვარ მეორეულ განზომილებაში, იმდენად, რამდენადაც მთელი პოლიტიკა ტრანსპორტის, და არა მხოლოდ ტრანსპორტის სფეროში, დაკავშირებული იყო სწორედ რუსულ ენასთან. დღეს, როცა პროფესიული ურთიერთობის ეროვნულ საფუძველზე ხდება გადასვლა, აუცილებელია ტერმინები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიონალთა კომუნიკაციას. ამ თვალსაზრისით აქტუალურია საზღვაო სატრანსპორტო, კერძოდ კი საკრუიზო კომუნიკაციის ლინგვისტური ბაზის ჩამოყალიბება.

ბუნებრივია, აქ ორ სტიქია ხვდება ერთმანეთს: ერთი მხრივ, როგორც რუსული, ასევე ქართული საზღვაო-საკრუიზო კომუნიკაცია ტერმინთა წარმოქმნის სფეროში ასე თუ ისე უკავშირდება ინგლისურ ენას. ქართული ენა ფაქტიურად ორმაგ ვექტორზე გადის, იმდენად რამდენადაც საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციის ტერმინოლოგიური ბაზის საფუძველი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში და, შესაბამისად, ეს ტერმინოლოგია გარკვეული სახით არსებობდა და აგრძელებს არსებობას. ინგლისური ენიდან ნასესხებები ერთნაირად ეხება ქართულსა და რუსულ ენებს. საზღვაო სატრანსპორტო, კერძოდ კი საკრუიზო კომუნიკაციის ლინგვისტური ბაზის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ითვისებენ ენები ამ ახალ ტერმინებს. ცხადია, ტერმინების ჩამოყალიბებით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ერთია ტერმინების ჩამოყალიბება და მეორეა თუ როგორ გამოიყენება ისინი პროფესიულ საქმიანობასა და კომუნიკაციაში. საკმაოდ წარმატებული ტერმინებიც კი ზოგჯერ არ მუშაობენ კომუნიკაციაზე, და ის, რაც საკმაოდ წარმატებულად გვეჩვენება, ზოგჯერ სამეტყველო პრაქტიკაში არ იწერება და რეალური კომუნიკაციის მიღმა რჩება.

გლობალიზაციის პროცესმა მოიტანა ახალი იდეები, დაკავშირებული იმასთან, რომ ერები, რომელთაც ურთიერთშეხების არავითარი წერტილები არ ჰქონდათ, გლობალიზაციის პირობებში უკვე არა მხოლოდ პოულობენ ურთიერთშეხების სფეროებს, ხშირად მათ ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებიც კი უყალიბდებათ. ამასთან დაკავშირებით, სწორედ ის, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ სხვადასხვა კულტურები სატრანსპორტო, კერძოდ კი საზღვაო სატრანსპორტო სფეროში, ძალიან აქტუალურია. და სწორედ ეს განსაზღვრავს მოხსენებაში

დასმული პრობლემის არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტუალურობასაც.

დარეჯან მენაბდე (თბილისი)

იონა გედევანიშვილის „მიმოსვლის“ მსოფლმხედველობითი დისკურსი

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. არსებითად ჰუმანიტარული მეცნიერებები ინახავს ისტორიულ მეხსიერებას, ინფორმაციას მენტალური სპეციფიკისა და მსოფლმხედველობის შესახებ. ქართველი ერის ისტორიული მეხსიერება სხვადასხვა ეპოქასა და სოციუმში ნათლად აისახა სამოგზაურო ჟანრის ტექსტებში. ჩვენი კვლევის საგანია მწერლისა და სასულიერო მოღვაწის, იონა გედევანიშვილის (1737-1821), თხზულება "მიმოსვლა". ტექსტში აღწერილია ავტორის მოგზაურობა 1783 წლიდან. რაც შეეხება თავად მოგზაურობას, მისი არეალი ფართო იყო: თბილისი-ახალციხე-კონსტანტინოპოლი-ათონი-იზმირი-კვიპროსი-იაფა-იერუსალიმი-დამასკო-ბეირუთი-იერუსალიმი-ათენი-ვენეცია-ტრიესტი-ფიუმე-ვენა-იასი-კიევი-მოსკოვი.

სიცოცხლის ბოლო წლები (1796-1821) იონა გედევანიშვილმა გაატარა მოსკოვში; აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცერემონიალებში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა იქაური ქართული ახალშენის მოღვაწეებთან, ჩაება სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაში, შეუდგა მოგზაურობის-დროინდელი ჩანაწერების ლიტერატურულ დამუშავებასა და გაფორმებას; მოსკოვშივე აღესრულა და იქვეა დაკრძალული.

"მიმოსვლაში" აღწერილია იონა გედევანიშვილის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები, შეჯამებულია მისი ნაფიქრ-ნააზრევი. ავტორს ამომრავებდა არა მხოლოდ პილიგრიმულ-სარწმუნოებრივი მიზანი, არამედ ინტერესთა ფართო სპექტრი: ისტორიულ-გეოგრაფიული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეთნიკურ-დემოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური, ეთნოგრაფიულ-ყოფითი, ბუნებრივ-კლიმატური და ა. შ. ამდენად, იონა გედევანიშვილის "მიმოსვლა" ფართო ინფორმაციის მომცველი ტექსტია. ავტორი თანამიმდევრულად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს, შეფასებასა და დამოკიდებულებას რიგი ფაქტების მიმართ, რაც თანამედროვე მკითხველისათვის საინტერესო მასალას იძლევა როგორც ინფორმაციული თვალსაზრისით, ისე ტექსტის ავტორის მსოფლმხედველობითი დისკურსის განსაზღვრისათვის.

საბა მეტრეველი (თბილისი)

ქართული მწერლობა და ანტირელიგიური პროპაგანდა

1921 წელს, საქართველის ანექსიის შემდეგ, როდესაც ქვეყანა უღმერთობის ეპოქაში შევიდა, სახელმწიფოს ყველა უჯრედი (როგორც იტყოდნენ) ჩაება ანტირელიგიურ პროპაგანდაში. რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა მწერლობასაც. პერიოდულ პრესაში, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მდარე ხარისხის, ყოველგვარ ესთეტიკურ კატეგორიას მოკლებული ანტირელიგიური ლირიკის ფსევდონიმუშები სეზან ერთაწმინდელის, კოლა გულიაშვილის, ღუტუ იაშვილის, კანდის, ოსიტას, ფირუზას, ა. ახნაზარის (ჩიორას), პ. ირეთელის, ი. ხინველის, სიმონ-ადას, ი. ხ.-ის, გრ. მ-იანის, მ. უზნაძის, გიორგი ღარიბაშვილისა... და მთავარი უღმერთო პოეტის - ს. თოდრიასი. ეს მკრეხელური კამპანია, ძირითადად, ანტისაადღგომო თემატიკითა და მღვდლების გამასხარავება-გაპამპულავებით დაიწყო. ებრძოდნენ ღმერთს, რელიგიას. ბიბლია, მთლიანად ძველი და ახალი აღთქმა, გამონაგონ და

მოჭორილ სამასხარაო ამბად გამოაცხადეს. სმულდათ ეკლესია, განსაკუთრებული ზიზღი, სიძულვილი და სისასტიკე-დაუნდობლობა გამოსჭვივის სასულიერო პირების, მღვდლების, მიმართ. ტოტალური ანტირელიგიური ლირიკული კამპანიით გამოირჩეოდნენ პროლეტმწერლები, რადგან ისინი ამტკიცებდნენ, რომ „პროლეტარული მწერლისთვის რელიგია - მსოფლმხედველობა, რწმენა არ არის. არც ერთი პროლეტარული მწერალი არ არის მორწმუნე. წარმოუდგენელია, რომ რომელიმე მათგანს ღმერთი სწამდეს“. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ხელოვნება თავისი ბინძური იდეოლოგიის ნაწილად აქცია. ასე ჩაება მწერლობა ადვირახსნილ ანტირელიგიურ კამპანიაში.

თათია მთვარელიძე (თბილისი)

„...Utile est scire, quid futurum sit“ - კლასიკური ფილოლოგიის მომავალი და საქართველო

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ინფორმატიკის მეთოდოლოგიის ინტეგრაციის შედეგად, კლასიკურმა ფილოლოგიამ განვითარების ახალ ფაზაში გადაინაცვლა, რასაც თან სდევს დარგის არა თვისებრივი, არამედ ხარისხობრივი ცვლილება. მიუხედავად წინ გადადგმული რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯისა, ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდოლოგია და მისი შესაძლებლობები ქართულ კლასიკურ ფილოლოგიაში ჯერ კიდევ terra incognita-დ რჩება, რაც, თავისთავად, ქართული სინამდვილის საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობას ეჭვქვეშ აყენებს.

მოხსენების მიზანია, აღნიშნულ დარგში არსებული პრობლემებისა და მის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევების მიმოხილვის საფუძველზე, განისაზღვროს, რამდენად რეალურია „ციფრული კლასიკური ფილოლოგიის“ განვითარება ქართულ სინამდვილეში, წარმოაჩინოს ის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რაც ამ მიმართულებით განვითარების შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

მოხსენების ძირითადი ნაწილი დაეთმობა კლასიკურ ფილოლოგიაში ციფრული ჰუმანიტარიის საშუალებების გამოყენების მიმოხილვას და ქართულ სინამდვილეში ისეთი მეთოდების დანერგვის საკითხს, როგორცაა: ანტიკური ლიტერატურის პარალელური კორპუსების შექმნა (ბერძნულ-ქართული; ლათინურ-ქართული;), ჩაშენებული ელექტრონული ლექსიკონებისა და „თესაურუსების“ შექმნა (ბერძნულ-ქართული; ლათინურ-ქართული), სწავლებისა და სწავლის პროცესში ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდების ინტეგრაცია (ელექტრონული ბაზები, ელ-კურსები, გამოკითხვის ელექტრონული საშუალებები, აუდიო და ვიზუალური საშუალებები და ა. შ.) და უმთავრესს - კვლევის პროცესში ციფრული ფილოლოგიის მეთოდების გამოყენებას და ელექტრონული აკადემიური გამოცემების მომზადების საკითხს.

მოხსენების ბოლო ნაწილში მაგალითის სახით იქნება წარმოდგენილი „მიჯაჭვული პრომეთეს“ ქართული თარგმანის ელექტრონული გამოცემის მიმოხილვა, რომელიც ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის დეპარტამენტთან თანამშრომლობის პირობებში შესრულდა, ისევე, როგორც ამავე ტექსტის ავთენტურობის საკითხის ინფორმატიკის მეთოდებით შესრულებული კვლევის შედეგების მიმოხილვა, რომელიც ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პირობებში განისაზღვრა. ამასთანავე, მოხდება წარდგინება პროექტისა *Corpus Tragicorum Graecorum*, რომელიც ანტიკური ლიტერატურის პირველი პარალელური კორპუსი იქნება ქართულ სივრცეში.

დარღვეული დროთა კავშირი

1. დროთა კავშირის რღვევა, ანუ წარსულის, აწმყოს და მომავლის ბუნებრივი შინაგანი ერთიანობის გაქრობა ურთულესი პრობლემაა, რომელიც, პირველყოვლისა, მწერლობის ყურადღებას იპყრობს. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უცილობლად „ბედნიერი მომავალი“ ტკბილ-მწარე იუმორით, ირონიით გამოსახა დავით კლდიაშვილმა „ქამუშაძის გაჭირვებაში“. „ეკვირინეს ბოსტანი“ განზოგადებული ხატის სახეს იძენს. „ეკვირინეს ბოსტნის“ სინდრომი თანდათან მკვიდრდება XX ს-ის ადამიანის ცნობიერებაში. და ეს მაშინ, როცა რომანტიზმის მშვენიერი, მომხიბლავი სახეებით გამსჭვალული ეტაპის გავლის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებობდა „თერგდალეულთა“ და ილია ჭავჭავაძის მხატვრული სამყარო, რომელმაც ალაღვინა დროთა კავშირი, რომელმაც უარი თქვა მხოლოდ გაიდევალებულ წარსულზე, იმედით შეხედა მომავალს. ამ შემთხვევაში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება წარსულსაც, აწმყოსაც, მომავალსაც და მათ ერთიანობას.

2. ნიკო ლორთქიფანიძემ მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია – წარსულის გარეშე ვერ იარსებებს მომავალი. „დანგრეულ ბუდეებში“ ორი პლანი თანაარსებობს: „წინათ“ და „ახლა“ და აშკარაა, რომ „წინათ“, ანუ წარსული არაჩვეულებრივი, ნათელი, ფერადოვანი და სიხარულით გამსჭვალულია. მაგრამ ეს არ არ არის „ეკვირინეს ბოსტნის“ წარსული. ნიკო ლორთქიფანიძე არასოდეს ხუჭავს თვალს „ახლაზე“, ანუ აწმყოზე. ის ხატავს უმძიმეს, მტანჯველ, გაპარტახებული აწმყოს სურათებს და სწორედ წარსულისა და აწმყოს ერთ სივრცეზე შეხვედრით, ურთიერთგამსჭვალვით მიიწევს მომავლისაკენ – კრავს დროთა კავშირს. მის შემოქმედებაში არის ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი – ოტია მწიგნობარი, რომელიც, აწმყოთი გულმოკლული, თავის ოთახში ჩაკეტილა და მხოლოდ წარსულითა და მომავლით არსებობს („ჟამთა სიავე“).

3. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ყოველ სტრიქონში, ყოველ ნაბიჯზე „ინგრევა“ დრო. უპირველეს ყოვლისა, დროთა კავშირი ადამიანების შიგნით იშლება და შემდეგ ეს რღვევა თავისებურად ხდება. თამარ შერვაშიძე „კარგავს“ დროს. რღვევა იწყება მაშინ, როცა მან წარსულის სიმბოლო – ჯვარი დაკარგა, შემდეგ აწმყოში კარგავს თარაშს და კარგავს მომავალსაც – სიყვარულს და შვილს. თარაშისა და არზაყანისაგან განსხვავებით, ის არ „მიჰკედლებია“ დროთა კავშირის რომელიმე კომპონენტს და არ უარუყვია სხვა დანარჩენი. იგი მსხვერპლია, რომელიც სხვისი დამსხვრეული დროის ნანგრევებში მოჰყვა.

4. XX ს-ის ლიტერატურამ გამოსახა „ეკვირინეს ბოსტანიც“ და „არზაყანის მაუზერიც“, მაგრამ მხატვრული მიზანდასახულობა მრავალი ტექსტისა, რომელიც ურთულეს ვითარებაში შეიქმნა, არის თვალსაჩინოდ წარმოდგენა სრულყოფილი სახის – დროთა კავშირის - წარსულის, აწმყოს, მომავლის ერთიანობის - აუცილებლობისა.

ნინო მინდიაშვილი (თბილისი)

„მოთვინიერებული მწერლობის“ რეფლექსიები

მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა საბჭოთა რეჟიმმა თავისი დაღი დაასვა ქართულ საზოგადოებას. ტოტალიტარულ სივრცეში ნელ-ნელა ყალიბდებოდა სპეციფიკური საბჭოთა ტექსტი, რომელიც კარგად გამოხატავდა იდეოლოგიური ლიტერატურის არსებობას. მიზანმიმართულად მიმდინარეობდა „მწერლობის მოთვინიერების“ პროცესი. ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შიშმა ან კეთილდღეობის სურვილმა

თავისი გაიტანა, სულ უფრო ხშირი გახდა იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეული ტექსტების შექმნა, სადაც საბჭოთა წყობასა და საბჭოთა ადამიანს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ამის საპირისპიროდ, მიუხედავად დიდი რისკისა, ამ პერიოდის ზოგიერთ ტექსტში იგრძნობა პოეტის, შემოქმედის მიერ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, ჭეშმარიტი დამნაშავეების მხილების ტენდენცია. ეს პროცესი განსაკუთრებით საცნაური 50-იანი წლების ბოლოდან გახდა.

ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტია, თუ როგორ აისახა ტოტალიტარული ეპოქის მანკიერი მხარეები მხატვრულ ტექსტებში. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება XXს 60-80-იანი წლების ქართული პოეზია.

კვლევის შედეგად იკვეთება შემდეგი:

1) ტოტალიტარულმა ეპოქამ ხელი შეუწყო განსაკუთრებული დამნაშავეის ტიპის ჩამოყალიბებას.

2) XX ს. 60-80-იანი წლების ქართულ პოეზიაში აქტუალურია სხვადასხვა ტიპის დამნაშავეის მხილება.

3) პოეტი-შემოქმედი ამხელს დამნაშავეებს და განსაკუთრებით შეუწყნარებელია მათ მიმართ.

ამრიგად, დამნაშავეის მხილება ტოტალიტარული რეჟიმის ხელში კულტურული სფეროს მართვის იარაღი გახდა. პოტენციური დამნაშავეებისა და საზოგადოების მტრების მიმართ კი საბჭოთა მთავრობის მიდგომა არაბუნებრივია. ეპოქის შობილი დამნაშავეები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ მიმართ არავითარი დასჯის მექანიზმი არ ხორციელდება, თუმცა, ბრალმდებელისა და დამნაშავეების მხილების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას საკუთარ თავზე იღებენ ქართველი პოეტები (მ. ლებანიძე, შ. ნიშნიანიძე, მ. მაჭავარიანი...), რომლებიც წარმატებით წარმართავენ გამოძიების პროცესს და დამნაშავეების მიმართ საკუთარ პოზიციას მკვეთრად აფიქსირებენ.

ქეთევან მირზიკაშვილი (თბილისი)

ცნება „აღქმის“ ინტერპრეტაცია ანდაზებში

ცნება „აღქმის“ ინტერპრეტაცია ცოცხალი მეტყველებისას საკმაოდ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. თუმცა ანდაზებსა და მყარ გამონათქვამებში, რაც მეტყველების განუყოფელი ნაწილია, ცოტა განსხვავებული ვითარება წარმოჩნდება.

ანდაზის სტრუქტურა და ბუნება ძალიან კარგად მჟღავნდება მათი გამოყენებისას. სამეტყველო აქტის პროცესში მოსაუბრე გარკვეულ სათქმელს იმპლიციტურად გადასცემს მსმენელს. ეს მაშინ ხდება, როცა მოსაუბრეს არ ძალუძს, ან არ სურს სათქმელის ექსპლიციტურად გამოხატვა. ე. ი. ქარაგმულად სჭირდება სათქმელის გამოხატვა. აქ ვერ ვისაუბრებთ ენის უუნარობაზე, რამაც თითქოს შეიძლება გამოიწვიოს ანდაზის, ანუ იმპლიციტური ფორმის არჩევა. მეტყველი თავად ირჩევს ფორმას და იგი დარწმუნებულია, რომ აღმქმელი სწორად გაუგებს მას. მეტყველებაში ანდაზა საკმაოდ ხშირად იხმარება, უფრო ხშირად, ვიდრე მეტაფორა, რაც გამოწვეულია მისი განზოგადებული, ინფორმაციით დატვირთული შინაარსითა და სხარტი ფორმით. უნდა გავითვალისწინოთ ხალხში გავრცელებულობის კოეფიციენტიც, მისი ამოცნობა სამეტყველო აქტისას საკმაოდ რთულია, თუ ანდაზა მეტაფორულია. ნებისმიერი იმპლიციტური გამონათქვამის გამოყენებისას მსმენელს უხდება „სემანტიკური ძიების“ გამოყენებით ანდაზის იმპლიციტური შინაარსის გამოვლენა და, მეორე მხრივ, ილოკუციური ძალის ეფექტის დადგენა სიტუაციის გათვალისწინებით. ანდაზას ახასიათებს ფიქსირებული სემანტიკა, ფიქსირებული კონტექსტი, თუმცა მაქსიმალურად

ზოგადია. ყოველი გამოყენების შემთხვევაში იგი კონტექსტში თავისუფლად ჯდება და იძენს კონკრეტულ იმპლიციტურ შინაარსს. როდის და რას – ეს უკვე მეტყველზეა დამოკიდებული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ანდაზას, რა თქმა უნდა, აქვს ზედაპირული და სიღრმისეული დონე; აღნიშნული ცნების შემცველი ანდაზების ტიპოლოგიის განხილვისას მოხსენებაში შევეცებით ვაჩვენოთ ინტერპრეტაციის თავისებურებები და კანონზომიერებები.

ნათია მიროტაძე (თბილისი)

ბიბლია და მისი პარალელური კორპუსები¹ უძველესი დროიდან დღემდე

ბიბლია წიგნის (ხელნაწერის, ბეჭდურისა თუ ელექტრონულის) ისტორიაში ალბათ ყველაზე ხშირად გამოცემული ტექსტია. ბიბლიის გადამწერები თუ გამომცემლები ყოველთვის პასუხობდნენ დროის მოთხოვნებს და ხშირად ამ ტექსტის გამომცემისას ინოვაციური მეთოდების აპრობაციაც ხდებოდა. ასე იყო ყოველთვის და ასეა ახლაც – ელექტრონულ ეპოქაში.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ბიბლიის პარალელურ კორპუსებსა და კორპუსულ გამოცემებს, რომლებიც წიგნის ისტორიის ყველა საფეხურს მოიცავს ხელნაწერი წიგნიდან ელექტრონულ წიგნამდე:

I. ორიგენეს ჰეგზაპლა და ინტერლინიარული გამოცემები – ხელნაწერი წიგნის ეპოქაში შექმნილი ბიბლიის კორპუსული გამოცემები.

II. პოლიგლოტები – XVI-XVII საუკუნეების ბეჭდური გამოცემები (ალდინა, სიქსტინა, კომპლუტენა), რომლებშიც ერთმანეთის პარალელურად ერთ გვერდზე წარმოდგენილია ბიბლიის სამი და მეტი ვერსია თუ თარგმანი.

III. ბიბლიის პარალელური კორპუსები – ებრაული, ბერძნული, სომხური, ქართული ვერსიების სამეცნიერო ელექტრონული გამოცემები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ტექსტობრივი თუ მეტამონაცემებით არის აღჭურვილი გამომცემელთა მიზნებიდან თუ მკითხველთა ინტერესებიდან გამომდინარე.

ყველა ეპოქაში პარალელური გამოცემების ასეთი სიმრავლე რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული: ბიბლია განუწყვეტლივ ითარგმნებოდა და ითარგმნება, თარგმანთა მრავალრიცხოვნება კი პარალელური გამოცემების შესაძლებლობასაც იძლეოდა. გარდა ამისა, მკითხველს ყოველთვის აინტერესებდა, ადეკვატურად ასახავდა თუ არა თარგმანი დედანს, ან რა ტიპის გასხვავებები იყო დედანსა და თარგმანს ან თარგმანებს შორის. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აპოლოგეტიკაც, რომელიც თარგმანების (მაგ., სეპტუაგინტას – ძველი ბერძნული თარგმანის) დაცვას, სიზუსტის ჩვენებას გულისხმობდა (სწორედ ამ მიზნით შექმნა ორიგენემ ჰეგზაპლა).

მოხსენების ბოლოს ვისაუბრებთ იმ გამოწვევაზეც, რომელიც ქართული ბიბლიის ტექსტოლოგთა წინაშე დგას, რაც თანამედროვე, ორმხრივი, ანოტირებული პარალელური კორპუსის შექმნას გულისხმობს. ეს კი ბიბლიის ქართულ თარგმანს ქართულის არმცოდნე მეცნიერთათვისაც გახდის ხელმისაწვდომს და იგი ჩაერთვება სეპტუაგინტას ტექსტის დადგენის პროცესში, როგორც სეპტუაგინტას ერთ-ერთი უძველესი თარგმანი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე თითქმის სრულიად უგულვებელყოფილია (ძველი ქართული თარგმანის მონაცემები ჯერჯერობით მხოლოდ *კლესიასტეს* გოტინგენის ედიციო მაიორშია გამოყე-

¹ პარალელურ კორპუსებში ვგულისხმობთ კორპუსის წინამორბედებსაც, „კორპუსებს“, რომლებიც კომპიუტერების ეპოქამდე არსებობდა.

ნებული, რომელიც მალე გამოიცემა. ამ გამოცემისთვის ქართული მასალა მომზადებულია ნათია დუნდუას მიერ.)

რუსუდან მიქაუტაძე (ქუთაისი)

დემოკრატიულ საზოგადოებებში ელიტარულ და მასობრივ კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ღირებულებათა გადაფასება, რომელიც თვალშისაცემი გახდა მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით გამოვლინდა კულტურაში, რომელიც გაიყო ორ ურთიერთსაწინააღმდეგო და ამავდროულად ერთმანეთის შემავსებელ ნაწილებად – ელიტარულ და მასობრივ კულტურებად. მასობრივი კულტურის სწარფი დამკვიდრება მთელი რიგირ ფაქტორებით იყო განპირობებული: პირველ რიგში მის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ურბანიზაციამ, რამაც გამოიწვია ტრადიციულ კულტურათა მიყვანა კრიზისამდე, ინდივიდებსა და თაობებს შორის პატრიარქალური კავშირების გაწყვეტა, ქალაქური ფოლკლორის სტიქიური ჩამოყალიბება, ინდივიდის არჩევითობის ზონის მკვეთრი გაფართოება. ამას დაემატა საზოგადოებაში ფსიქოლოგიური დამაბულობის მნიშვნელოვანი ზრდა და განათლების უნიფიკაცია.

მასობრივი კულტურა წარმოადგენს არა იმდენად ესტეტურ, რამდენადაც სოციალურ ფენომენს. მისი სიმბოლოების და ნიშნების საშუალებით ინდივიდს აქვს შესაძლებლობა შეიმეცნოს თავისი მე, შეაფასოს თავისი თავი, შეძლოს მისი მარტოობის შეგრძნების ნიველირება. ელიტარული კულტურა კი თუ დავესხებებით ორტეგა-ი-გასეტის შეხედულებას, აღწევს ისეთ ნიშნულს, როცა ხელოვნების ნაწარმოებში ადამიანური ელემენტი ხდება ძალიან უმნიშვნელო, მისი შემნევა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც აქვს სპეციალური მხატვრული აღქმის უნარი. ეს არის ხელოვნება კასტისათვის და არა დემოკრატიული ხელოვნება.

თუმცა მე-20 ს-ში ჩნდება საინტერესო ტენდენცია, როცა მხატვრული განვითარების ავანგარდში ელიტარულ ექსპერიმენტალურ მიმდინარეობასთან ერთად არცთუ ისე იშვიათად გვხვდება მასობრივი კულტურის უმაღლესი მიღწევები. სწორედ მასის და ელიტის ურთიერთმიმართებამ მიგვიყვანა 50-იან წლებში პოპარტის წარმოშობამდე, რომლის შედეგად ავანგარდულმა, ელიტარულმა კულტურამ მიიღო გლობალური თამაშის პირობები, რომელსაც თავაზობდა მას მასების კულტურა. პოსტმოდერნიზმმა კიდევ მეტად შეამჭიდროვა ეს განსხვავებები, როცა წინ წამოსწია ყველა ტენდენციისა და მოძრაობის რადიკალური თანაბარუფლებიანობა. თუმცა თანამედროვე ეპოქაში, მიუხედავად ამ კულტურათა გარეგნული შეთვისებულობისა, მათი დაპირისპირების სიმწვავე მაინც ჩნდება, როცა საქმე ეხება სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასისა თუ ფენების ურთიერთობებს.

მანანა მიქაძე (თბილისი)

ჩინგიზ აიტმატოვის რომანის ქართული თარგმანის ენობრივ-სტილისტური ანალიზი

თარგმანი, როგორც ენათმეორისი და კულტურათმეორისი კომუნიკაციის აქტი, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მრავალ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმულია ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებანი. ზოგი თარგმანის პროცესში ლიტერატურათმცოდნეობას აძლევდა უპირატესობას, ზოგი - ლინგვისტურ მეთოდებს. მიგვაჩნია, რომ

ორივეს თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მჭიდროდ უკავშირდება ერთი მეორეს. შეიძლება მათი განცალკევებაც.

ქართველმა მკითხველმა რამდენიმე წლის წინ ცნობილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის რომანის მნიშვნელოვანი თარგმანი მიიღო, წიგნის მთარგმნელია აკაკი ბრეგაძე, რომელიც აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობით გამოირჩევა. იგი დაოსტატებული მთარგმნელია, ამას ადასტურებს თარგმანისათვის უთუოდ ძნელი და ზოგჯერ ორიგინალის მეტად რთული ფრაზები.

ჩ. აიტმატოვის „საქონდაქრე“ იმ საოცრებათა შესახებაა, რომელსაც ხშირად ვერ ამჩნევს ბუნებას მოკლებული, საკუთარ ოთახში ჩაკეტილი ადამიანი. ეს სიმბოლურად წარმოაჩენს ტექნოკრატიული საზოგადოების კრიზისს. ბუნება სადღაც შორს დარჩა, როგორც დეკორაცია, როგორც ერთგვარი ჩუქურთმა და არა როგორც ადამიანური ყოფის განუყოფელი ნაწილი. მწერალმა სიუჟეტი ბიბლიური ამბებით გაამშვენებია, საუცხოო სილამაზით დაგვიხატა.

მთარგმნელი აკაკი ბრეგაძე მთელი სისრულით გრძნობს ორიგინალს და ამჟღავნებს კარგ ლიტერატურულ გემოვნებას. ამ ნაწარმოების თვითმყოფადობა მის უცნაურ და საინტერესო მითოლოგიურ თემატიკაში ძვეს, მაგრამ, აქედან გამომდინარე, მისი თარგმნა გარკვეულ ენობრივ სირთულეებთანაა დაკავშირებული. „საქონდაქრეს“ ქართულ ენაზე გადატანა ადვილი არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთარგმნელმა შეძლო ნაწარმოების მთავარი აზრის და მისი გამომსახველობითი მხატვრული ხერხების გემოვნებით მიტანა ქართველ მკითხველამდე.

ვფიქრობთ, ნაწარმოების დედააზრი ავტორისავე სიტყვებში დევს: „გუმინდლებმა არ უწყიან, რა ხდება დღეს, მაგრამ დღევანდლებმა იციან, რა მოხდა გუმინ, ხოლო ხვალ დღევანდლები გუმინდლებად იქცევიან“ (გვ. 18).

მადონა მიქელაძე (ბათუმი)

მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა

ბოლო ათწლეულში საქართველოში შეიმჩნევა პედაგოგთა პროფესიიდან ინტენსიური გადინება და ჩნდება კადრების დეფიციტი, ასევე, ტრადიციების და გამოცდილების დაკარგვის საშიშროება. მასწავლებელთა გადინება უფრო მაღალია სკოლაში მუშაობის დაწყების პირველ წლებში და მცირდება სამუშაო სტაჟის ზრდასთან ერთად. გამოდის, რომ საზოგადოებრივი თუ კერძო რესურსის დიდი ნაწილი იხარჯება ადამიანების ისეთ პროფესიაში მომზადებაზე, რომელიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდება, არ შეესაბამება მათ მოლოდინებს, ან აღიქმება, როგორც „უმაღური“, ან აღმოჩნდება მათთვის რთული, – ან ერთიც, მეორეც და მესამეც ერთად. სტატიაში საუბარია მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე.

ლელა მიქიაშვილი (თბილისი)

რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები საქართველოში (მასალები XIX ს. I ნახევრის ფრანგ მეცნიერ-მოგზაურთა ნაშრომებიდან)

XIX საუკუნის I ნახევრიდან კავკასია ევროპული დიპლომატიის ყურადღების არეალში აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო ე.წ. "აღმოსავლეთის საკითხის" პრობლემით: ახლო აღმოსავლეთი და კავკასია ამ პერიოდში ისეთი ძლიერი სახელმწიფოების დაპირისპირების ასპარეზად იქცნენ, როგორც იყო რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია. სწორედ ამ

დროიდან სულ უფრო მეტი რაოდენობით იგზავნიან კავკასიაში და, კერძოდ - საქართველოში ამ ქვეყნების სავაჭრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აგენტები, რომელთა მიზანი იყო რეგიონის შესახებ დეტალური ცნობების მოპოვება; თავისთავად ცხადია, ნებისმიერი მათგანი საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ატარებდა მსგავს ექსპედიციას. წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული იქნება რუს და ფრანგ მეცნიერ-მოგზაურთა მონაცემები საქართველოს შესახებ.

ნანა მსახურაძე (ბათუმი)

თარგმნის სირთულეები პოლიტიკურ დისკურსში

პოლიტიკური დისკურსი დღესდღეობით იმაზე უფრო მეტად „სოციალურია“, ვიდრე ოდესმე, წვდომა პოლიტიკურ „ტექსტებთან“ თანამედროვე სამყაროში უადვილესია. ენობრივი ბარიერი მასალებთან წვდომისას თარგმანის საშუალებით მოხსნილია, თუმცა სებასტიან ლობნერის აზრით, თუკი ყოველ ცალკეულ ენას მივიჩნევთ საკუთარი სისტემის მქონედ, მაშინ ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მათ გააჩნიათ განსხვავებული სახელწოდებები სხვადასხვა ცნებებისათვის და სხვაგვარად ასახელებენ ერთსა და იმავე საგნებს, მსგავსს სიტუაციებს კი განსხვავებულად გადმოსცემენ (Löbner, 2002:153). თარგმანი მასალის ხელმისაწვდომობისა და მანძილის ბარიერის მოხსნის საშუალებაა, მას შეუძლია დაახლოების ნაცვლად დააშოროს კულტურები, კულტურათა შორის უნდობლობა გააჩინოს, ნაცვლად თანამშრომლური ურთიერთობისა (Pym 1998:124). აღსანიშნავია ის, რომ თარგმნის პროცესი ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. მასმედიის მიერ გავრცელებული მასალის ხელმისაწვდომობისათვის თარგმანს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. ყოველმხრივი ინტერესი პოლიტიკური აქტივობისადმი იწვევს პოლიტიკოსთა, ლინგვისტთა, მედიაწარმომადგენელთა და უბრალოდ, ინდივიდთა აქტიურ ჩართულობას. თარგმანი მიჩნეულია, როგორც სტრატეგიული ლინგვისტური ხერხი და მისი საშუალებით პოლიტიკოსები ხელიდან არ უშვებენ შანსს ტრანსფორმაცია შეიტანონ სასურველი ინტენციის მისაწოდებლად.

თეონა მუკუტაძე (ბათუმი)

ადამიანის კრიზისული ყოფიერება, გაუცხოების ფენომენი

ადამიანის პრობლემა ყოველთვის იყო ფილოსოფიურ-სოციოლოგიური გააზრების ობიექტი, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავეით იგი მე-20 საუკუნეში დადგა. საკითხის დაყენება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტექნიკურმა პროგრესმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ადამიანური ყოფიერების ყველა სფეროში. ტექნიკური პროგრესი, თავის მხრივ, ადამიანის ძლიერების, კეთილდღეობის, ბუნებაზე მისი გამარჯვებისა და გაბატონების გამოხატულებაა. მართალია, ახალ დროში ფ. ბეკონის დევიზის – „ცოდნა–ძალა“ – გზით სიარულმა კაცობრიობა მართლაც უაღრესად გაამდიერა და გააბატონა ბუნებაზე, მაგრამ ბუნების ბატონი, საკუთარი შემოქმედების მონა გახდა. ტექნიკური პროგრესით ადამიანმა მიაღწია ვიტალურ-ფიზიოლოგიური, მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უმაღლეს დონეს. რაციონალურმა აზროვნებამ კაცობრიობა მატერიალურ-ქონებრივი ძლიერების უმაღლეს დონეს აზიარა და იგი უმაღლეს ღირებულებად, ცხოვრების წესად, ადამიანის ყოფიერების საზრისად იქნა მიჩნეული. ამ მიმართულებით მიღწეულმა ძლიერებამ ადამიანს საზეიმო განწყობა შეუქმნა. მეორე მხრივ, ეს განწყობილება არც ისე მყარი აღმოჩნდა. ტექნიკური პროგრესით მოპოვებულმა ძლიერებამ ადამიანებს ახალი

სიმნელები და სატკივარი გაუჩინა. კომფორტისადმი მიზნობრივ-ღირებულებითმა ორიენტაციამ, მატერიალურ-ქონებრივი ძლიერების კულტმა და საერთოდ, „ფულისთვის“ ცხოვრებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ადამიანმა დაკარგა თავისი ყოფიერება. იგი გახდა ცალმხრივი „ერთგანზომილებიანი“ (მარკუზე) მომხმარებელი, ეული, გაუცხოებული. ადამიანი მარტო დარჩა, ასეთ ვითარებაში დაკარგა ყოველგვარი რწმენა უმაღლესი ღირებულებისადმი, რაც ადამიანის „ყოფიერების კრიზისის“ მაუწყებელია.

ნინო მღებრიშვილი (თბილისი)

**სასწაულის გაგება ანტიკურობაში, ქრისტიანობასა და ისლამში
და სასწაულთან დაკავშირებული დისკუსია თეოდორე აბუკურას დიალოგში**

სასწაულის გაგებას ანტიკურობაში, ქრისტიანობასა და ისლამში განვიხილავთ თეოდორე აბუკურას ერთ-ერთ დიალოგთან მიმართებაში: „სხუად ქადაგებად, გამომაჩინებელი, ვითარმედ მუჰამედ არა არს ღმრთისაგან“. ამ დიალოგში დისკუსია შეეხება მუჰამედის წინასწარმეტყველად მიჩნევას.

განვსაზღვრავთ სასწაულის რაობას ანტიკურობაში და მის მიმართ დამოკიდებულების განვითარებას უკვე ქრისტიანობასა და ისლამში.

თეოდორე აბუკურას დიალოგების ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემა წინასწარმეტყველის საკითხი იყო, რაც უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანობასა და მუჰამედის გამოჩენას დედამიწაზე. დასახელებულ დიალოგში სწორედ ამ თემის ირგვლივ კამათობენ მოწინააღმდეგე მხარეები.

სასწაულებისადმი დამოკიდებულება ისლამში რადიკალურად განსხვავდება ქრისტიანობისაგან. ეს ორი რელიგია არაერთგვაროვნად აფასებს ზებუნებრივ მოვლენებს. ისლამის მიხედვით, სასწაული წინასწარმეტყველის განდიდებას ემსახურება, ქრისტიანული თვალსაზრისით კი სასწაულის ძირითადი დანიშნულება ადამიანებისთვის სარგებლობის მოტანაა.

ისლამში სასწაული, პირველ რიგში, ნიშნებს გულისხმობს, ხოლო ქრისტიანობაში ზებუნებრივ შეწევნას. გვსურს, ჩვენი მოხსენება სწორედ ამ ხაზის ირგვლივ განვავითაროთ და განვიხილოთ, ერთი მხრივ, ის საერთო, რაც აქვს ქრისტიანობასა და ისლამს სასწაულის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით და მეორე მხრივ განსხვავება მათ შორის.

მადონა მშვილდაძე (თბილისი)

პტოლემეაიოსისეული „Αισίον κἀμῦ“-ს ლოკალიზაციის საკითხი

საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით იბერია ერთ-ერთ აქტუალურ და სადავო საკითხს წარმოადგენს. აქ დასახლებული პუნქტების ლოკალიზაციის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობის წყაროს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ შემუშავებული კოორდინატთა სისტემა, რომელიც ავტორმა თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ გადმოგვცა.

იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტი - „Αισίον κἀμῦ“, იგივე „სოფელი ლუბიონი“. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც გეოგრაფოსი კოლხეთისა და იბერიის ქალაქთა ჩამონათვალთა შორის ახსენებს „სოფელს“. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პტოლემეაიოსი, თავის სახელმძღვანელოში, მხოლოდ

განსაკუთრებული მნიშვნელობის პუნქტებს უთითებდა, გამოდის რომ ეს სოფელი წარსულში არსებითი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული პუნქტი, გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში დაკონკრეტებულია მისთვის მინიჭებული გრადუსებითა და მინუტებით (75° 40' – 46° 50'), რომლის მიხედვითაც იგი კავკასიონის ძირში ლოკალიზდება.

ამ პუნქტის დასადგენად, კოორდინატთა ბადეზე, მყარ წერტილებად მესტლეთასა (მცხეთა) და ჰარმაკტიკას (არმაზციხე) მონაცემების გამოყენებით, გეოგრაფოსის ნიშნული კონკრეტულად თანხვდება შატილის გზაზე, პირიქითა ხევსურეთში არსებულ სოფელ ლებაისკარს. აღნიშნული პუნქტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დიდ ინტერესს იწვევს. დათვისჯვრის უღელტეხილიდან პირიქითა ხევსურეთში ის პირველი სოფელია. ისტორიულად, მდინარე იორისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვების სათავეებიდან არღუნის ხეობის გავლით გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც კახეთს აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ყურადღებას იქცევს სოფლის ტოპონიმის წარმომავლობის საკითხიც. რას შეიძლება აღნიშნავდეს ლუბიონი ან მოგვიანებით წარმოქმნილი სახელი ლებაისკარი? ასრულებდა თუ არა ეს ტერიტორია რაიმე ჩამკეტის ან დამაკავშირებლის როლს არეალის რაღაც მონაკვეთში?

დიდ ინტერესს იწვევს სოფელში არსებული (სავარაუდოდ მეორადი გამოყენების) ფარულნიშნაინი ქვების არსებობაც, რომლებიც დადასტურებულია ნასახლარებზე და ცალკეული კომპების სარკმლების თაღებსა და კარის ღიობების არქიტრავეზზე.

კვლევა, აღნიშნულ პუნქტთან მიმართებაში მხოლოდ საწყის ეტაპზეა და მოითხოვს მეტ კონკრეტიზებას, თუმცა ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზეც, სოფელ ლებაისკარის გაიგივება პტოლემიოსის $\Lambda\iota\sigma\iota\upsilon\nu\ \kappa\acute{\alpha}\mu\eta$ -სთან, როგორც სამუშაო ჰოპოთეზის არსებობა, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია.

მაგდა მჭედლიძე (თბილისი)

იოანე პეტრიწის ეგზეგეტიკური მეთოდი

პლატონიზმისათვის, როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრებისათვის, რომელიც მიღმა სამყაროს დასახასიათებლად ადამიანის ენის უძლურებას აღიარებს, ნიშანდობლივია ანალოგიების მეთოდისა და მეტაფორული ენის გამოყენება. ნეოპლატონური ფილოსოფიის სისტემატიზატორს, პროკლეს, საფუძვლიანად აქვს დამუშავებული თეორია საღვთისმეტყველო მსჯელობის ფორმების შესახებ. იგი ღმერთზე საუბრის რამდენიმე სახეს გამოყოფს: სიმბოლურს, ხატებისმიერს, გამოცხადებითს და დიალექტიკურს. რამდენადაც მის „თეოლოგიის ელემენტებზე“ იოანე პეტრიწის კომენტარის ნიმუშები, როგორც ფორმის, ისე პრინციპების თვალსაზრისით, უმთავრესად თავად პროკლეს თხზულებებია, „თეოლოგიის ელემენტების“ დიალექტიკური ფორმით გადმოცემული ტექსტის განმარტებისას ქართველი ფილოსოფოსი აზრის გამოხატვის სხვა ზემოაღნიშნულ სახეებსაც მიმართავს. ამასთან, მის კომენტარებში ვხვდებით როგორც პლატონური ლიტერატურიდან კარგად ცნობილ სახეებს, ასევე, ორიგინალურ შემოქმედებასაც. განსაკუთრებით საინტერესოა ნეოპლატონური დოქტრინის გადმოსაცემად ბიბლიური სახეებისა და პატრისტიკული ნააზრევის გამოყენება. პეტრიწთან პლატონიზმისათვის დამახასიათებელი ფილოსოფოსობის ის ფორმაც გვხვდება, რომელიც აზრის დასასაბუთებლად ეტიმოლოგიებზე რეფლექსიას გულისხმობს.

კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინისტიკა ინტერნეტსივრცეში

სტატიაში, ძირითადად, ზოგადად მიმოვიხილავთ კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის წარმოჩენას ინტერნეტსივრცეში, იმ მნიშვნელოვან ვებგვერდებს, ლექსიკონებს, სახელმძღვანელოებსა და ინტერნეტმაღაზიებს, რომლებიც ხელს უწყობს ამ დარგების პოპულარიზაციას და განვითარებას. ყურადღება იქნება გამახვილებული როგორც პოპულარული, ისე აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ინტერნეტმასალაზე. ასევე, აქცენტები გაკეთდება იმ სურვილებზე, რაც უჩნდებათ ამ დარგების სპეციალისტებს, რათა წვდომა ჰქონდეთ მნიშვნელოვან ტექსტებზე, რომლებიც მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკებსა და უნივერსიტეტებსა თუ კვლევით ინსტიტუტებშია. ხშირად შესაძლოა იყოს ტექსტი, მაგრამ არა – კრიტიკული და სანდო გამოცემა, მნიშვნელოვანია სწორედ ყველაზე სარწმუნო გამოცემების ხელმისაწვდომობა.

კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინისტიკა – ორივე ისეთი დარგია, რომლებიც ფილოლოგიის გარდა მოიცავს ხელოვნების ისტორიასაც და ფილოსოფიას, ასევე, სხვა მრავალი მეცნიერების საწყისებს, რადგან უმრავლესობას სწორედ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ჩაეყარა საფუძველი. ერთი სტატიის ფარგლებში, ცხადია, ყველა მათგანს ვერ შევხებით, მაგრამ განხილული იქნება მნიშვნელოვანი ფოტო და ვიდეომასალა, რომელთაც ინტერნეტი გვთავაზობს და მნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეობისთვის.

აღნიშნული სახის მიმოხილვები, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს კოლეგებს შორის ინფორმაციის გაცვლას, რაც დარგის განვითარებასაც გულისხმობს და მაღალ აკადემიურ და მეცნიერულ დონესაც. კონფერენციის ჩატარება, უდავოდ, წამახალისებელი იქნება ქართული მეცნიერებისათვის, რათა ჯეროვნად წარმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი მსოფლიოს წინაშე თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით.

ეკა წარსია (თბილისი)

„მომხმარებლის გზამკვლევების“ გაგებისათვის საბანკო სფეროში

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში ტექსტის გაგების ასპექტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ცოდნის ტრანსფერს, როდესაც ურთიერთგაგება მიღწეულ უნდა იქნას დარგის სპეციალისტსა და არასპეციალისტს შორის. რეციპიენტს ინფორმაცია ისე უნდა მიეწოდოს, რომ მან საკუთარი გამოცდილების ჰორიზონტსა და კონკრეტულ დარგში არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით, შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება. დარგობრივი ცოდნის არასპეციალისტისთვის გადაცემის პროცესში ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ ტექსტის ენობრივ აგებულებას მიიჩნევენ.

საბანკო კომუნიკაციის ენა მომხმარებლისთვის ხშირად გაუგებარია, რაც განსაკუთრებით შეინიშნება აქტუალური ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას.

მოხსენების მიზანია საბანკო სფეროში არსებული გერმანულ- და ქართულენოვანი გზამკვლევების კონტრასტული ანალიზი. ამ ე. წ. ერგოტროპული ტექსტების შინაარსი კონკრეტულ სიტუაციაში პრაქტიკული რჩევებს უკავშირდება და მომხმარებლის ქცევას განაპირობებს.

კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია ტექსტის გაგების კონცეპტზე, რადგან საბანკო სფეროში არსებული ინსტრუქციული ტექსტების კვლევისას საქმე გვაქვს ტექსტის იმ ენობრივ

მახასიათებლებთან, რომლებიც მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს, რათა მან სამართლებრივად გამართული საბანკო ოპერაციები აწარმოოს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დავადგინოთ, საკვლევი კორპუსის ამ კონკრეტულ ტექსტის სახეობაში რომელი საკომუნიკაციო ხერხები (საინფორმაციო, ახსნა-განმარტებითი) დომინირებს.

ნაშრომის კვლევის შედეგები საინტერესოა დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკისათვის, აგრეთვე დარგობრივი ენების სწავლების პროცესში, ინსტრუქციული ტექსტების ენობრივი და კულტურული მახასიათებლების გამოპირობების, განმარტებისა და გაგებისათვის.

ირინა ნაცვლიშვილი (თბილისი)

ისტორიული მეხსიერების პოლიტიკა ადრეშუასაუკუნეობრივ ქართულ მწერლობაში

მეხსიერების კვლევებმა უკანასკნელ პერიოდში ინტერდისციპლინური შინაარსი შეიძინა და მოიცვა როგორც ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, ისე სოციოლოგია, ისტორიოგრაფია და კულტურის მეცნიერებანი. ამ კვლევათა მიზანია ინდივიდუალური, კოლექტიური თუ ინსტიტუციური მიმართულებით შეისწავლოს წარსულის დამახსოვრების ფორმები და მისი ასახვის მეთოდები სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

კოლექტიურ მეხსიერებას, რომელიც საერთოა ეთნიკური ჯგუფებისთვის, ნაციებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ერთობებისთვის, განაპირობებს მითები და ისტორიული ხასიათის ნარატივები. ამდენად, იგი ისტორიული მეხსიერებაა, რომელიც ყალიბდება საუკუნეების განმავლობაში და მოიცავს როგორც ცივილიზაციურ არქეტიპებს, ისე არქეტიპებს, დამახასიათებელს კონკრეტული ეთნოსისათვის. ისტორიული მეხსიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. ის კულტურული მეხსიერებაა, რომელიც ავლენს მჭიდრო კავშირს ერის მიერ შექმნილ საკუთარი წარსულის სურათსა და ნაციონალურ იდენტობას შორის.

ისტორიულ-კულტურული მეხსიერებისათვის დამახასიათებელია წარსულთან დაკავშირებული ინფორმაციის სელექცია და ინტერპრეტაცია. მისი ფორმირება, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების შესაბამისად, გარკვეულ კონიუნქტურაზე დამოკიდებული და ერთგვარად ხელოვნური პროცესია, რომელშიც თანაბრად მონაწილეობს ხალხიც (კოლექტივი), ისტორიკოსიც და მწერალიც.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას მივაქვევთ ადრეშუასაუკუნეების ქართულ მწერლობას, კერძოდ, აგიოგრაფიას, რომელიც, მისი ბუნებიდან გამომდინარე, თავისი დროის ისტორიული წყაროცაა. ის, რაც წინარე ლიტერატურული კვლევებით ძირითადად ქართული სპეციფიკით აიხსნებოდა, კულტუროლოგიური ძიების სხვა მიმართულებითაც არის განსახილველი. როგორც ჩანს, ისტორიული მეხსიერების პოლიტიკა მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს თვით „უტყუელად აღწერილ“ ლიტერატურაშიც. როგორც ქართული აგიოგრაფიული მასალა ცხადყოფს, ავტორები საგანგებოდ არჩევენ ფაქტებს არა მხოლოდ ეთიკურ-ზნეობრივი იდეალის წარმოსაჩენად, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რა „სჭირდება“ ერის ისტორიულ მეხსიერებას – რა უნდა იქნას დავიწყებული და რა – პირიქით, გააქტიურებული.

ოლგა ნევზოროვა (რუსეთი, ყაზანი)

ტექსტში ომონიმური გაურკვევლობის აცილების კონტექსტუალური მეთოდები

სტატია აღწერს ავტორის მიერ შემუშავებულ და „ონტონტეგრატორის“ სისტემაში დანერგილ კონტექსტუალურ მეთოდებს, რაც ომონიმური გაურკვევლობების დაძლევაში

გვეხმარება. პირველი მეთოდი აგებულია კონტექსტუალური წესების საფუძველზე. ეს მეთოდი ემყარება სინტაქსური ქცევის ლინგვისტურ შეფასებას და ომონიმების გრამატიკულ სპეციფიკაციას. კონტექსტუალური მეთოდი ანალიზებს წესების ჯგუფს, რომლებიც განსაზღვრავენ ომონიმური გაურკვევლობის აღმოფხვრის სინტაქსურ კონტექსტს გრამატიკული ომონიმის ყველა ტიპისათვის და ქმნის ჯგუფური კონტროლის სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს წესის გამოყენების თანმიმდევრობას. ამ კვლევამ გამოავლინა რუსული გრამატიკული ომონიმების ლექსიკოგრაფიული აღწერილობის აქტუალური პრობლემები. შემოთავაზებულია ომონიმების კლასიფიკაციის და ქვეტიპების შერჩევის ახალი სტატისტიკური მიდგომა.

გრამატიკული და ლექსიკური ომონიმური გაურკვევლობის დაძლევის მეორე მეთოდი აგებულია საძიებლების კოლოკაციის ბაზაზე. კოლოკაციის მოდელი განსაზღვრავს გრამატიკული და ლექსიკური ომონიმური გაურკვევლობის დაძლევის კონტექსტს. დღესდღეობით, კორპუსის რესურსების ბაზაზე ჩამოყალიბებულია კოლოკაციის დაახლოებით 2000 მოდელი.

ადა ნემსაძე (თბილისი)

ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი უცნობი ქართველი პოეტი

20-30-იანი წლების ბოლშევიკური ტერორის შესახებ დღეს უკვე ბევრი რამაა ცნობილი, თუმცა არის უამრავი უცნობი ფაქტი და დეტალი, რომლებიც დღემდე ელის გამომზეურებას. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ერთობლივი საგრანტო პროექტის - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ – ფარგლებში მოძიებული დღემდე უცნობი საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს, გამოვამყაროთ ის იდეოლოგიური შეუთავსებლობა, რის გამოც შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი მწვავედ აღმოჩნდა დაპირისპირებული მამინდელ ხელისუფლებასთან. ამჯერად ჩვენ წარმოვაჩინოთ „ცისფერყანწელებთან“ დაახლოებული და მათი მიმდევარი ნაკლებად ცნობილი მოდერნისტი პოეტის **ვანლერ დაისელის** (ნამდვილი სახელი და გვარი *ივანე ბაბუაძე*) ბიოგრაფიის გაუხმაურებელ დეტალებს.

ლიტერატურის მუზეუმში არსებულ პოეტის არქივში არის განცხადება ახალი ორდენის – „სომნაბულების“ – დაარსების შესახებ (წევრები: ივ. ბაბუაძე, ვლ. გველესიანი, გ. იმედა-შვილი, მ. წერეთელი და სხვ.), რომელიც თარიღდება 1925 წლის 7 თებერვლით. მიუხედავად იმისა, რომ „სომნაბულების“ წესდებაში ხაზგასმულია მათი აპოლიტიკურობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებიდან სრულიად სხვაგვარი სურათი იკვეთება: როგორც ჩანს, 1924 წლის აჯანყების დამარცხებას და ბოლშევიკურ დიქტატს მწვავედ განიცდიდნენ ეს ახალგაზრდები, რისი დასტურიცაა იმავე, 1925 წლის 30 ივნისს ივანე ბაბუაძის დაპატიმრება საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას) მიერ ბრალდებით: *კონტრრევოლუცია, რაც გამოხატულია არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციაში აქტიური ანტისაბჭოთა მუშაობით.*

მოხსენებაში საუბარი გვექნება სისხლის სამართლის ამ საარქივო საქმის შესახებ, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ტოტალიტარულ რეჟიმსა და თავისუფლად მოაზროვნე ხელოვანთა შორის არსებულ დაპირისპირებას, ასევე, პოეტის შემოქმედებაში არსებულ იმ ანტისაბჭოთა ნარატივის შესახებაც, რის გამოც ცოტა მოგვიანებით ვანლერ დაისელი გადაასახლეს კიდევაც.

სტრატეგიული კომუნიკაცია და თანამშრომლობის პრინციპი

სტრატეგიული კომპეტენცია, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთ-ერთი კომპონენტი, გამოყენებითი ენათმეცნიერების წიაღში გამოიყო. კანალისა და სუენისეულ მოდელში იგი მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რომელთა ამოქმედებაც ხდება არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული პერფორმაციული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის საფრთხის საკომპენსაციოდ (Canale and Swain 1980: 30).

მოგვიანებით ამ ინტერპრეტაციით დაუკმაყოფილებლობამ გამოიწვია სტრატეგიული კომპეტენციის ცნების გაფართოება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სტრატეგიული კომპეტენცია მოიაზრება როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიათა ერთგვარი კონგლომერატი, უდავოა, რომ პირველყოფლისა, პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: რა არის საკომუნიკაციო სტრატეგია? საკომუნიკაციო სტრატეგია არის საშუალება, იარაღი იმისა, რომ ენობრივმა სუბიექტმა (დედაენაზე თუ უცხოურზე) მოახერხოს თავისი შეტყობინების მაქსიმალურად ეფექტურად ორგანიზება და მიწოდება კონკრეტული მსმენელისათვის. უცხოურ ენაზე მეტყველების შემთხვევაში, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს მეტ პრობლემასთან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს სერიოზულ ძალისხმევას ენობრივი სუბიექტის მხრიდან მაქსიმალურად ეფექტური კომუნიკაციის მიღწევის მიზნით.

საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევის მიზნით განხორციელებულმა ფსიქოლინგვისტურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ დავალების ტიპი, მსმენელის არსებობა/არარსებობა სერიოზულ გავლენას ახდენს სტრატეგიის შერჩევაზე. ამ განსხვავებათა ახსნა შესაძლებელია პ. გრაისის კომუნიკაციური თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით. იმისათვის, რომ ენობრივმა სუბიექტმა შეძლოს გრაისის მაქსიმუმის დაცვა, მან უნდა იპოვოს ერთგვარი შუალედი, ერთი მხრივ, სათანადო ინფორმაციულობასა და, მეორე მხრივ, ამ ინფორმაციულობის მისაღწევად გაწეულ დანახარჯს/ძალისხმევას შორის.

ლია ნოზაძე (ქუთაისი)

გლობალიზაციის პერსპექტივები და მარსელ პრუსტის „ქვეყანათა სახელები: სახელი“

გლობალიზაციის არსის შესახებ მსჯელობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მართალია, თვით ტერმინი „გლობალიზაცია“ მე-20 საუკუნის პირმშოა, მაგრამ, თუ მის არსში ვიგულისხმებთ ადამიანის წარმოდგენას მთლიანად სამყაროს შესახებ, მაშინ ნათელი იქნება, რომ ეს საკითხი „ჰომო საპიენსის“ გაჩენისთანავე აქტუალური გახდა და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფერო მოიცვა.

ერთ-ერთი ასეთი სფერო ლიტერატურაა. კაცობრიობის ლიტერატურული აზროვნების ისტორიაზე თვალის გადავლებისას შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მისი დანიშნულება ყოველთვის იყო გეოგრაფიული საზღვრების რღვევა, სულიერი ღირებულებების გაცვლა-გამოცვლა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანთა შორის. ვინაიდან ლიტერატურაში გეოგრაფიული სივრცე (და მასთან ერთად დროც) თავის პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს, ამიტომ „ლიტერატურული გლობალიზაციის“ სპეციფიკის განხილვისას პირობითად ორი ძირითადი ტენდენცია უნდა გამოვყოთ: 1. ნაწარმოებში აღწერილი დეტალები ავტორის (ან პერსონაჟის) მიერ რეალურად ნანახ ამბებს შეესაბამება (რომელიც მან მოგზაურობის, ქრონიკების, ან სხვა ფაქტობრივი წყაროების გაცნობის შედეგად მიღებული ინფორმაციის

საფუძველზე შექმნა); 2. ნაწარმოების ავტორი სამყაროს შესახებ წარმოდგენას ქმნის არა რეალურად ნანახის, არამედ მის მიერ წარმოსახულის, რომელიმე სახელით ან გარემოებით პროვოცირებული შთაბეჭდილების მეშვეობით.

გლობალიზაციის ლიტერატურული პერსპექტივის საილუსტრაციოდ საინტერესოა მარსელ პრუსტის რომანების ციკლი „დაკარგული დროის ძიებაში“, განსაკუთრებით კი ამ ეპოპის ერთ – ერთი ნაწილი - „ქვეყანათა სახელები: სახელი“, სადაც მთხრობელი (ფაქტობრივად ავტორი) განმარტავს, რომ იგი ნაწარმოების მკითხველს, სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობის მიზნით, სთავაზობს მოგზაურობას დროსა და სივრცეში, ოღონდ აქ გეოგრაფიული ადგილები, მათი რეალისტური იერსახით, ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქ პრუსტი გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქალაქის სახელწოდებით პროვოცირებული ემოციის გეოგრაფიას, სადაც სამყაროს, როგორც მთლიანის, წარმოდგენაში, „ცნობიერთან“ ერთად, დიდ როლს ასრულებს „არაცნობიერიც“.

პრუსტის ნაწარმოების მიხედვით, მხოლოდ სახელით პროვოცირებული მოგზაურობის განცდაა ნამდვილი მონახულება, სამყაროს გლობალური მოდელის ჭკრეტის პერსპექტივა, რომელიც ავტორსა და მკითხველს პრიმიტივის აღფრთოვანებასა და კოსმოსის მთლიანობაში დანთქმის ბედნიერ შეგრძნებას გვრის.

თამარ ორაგველიძე (ბათუმი)

აჭარის მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული პრესა (მეოცე საუკუნის 30–იან წლებამდე)

ოდესღაც მხოლოდ გაზეთი წარმოადგენდა მასობრივი ინფორმაციის ძირითად საშუალებას. თანამედროვეობაში კი მასობრივი კომუნიკაციები უაღრესად განშტოებული და მიმართულია აუდიტორიის მრავალფეროვან მოთხოვნათა სპექტრის დაკმაყოფილებისაკენ. ინტერნეტის ეპოქაში, ინფორმაციის ციფრული გავრცელების შესაძლებლობამ მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწია გაზეთს, თუმცა მთელი რიგი მახასიათებლებით პრესა მაინც ინარჩუნებს უპირატესობას.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სრული კორპუსის შექმნაში მნიშვნელოვანია დღემდე შეუსწავლელი ნაწილების შევსება. ამ მხრივ განსაკუთრებულია რევოლუციამდელი პრესა. ეს მით უფრო თვალშისაცემია, თუ გავითვალისწინებთ პოსტსაბჭოთა პერიოდში, ზოგადად, მეცნიერების დაინტერესებას წარსულის ისტორიული გადაფასებისადმი. პოსტსაბჭოთა პერიოდში შემოქმედი ადამიანი, რომელიც გათავისუფლებულია საბჭოთა იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან, ცდილობს კომპლექსურად მიუდგეს პრესის ისტორიას, მისგან მომდინარე ზღვა ინფორმაციას.

აჭარის მუზეუმში დაცულია სულ 22 დასახელების გაზეთი, რომლებიც ქრონოლოგიურად 1911–1937 წლებში თავსდება. ისინი მდიდარ ინფორმაციას შეიცავენ რევოლუციამდელი და მომდევნო პერიოდის ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. მათ შორის თვალშისაცემია ეროვნული მუხტის გააქტიურება, მოვლენათა გაშუქებისას გეოგრაფიული არეალის გაფართოება; შეინიშნება ინფორმაციის მიწოდების არაოპერატიულობაც, რაც განპირობებული იყო რედაქციების დარბევით, მასალების გატაცებითა და რედაქტორთა დაპატიმრებებით. აღნიშნული გაზეთები კარგი საშუალებაა აჭარის რეგიონის სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე მსჯელობისათვის, ამასთანავე, ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან სარედაქციო კოლეგიის იმჟამინდელი მუშაობის მეთოდების შესახებაც.

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცე - პლანეტის მოქალაქის აღზრდაზე ზრუნვაში

თანამედროვე მსოფლიოს აერთიანებს პლანეტის მოქალაქის აღზრდაზე ზრუნვა. ინტენსიურად ვითარდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცე, ამიტომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ცდილობს შექმნას ადამიანის განათლების გლობალური სტრატეგია მისი საცხოვრებელი ადგილისა და განათლებულობის დონის მიუხედავად.

დღეს საუნივერსიტეტო განათლება პოლიკულტურული განათლების ნიშნებს იძენს. იგი ავითარებს იმის უნარს, რომ ადამიანმა შეძლოს მოვლენების შეფასება სხვა ადამიანის პოზიციიდან. ეს სხვა ადამიანი შეიძლება განსხვავებული კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის წარმომადგენელი იყოს.

მსოფლიოში შეიმჩნევა სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციის ტენდენციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეგაპოლისებში. ისინი შეიძლება იყოს კონტინენტალური, რეგიონთაშორისი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის.

ბევრ ქვეყანაში შეინიშნება უნივერსიტეტების გაერთიანება სამრეწველო კომპლექსებთან. ასე იქმნება თანამედროვე წარმოების უნიკალური სპეციალისტების მომზადების ბაზები.

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ნაციონალურ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციების, მიზნებითა და ამოცანებით, თავიანთი ხარისხობრივი შემადგენლობით.

მსოფლიო განათლება რომ პოლიკულტურულია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისთვის დამახასიათებელია სივრცული (ტერიტორიული) და ორგანიზაციული სტრუქტურები. მსოფლიო განათლების პრობლემების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებს, რამდენადაც ისინი მოითხოვენ მათს განხორციელებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მონაწილეობას.

უკანასკნელ ათწლეულში წარმოიშვა ინტერნაციონალური შინაარსის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურები: საერთაშორისო და ლიაუნვერსიტეტები. მსოფლიო განათლების პოლისტრუქტურა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მეტაბლოკების, მაკრორეგიონებისა და ცალკეულ ქვეყნებში განათლების მდგომარეობის ანალიზი.

განვითარებული ქვეყნების პედაგოგიური სისტემებისათვის თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია მეცნიერების, განათლებისა და წარმოების სინთეზი, რაც მსხვილი მეგაპოლისების საშუალებით ხორციელდება.

დალი ოსეფაშვილი (თბილისი)

ახალი ამბების ფორმისეული ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში

მოხსენების მიზანია წარმოვადგინოთ კვლევის შედეგები, თუ როგორ იცვლება ქართულ ბეჭდურ მედიაში ფორმისეული სტრუქტურა ახალი ამბების გავრცელებისას და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება რა გავლენას ახდენს ჟურნალისტური სტილის ფორმებზე (ჟანრებზე).

როგორ ვითარდება მულტიმედია ჟურნალისტიკა საქართველოში? როგორ აისახება ეს პროცესი ახალი ამბების ფორმისეულ ტრანსფორმაციაზე? რა სიხშირით გამოიყენება ქართულ გაზეთებში კონვერტირებული ნიუსრუმი? ეს დროის გამოწვევაა თუ ტრადიციული მედიის დასასრული? - ეს გახლავთ ძირითადი საკვლევი შეკითხვები.

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები - ინტერვიუები ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან. კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, 2014 წლის თებერვალში. კითხვარი დაეგზავნა 150 ჟურნალისტს. ამ ინტერნეტგამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 114 ჟურნალისტმა.

კვლევის შედეგების თანახმად, როგორც გამოკითხული ჟურნალისტების 47% აღნიშნავს, თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება მათ რედაქციაში მულტიმედია ფორმები; ჟურნალისტების 54%-ის აზრით, მიუხედავად ახალი ამბების გავრცელებისას მულტიმედია ფორმების აქტიური გამოყენებისა და ტექსტთან ერთად ვიდეოებისა დართვისა ბეჭდურ და საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე, ეს მაინც არ ნიშნავს საგაზეთო ინდუსტრიის დასასრულს. მულტიმედია ახალ ამბებს ბევრი დადებითი თვისება აქვთ და ეს მხოლოდ დროის გამოწვევაა ტრადიციული ანუ ვერტიკალური მედიისთვის.

ლელა ოჩიაური (თბილისი)

**„დილის რეცენზია“ - მითი თუ რეალობა?
(ბეჭდური მედიის გავლენა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე)**

ჩვენ მითების ნგრევის, დემითოლოგიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და „ახალი“ რეალობის გაცნობიერება ბევრ ურთიერთგადამკვეთ თუ პარალელურ შემთხვევასთან შეხვედრით გვიწევს.

ახალი რეალობისა და ცხოვრების ახალი ფორმის დამკვიდრებასთან ერთად, შეიცვალა სახელოვნებო სფეროს სისტემის მუშაობაც და მასთან ერთად ჩვენი წარმოდგენები „ახალი დეოლოგიაზე“ ახალი საბაზრო ეკონომიკისა და სახელმწიფოს წნეხისგან სახელოვნებო სფეროს გათავისუფლების პირობებში.

ცვლილებებმა ჩვენი არსებობის – ყოფიერების ყველა სფეროს გადაუარა. ქვეყნის დამოუკიდებლობას დამოუკიდებელი გაზეთებიც (რომელთა რიცხვიც კვლავ მატულობს) მოჰყვა და მედიის პრინციპებიც შეიცვალა.

პრესამ და ტელევიზიამ „მეოთხე ხელისუფლების“ სტატუსი დაიმკვიდრა და საზოგადოებრივ აზრზე მუშაობას (მოქმედებას) საკუთარი შეხედულებისამებრ შეუდგა.

ყურადსაღებია, თუ რამდენად ახდენს გავლენას ოპერატიული რეცენზია (რომელსაც „დილის რეცენზიას“ ვუწოდებ) უშუალოდ ფილმისა და სპექტაკლის ავტორზე, შემოქმედებით ჯგუფზე, მის შემოსავალზე, მაყურებლის აქტივობა-პასიურობაზე ამ სპექტაკლთან თუ ფილმთან კავშირში.

ისიც საინტერესოა, ვინ (თუკი საერთოდ, ვინმე) განსაზღვრავს დღეს საზოგადოებრივ აზრს - მედია, ავტორიტეტი? იქნებ სწორედ ესეც - ავტორიტეტების არარსებობაა საზოგადოების მიერ „დილის რეცენზიის“ იგნორირების მიზეზი?

მაყურებელი და სპექტაკლი, ფილმი (რეჟისორი), კინო და თეატრი (რეჟისორი) და კრიტიკა, მაყურებელი და კრიტიკა – თითქოს ერთი წრეა, თუ სამკუთხედი, რომლის ყველა გვერდი, წესითა თუ კანონით, ერთ წერტილში უნდა იყრიდეს თავს, მაგრამ ამ ეტაპზე სისტემა ვერ ამუშავდა და „სამება“ პარალელურ ხაზებად დარჩა, რომლებიც ჯერჯერობით არსად იკვეთება.

მარიკა ოძელი (თბილისი)

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ვებგვერდი

ენის სწავლებას სამი მიმართულება აქვს: ენის, როგორც მშობლიური ენის სწავლება, ენის, როგორც მეორე ენის სწავლება და ენის, როგორც უცხო ენის სწავლება. ამ მიმართულებების ძირითადი განსხვავება სწავლების მეთოდოლოგიაშია.

ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველოს ექსპერტებმა შექმნეს ენათა აღწერილობის ზოგადევროპული სტანდარტი ენის, როგორც უცხო ენის, სწავლებისათვის იმ მიზნით, რომ ევროპელ ერებს გაუადვილდეთ ერთმანეთის ენების შესწავლა ერთი გარკვეული სისტემის საფუძველზე, ევროპიის ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებაში გარკვევა ან უცხოეროვნულ გარემოში ადაპტაციის პროცესი. 2006 წელს ჩვენ შევიმუშავეთ ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა (A1, A2, B1, B2), რომლის პრეზენტაცია შედგა ევროპის საბჭოში და შემდგომ გამოიცა წიგნად. ქართულის, როგორც უცხო ენის აღწერის ცდა იმ პარამეტრებით, რომლებიც მიღებულია ევროპის თანამეგობრობაში, განაპირობებს მის ინტეგრირებას საგანმანათლებლო ლინგვისტიკის საერთაშორისო სისტემაში და მის განხილვას საერთო-ევროპულ ენათა ერთობის ერთ-ერთი ენის რანგში. 2010-11 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში შესრულდა ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის ელექტრონული ვერსია სამუშაო ჯგუფთან ერთად. შემდეგ წლებში ამ სტანდარტს დაეფუძნა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. სახელდობრ, ქართულის, როგორც უცხო ენის, მეთოდის თეორიული სახელმძღვანელო პრაქტიკული დავალებებითურთ, ქართულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოები (A1, A2 დონეები), ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურა დონეების მიხედვით და ამჯერადაც გრძელდება მუშაობა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების სრული პაკეტის შესაქმნელად. პარალელურად შეიქმნა ვებგვერდი, რომელზეც განთავსდა პროგრამის ფარგლებში შესრულებული მასალები და რომელიც თანდათანობით შეივსება. ქართულის, როგორც უცხო ენის ვებგვერდის შექმნა განაპირობა ელექტრონული რესურსების ფართო ხელმისაწვდომობის ფაქტორმა და მომხმარებელთან ინტერაქციის შესაძლებლობამ.

თამარ პაიჭაძე (თბილისი)

მოდერნისტული რეკვიზიტი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია (ექსპრესიონიზმი)

ავანგარდიზმის ქართულ ანალოგებში ყოველთვის ცნაურდებოდა თავისთავადობის და განზოგადების ნიშნები, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო ანალიტიკაში სწორედ ის გამოხატულებანი მიიჩნევა სიახლედ და წარმატებულად, რომლებშიც ინდივიდუალიზმის, შემოქმედებითი კულტურის, არსებული ისტორია გარკვეულწილად აზღვევს მას კომპილაციისაგან და მის თავისებურებასაც განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ქართული მოდერნისტული მსოფლმხედველობის ასოციაციები თუ პარალელური სახეები „რადიკალურად მარცხნივ“ ევროპული მიმართულებით უნდა ვეძიოთ, ეს კავშირები იყო არასისტემური, სქემატური და ზოგჯერ პირად ურთიერთობებზე აღმოცენებული. ის ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია უფროა, ვიდრე შეხედულებათა იდენტობის ან თეორიულ პოზიციათა გაზიარების პროცესი. ამ მხატვრულ დისკურსთა კონტენტ ანალიზს ლოგიკურად მივყავართ ავანგარდისტული ტენდენციების ქართულ შემოქმედებით კონტექსტში ინსტალირების და სისტემატიზაციის საკითხთან.

ქართული მოდერნიზმის თეორიულმა ანალიტიკამ ცალსახად წარმოაჩინა, რომ ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც მხატვრულ შემოქმედებითი მეთოდი, ანუ მეთოდის ლიტერატურა, რომელსაც, ევროპულ შემთხვევათაგან განსხვავებით, პოლიტიზებული ხასიათი არასოდეს მიუღია, არც საზოგადოებრივ-ყოფითი ფასეულობების შეცვლის პრეტენზია ჰქონია. მეტიც შეიძლება ითქვას: მას, ისევე, როგორც სხვა ლიტერატურულ მოძრაობებს, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ტრადიციის, მენტალობის, მხატვრული აზროვნების მრავალწლიანი ნიადაგი დახვდა და ამ ნიადაგზე ყოველგვარმა მაქსიმალისტურმა ტენდენციამ,

რადიკალიზმმა, კატეგორიულობამ, ორთოდოქრალიზმმა ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და ნაციონალურ-ლიბერალურ ელფერი მიიღო, არა მხოლოდ როგორც მსოფლმხედველობამ, არამედ როგორც მხატვრულმა მეთოდმა.

ამ პოზიციითა გათვალისწინებით უნდა გავანალიზოთ ექსპრესიონისტული ლიტერატურის დამკვიდრების საკითხი ქართულ შემოქმედებით სივრცეში, რომელმაც თავი იჩინა ოციან წლებში, არსებული ავანგარდისტული მიმართულებების პარალელურად; თუმცა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ის ოდენ მხატვრულ ტენდენციად და „ერთი მწერლის მოვლენად“ აღიქმება. ეს მოსაზრება კი გადახედვას საჭიროებს. რადგან ექსპრესიონიზმს ქართულ ლიტერატურაში აშკარად გააჩნდა მხატვრულ-მეთოდოლოგიური ფორმატი, ინტერკულტურული ტენდენცია და ამასთან ერთად გამოკვეთილი ინდივიდუალურ-ნაციონალური ნიშნებიც, რაც არა მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის, არამედ, ასევე, გერონტი ქიქოძის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვა მწერალთა შემოქმედებით მემკვიდრეობაში სახიერდება.

მერი ჟორჟოლიანი (თბილისი)

ვთამაშობ, მაშასადამე, ვარსებობ

ჩემი საკონფერენციო თემა შეეხება თამაშის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში. ამ თემაზე დამაფიქრა ჩემივე თემის ხელმძღვანელის, ქალბატონი ნანა გულიაშვილის მიერ ხელოვნების ფილოსოფიაში წაკითხული სალექციო კურსის ერთმა ნაწილმა, რომელშიც განვიხილეთ ჰაიზინგას „კაცი მოთამაშე“. პირველივე დღიდან დამაფიქრა ამ საკითხმა და გადავწყვიტე ამ წიგნის ჩემებური ინტერპრეტაცია გამეზიარებინა უფრო ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, კომპეტენტურია სწორ აზროვნებაში.

გადავწყვიტე, რომ ჩემი ესეი შემდეგნაირ წესრიგს დავუმორჩილო:

- თამაშის მნიშვნელობა ბიოლოგიურად.
- მოთამაშე ადამიანსა და ცხოველს შორის სხვაობა.
- ადამიანის „ჰომო ლუდენსად“ სახელდების უმთავრესი მიზეზები.
- თამაშის კავშირი კულტურასთან („კულტურული თამაში“).
- თამაშის მნიშვნელობა რელიგიაში.
- თამაშის ატრიბუტიკა და მისი მნიშვნელობა ცხოვრების სხვა სფეროებში.
- თამაშის წესები და თამაშის ჩამშლელი.
- მოთამაშის ფსიქოლოგია.
- თამაშის მოთხოვნილების „მეტაფიზიკა“.
- თამაშის პირმშონი.
- დასკვნა: ჩემი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გვანცა საბაშვილი (ბათუმი)

პოლიტიკური დისკურსი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანია იმით, რომ სწორედ ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური შეხედულებანი, მოხდა საზოგადოების კონსოლიდაცია და აზრის ფორმირება.

ამის პარალელურად, გამწვავდა პოლიტიკური მდგომარეობა. ერთი მხრივ, ოსმალები, ხოლო მეორე მხრივ რუსები ცდილობდნენ საკუთარი ინტერესები გაეგრძელებინათ, დაეკანონებინათ და მათთვის საინტერესო ტერიტორიული ერთეულები შეექმნათ. ამის პარალელურად, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ არსებული მიმდინარე ვითარება და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რომელიც ერთ-ერთ მძლავრ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა, სააშკარაოზე გამოეტანათ არსებული ვითარება და საზოგადოებისათვის ნათელი გაეხადათ მისი მნიშვნელობა.

ამ პერიოდის ქართულ პუბლიცისტიკაში პირუთვნელად აისახა და გაანალიზდა არსებული პოლიტიკური ვითარება. სწორედ ამ საინტერესო სეგმენტის საშუალებით შევეცადეთ ჩავეწვდომოდით აღნიშნულ ეპოქას. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ ამ პერიოდში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული პოლიტიკური შეხედულებების, ნააზრების გაცნობა და გაანალიზება, შევეცადეთ რამდენიმე მათგანზე გავგემახვილებინა ყურადღება და ამით ის მნიშვნელოვანი საკითხები წამოგვეჩია, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა იმ ეპოქის ცხოვრებაში და რაც გახლდათ წინაპირობა შემდგომი პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებებისა.

ნინო სამნიძე (ბათუმი)

ინტერნეტული წერიტი დისკურსი და მისი ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლები (ინგლისური ენის მასალაზე)

თანამედროვე საზოგადოების ტექნიკური განვითარების დღევანდელ დონეზე, როდესაც შესაძლებელი ხდება ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობის დამყარება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც კი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა ფუნქციონირებს, ბუნებრივად ჩნდება ინტერესი კომპიუტერული წერიტი კომუნიკაციის და მისი ენობრივ-პრაგმატიკული თავისებურებების შესწავლის მიმართ. დღევანდელ დღეს ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული წერიტი კომუნიკაცია დისკურსის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება. იგი წარმოდგენილია ორი ძირითადი სახით: ეპისტოლარული ფორმით, რომელიც ელექტრონული ფოსტით (E-mail) ხორციელდება, და წერიტი საუბარი, ე.წ. „ჩეთი“ („IRC“ = Internet Rely Chat), რომელსაც ჩვენ ინტერნეტულ წერიტი დისკურსად განვიხილავთ. თითოეული მათგანი ხასიათდება სპეციფიკური ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლებით, რომელთა ერთობლიობაც მათ ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას ქმნის.

ინტერნეტული წერიტი დისკურსი წარმოადგენს მესიჯების საშუალებით განხორციელებულ საუბარს, რომელიც იძლევა როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობას. მოცემული განმარტება ანტინომიურია თავისი არსით, რადგანაც მასში „საუბარი“, რომელიც ზეპირმეტყველების ცნებას წარმოადგენს, დახასიათებულია წერიტი მეტყველების ისეთი ატრიბუტებით, როგორც არის წერილობითი მესიჯები. აქედან გამომდინარე, ინტერნეტული დისკურსის ეს ტიპი არ შეიძლება წარმოადგენდეს არც საკუთრივ ზეპირი და არც საკუთრივ წერიტი დისკურსის ფორმას. ჩვენი აზრით, ეს არის დისკურსის ამ ორი ფორმის ნაერთი, „ჰიბრიდი“, რომელიც მთელი რიგი ენობრივ-პრაგმატიკული თავისებურებებით ხასიათდება. სწორედ ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, „ჩეთი“ უპირისპირდება როგორც ზეპირ დისკურსს, ასევე წერიტი კომუნიკაციის ეპისტოლარულ ჟანრობრივ ფორმას.

დებატები „ორიენტალიზმის“ გარშემო

მოხსენებაში თავდაპირველად განხილულია, თუ რა შინაარსს ატარებდა ტერმინი „ორიენტალიზმი“ სხვადასხვა ეპოქაში და რა სახეცვლილებას განიცდიდა, რა მნიშვნელობით გამოიყენება (და აღარ გამოიყენება) ეს ტერმინი დღეს. წარმოჩენილია ის მიზეზები, თუ რატომ მიიჩნევა მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ტერმინის გამოყენებას მიზანშეუწონლად თანამედროვე კვლევებში.

შემდგომ განალიზებულია ედვარდ საიდის საკვანძო ნაშრომი „ორიენტალიზმი“. ყურადღება გამახვილებულია ედვარდ საიდის ბიოგრაფიასა და პოლიტიკურ მწრამსზე. აღნიშნულია, რომ ავტორის თვალთახედვიდან, საიდის „ორიენტალიზმი“ სწორედაც რომ პოლიტიკური პროექტია მკაფიო მიზნით – აჩვენოს დასავლური პოლიტიკის არასწორი, დამანგრეველი ხასიათი აღმოსავლეთის მიმართ. თუმცა, საიდი თითქოსდა (საკმაოდ ბუნდოვნად) ხაზს უსვამს, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა დასავლური პოლიტიკის განხილვა და უფრო მეტიც, ის არ არის „ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული არც ერთი დარგის სპეციალისტი;“ ანუ პარადოქსულია, რომ ის არ არის „ორიენტალისტი“ (ტრადიციული გაგებით), მაგრამ წერს „ორიენტალიზმის“ შესახებ (მისეული გაგებით).

მოხსენების მომდევნო ნაწილში წარმოჩენილია ფუკოსეული დისკურსის მნიშვნელობა საიდის შემოქმედებაში. განალიზებულია როგორც საიდის მომხრე, ისე მისი მოწინააღმდეგე მკვლევრების შეხედულებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საიდისა და აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსის, ბერნარდ ლუისის დაპირისპირების მიზეზებისა და შედეგების ანალიზს. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ლუისის ხედვა უპირველესად ისტორიკოსის ხედვაა, ხოლო ლიტერატორ საიდს სურს მოიცვას თავის კონცეფციაში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ყველა დარგი, რაც ყოველთვის არ აძლევს ობიექტურობის დაცვის საშუალებას (განსაკუთრებით, ეს ეხება ისტორიას).

იოსებ სანიკიძე (ზათუმი)

მოვლენა, როგორც ასახვის საგანი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ჟურნალისტიკის ასახვის ძირითად საგანს წარმოადგენს. ჟურნალისტური ტექსტების უდიდესი ნაწილი სწორედ მსგავსი ხასიათის თემატიკას ეძღვნება. მსოფლიოში არსებული ვითარება რეალური ფაქტებით, პრობლემატიკით, მოსალოდნელი შედეგებით – ის ძირითადი მასაზრდოებელი წყაროა, რომლის გარეშეც არ არსებობს თანამედროვე ჟურნალისტიკა და რომელსაც ასახვის საგნის სფეროში უპირველესად ინფორმაციული, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური შინაარსი განსაზღვრავს. მსგავსი სახის პუბლიკაციებში მოვლენათა არა მარტო ჩვენება, არამედ ახსნა და ანალიზია როგორც სიღრმისეული კვლევის ან მხატვრული გააზრების ობიექტურად გადმოცემა. ეს ხდება უპირველესად იმ მიზნით, რომ გაირკვეს მოვლენათა მნიშვნელობა, აქტუალობა, მიზეზები და განისაზღვროს შესაძლო მოსალოდნელი შედეგები. მოვლენა, როგორც ზუსტად დაფიქსირებული ფაქტი (პირველი ნაბიჯი საზოგადოებრივ პროცესში), კონკრეტული სივრცითა და დროითი, (ე.ი. ნათელი დასაწყისითა და დასასრულით), შესაძლოა, ბუნებრივ კატაკლიზმებსაც უკავშირდებოდეს. მოვლენები, როგორც ცნობილია, წარმოიქმნება გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ზნეობრივი სიტუაციებით, თუ სხვა მდგომარეობით საზოგადოებისა. განსხვავებით ბუნებრივი მოვლენებისგან, ჟურნალისტიკისათვის, უპირველეს

ყოვლისა, მნიშვნელოვანია მოვლენები, რომლებიც წარმოადგენს ადამიანთა ქცევისა და მოქმედების არეალს გარკვეული მიზნებით, ამოცანებითა და შედეგებით, რაც არა მხოლოდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ საზოგადოებრივ პროცესზე, არამედ ხშირად ჩართულია მათში და განმაპირობებელ ფაქტორადაც გვევლინება.

მაია სახოკია (თბილისი)

ძველსპარსული აქემენიდური წარწერები ქართულად: თარგმანის თეორია და პრაქტიკა

საგანგებო დაკვირვება ცხადყოფს, რომ აქემენიდური წარწერები მხატვრული ღირებულებებით ხასიათდება. შინაარსობრივად არსებითად ეს სამეფო ქრონიკებია, მაგრამ წარწერათა შთაგონებული პათოსი, ამაღლებული ანუ მაღალი სტილი, სტილისტურ თავისებურებათა ნიშნები და ზოგიერთ პოეტიკურ მახასიათებელთა ერთობლიობა, – როგორცაა მეტრი და რიტმი, სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენება (მაგ., ეტიმოლოგიური ფიგურები, საკრალური ფორმულები, გამეორება, პარონომაზია, ტავტოლოგია და სხვა), – მხატვრული ნაწარმოებების ტოლფარდ ლიტერატურულ მოვლენად აქცევს მათ. მ. ანდრონიკაშვილის თქმით, თავის დროზე ზოგი თანამედროვე მკვლევარი შესაძლებლად თვლიდა ძველ სპარსულ წარწერებში რითმისა და მეტრის არსებობას, რაც იყო თავად მ. ანდრონიკაშვილის ღრმა რწმენა. ამ მოსაზრებაში დარწმუნებულია წინამდებარე ტექსტის ავტორიც. ამ მიმართულებით, მ. ანდრონიკაშვილისა და მ. სახოკიას ნამუშევრები არ არის ლინგვისტური ლინგვისტური თუ პწკარედული ტიპის თარგმანები; ისინი არც მხოლოდ აკადემიურ სამეცნიერო, არამედ მხატვრულ თარგმანთა სფეროს განეკუთვნება. ამგვარი არჩევანი მხოლოდ მთარგმნელის მხატვრული გემოვნებითა და შემოქმედებითი მუხით შეიძლება იყოს განპირობებული თუ ნაკარნახევი. იმავდროულად, ორიგინალის ტექსტური სტრუქტურებიც იძლევა თარგმანული მრავალფეროვნების ლიტერატურულ საფუძველსა და შესაძლებლობებს. შედეგად კი ვიღებთ ავტორიზებულ მხატვრულ თარგმანს, რომელიც იმავდროულად ზედმიწევნით გადმოცემს ორიგინალის შინაარსს და რაც მთავარია – შთამბეჭდავ დამუხტულ სულისკვეთებას. ჟანრობრივად ძველსპარსულ ენაზე შესრულებულ აქემენიდურ კორპუსს შეიძლება ვუწოდოთ მხატვრული ქრონიკებიც, ხოლო პოეტიკურად ეს რიტმული პროზაა. სწორედ ამიტომ, ქართველი მთარგმნელები ძველსპარსული ტექსტების გადმოცემისას ბუნებრივად და უნებლიედ მიილტვიან ლექსთწყობისაკენ, თუმცაღა ტექსტები ორგვარად შეიძლება ითარგმნოს: პოეტურადაც და პროზაულადაც. ყველა შემთხვევაში, ძველსპარსული წარწერების შინაგანი მეტრიკა და რიტმული დამუხტულობა, დინამიკა ქვეშეცნულად ბადებს მთარგმნელის ცნობიერებაში შინაგან მუსიკას, ტექსტურ მუსიკალობას. ეს კი ზოგჯერ ვერლიბრის, თეთრი (თავისუფალი) ლექსის სახესაც იძენს. ქართულ ენაზე ძველსპარსული წარწერების ორივე მთარგმნელს, – მზია ანდრონიკაშვილსა და წინამდებარე სტრიქონების ავტორს, დასახელებული მთარგმნელობითი ფორმა აქვთ ნაცადი: აქემენიდური ქრონიკები ითარგმნება რითმულ ლექსად, გალექსილ პროზად, ვერლიბრად, რიტმულ პროზად და სხვა მისთ. ორიგინალის ტექსტსტრუქტურაც ყველგან დაცული უნდა იყოს მაქსიმალურად. რელიგიური შინაარსის პასაჟებისა და ლოცვის ფორმულების თარგმნისას ხშირად გამოიყენება ქრისტიანული ქართული ლექსიკა ანუ გადმოქართულების პრინციპი და ტექსნიკა ეყრდნობა ტრადიციულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და შესაბამის ენობრივ მასალას. კერძოდ, მაგ., მ. სახოკიას თარგმანებში მცირე მხატვრული დამატებებიცაა, დაკლებული კი არაფერია. ძველსპარსულ წარწერათა ტრადიციული, ხშირად და უცვლელად ხმარებული განმეორებადი ფორმულები ქართულში სხვადასხვა ეკვივალენტებით ითარგმნება ანუ გამრავალფეროვნებულია სინონიმური რიგებით. გამოყენებადია ქართული ტრადიციული სიტყვაკაზმული მწერლობის

მდიდარი გამოცდილება. ასე ხერხდება ორიგინალის დასაშვები ხარისხით გაქართულება. საკუთარი სახელები ორივე წამყვანი ფორმითაა წარმოდგენილი: ძირითადად ძველსპარსული, ხანაც კი ბერძნული ფორმებით, რომელთაც თავის მხრივ სხვადასხვა ქართული ვარიანტებიც დაეძებნებათ; ამ კუთხით ვეყრდნობით ქართულ სამწერლო ტრადიციასაც. ქართულ თარგმანში ზოგჯერ ემატება ჭარბი, გამაძლიერებელი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალაც. თემების სათაურთა გარდა, გამხატვრულებულია წარწერათა დასათაურებებიც. თარგმანი ამაშიც და ზოგადად ტრადიციულ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეყრდნობა. ჯამურად, ძველსპარსულ აქემენიდურ წარწერათა ქართული თარგმანები ცალსახად განეკუთვნება არა ოდენ სამეცნიერულ-პოპულარულ თუ აკადემიურ მეცნიერულ, არამედ წმინდა ქართულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც. ლიტერატურულობის განსაზღვრება, ჩვენი შეხედულებით, შეეხება თავად ძველსპარსულ ორიგინალსაც; ან ყოველ შემთხვევაში, ორიგინალი იძლევა თარგმანისთვის ამგვარი თეორიისა და პრაქტიკის სრულ საფუძვლებს. მოხსენებაში ჩანს სათანადო შესატყვისთა სურათი.

გულ მუქერემ სეზგინი-ოზთურქი (ართვინი, თურქეთი)

ქართული მწერლობა თურქულენოვან სივრცეში

საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა თურქეთთან საუკუნეებს ითვლის. ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის სულ რაღაც წინა საუკუნეში დაიწყო. მიჩნეულია, რომ ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში 1960-იანი წლებიდან იწყება. ქართულ ლიტერატურასთან კავშირი თავდაპირველად ევროპული ენების საშუალებით ხდება.

ქართული ლიტერატურის წარდგენა თურქი მკითხველისთვის თურქი ინტელექტუალის აჰმედ მელაშვილის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირდება. ამ წარმატებით ქართველმა თურქმა მწერალმა და ჟურნალისტმა ქართული კულტურის და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის ნიმუშებით და საქართველოზე ენციკლოპედიური წიგნის გამოცემით. ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ჟურნალმა „ჩვენებური“. მის ირგვლივ შემოკრებილი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოების მიერ დიდი პროპაგანდა ეწეოდა ქართული კულტურის და საქართველოს ისტორიის საკითხების მართებულად გაშუქებას თურქულენოვანი მედიის საშუალებით. მაგრამ ჟურნალის გამოცემა რამდენიმე წლის წინ შეწყდა. თურქულად ითარგმნება ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკური ნიმუშები (რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებები), ასევე თანამედროვე ეპოქის ნიჭიერ წარმომადგენელთა ნაწარმოებები (ნოდარ დუმბაძის, ფრიდონ ხალვაშის და სხვა). გარდა ჟურნალ „ჩვენებურისა“, ქართული კულტურის პროპაგანდას დიდ სამსახურს უწევს ჟურნალები „ფიროსმანი“ და „მამული“. ქართულ ენაზე იბეჭდება სახელმძღვანელოები, ანბანი და ანდაზები, ასევე, სხვა სახის პედაგოგიური დანიშნულების ლიტერატურა ქართული წარმომავლობის თურქი ახალგაზრდებისათვის.

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რამდენად იყო და არის დაინტერესებული თურქი საზოგადოებრიობა ქართული ლიტერატურის კვლევითა და თარგმნით.

ნეოლოგიზმების როლი თანამედროვე გერმანულ ენაში

თანამედროვე საზოგადოება მუდმივ ცვლილებაშია. ენა, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენი, ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და მასში უამრავი სიახლე შედის. ამ მხრივ, ლექსიკა განსაკუთრებული ღიაობით გამოირჩევა, რასაც ნეოლოგიზმების დამკვიდრება და მოძველებული სიტყვების გაქრობაც მოწმობს. ახალი სიტყვები არა მარტო ლექსიკის გამდიდრების საშუალება, არამედ ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია, ამიტომაც ყოველდღიურ კომუნიკაციაში ხშირად დიდ პოპულარობას აღწევენ. თუმცა ბევრი ამ მოვლენას სკეპტიკურად უყურებს, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ნეოლოგიზმები სესხების შედეგად მიიღება, რადგან აშინებთ ინგლისურის სულ უფრო მზარდი გავლენა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ გერმანულში ნეოლოგიზმების შექმნის უმთავრესი წყარო სიტყვათწარმოება და მნიშვნელობის ცვლილებაა, რასაც ენის მატარებლები დიდ ყურადღებას არ აქცევენ და შესაბამისად, ნაკლებად მტკივნეულად აღიქვამენ. საინტერესოა იმის გარკვევა, რომელი სახეობა რა ფუნქციას ასრულებს. ნეოლოგიზმები, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კონოტაციის მატარებლები, უშუალო კავშირში არიან ტექსტის ფუნქციასთან, კონტექსტსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან.

მოხსენებაში შევეცდებით გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს: რა ტიპის ნეოლოგიზმები არსებობს და რომელი გამოირჩევა განსაკუთრებული პროდუქტიულობით? რით არის გამოწვეული მათი შემოსვლა ენაში და გერმანული ენის რომელ ვარიანტებში გვხვდება ისინი უმეტესად? რამდენად ხშირად გამოიყენება ახალი ლექსიკური ერთეულები ყოველდღიურ კომუნიკაციაში? რა როლი აკისრია მასმედიას მათ შექმნასა და გავრცელებაში? როგორია უცხო ენის გავლენა ამ პროცესზე? რამდენად ექცევიან ისინი ნორმის ფარგლებში?

ასევე წარმოვადგენთ ნეოლოგიზმების თავისებურებებსა და ეფექტებს.

ქეთევან სვანიძე (ბათუმი)

ინტერკულტურული კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები

საკომუნიკაციო აქტი კომუნიკაციის მინიმალურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება წარიმართოს როგორც ლინგვისტური საშუალებების გამოყენებით, ისე ქესტიკულაციით, სხეულის მოძრაობით, სახის გამომეტყველებით და სხვა.

ამდენად, კომუნიკაცია შეიძლება წარიმართოს როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურადაც. საკომუნიკაციო პროცესის დროს, ინფორმაციის უმეტესი ნაწილი გადაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ვერბალურ ანუ სიტყვიერ გამონათქვამს თან ახლავს შესაბამისი არავერბალური მახასიათებლები. მეტყველების თანმხლებ არავერბალურ ნიშნებს მეცნიერები „პარალინგვიზმებს“ უწოდებენ.

პარალინგვისტური ნიშნები უდიდეს როლს ასრულებს აზრისა და გრძნობების ნაირფეროვნების გამოსახატავად. ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ფონაციურ („სამეტყველო“) და კინესიკურ („მოძრაობით“) პარალინგვიზმებს. ფონაციურ პარალინგვიზმებად მიჩნეულია მეტყველების ისეთი მახასიათებლები, როგორიც არის, მაგალითად, ხმის ტემბრი, ინტენსივობა, მეტყველების ტემპი და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფონაციური პარალინგვისტური კომპონენტები მეტყველების თანმხლები ელემენტები კი არ არის, არამედ მისი შემადგენელი და განუყოფელი მახასიათებლებია. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება თითოეული სამეტყველო აქტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფონაციური პარალინგვიზმების

უმრავლესობას უნივერსალური ხასიათი არ აქვს ყველა ენისათვის. არავერბალურ მახასიათებლებში ვგულისხმობთ პროსოდიულ და პარალინგვისტურ ნიშნებს. მეტყველების პროცესში შესაძლებელია გამოიყო სრომელიმე სიტყვა უკეთ წარმოსაჩინად, რაც ამ სიტყვის გაძლიერებულ ან ხმა მაღალ წარმოთქმაში გამოიხატება. მაგალითად, ინტონაციის მეშვეობით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, რას გამოხატავს მთქმელი: თხოვას, კითხვას, ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთას, გაჯავრებას, ალერსს და ა.შ. უფრო მეტიც, თითოეული მათგანის გამოსახატავად შესაძლებელია მრავალგვარი საშუალება გამოიყენებოდეს.

მარინე სიორიძე (ბათუმი)

ცნობიერების ნაკადი ნატალი საროტის რომანებში

„ახალი რომანის“ ტრადიციული რომანისაგან გამოყოფა XX საუკუნის 50–იან წლებში დაიწყო. ეს სახელი შეარქვეს 1950 წელს გამოცემულ რამდენიმე წიგნს. პირველად კი ამგვარი ტიპის ნაწარმოები - „ტროპიკები“ - ნატალი საროტმა 1939 წელს გამოსცა. 1956 წელს იგი გამოსცემს ლიტერატურულ ესეის „ეჭვების ხანა“, რომელშიც უპირისპირდება რომანის ტრადიციულ ხედვას.

თავის რომანებში ნატალი საროტი ცდილობს გადმოსცეს ადამიანთა შინაგანი სამყარო, ცნობიერების ნაკადი, რომელიც მეტყველების, ე.წ. „ქვედალოგების“ („sous-conversation“) მიღმა იკვეთება და რომელსაც მწერალი „ტროპიკებს“ უწოდებს. ამით იგი ამხელს ენისა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ პირობითობებს. მის ნაწარმოებებში სრულიად შეცვლილია პერსონაჟის, მთხრობელისა და ამბავის სტატუსი, როგორც ეს ზოგადად ახალ რომანს ახასიათებს.

ნატალი საროტი ფსიქოლოგიის წინააღმდეგობა, ანუ წმინდა ფსიქოლოგია საროტისათვის – ეს არის არაცნობიერი, ქვეცნობიერი, მისი უმცირესი, შეუმჩნეველი გამოვლინებები, მიკროდრამები, რომლებიც ამომრავებენ ყოველ არსებას, ამის გადმოცემას სიუჟეტი ვერ შეძლებს, საჭიროა საუბრის იქით მყოფი ქვესაუბარი, სიტყვების იქით – ქვეტექსტები, შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი. მოვლენები, აღწერები, ობიექტური სიტუაციები ქრება და ადგილს უთმობს დიალოგებს, საუბრებს და რეაქციებს არაცნობიერში. სიტყვების ობიექტურ მნიშვნელობას არავითარი აზრი არ აქვს. ნამდვილი რეალობა იმალება მათ უკან „მე“-ს არაცნობიერში, რომელიც ძალიან ღრმად არის ჩამალული ადამიანში.

წმინდა ფსიქოლოგია ავტორისათვის არის ცნობიერების ველის ხატვა წმინდა მდგომარეობაში, პერსონაჟისა და გონების ჩარევის გარეშე. საუბარი საროტისათვის კომუნიკაციის საშუალება კი არ არის, არამედ ის, რაც იმალება მათ უკან. მწერლის აზრით, მომავალი რომანი უნდა იყოს გაუცნობიერებელი განცდებისა და შესტების, ინსტინქტური მისწრაფებებისა და „ქვესაუბრის“ ჩანაწერი. „საროტმა გამოიმუშავა ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ფსიქოლოგიის მიღმა დაინახოს რეალობა მისსავე არსებობაში“ - წერს სარტრი ნატალი საროტის ერთ-ერთი რომანის წინასიტყვაობაში.

ნათია სირაბიძე (ბათუმი)

ამინდის შექმნის თეორია ქართულ მედიაში: რამდენად საჭიროა მეტი დრო დაეთმოს განათლებაზე საუბარს?

ამინდის შექმნის თეორიის მიხედვით, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე ზეგავლენა აქვს მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას; რაც უფრო აქტიურად შუქდება ესა თუ ის

თემა, მით უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანია ის საზოგადოებისთვის. რას აშუქებს დღეს მედია და რას ფიქრობს ხალხი – რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს? რა ადგილი უჭირავს განათლების გაშუქებას ყოველდღიურ სიახლეებში და რამდენად აისახება ეს საზოგადოებრივ აზრზე? მედიამონიტორინგის და საზოგადოებრივი აზრის კვლევის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

თამარ სირაძე (ბათუმი)

**„...და არც ერთ მოკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“
(პლუტარქოსი, ფრიდრიხ შილერი, ჰერმან მელვილი და გრიგოლ რობაქიძე)**

პლუტარქოსი ნაშრომში „ისიდას და ოსირისის შესახებ“ (თავი 9) მოგვითხრობს წარწერაზე, რომელიც ქალღმერთ ისიდას (იგივე ნეიფ, იგივე მინერვა ან ათენა) ქანდაკების საფეხურზეა ამოტვიფრული ეგვიპტის ქალაქ საისში: „მე ვარ ყოველივე ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება. და არც ერთ მოკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“. ეგვიპტელი ღვთაებების იდუმალეობა და მისტიკა სამყაროში განფენილი მარადიული ჭეშმარიტების მიუწვდომლობის შემცველია, ხოლო მათი აკლდამების მცველი სფინქსი ენიგმადქცეული იგავებისა და ლეგენდების საბურველითაა მოცული, რომლის მიღმა ღვთიური სიბრძნეა დაფარული.

ნაშრომის ყურადღების ცენტრშია ამ წარწერის ლიტერატურული და ტვირთის გაანალიზება სამი ცნობილი ავტორის შემოქმედებაში, კერძოდ, ფრიდრიხ შილერის ლექსში „შებურვილი კერპი საისში“, ჰერმან მელვილის რომანში „მოზი დიკი“ და გრიგოლ რობაქიძის დაუსრულებელ რომანში „ფალესტრა“.

ნაშრომი განიხილავს ამ ცნობილ წარწერას მარადიული ჭეშმარიტების აღქმის კონტექსტში და ასკვნის, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებში იგი ძირითადად გამოყენებულია, როგორც დედამიწაზე ჭეშმარიტების საბოლოო შეცნობის შეუძლებლობის მეტაფორა.

ვიქტორია სიტნიკოვა (ბათუმი)

მ. ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ თანამედროვე ქართული თარგმანები

მხატვრული ლიტერატურის თარგმანი მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურათათმორის დიალოგთან. მხატვრული თარგმანი მოიცავს სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურის ურთიერთ-კავშირისა და ურთიერთგავლენის რთულ პროცესებს. აღნიშნული პროცესების კულტუროლოგიური ასპექტის გარკვევა საკმაოდ საინტერესო საკითხს წარმოადგენს. მ. ბულგაკოვის შემოქმედება საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს რომანი „ოსტატი და მარგარიტა“, რომლის თანამედროვე თარგმანების ანალიზი წარმოადგენს ჩვენს მიზანს. ჩვენი მიზანია გავანალიზოთ:

რამდენად არის შენარჩუნებული რომანის უახლეს ქართულ თარგმანებში ავტორის სახე, მის მიერ შექმნილი სამყაროს ხატი; ტრანსპონირების პროცესში მთარგმნელის მშობლიური კულტურის ზეგავლენის ხარისხი და აქედან გამომდინარე, ორიგინალში დაფიქსირებული სამყაროს ხატის ტრანსფორმაციის თავისებურებანი; შეუქმნის თუ არა თარგმანი ქართველ მკითხველს ადეკვატურ წარმოდგენას ორიგინალის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებზე, დაასრულებს თუ არა თარგმანი კულტურათმორისი მედიატორის როლს, არის თუ არა ჩართული ის სრულიად განსხვავებული კულტურების ინტერფერენციის პროცესში.

თანამედროვე განათლების თეორიის აუცილებლობა სასწავლო პროცესში

ამჟამად დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების წამყვან პედაგოგიურ კონცეფციების საფუძველს წარმოადგენს პრაგმატიზმი, პოზიტივიზმი, და ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიური თეორიები, რომლის ფსიქოლოგიური საფუძველი არის ფსიქოანალიზი და ბიჰევიორიზმი ასეთ პედაგოგიკას ტექნოკრატულ პედაგოგიკას უწოდებენ .ასეთი პედაგოგიკის მთავარი არსი არის ის, რომ აღზარდოს ისეთი პიროვნება, რომლისთვისაც მთავარი სარგებლიანობის აუცილებლობაა და არა სულიერება.

რა თქმა უნდა, ამ თეორიებს აქვს თავისი დადებითი მხარე და ეს უპირველესად არის ის, რომ ის ამზადებს მოზარდს არა მხოლოდ თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული ანუ ცხოვრებისეული ცოდნით, მაგრამ უარყოფითი ის გახლავთ, რომ ისედაც გაუცხოებულ გარემოში, როცა ადამიანი გაუცხოვდა საკუთარ თავთან, ერთმანეთთან, როცა ხორციელი ზემოობს, როცა ყველაზე მაღალორგანიზებული მატერიის ტვინის შეცვლას ცდილობს კომპიუტერი , რა თქმა უნდა, ეს თეორემები ხელს უწყობს ამ გაუცხოების პროცესს.

ნანა სტამბოლიშვილი, ანზორ აბუსერიძე (ბათუმი)

თანამედროვე ავსტრიული გერმანულის ზოგადი მიმოხილვა

ავსტრიული გერმანული განსხვავდება ზემო გერმანულიდან როგორც ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებებით, ასევე წერისა და წარმოთქმის ნორმებით.

ავსტრიაში მხედველობაში იქნა მიღებული 1996 წელს რეფორმასთან დაკავშირებული საერთო გერმანული მიღწევები, რომელიც ავსტრიელების მონაწილეობითაც განხორციელდა, მაგრამ მათ უარი არ უთქვამთ ავსტრიული გერმანულის სამეტყველო თავისებურებებზე.

ავსტრიული გერმანულის თავისებურებების აღწერას და გამოკვლევას თავიანთი შრომები მიუძღვნეს როგორც ავსტრიელმა და გერმანელმა, ისე არაგერმანელმა ენათმეცნიერებმა. ბევრი მეცნიერი მას გერმანული ენის ერთ-ერთ ვარიანტად თვლის, თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებაც.

ჩვენი მიზანია ე. წ., ავსტრიული გერმანულისა და თანამედროვე გერმანული ლიტერატურული ენის (ზემოგერმანულის) ვარიანტების შედარება როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ დონეზე, მათ შორის სინტაქსური, ფრაზეოლოგიური და პრაგმატული ხასიათის თავისებურებების გამოვლენა და ხაზგასმა. აგრეთვე, იმ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზების დადგენა, რომლებმაც განაპირობა ზოგიერთი სახის ლექსიკურ-გრამატიკული ხასიათის განსხვავებულობის წარმოქმნა ავსტრიულ გერმანულსა და ზემო გერმანულს შორის.

ნინო სულაგა (თბილისი)

კოლხეთი და ფიბულები

საქართველო იმ რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც უძველესი მედიტერანული კონტაქტების ამსახველი არტეფაქტი - რკალისებური ფიბულებია გავრცელებული. კავკასიაში აღმოჩენილი ათასამდე ფიბულიდან 80% საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული და

ისინი ძირითადად კოლხური კულტურის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სოფ. კურზუში აღმოჩენილი ფიბულაც, ძველ კოლხეთში აღმოჩენილი ფიბულების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, საქართველოში აღმოჩენილ სხვა მასალებთან ერთად - ზოომორფულყურანი კერამიკა, სავალისებრი დუგმები, სპირალურბოლოებიანი სამაჯურები და საკისრე რკალები, ბრინჯაოს ვაზები, და ბრინჯაოს ნაწარმზე გრავირების მეთოდის გამოყენებასთან ერთად, კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ადრეული კონტაქტებისა, რომელიც არსებობდა კოლხეთსა და ევროპის რეგიონებს შორის, და რომ საქართველო (და კავკასია) ნაწილი იყო იმ უზარმაზარი სივრცისა, რომელშიც ფიბულის „იდეა“ ტრიალებდა. ამ სივრცეში მცხოვრები უძველესი ხალხების ურთიერთობის, კონტაქტების შედეგად ხდებოდა მსგავსი ან შედარებით სახეცვლილი არქეოლოგიური არტეფაქტების გავრცელება, რისი ერთ-ერთი უტყუარი საბუთიცაა ფიბულა, რომელიც კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამახასიათებელი კომპონენტი გახდა.

ნ. სულავა, რ. ჩაგელიშვილი, ნ. კალანდაძე, თ. ბერიძე (თბილისი)

პრეისტორიული მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი ძეგლები მთიან კოლხეთში (ლექსუმი)

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული კოლხური კულტურის (თავისი ლოკალური კერებითა და ინფილტრაციის ზონების ჩათვლით) მძლავრ სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ბაზაზე წარმოშობა კიდევ ერთხელ დადასტურდა პრეისტორიულ მეტალურგიასთან დაკავშირებული ახალი აღმოჩენებით მთიანი კოლხეთიდან, ლექსუმიდან, რომელიც აქამდე მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაკეთობებითა (ბრინჯაოს განმები) და უძველეს მეტალურგიასთან დაკავშირებული სხვა არტეფაქტებით (ბრინჯაოს ზოდები, წიდები, ყალიბი) იყო ცნობილი.

ლექსუმში შეგროვებული არტეფაქტების (ლითონის სადნობი ქურების შელესილობის ფრაგმენტები, წიდები, ნალვენთები) შესწავლამ რენტგენოფლოუორესცენტული (XRF) სპექტრომეტრით აჩვენა მათში ლითონებიდან რკინის (80-95%) ყველაზე დიდი შემცველობა, ხოლო წიდის ზოგიერთ ნიმუშში დადასტურდა სპილენძის შემცველობა (41%). წარმოდგენილი კვლევები იძლევა არა მარტო პირველად მონაცემებს იმისა, რომ აღნიშნული არტეფაქტები წარმოადგენენ უძველეს მეტალურგიულ ძეგლებს, არამედ ვარაუდის გამოთქმის საშუალებასაც, რომ სპილენძისა და რკინის სადნობი ქურები თანადროულად არსებობდნენ. ჩვენი ვარაუდის დადასტურებისა და თარიღის განსაზღვრის შემთხვევაში არსებითად გადაიხედება ძველი კოლხეთის ბრინჯაო-რკინის ხანის ქრონოლოგიის საკითხები.

დენიზა სუმბაძე (თბილისი)

მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება და ქართული ბიზანტინოლოგიის თეოლოგიური პრობლემები

1) დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებრიობა დგას კაცობრიული ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენის წინაშე: ეს არის მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც ბიზანტიურ-ტრადიციული ისტორიით გამართული შვიდი კრების შემდეგ იმართება 12 საუკუნის ინტერვალით.

2) საქართველო, რომელიც მთელი თავისი ქრისტიანული ისტორიით წარმოჩინდა თავისი ღმერთით ჯვარცმულ ქვეყნად, ხოლო მეფენი მისნი - „მახვილად მესიისად“, ქვეყანა, რომელიც ქრისტიანობის მსოფლიო დამცველად აცნობიერებდა თავის ეროვნულ დანიშნულებასა და სულიერ მისიას, ლოგიკურია, რომ 21-ე საუკუნის საწყისებში გამართული მსოფლიო საეკლესიო კრება, შემაჯამებელი კაცობრიობის ქრისტიანული ისტორიისა, და განმსაზღვრელი ქრისტიანობის მომავლისა, ლოგიკურია, რომ საგანგებოდ იყოს დაინტერესებული კაცობრიული ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენით.

3) ლოგიკურია, ისიც, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებათა ისტორია, როგორც ბიზანტიის იმპერიული ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და, შეიძლება ითქვას, ამ იმპერიის იდეოლოგიური ღერძი, ერთგვარად განაპირობებს საგანგებო დაინტერესებასაც საკუთრივ ბიზანტიანოლოგიურ-ეკლესიოლოგიური მეცნიერული თვალსაზრისითაც.

4) წინამდებარე მოხსენების ავტორის თეოლოგიური პოზიციები, როგორც ბიზანტიურ-ეკლესიური აზროვნების ისტორიულ-დინამიური განვითარების ლოგიკური შედეგი, როგორც მეცნიერული თვალსაზრისები ქრისტიანობის, ანუ მსოფლიოს წინამძღოლი მოძღვრების მომავლისა, წარმოდგენილი გვაქვს სამი ათეული წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ შრომებში და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებში: „გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“ (1979 წელი), „მოგონებანი დედათა მონასტერზე“ (1989-90 წ.წ.), „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“ (2001 წელი), „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“ (1999-2004 წ.წ.), „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ და სხვაგან.

კახაბერ სურგულაძე (ბათუმი), გიორგი ჭიღვარია (თბილისი)

1941 წლის გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება

1. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში, მესამე რაიხის ელიტა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ, მოითხოვდა თურქეთის ოკუპაციის დაწყებას. საბოლოოდ, თურქეთის დაპყრობის ნაცვლად გერმანელებმა აფრიკაში ამჯობინეს საომარი ოპერაციების წარმოება.

2. ვიდრე ვერმახტი საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული, მათთვის მნიშვნელოვანი იყო თურქეთა ნეიტრალური პოზიცია. ამ მიზნით 1941 წლის 18 ივნისს, ქ. ანკარაში ხელი მოეწერა გერმანია-თურქეთს შორის ხელშეკრულებას „ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მეგობრობის შესახებ“. აღნიშნული ხელშეკრულებით ორივე მხარემ ივალდებულა ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო კამპანიისაგან თავის შეკავება.

3. ნეიტრალიტეტის მიუხედავად, თურქეთი მაინც ხელს უწყობდა გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. მონტრეს კონვენციის დარღვევით მან უფლება მისცა გერმანულ სამხედრო გემებს შესულიყვნენ შავი ზღვის სრუტეებში.

4. 1941 წლის ზაფხულიდან, მეგობრობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთსა და გერმანიას შორის გაფორმდა რამდენიმე ეკონომიკური ხელშეკრულება, რომელთა ძალითაც ორივე მხარე მნიშვნელოვან სარგებელს პოულობდა.

5. გერმანიის სამხედრო მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, თურქეთმა გერმანიასთან ეკონომიკურ საქმიანობაზე უარი განაცხადა. ამის მიუხედავად, ის მეორე მსოფლიოს დასასრულამდე მაინც ცდილობდა ფაშისტებთან მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნებას.

მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში

წარმოდგენილი კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ანალიზებს მეტაფორის ზოგიერთ ტიპს, კერძოდ, კონცეპტუალურ მეტაფორას, რომელიც გარკვეული შეხედულებისა თუ მოსაზრების განსაზღვრისათვის ჩნდება პოლიტიკურ ტექსტში.

მეტაფორა პოლიტიკური ლინგვისტიკის კვლევის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. ზემოქმედების თვალსაზრისით, მეტაფორის გამოყენება წერით და ზეპირმეტყველებაში მეტნაკლებ ზეგავლენას ახდენს ადამიანის აღქმაზე, ასევე მის მიერ ამა თუ იმ სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენის გაგებაზე, მათი შეფასების ჩამოყალიბებაზე.

ზოგადად, მეტაფორებს შესწევთ უნარი ჩამოაყალიბონ ადამიანის აზროვნება. ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული მეტაფორები ან მეტაფორული მოდელები გვიჩვენებს მათი აზროვნების გზებს; გვაძლევს წარმოდგენას მათი ჭეშმარიტი დამოკიდებულების შესახებ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი (Lakoff G., Johnson M. Metaphors we live by. Chicago, 1980).

ლაკოფის და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თანახმად, რომლებიც ეყრდნობიან სხვადასხვა კულტურათა ძირითად კონცეპტებს, არა მარტო ავსებს კულტურული უნივერსალიზმის დეფიციტს, არამედ არ გამორიცხავს პოლიტიკური მეტაფორიკის დიაქრონიულ ცვალებადობას.

მეტაფორული გამონათქვამები, კონცეპტუალური მეტაფორების ინდივიდუალურ და კონკრეტულ შემთხვევებს წარმოადგენენ.

ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა მეტაფორების ინდივიდუალურ ხასიათს: „მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოსტატობას მეტაფორების გამოყენებისას, ვინაიდან მხოლოდ ამ ერთის სწავლა არ შეიძლება სხვებისაგან, ეს უნარი ტალანტის დამახასიათებელი ნიშანია. კარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების შემჩნევას ნიშნავს. კონცეპტუალურ მეტაფორას შეუძლია გადმოსცეს მოსაუბრის დამოკიდებულება სინამდვილესთან უკვე მზა ფორმის (სიტყვის ან სიტყვათმეთანხმების) დახმარებით, რომელიც შექმნილია ენობრივი კოლექტივის იმ წევრთა მიერ, რომლებმაც ტალანტის ან გარემოებათა წყალობით დაინახეს ის, რაც ენობრივი კოლექტივის სხვა წევრებისათვის იმ მომენტამდე დაფარული იყო. სწორედ ამაში ვლინდება, საყოველთაოდ ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ენა - ესაა მისი მატარებლის კოლექტიური შემოქმედების საგანი.

ნარგიზა სურმავა (თბილისი)

ობიექტის მრავლობითობის ვე(ე) მაწარმოებლის წარმომავლობისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გამოვლინდება ობიექტის (გრამატიკული და რეალური) მრავლობითობის აღსანიშნავად სპეციალური მაწარმოებელი – ვე(ე): გონია-ვე, უთხრა-ვე, აქ-ე, ყავს-ე. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენის შესახებ ცნობილი გახდა ბ-ნ რ. ენუქაშვილის (ენოხის) ნაშრომებიდან.

ბ-ნ რ. ენუქაშვილის აზრით, ე(ვე) მაწარმოებელი არ უკავშირდება ვე ნაწილას და ამ სუფიქსის ვარიანტიებიდან (-ე და -ვე) ამოსავალია ე, ხოლო ვე მისი პოზიციური ვარიანტია (ვ ბგერა განვითარებულია როგორც ხმოვანთგამყარი).

ჩვენი დაკვირვებით, მასალის ანალიზიდან გამომდინარე, შეუძლებლად არ მიგვაჩნია აღნიშნული დაბოლოების ვე ნაწილაკთან დაკავშირება; ასეთ შემთხვევაში ე გამოდის ვე ნაწილაკის პოზიციურ ვარიანტად გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში.

მოხსენებაში მოცემულია ცდა ობიექტის მრავლობითის ვე(ე) მაწარმოებლის დაკავშირებისა ვე ნაწილაკთან: ძველ ქართულში ვე ნაწილაკი იხმარება ზმნებთან და მისი ფუნქციები (განმეორებითობის, სიმრავლის აღნიშვნა) გარკვეულწილად თან ხვდება ყე ნაწილაკის ფუნქციებს.

თამარ ტაბახმელაშვილი (ოსლო, ნორვეგია)

ხატოვანი ენის, კერძოდ, მეტაფორების გაგება აუტისტური სპექტრის მქონე პირთა მიერ

კომუნიკაციის პრობლემები აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ერთ–ერთი ძირითადი მახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი კვლევა, დიაგნოზის მქონე ინდივიდთა შემეცნებისა და ენობრივი განვითარების საკითხები კვლავ ბუნდოვანია და ბევრ შეკითხვაზე პასუხი გასაცემია.

ტრადიციულად, ითვლება, რომ აუტისტური სპექტრის მქონე პირები, დიაგნოზიდან გამომდინარე, ვერ იგებენ ან პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ მეტაფორებს, იდიომებს, ირონიას და ა. შ. ენის მოცემული დომენის დეფიციტის ახსნას მკვლევრები დიდი ხანია ცდილობენ და არსებობს თეორიები, რომლის მიხედვითაც აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებში ემპათიის ნაკლებობა, ფლექსიბური აზროვნების დეფიციტი და ა. შ. იწვევს გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამის გაგების პრობლემებს. თუმცა, შედარებით ახალი კვლევები საწინააღმდეგო შედეგებს აჩვენებენ და ასკვნიან, რომ ხატოვანი ენის გაგების დეფიციტი აუტიზმის მახასიათებელი კი არ არის, არამედ პირდაპირ კავშირშია ზოგადად ენის განვითარების დონესთან.

მოხსენების მიზანია მოცემულ საკითხზე ჩატარებული კვლევების ანალიზი და შედეგების შეჯამება.

მაია ტაკიძე (ბათუმი)

თვისებრივი კვლევის როლი ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებაში

რატომ თვისებრივი კვლევა ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებისთვის? – სწავლის პროცესში უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტისთვის ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარება: ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ სიტუაციაში ადაპტაციის უნარი, ცოდნის მენეჯმენტის უნარი, ავტონომიურად მუშაობის უნარი. ასევე აუცილებელი და მნიშვნელოვანია ტიპური აკადემიური დარგობრივი კომპეტენციები, ისეთები, როგორიცაა ანალიზისა და სინთეზის, პრობლემის გადაჭრის, ცოდნისა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის, ასევე მოსმენისა და წარმოთქმის უნარი. უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენს სტუდენტებს უჭირთ უცხოური მეტყველების გაგება, მოსმენილის გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენების სწავლება/სწავლის პროცესში ახალი მეთოდები დაინერგა და ბევრ პედაგოგს დიდი წარმატებაც აქვს მოპოვებული, შესამჩნევია სტუდენტთა მუშაობის დაბალი დონე. მათ უჭირთ ისეთი მასალის მოსმენა და გაგება როგორიცაა: სატელევიზიო პროგრამები, ნიუსები, სტატიები, განცხადებები, ინსტრუქციები. ამიტომ აქტუალობა მდგომარეობს იმაში, თუ რა მეთოდით შეიძლება გავაუმჯობესოთ მოსმენისა და წარმოთქმის უნარ-ჩვევები, როგორ ავამაღლოთ სტუდენტებში

დარგობრივი კომპეტენციები, კერძოდ: სწორად მეტყველების უნარი; კომუნიკაციის უნარი; მოსმენილის გადმოცემა; მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

თვისებრივი კვლევა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის საგანი, მისი მიზანია საკვლევი საგნის სიღრმისეული შესწავლა, თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, ჩვენ უფრო ღრმა ცოდნას ვიღებთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც შევისწავლით. თვისებრივი კვლევის მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და აღვწეროთ სამყარო კვლევის ობიექტის თვალთ.

ემპირიული კვლევა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს კვლევას მეთოდოლოგიის დონეზე ახალი სტრატეგიების, მექანიზმებისა და აქტივობების დანერგვას არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. მოხსენებაში განხილული იქნება თვისებრივი კვლევის როლი ინგლისური ენის შესწავლის სრულყოფაში.

თამარ ტალიაშვილი (თბილისი)

კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში

ინფორმაციული ინდუსტრიის ეპოქაში ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. სწრაფად ცვალებად გარემოში, "შავი" და "თეთრი" რიტორიკის შემოტევის ფონზე, ეს პროცესი სულ უფრო რთულდება. მეცნიერები თანხმდებიან, რომ გამოსავალი პერსპექტივაზე გათვლილ განათლებამია, რომელსაც საფუძვლად ორი პრინციპი უნდა ედოს: 1. ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციისა და საჭირო მასალის მოძიების უნარი; 2. მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ინტერპრეტაციის და გამოყენების უნარი. სწორედ ეს უნარები განსაზღვრავს ადამიანის კრიტიკული აზროვნების განვითარების დონეს.

ნაშრომში განხილულია კრიტიკული აზროვნების დიდაქტიკური ასპექტები და მის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ერთერთ ასეთ პრობლემად მიგვაჩნია რეფლექსია საგნის სწავლების კონცეფციაზე. შედეგზე ორიენტირებული სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით მასწავლებლებს ვთავაზობთ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე და ექსპერიმენტულ კვლევებზე დაყრდნობით დამუშავებულ კითხვის მოდელს, სადაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკურ მთლიანობას ქმნის კრიტიკული აზროვნების განვითარების კონცეფცია. კერძოდ, კითხვის ეტაპების შესაბამისობის დადგენა კრიტიკული აზროვნების განვითარების ფაზებთან არის ჩარჩო-მოდელი, რომელიც მიზანმიმართულად წარმოაჩენს ტექსტზე მუშაობის ამოცანებსა და ხერხებს და ამლიერებს მასწავლებლის აქტივობას.

ქეთევან ტატიშვილი (თბილისი)

ქართველ მეფეთა ანტონ I კათალიკოსისეული საგალობლები

ანტონ I კათალიკოსმა ქართული ეკლესიის 24 წმინდანს მიუძღვნა საგალობლები და თავისი ახალი რედაქციის სადღესასწაულოში შეიტანა. საერთოდ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართულ სასულიერო მწერლობაში გაძლიერდა ეროვნული ტენდენცია, რამაც გამოიწვია ეკლესიის მესვეურებისგან ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის ახალი თვალსაზრისით შეფასება და მათი დამსახურების განსაზღვრა ეროვნული ეკლესიის წინაშე.

სწორედ ამ მხრივ გადამუშავდა ლიტურგიკული წიგნები და შიგ შეტანილ იქნა ქართველ წმინდანთა ხსენება-განგებები. ანტონმა შეადგინა ქართველი წმინდა მეფეების საგალობლები – დავით აღმაშენებლის და ორი საგალობელი არჩილისა და ლუარსაბის (არჩილსა და ლუარსაბს ერთად ეძღვნება ორივე კანონი).

XVII-XVIII სს. ჩნდება დავით აღმაშენებლის სახელი ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში. ყველა ხელნაწერში 25 იანვარსაა ხსენება, თანაც საგალობლები საერთოდ არ არის. ანტონმა შეცვალა ხსენების დღე 25 იანვარი 26 იანვრით, რადგან 25 იანვარს აღინიშნებოდა მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დიდი მოძღვრის გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენება და ამის გამო იჩრდილებოდა დავით აღმაშენებლის სახელი. ანტონ კათალიკოსი იყო პირველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც შეადგინა დავით მეფის განგება და თავის სადღესასწაულოში მოათავსა. კანონი აკროსტიქიანია, რომლის ფრაზაა: *გულსავსე ვიქმენ დავით, ვითარმედ ყოვლად სრულ ხარ*. ანტონის დაწერილია მცირე ფორმის საგალობლებიც მთლიანად. მართალია, არჩილის და ლუარსაბის ორივე კანონი ანტონის კალამს ეკუთვნის (ორივე აკროსტიქითაა გაწყობილი: *1. მრჩობლსა უგალობ წმიდათა ვარსკულავთა; 2. ორმზეობასა ვაქებ მარტულთასა ანტონი*), მაგრამ ყველა მცირე საგალობლის ავტორი იგი არაა. მოხსენებაში განხილულია სამივე საგალობლის ტექსტი.

თეა ტეტელოშვილი (თბილისი)

**უცხოელი შემსწავლელებისათვის ქართული ენის A1 დონის სახელმძღვანელო > „აღმართი“
და ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი**

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება მეთოდოლოგიურად განსხვავებულია მშობლიური ან მეორე ენის სწავლებისაგან, ამიტომ უცხოელი შემსწავლელებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოზე მუშაობისას („აღმართი“, A1 – ავტორი: თ. ტეტელოშვილი) ჩვენთვის უპირველესად მნიშვნელოვანი იყო ორი ამოცანის სრულყოფილად განხორციელება: 1. ქართულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელო დაგვეწერა იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველოს მიერ და გაზიარებულია მრავალი ევროპული ენის სწავლებისას; 2. ეს მოთხოვნები ქართული ენის ბუნების მიხედვით ისე გაგვეტარებინა, რომ გაკვეთლების აგებისას ხელოვნურობის, მასალის არათანამიმდევრული მიწოდების პრობლემები არ წარმოშობილიყო.

პირველი ამოცანის განსახორციელებლად ჩვენი სახელმძღვანელოს კონცეფცია დაეფუძნა „ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტულ აღწერილობას“, რომელიც ქართულისთვის შემუშავებულია ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სტანდარტის შესაბამისად, აგებულია „შემსწავლელს შეუძლია“ პრინციპზე დაყრდნობით და დონეების მიხედვით ითვალისწინებს ოთხ ენობრივ კომპეტენციას: მოსმენას, კითხვას, ლაპარაკსა და წერას. „აღმართი“ (A1) ზემოჩამოთვლილი ოთხივე კომპეტენციის განვითარებას ემსახურება.

მეორე ამოცანის შესასრულებლად მაქსიმალურად შევეცადეთ ქართული ანბანი, გრამატიკა და ლექსიკა ისე მიგვეწოდებინა შემსწავლელისთვის, რომ მისი საკომუნიკაციო საჭიროებებიც დაგვეკმაყოფილებინა და გაკვეთილები არ ყოფილიყო ერთფეროვანი, მასალას არ ჰქონოდა ხელოვნური ელფერი.

მოხსენებაში განვიხილავთ, თუ როგორაა გატარებული ზემოაღნიშნული სტანდარტის მოთხოვნები ჩვენ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოში და საზოგადოებას წარუდგენთ უცხოელი შემსწავლელებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს („აღმართი“, A1) ელექტრონულ ვარიანტს.

ფაქტი, როგორც პროპაგანდის იარაღი ქართულ მედიასივრცეში

*(ტელეკომპანიების - „რუსთავი 2“-ს, „იმედის“ და „კავკასიის“
საინფორმაციო გადაცემების მიხედვით)*

პროპაგანდა – ეს არის რაიმე მოძღვრების, ცოდნის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით (ფართო მასებზე იდეური ზემოქმედება, რასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს). ჰ.ლასელმა პროპაგანდა განმარტა, როგორც „მიზანმიმართულად მანიპულირებული კომუნიკაცია“, რომლის მიზანიც მასებზე ზემოქმედების მოხდენაა.

თანამედროვე მკვლევრები გამოყოფენ პროპაგანდის რამდენიმე თვისებრივ მახასიათებელს. მათი აზრით, პროპაგანდა მედიის საშუალებით, არის მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედება, რომლის დროსაც კომუნიკატორის ფუნქცია აქვს სოციალურ ინსტიტუტებს – მედიას ან სხვა რომელიმე ორგანიზებულ ინტერესჯგუფს (სახელმწიფოს, „მმართველ ელიტას“), ხოლო მიმღების ფუნქცია – მოსახლეობას. მათივე აზრით, მედიის მეშვეობით ხდება მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედება, ანუ დომინანტი სოციალური ჯგუფის (ხელისუფლების, პარტიის, სხვა ჯგუფის) შეხედულებებისა და ინტერესების გამომსახველი იდეოლოგიის (მოსაზრების) პროპაგანდა.

ჩვენი კვლევა ეხება ფაქტის პროპაგანდის იარაღად ქცევას და გამოყენებას ქართულ ტელესივრცეში. შესწავლილია ფაქტის ინტერპრეტაციის მაგალითები საინფორმაციო გადაცემებში, ასევე მედიის პოლარიზების ძირითადი ასპექტები და მახასიათებლები.

საკვლევ პერიოდად აღებულია ტელეკომპანიებში: „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“ - 2014 წლის 1 მარტიდან - 1 ივლისამდე გასული საინფორმაციო გადაცემები.

ნაშრომში ვეყრდნობით ნ. ჩომსკის კვლევას ამერიკული „ახალი ამბების“ პროპაგანდისტული მოდელის შესახებ, რომლის მიხედვითაც დომინანტი ძალა (ხელისუფლება ან რომელიმე ელიტარული დაჯგუფება) საინფორმაციო გადაცემებით ახდენს გავლენას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

კვლევა ააშკარავებს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში ძირითადად დომინირებს შეფარული პროპაგანდა ფაქტებით, რასაც ხელს უწყობს: 1) საინფორმაციო გადაცემებში სიუჟეტების ისეთი არქიტექტონიკა, რომ პრიორიტეტი ტელევიზიის მიერ დომინანტურ მხარედ მიჩნეული ჯგუფის მოსაზრებებს მიენიჭოს; 2) მოწინააღმდეგის მუდმივი (ზოგჯერ შეფარული) კრიტიკა (მედიატექსტი); 3) შერჩეული ფაქტების (ახალი ამბების) დამოწმებით ერთი და იმავე იდეების და მოსაზრებების მუდმივად გამეორება, რომელიც საზოგადოებაში სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ემსახურება.

ნანა ტრაპაძე (ბათუმი)

**ორი „მანიფესტი“ სხვადასხვა კულტურულ დისკურსში
(შოთა ჩანტლაძე / კარლ არტმანი)**

შოთა ჩანტლაძე მე-20 60–70-იანი წლების ქართველი პოეტია, რომლის ესთეტიკა საბჭოურ ტრადიციას არ ეკუთვნის. კონტექსტი, რომელსაც მისი პოეზია აღადგენს, მე-20 საუკუნის ქართულ ავანგარდულ მოძრაობას უკავშირდება. ტრადიციისა და მემკვიდრეობითობის ჭრილში, შოთა ჩანტლაძის პოეზია მე-20 საუკუნის დასაწყისის – 20-იანი წლებისა და საუკუნის დასასრულის – 90-იანი წლების ავანგარდის შემაერთებელია. 80-იანი წლების პოეზიის ფორმალური ძიებები იმ გზაზე წარიმართა, რომელიც შოთა ჩანტლაძის მიერ იქნა გაკაფული...

შოთა ჩანტლადის პოეზიის ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი „მანიფესტი“, რომელიც 1951 წელსაა დაწერილი და წინ უსწრებს ავსტრიელი პოეტის, ჰანს კარლ არტმანის ამავე სახელწოდების ლექსს (დაწერილი 1955 წ.), ასევე, არტმანისავე „პოეტური აქტის რვაპუნქტიან პროკლამაციას“ (დაწერილი 1953 წ.). ნეოავანგარდული ესთეტიკის ეს ნიმუშები სხვადასხვა კულტურულ სივრცეშია დაწერილი. შოთა ჩანტლადის პოეტიკა და ესთეტიკა ქართულ-ევროპული კულტურული დიალოგის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც 60-იანი წლების საბჭოურ სინამდვილეში შეიქმნა.

თემურ ტუნაძე (ბათუმი)

**კერასთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის ნორმები საქართველოში
(მოსისხლეთა შერიგების რიტუალი)**

ქართველი ხალხის სოციალური კულტურის სფეროში კერას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სოციონორმატიულ სისტემაში ქართული კერა ოჯახის წევრთა ტრადიციული ქცევის იმ ნორმებს აერთიანებდა, რომლებიც საოჯახო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს განეკუთვნებოდნენ და კერასთან მიმართებაში ჩვეულებათა ერთ საერთო კომპლექსს ქმნიდნენ.

ქართველი ხალხის ტრადიციულ ყოფაში კერასთან დაკავშირებით ტრადიციული ქცევებისა და იურიდიული ნორმების მრავალი საინტერესო მხარე ვლინდება. კერა ოდითგანვე ოჯახის სიწმინდისა და პატიოსნების სიმბოლური გამოხატულება იყო. ამ ფონზე აღსანიშნავია სისხლ-მესისხლეობის დანაშაულებრივ და სამართლებრივ მხარეთა ურთიერთობის ქართული ტრადიციული ნორმები, რომლებიც უშუალოდ ოჯახს უკავშირდებოდა, საზოგადოებაში ოჯახის ავტორიტეტს ეხებოდა და ქცევის შესაბამისი ნორმებიც (შერიგება, შურისძიება) სიმბოლურ დონეზე კერასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა.

ნაშრომში ქართული მასალების გათვალისწინებით გაანალიზებულია ორ მოსისხლე გვართა შერიგების რიტუალი, რომელშიც კერა ძირითად როლს ასრულებს. კერძოდ, შერიგების მსურველი მიდის მეორე მხარესთან და მის ოჯახში დაულაპარაკებლად კერაში ცეცხლს ანთებს, ამასთანავე, წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „მე შენთან ოჯახის დასანელებლად კი არა, გასაცოცხლებლად მოვედი“. მოცემულ შემთხვევაში კერაში ცეცხლის დანთება, როგორც შერიგების რიტუალის საკრალური მხარე, დაზარალებული ოჯახის გაცოცხლების და მოსისხლეთა შერიგების ტოლფასია.

შერიგების აღნიშნული რიტუალი ქრონოლოგიურად, დაახლოებით, XVIII-XIX საუკუნეების ვითარებას ასახავს.

მირანდა ტყეშელაშვილი (თბილისი)

**მხატვრული სივრცისა და ისტორიული პერსონიფიციების საკითხი აკა მორჩილადის
დოკუმენტურ პროზაში („ქართულის რვეულები“, „ჩრდილი გზაზე“)**

აკა მორჩილადის დოკუმენტურ პროზაში მხატვრულად აისახა მწერლის მეხსიერებაში დალექილი ისტორიული ამბები, ნახევრად მითოლოგიზებული თავგადასავლების ფონზე მომხდარი დრამატული მოვლენები, პიროვნებები, რომლებიც ეთნოისტორიულ და ეთნოკულტურულ რეალობას აცოცხლებენ. აქ არის ნამდვილისა და გამოგონილის იმგვარი სინთეზი, ფეოდალური თუ საბჭოური ცხოვრების კანონებიც და უკანონობაც იმდენად ამაღლებული და საზეიმო ელფერით, ან მსუბუქი იუმორით წარმოჩნდება, რომ გავიწყდება ის საშინელი რეალობა, რომელშიც ამდროინდელი ქართველები ცხოვრობდნენ. მწერლის

თვალთ დანახული და მოყოლილი ეს ამბები გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ისტორიული ანალებით ან მხატვრული წიგნებით ჩვენამდე მოსული თავგადასავლები. ძველი თავადების ამბებში ჩაკერებული ტატო ბარათაშვილის ცხოვრება, თვალმიდევნება ილიას სახლისა და სამსახურის ამბებისა და მწერლის ცოცხალ რეალობაში წარმოჩენა, აკაკის, გოგებაშვილის, ლუკა რაზიკაშვილისა და მისი ძმების, – ამ ცხოვრებას შეურიგებელი და ამავდროულად ნამდვილი გენიოსების ყოფის დეტალები, ალექსანდრე ყაზბეგის დრამა, ქართული თეატრისა და ოპერის, რევოლუციის გრძელი სურათებისა და რუსების ხელახალი შემოსვლის ტრაგედიების მხატვრული პერსონიფიცირებები, – ეს არის მისი წიგნის – XIX საუკუნის „ქართულის რვეულების“ გულში ჩასარჩენი და ამადლევებელი პასაჟები.

საბჭოთა ეპოქის მწერლისეული ხედვა და გააზრება კიდევ უფრო საინტერესოა და უცნაურიც, რადგან მწერალი მხატვრულ-დოკუმენტური ასახვის მისეული და სხვათაგან განსხვავებული მეთოდით ახერხებს ოდნავ ირონიულად, საბჭოური დრამატიზმის სისასტიკისა და ჩაუმკვდარი ხალხური იუმორის ფონზე გაგვაცნოს „ჩრდილის გზებით“ მავალი ქვეყანა, ბევრი რამ დაგვანახოს არა მარტო ამ ჩრდილოვან სამყაროში მცხოვრებ ხალხზე, არამედ ჩრდილების იქით გაღწეულ ამბებსა და მოვლენებზე

ნათელა ფარტენაძე (ბათუმი)

უშემასმენლო კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში

წინადადებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი ნიშანია პრედიკატულობა, ზმნურობა (შემასმენლურობა), რომელიც გვიჩვენებს რისამე მტკიცებას ან უარყოფას. რთული წინადადებისათვის კი დამახასიათებელია ორი ან მეტი ლოგიკურ-გრამატიკულ მაორგანიზებელი ცენტრი (პრედიკატი). ე. ი. პრედიკატის გარეშე წინადადება არ არსებობს, მას წინადადებაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს. უშემასმენელი აუცილებელია შესიტყვებისთვის, რომ ეს უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ. მიუხედავად ასეთი სიმტკიცისა, ქართულში გვხვდება რთული წინადადების ისეთი კონსტრუქციები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი უშემასმენლოა. ეს ეხება როგორც თანწყობილ, ისე ქვეწყობილ წინადადებებს. უშემასმენლო კომპონენტი რთულ თანწყობილ წინადადებაში: *ერთი დამახება და ყველა ადგილზე იყო; დედის ხმის გაგონება და ცრემლები მოადგებოდა თვალზე; ერთი კვირაც და დაიწყება არდადეგები...* ასეთი ტიპის წინადადებები კონსტრუქციით მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი რთული თანწყობილი წინადადებისგან. მიუხედავად ამისა, რადგან კომპონენტებს შორის აზრობრივი მიმართება მაინც გარკვეულია და პირველ კომპონენტში ნაგულისხმევი მოქმედება უსწრებს მომდევნო წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას, თანაც ამ წინადადების ნაწილების შეერთების საშუალებანი და მათ მიერ გამოხატული აზრობრივი დამოკიდებულება ზუსტად ემთხვევა თანწყობილი წინადადების შეერთების საშუალებებსა და ამ ნაწილებით გამოხატულ ლოგიკურ მიმართებას, ამიტომ აღნიშნული წინადადებები უნდა იქნენ განხილულნი მაჯგუფებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებად. რაც შეეხება უშემასმენლო კომპონენტთან რთულ ქვეწყობილ წინადადებას, როგორიცაა: *ეს მათთვის, ვინც ყურადღებით არიან; გზა, რომელსაც ტაძრამდე მივყავართ; ბერკეტი, რომელიც ახალი მთავრობისთვის ამუშავდა...* ამას განსხვავებული ახსნა სჭირდება. *უშემასმენლო ძირითადად მთავარი კომპონენტია.*

უილიამ შექსპირის პიესების შიდაენობრივი თარგმანები

სტატიაში განხილულია შიდაენობრივი თარგმანის ადგილი თარგმანმცოდნეობაში, მისი შექმნის განმაპირობებელი მიზეზები და მიზნები, შიდაენობრივი თარგმანის როლი და სახეები უილიამ შექსპირის პიესათა მიხედვით.

რომან იაკობსონის განმარტების მიხედვით, შიდაენობრივი თარგმანი, ანუ სხვა სიტყვებით გადმოცემა, ხორციელდება იმავე ენაზე და მიმართულია ტექსტის გამარტივების, მოდიფიკაციის თუ სხვადასხვა ფორმის მიზნობრივი ცვლილებებისაკენ (Jakobson R., On Linguistic aspects of translation, London, 1959). კარენ კორნიგ ზეთსენის მოსაზრებიდან გამომდინარე, შიდაენობრივი თარგმანის შექმნის დროს მნიშვნელოვანია ოთხი ფაქტორის გათვალისწინება, ესენია: ცოდნა, დრო, კულტურა და სივრცე (Zethsen K.K., Intralingual Translation: an attempt at description, 2009).

თარგმანმცოდნეობის, როგორც ცალკე დისციპლინის, პროგრესული განვითარების მიუხედავად, შიდაენობრივი თარგმანის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, მკვლევართა შორის აზრთახსვალა გამოწვეულია თარგმანის, როგორც ტერმინის, მრავალფუნქციური დატვირთვით.

თანამედროვე სამყარო და კულტურათშორისი კომუნიკაციები მოითხოვს ტექსტის ტრანსფორმაციას განსხვავებული კუთხითა და ფორმით, რათა ტექსტი უფრო ნათლად გასაგები და მარტივად აღსაქმელი იყოს თანამედროვე მკითხველისთვის.

შიდაენობრივი თარგმანის როლი თარგმანმცოდნეობაში განსხვავებით ენათშორისი და სემიოტიკათშორისი თარგმანებისგან არ არის დიდი, მაგრამ ის მაინც ინარჩუნებს თავის აქტუალურობას თანამედროვე სამყაროში და უზრუნველყოფს მეტად საინტერესო პროდუქციას მკითხველთათვის.

სტატიაში განხილული იქნება უილიამ შექსპირის კომედიების შიდაენობრივი თარგმანები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა კატეგორიის მკითხველისთვის. მიზნად ვისახავთ განვახორციელოთ შიდაენობრივი თარგმანების შედარებითი ანალიზი, კერძოდ კი, კვლევის ობიექტი იქნება შემდეგი სახის შიდაენობრივი თარგმანები: პირველი ფოლიო, გ.ბ ჰარისონის გამომცემლობა, კლასიკური კომიქსები, გრაფიკული ნოველები, შექსპირის პოეტური თარგმანი, შექსპირის პიესა როგორც თხზულება და მანგა შექსპირი.

დინარა ფალავა (ბათუმი)

მადამ დე სევინიეს წერილები წარსულიდან დღემდე

ცოტაა ისეთი ავტორები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებისაგან ისევე განუყოფელნი არიან, როგორც მადამ დე სევინიე თავისი წერილებისაგან. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ისინი ასახავენ მთელი ცხოვრების მოვლენებს: მადამ დე სევინიე ოციოდე წლის იყო, როცა მან 1647 წელს ბიუსი-რაბიუტენს პირველად მისწერა წერილი, ყველაზე ძველი იმ წერილთაგან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მაშინ, როცა უახლესი თარიღდება 1696 წლის მარტით, ანუ ერთი თვით ადრე მის აღსასრულამდე. მეორე მხრივ, მადამ დე სევინიე მთლიანად წარმოჩნდება ამ კორესპონდენციით. 25 წლის ასაკში დაქვრივებული, ორი ბავშვის დედა, რომელთაგან ქალიშვილი - მისი თაყვანისცემისა და ტანჯვის საგანია და რომლის პარიზში გამგზავრების შემდეგ, მადამ დე სევინიე, თითქმის ყოველდღიურად, შეუდგა მასთან მიმოწერას. ეს კორესპონდენცია მისთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოების სახეობა არ არის, მაგრამ იგი სრულყოფილად წარმოაჩენს ამ

ქმნილების დიდებულებას, მშვენიერებასა და განუმეორებლობას. მაძამ დე სვეინიე ყოველთვის ფიგურირებს სწორედ ამ შეუდარებელი სარკის ერთ კუთხეში, რომელიც თხზულების სახითაა წარმოჩენილი. მათი კითხვისას ჩვენ მივყვებით ავტორს სასახლის კარზე, პარიზულ სალონებში, მისი დროებითი ყოფნისას პარიზში, ლივრში, ბრეტანსა და პროვანსში. მაძამ დე სვეინიე, მაშინაც კი, როცა მთლად დარწმუნებული არაა, რომ მის წერილებს მხოლოდ ადრესატები წაიკითხავენ, რჩება თანმიმდევრული, გულწრფელი და ემოციებისადმი ერთგული. მისი წერილები, როგორც სურათებიანი წიგნი, აღწერს პოლიტიკურ, კულტურულ, რელიგიურ, მაღალი საზოგადოების, სასახლის კარის ყოველდღიურ ყოფას.

მამია ფაღავა (ბათუმი)

„-ევ კილოს“ კვალი სამხრეთ საქართველოში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ „ტოპონიმებში მრავლობითობის სუფიქსებს (-ნ, თ(ა), -ებ) უნდა მიემატოს კიდევ -ევ, რომელიც გვხვდება ტოპონიმულაში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე.ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით ივრის ხეობამდე უწევს" (ა. შანიძე). იქვე მოყვანილია მაგალითები:

არაგვსა და ქსანს შორის გვაქვს: **ბეგლევო, ალევო, ქვევის ჯვარი**. აქედან დასავლეთით: **არცევი, ორტევი, ღვლევო, ბობნევი, იკვნევი, ატრევი**. ფრონეზე გვაქვს სოფლები: **აგნევი, ფრინევი, კნოლევო, ავლევო, ფლევო, უწლევო**.

სურამის ქედის გადაღმა, ძირულის ხეობაში: **ხუნევი, ბჟინევი, ვაშლევო, კვესრევი**. ყვირილის ხეობაში: **პერევი, ღვიმევი, ვაჭევი, ბელლევო, ქოლევო, დურევი, ეხვევი, მეჯევი//მერჯევი, ბჟინევი, მერევი, ბოსლევო**.

რაჭაში გვხვდება სოფლები: **ღრუშევი, ბეგლევო, ონჭევი, ჭიბრევი, ბეთლევო, ველევი, ხოტევი**.

ქუთაისის ახლოს მდებარეობს – **ჭოლევო**.

ახალციხის რაიონში – **წობტევი**.

ამათ გარდა გვხვდება კიდევ: **ღვევი** (მანგლისში), **თიკრევი** (დადასტურებულია საქ. სიმკ. II, 180), **დისევი** (დადასტურებულია ქრონ. II, 197) (იხ.ა. შანიძე). შემდეგ მოცემულია დასკვნა: „-ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულის, ლაზურისა და სვანურის. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, -ევ სუფიქსის გარდა, ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან..." (ა. შანიძე). გარკვეული მოსაზრებით „-ევ „კილო“ ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან". -ევ კილოს თუ ენის მატარებლებს „პირობით შეგვიძლია მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს – მარგული" (ა. შანიძე).

-ევ სუფიქსიანი ტოპონიმები დასდასტურდა სამხრეთ საქართველოშიც. ჯერ კიდევ ნ. მარმა იმერხევიში, უბეში დააფიქსირა **დევაძევი**, იმავე ხეობაშია - **ხობლევო** (სოფელი), კლარჯეთში დავაფიქსირეთ **ბერძნევი, ბოსლევო, ბელლევო, ბლევო, ჯირეკევი**. ამდენად, გაფართოვდა -ევ სუფიქსის გავრცელების არეალი, საგრძნობლად გასცდა იგი „არაგვსა და რიონს შორის ტერიტორიას". ჩვენი აზრით:

ა. -ევ სუფიქსი -ებ-ის ფონეტიკური ვარიანტია;

ბ. -**ევ** სუფიქსიანი მრავლობითი იმავე ასაკისაა, რამდენისაც -**ებ** სუფიქსიანი.

გ. -**ევ** მრავლობითობის სუფიქსი გარკვეული დიალექტური წრის კუთვნილებაა და არა ერთი რომელიმე დიალექტისა.

შესაძლებელია დაშვება, რომ -**ევ-ებ** სუფიქსების მონაცვლეობა იყო საერთოქართული მოვლენა, რომელიც კარგად შემოინახა არაგვსა და რიონს შორის მოსახლეობამ, სპონტანურად კი საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება.

ვასილ ფერაბე (ქუთაისი)

კონფლიქტების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

კონფლიქტები, კრიზისები და ომები, მათი ხასიათი და ბუნება საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ტრადიციული ობიექტია. კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა და ისინი მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ და ახდენენ. ბიპოლარული სამყაროს პირობებში, კონფლიქტების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, კონფლიქტების ბუნება არსებითად შეიცვალა. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, ძირითადად, რეგიონალურმა კონფლიქტებმა ჩაანაცვლა. ბოლო წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ რეგიონული შეიარაღებული კონფლიქტები, ტერორიზმთან ერთად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება. თვით ზოგიერთი ლოკალური კონფლიქტიც გლობალური მასშტაბის ხასიათს იღებს. მართლაც, თუ ჩვენ გავანალიზებთ საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონული კონფლიქტების დინამიკას, აღმოჩნდება, რომ ეს უკანასკნელი ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. მსოფლიო არენიდან ქრებიან მსოფლიოს სახელმწიფოებრივ-ცენტრისტული მოდელისთვის დამახასიათებელი კონფლიქტები და მათ ანაცვლებენ რეგიონალური და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები, რომლებშიც ჩართულები არიან ცენტრალური ხელი-სუფლება, სხვადასხვა მონოეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები.

ნინო ფირცხალავა (თბილისი)

ლიტერატურა როგორც კოლექტიური მეხსიერების მედია მეხსიერების კვლევის თანამედროვე ბუმის შუქზე

დღეისათვის სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური რეფლექსიის ფოკუსში მეხსიერების ფენომენი ჯერ კიდევ ბუნდოვანი სტატუსით იკვეთება, თუმცა, ამავდროულად, სულ უფრო დიდ აქტუალობას იძენს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა როლი ეკისრება ნაციონალური იდენტობის დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით ლიტერატურას როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიას.

საკითხის ამ კუთხით განხილვა კი ნებისმიერ მკვლევარს იმ რთული გამოწვევის წინაშე აყენებს, როდესაც უკვე საკმარისი აღარ არის მხოლოდ ლიტერატურული პროცესების შესწავლა. მაშინ, როცა საქმე დღეისათვის ესოდენ პოპულარულ საკითხებს ეხება (ნაციონალური დისკურსისა და იდენტობის თემატიკა, სტერეოტიპის, ნაციონალური ავტო- და ჰეტერობატების, გახსენების ფენომენი), წმინდა ფილოლოგიური კვლევის ჩარჩოები პრობლემის სრულად შესწავლის საშუალებას აღარ იძლევა. აუცილებელი ხდება ისტორიული-კულტუროლოგიური

კონტექსტის გათვალისწინება. ამავდროულად, ქართული კულტურის ფენომენის ფარგლებში ნაციონალური დისკურსის ფორმირებისა და თვითიდენტიფიკაციის ლიტერატურისმცოდნეობითი კუთხით შესწავლა და იმ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მხატვრულ ტექსტთა დისკურსის ფარგლებში არაერთი საკითხის გამოკვეთას უკავშირდება, ხელს შეუწყობს ერთგვარი ცალმხრივობის დაძლევის; ვინაიდან ნაციონალური იდენტობის თეორიების კვლევა დღეისათვის საქართველოში უპირატესად ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროშია ინტეგრირებული.

შესაბამისად, ნაციონალური დისკურსის ფორმირებისა და თვითიდენტიფიკაციის შესწავლისას კვლევების მართო ისტორიულ-სოციოლოგიური კუთხით წარმართვა და იმაგოლოგიის ძირითადი პრინციპების გაუთვალისწინებლობა, გაამწვანებს ნაციონალური რიტორიკის იმ სიტყვიერი ფორმულების დადგენას, რომელთა მეშვეობითაც ერთი საკუთარი იდენტობის დაცვისა და უცხო საზოგადოებრივ მოდელებთან დაპირისპირების მიზნით ცდილობს მყარი წარმოსახვითი ნაციონალური ავტოპორტრეტის შექმნას და აყალიბებს წარმოდგენას საკუთარ თავსა და სხვაზე.

ბადრი ფორჩხიძე (ქუთაისი)

მეგობრობის რელიგიურ-ფილოსოფიური გაგება, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარების ერთადერთი გზა

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულები და ახალი საუკუნის დასაწყისი პერიოდი რელიგიური და ფილოსოფიური ცნობიერებისათვის საკმაოდ მძიმე და სერიოზული განსაცდელის ქაშთან ასოცირდება, რითაც თითქოს მთელი კაცობრიობა დგას მიწიერი და ზეციური სამსჯავროს წინაშე. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ, ერთი მხრივ, რელიგიური რწმენის ბუნებრივი და ხალასი გრძნობის შესუსტების, ასევე, მეორე მხრივ, ტრადიციული მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობისა და ღირებულებების გაუფასურების მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციები, რაც რელიგიის სფეროში დაკავშირებულია საერთაშორისო „უფლებადაძველი“ ისტიტუტებისა და ორგანიზაციების მხრიდან ე. წ. რელიგიური უმცირესობების - სექტანტობის პოლიტიკურ-სამართლებრივ ინიცირება-წახალისებასთან, ხოლო მეცნიერებისა და საკუთრივ ფილოსოფიის კომპეტენციის ფარგლებში პოზიტივისტურ-პრაგმატისტულ და პოსტმოდერნისტულ მიდგომებთან, რაც იწვევს კლასიკური ფილოსოფიური დისციპლინების დაქვეითებისა და დაკნინების სავალალო ეფექტს. აღნიშნული მიდგომარეობა რეალური განადგურების საფრთხეს უქმნის არა მარტო ფუნდამენტურ რელიგიურ აღმსარებლობას, ზოგადად მეცნიერების განათლებისა და სალი აზროვნების სასიცოცხლო ინტერესებს, არამედ დაღუპას უქადის მთელ კაცობრიობას. შექმნილ ვითარებაში არსებობს ერთადერთი საშველი და გამოსავალი, რელიგიურ-ფილოსოფიური მეგობრობისა და მასში ასახული საღვთო ადამიანური სიყვარულის სახით. ჭეშმარიტი რელიგიური რწმენით გასხივოსნებული და ფილოსოფიური გონჭვრეტელობით აღსავსე სიყვარული კი სხვა არაფერია, თუ არა მსხვერპლის გაღების უნარით განმსჭვალული თავისუფალი მიზანსწრაფვა, რომელიც თავდავიწყებით გვამღვეს საკუთარი თავის შეცნობის ერთადერთ გზას. ამ უდიდეს ძალასთან დაკავშირებული ფილოსოფოსობა ამჟღავნებს მეგობრობის დაუშრეტელ უნარს, რითაც დაჯილდოებული ადამიანი მუდმივ დიალოგში იმყოფება ყოველივე სულდგმულთან და განივ-თებულთან; ამ საოცარი გონებარმნეულობითა და გულთამხილაობით მას შეუძლია არა მხოლოდ ადამიანს, არამედ თვით ღმერთსაც კი გაუწოდოს სამეგობროდ შემართული დახმარების ხელი.

კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა კითხვის სწავლების პროცესში

კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ფაქტების ანალიზის, იდეების ორგანიზების, შეხედულებების დაცვის, შედარებების გაკეთების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ უმცროსი სასკოლო ასაკიდანვე უნდა ჩაეყაროს. ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ აზროვნების უნარის გადატანა მნიშვნელოვან აკადემიურ საგნებში ავტომატურად არ ხდება. კრიტიკული აზროვნების სწავლება ნაკლებად ეფექტურია, როცა ის ცალკე, სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად ისწავლება. აუცილებელია იგი გაკვეთილზე სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენდეს. მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“. ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის არსებულ მიდგომაში მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა და ა.შ.

კრიტიკული აზროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვის შესწავლის პროცესში, ვინაიდან ხელს უწყობს წაკითხულის გაგებასა და ამბის შემცენებას. წერილობითი ენა - სიტყვები, განმარტებები და წესები მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს კრიტიკულად მოაზროვნისათვის. როდესაც მოსწავლეები ამოცანების გადასაჭრელად ან შედეგის მისაღწევად წერილობით ენას იყენებენ, შედეგი უფრო თვალსაჩინო და დასამახსოვრებელია. ჩვენ მიერ განხილული კითხვის სტრატეგიები ხელს შეუწყობს უმცროს კლასელებში კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.

**მუჰაჯირობასთან დაკავშირებული მემორიალური მემკვიდრეობა
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში**

მუჰაჯირობა მეტად საინტერესო და მტკივნეული პრობლემაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას უამრავი ადამიანი ემსხვერპლა.

აჭარის მოსახლეობაში დღემდე ცოცხლობს ხსოვნა მათი ახლობლებისა და ნათესავების გადასახლების ისტორიის შესახებ. აჭარის თითქმის ყველა სოფელში იციან ღვაწლი და დამსახურება იმ დიდი ადამიანებისა, რომლებიც გამოვიდნენ მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ მათ შორის იყვნენ მუსულმანი ხოჯა-მოლებიც, კერძოდ: ლომან ეფენდი ქარცივამე (ოლადაურიდან) – სტამბულში მისმა ჩასვლამ და მუჰაჯირების მონახულებამ ბევრ ოჯახს გადააფიქრებინა ოსმალეთში გადახვეწა; ახმედ ხალიფაშვილი (ქედიდან) – გამოჩენილი ქართველი მაჰმადიანი, აჭარის მუფთი, რომელიც მუდმივად ქართულად ქადაგებდა და ყურანსაც ქართულად უხსნიდა მრევლს, რის გამოც სტამბულში გაიხმეს და სამართალში მისცეს, მაგრამ თავი იმართლა: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულია“. გარდაიცვალა 1892 წელს; გულო კაიკაციშვილი (ქობულეთიდან) – დაიბადა 1840 წელს, ხმა აიმაღლა და გაილაშქრა თურქთა

აგიტაციის წინააღმდეგ, გარდაიცვალა 1923 წელს; შერიფ ხიმშიაშვილი –2002 წლის სექტემბერში მისი სახლ-მუზეუმი დაარსდა სხალთა-ხიხანის ხეობაში; სკენდერ ცივაძე – დაიბადა 1884 წელს სოფელ ზემო დაგვაში, გარდაიცვალა 1967 წელს, დაკრძალულია სამსუნში (თურქეთი); აგრეთვე მრავალი სხვა, რომლებმაც წამდვილად დაიმსახურეს ქართველი საზოგადოების მაღალი შეფასება და სამადლობელი.

მუჰაჯირობის პროცესის, ხალხთა გადასახლების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების უკვდავსაყოფად, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაკეთებულა არც რუსული მმართველობის პერიოდში და არც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, თუმცა ზოგიერთი გმირის უკვდავსაყოფად გარკვეული სამუშაოები ჩატარდა.

აქედან გამომდინარე, იმ პროცესების ღრმა ანალიზი და თანმიმდევრული მეცნიერული შესწავლა, რომლებიც ამ ადამიანების სახელებთანაა დაკავშირებული.

ნინო ფუტყარაძე (ბათუმი)

მათემატიკური ტექსტის თარგმანის პრობლემები

მათემატიკური ტექსტი ტექნიკური ტექსტის ერთ-ერთი სახეა. ტექნიკური ტექსტის თარგმანი მაქსიმალურად მოითხოვს ტერმინთა სიზუსტეს.

მათემატიკურ ტექსტში ვგულისხმობთ: ა) მათემატიკური ამოცანების პირობებს; ბ) მათემატიკურ სტატუსს. თარგმანის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მათემატიკური ტექსტის ლექსიკა და სპეციფიკურობა: მათემატიკური ტექსტისთვის (ისე როგორც სამეცნიერო-ტექნიკურისთვის) დამახასიათებელია ნეიტრალური სტილი, ინფორმაციის სიზუსტე, ლოგიკურობა და კომპაქტურობა, სპეციალური ტერმინების გამოყენება, თავისებური სინტაქსური კონსტრუქციები და ზოგიერთი გრამატიული კატეგორიის თარგმანის სპეციფიკურობა. მასში ხშირად ბრძანებითი კილოს ფორმებია გამოყენებული. მაგ. Find the product of the sum and difference of two ter – **პირდაპირი თარგმანი არასპეციალისტისა:** იპოვეთ პროდუქციის რაოდენობა და სხვაობა ორი პირობისა! **დარგის სპეციალისტის თარგმანი:** იპოვეთ ორი უკვეცი წილადის ჯამისა და სხვაობის ნამრავლი!

find the product - იპოვეთ ნამრავლი! order the numbers - დალაგეთ რიცხვები!

მათემატიკური ტექსტის თარგმანის სირთულეს განაპირობებს მთარგმნელის კომპეტენტურობა. ჩვენი მიზანია ვიპოვოთ განსხვავება დარგის სპეციალისტისა და არაპროფესიონალის მიერ თარგმნილ ერთსა და იმავე ტექსტებში. დღემდე აქტუალურად რჩება პრობლემა - ვინ თარგმნის უკეთესად ტექნიკურ ტექსტს - მთარგმნელი, ფილოლოგი თუ დარგის სპეციალისტი? ფილოლოგის მიერ შესრულებული თარგმანი ენობრივად და სტილისტურად ყოველთვის უფრო დახვეწილია, ვიდრე დარგის სპეციალისტისა, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ფილოლოგმა შეიძლება ვერ მოახერხოს ზუსტი ტერმინის შერჩევა და გამოყენება სპეციალისტის რჩევის გარეშე. მაგ.:

ordered set - დალაგებული სიმრავლე (დარგის სპეც.თარგმ.)

ordered set - შეკვეთილი კომპლექტი (ფილოლოგის თარგმ.)

solution - ამოცანის ან მაგალითის პასუხისი (დარგის სპეც.თარგმ.)

solution - მიღებული გადაწყვეტილება (ფილოლოგის თარგმ.)...

მათემატიკური ტექსტის თარგმანის საუკეთესო გზაა ფილოლოგისა და დარგის სპეციალისტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაზიარება, ასევე მთარგმნელისათვის დარგის ლექსიკისა და არსის ცოდნა.

თარგმანი აღრმავებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ცოდნას და დადებითად მოქმედებს მათ მოღვაწეობაზე.

ერთი სოფლის მეტყველებაზე დაკვირვება

სტატია ეხება მუჰაჯირი ქართველების შთამომავლებით დასახლებული სოფლის – **ბახჩყაიას** ქართულს, მის ენობრივ ნიშნებს. დაკვირვების ობიექტი გახლავთ სოფლის მკვიდრთა მეტყველების ნიმუშები. საანალიზო მასალა ჩაწერილია ჩემს მიერ სულ ახლახანს ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ **ბახჩყაიაში** (ბურსის ვილაიეთი, ინეგოლის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა). კერძოდ: მიმდინარე 2014 წლის 26 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით საშუალება მომეცა მონაწილეობა მიმელო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში მოწყობილ სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციაში. ორი კვირის მანძილზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ვაწარმოებდით ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონი ქართველებით დასახლებულ სოფლებში. განსაკუთრებით ნაყოფიერად ვიმუშავეთ სოფელ **ბახჩყაიაში**. შევხვდით ადრე გაცნობილ მთქმელებს, რომელთა მონათხრობი მასალა შესულია „ჩვენებურების ქართულის“ პირველ ტომში. აგრეთვე, გამოვავლინეთ ახალი მთქმელებიც.

საანალიზო მასალას წარმოადგენს ჩემს მიერ ბურსის ვილაიეთის სოფელ ბახჩყაიაში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, რომელთა დიდი ნაწილი ენათმეცნიერული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ ღირებულია.

მუჰაჯირთა შთამომავლობის ამჟამინდელი ქართულენოვანი ტექსტების ლინგვისტური ანალიზის წინათქმად მოცემული გვაქვს მუჰაჯირობის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგედიის, მოკლე ისტორია. ვსაუბრობთ, თუ როგორი ტკივილი მიაყენა ქართველი ხალხის ყოფიერებას ამ ისტორიულმა უბედურებამ, როგორ შეამცირა დღევანდელი საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა, როგორ შეუწყო ხელი ქართული გენის განთესვას ისტორიული ოსმალეთისა და თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

სოფელ **ბახჩყაიას** ქართველთა მეტყველება საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის და იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას.

მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა (თბილისი)

მოქვის ოთხთავის დათარიღებისათვის

მოქვის ოთხთავის ანდერძი დათარიღების თვალსაზრისით ერთ-ერთ უნიკალურ ცნობას წარმოადგენს, რომელიც ბერძნული და ქართული წელთაღრიცხვების გარდა, სხვადასხვა დათარიღების ელემენტებსაც შეიცავს. ამ ელემენტებს განეკუთვნება მზის წრე (წლის რიგითი ნომერი მზის 28-წლიან ციკლში), მთვარის წრე (წლის რიგითი ნომერი მთვარის 19-წლიან ციკლში) და სხვა კალანდარულ-პასქალური მახასიათებლები.

ანდერძის თავისებურებას, პირველ რიგში, განაპირობებს დამხმარე ელემენტების მრავალრიცხოვნება, რომლის ანალოგიც სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებში არ მოიპოვება. ეს ნათლად ჩანს ანდერძის ტექტიდან, რომელიც ჩვენ შემოკლებით მოგვყავს:

„დაიწერა ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხმდ(6904) ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად - ხყწ(6808), ქრონიკონსა - ფკ (520), ზედნადები მთოვარისა ვ (6), მცხრალსა - ზ (7), ინდიქტიონსა - იგ (13), ხუთეულსა - ლ (30), ექუსეულსა - ლვ (36), მზის მოქცევსა - დ (4), მთოვარის მოქცევსა - ვ (6)...“

ყველა წელთაღრიცხვა აქ თანამედროვე წელთაღრიცხვით 1300 წელს თანხვდება: 6904-5604=1300; 6808-5508=1300; 780+520=1300 და ინდიქტიონი 13 = 1300 წელს. ასევე ყველა დათარიღების დამხმარე ელემენტების რიცხვითი მონაცემებიც ამ 1300 წელს შეესაბამება. სტატიაში თითოეული მათგანი დაწვრილებითაა განხილული. ნაჩვენებია, რომ ანდერში გამოყენებულია პასქალურ-კალენდარული გამოთვლების ბიზანტიური სისტემა, ვინაიდან მზის წრე და მთვარის წრე აქ ამავე სისტემითაა გადმოცემული (ქართულ სისტემაში „მზის მოქცევი“ შეესაბამება 16-ს და არა მოცემულ 4-ს, ხოლო „მთვარის მოქცევი“ 7-ის ტოლია და არა მოცემული 6-ისა).

ნინო ქავთარია (თბილისი)

**მხატვრულ-კულტურული ურთიერთობის ანარეკლი
II საუკუნის ქართულ და ბიზანტიურ წიგნის მხატვრობაში:
გელათის ოთხთავი (Q-908) და Cod.93 ათენის ეროვნული ბიბლიოთეკიდან**

მხატვრულად გაფორმებულ ქართულ ოთხთავთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ, სავარაუდოდ, XII საუკუნეში გადაწერილ და მოხატულ გელათის ოთხთავს (Q-908). გელათის სახარება ერთ-ერთი პირველია ქართული ძეგლებიდან, რომელშიც ტექსტის დასურათების სრული ციკლი ჩანს.

გელათის ოთხთავის გაფორმების სპეციფიკურობა, მისი პროგრამა და მინიატურათა შედგენილობა XII საუკუნის შუახანებისათვის ბიზანტიურ და ქართულ წიგნის მხატვრობაში მიღებულ ზოგად ტრადიციას მისდევს.

გელათის სახარების მხატვრული გაფორმების საფუძველს ტექსტში ჩართული 251 მინიატურა განსაზღვრავს; XII საუკუნისათვის ქართულ წიგნის მხატვრობაში XI-XIII სს ბიზანტიურ მხატვრულ აზროვნებაში მიღებული ტრადიციის მსგავსად ოთხთავის სრული დასურთების სისტემა ვლინდება (Paris. gr.115, Paris gr.74, Parma, Palat 5, Vienna Theol.gr.154 და ფლორენციის ლაურენციანას ბიბლიოთეკაში დაცული Plut. VI²³).

გელათის ოთხთავის მინიატურათა ციკლი ახლო კავშირს ავლენს ათენის (საბერძნეთი) ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ბერძნულ ხელნაწერთან Cod.93. მართალია, მინიატურათა შერჩევის პრინციპი განსხვავდება გელათის ოთხთავის თხრობითი ციკლისაგან და მხოლოდ 20 მინიატურით შემოიფარგლება, მაინც სახეზეა იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებების მსგავსება.

ხელნაწერი XII საუკუნით თარიღდება და გელათის ოთხთავის მსგავსად, სავარაუდოდ, ათონის მთის ან კონსტანტინოპოლის მხატვრულ სკოლას მიეკუთვნება და კომნენოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა.

მოხსენებაში განხილული იქნება XII საუკუნის ორი ხელნაწერის შედარების საფუძველზე ნათლად გამოკვეთილი, ქართული-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობები და ამ ფონზე შექმნილი ხელნაწერთა გაფორმება, მათში გამჟღავნებული ზოგადბიზანტიური მხატვრული პრინციპები, ერთი მხრივ წარმოაჩენს ქართული წიგნის მხატვრობის მაღად დონეს, და მეორე მხრივ, ავლენს მის ჩართულობას საერთო მხატვრულ პროცესებში, მათ თანაზიარობას კომნენოსური ეპოქის იდეურ, მხატვრულ-იკონოგრაფიულ და სტილურ ტენდენციებთან.

პრესუპოზიციის ტიპები და მათი როლი კომუნიკაციაში

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ტიპის პრესუპოზიციები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. პრესუპოზიციის კატეგორიას დღესდღეობით ორი სხვადასხვა თეორია სწავლობს: ლოგიკური (სემანტიკური) თეორია, რომელიც ვარაუდს პროპოზიციასთან მიმართებაში, სისწორე-მცდარობის თვალსაზრისით შეისწავლის, პრაგმატული თეორია კი, ვარაუდს სტატუსის თვალსაზრისით ხსნის. კერძოდ, იგი იკვლევს მეტყველების აქტს, რომელიც დაფუძნებულია მთქმელის ან მსმენელის რწმენაზე. არსებობს სხვა მიდგომაც, რომელიც განიხილავს პრესუპოზიციას როგორც ლოგიკურისა და პრაგმატულის სინთეზს.

პრესუპოზიციის კონსტრუქციული ორგანიზაცია ენაში ძალზე მრავალფეროვანია, თუმცა საკუთრივ ფუნქციიდან გამომდინარე, ერთიანია, რამდენადაც ის მიმართულია მხოლოდ ტექსტის სწორი გაგებისაკენ და იყენებს იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც თავიანთ მომხმარებელს, ერთი აზრის ნათლად გამოხატვის საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მსმენელს, მთლიანი აზრობრივი დატვირთვითა და სიცხადით გაიგოს ტექსტი.

პრესუპოზიციის შედარებით რთულ სახეობას ქმნის წინადადებათა ჯაჭვი, სადაც ლოგიკური წყობიდან გამომდინარე, წინა წინადადებების მნიშვნელობა განაპირობებს მომდევნო წინადადების გაგებას.

ენობრივი კომუნიკაცია, რომელიც კონკრეტულ პირობებში კონკრეტულ პირებს შორის მყარდება, რომლებიც, თავის მხრივ, თანამდებობრივი და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასევე ქმნის საფუძველს პრესუპოზიციისათვის.

კახაბერ ქამადაძე (ზათუმი)

გვიანი შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა გონიო-აფსაროსიდან

გონიო-აფსაროსის ციხის არქეოლოგიურ მონაპოვარში საკმაო სიმრავლით გამოირჩევა გვიანი შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ნაწარმი.

მოჭიქული ჭურჭელი ჯამების, ფიალების, ლანგრების, სასანთლების სახითაა წარმოდგენილი. მხატვრული შემკულობის, მიხედვით მათი დაყოფა შეიძლება, ერთფრად, უმეტესად მწვანე, ყვითელი ან ცისფერი საღებავით და მრავალფრად მოხატულ ნაწარმად. მათთვის დამახასიათებელია ჩამუქებული და უსიცოცხლო ფერები, რაც განასხვავებს მათ წინა ეპოქების ამ ტიპის ნაწარმისაგან.

ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტონალობის მწვანე ჭიქუროვანი საღებავით შემკული ჯამები. შედარებით ნაკლებია ყვითლად და ცისფრად მოჭიქული ნიმუშები. ისინი ფორმებით, ორნამენტითა და კეცის სტრუქტურით არ განსხვავდება მწვანედ მოჭიქული ჯამებისაგან.

მრავალფრად მოჭიქული ჯამები მოხატულია ამოკაწრული „მარყუჟებით“, „ხვიებით“, შემკულობაში გამოყენებულია მწვანე და ყვითელი საღებავი, გადავლებული აქვთ უფერული კრიალა ჭიქური.

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა ძირითადად XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება და შემოტანილია თურქეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან. თუმცა

შესაძლებელია ადგილზეც ხდებოდა მათი გარკვეული ნაწილის დამზადება, ამას მიუთითებს გონიოს ციხის სამხრეთ კარიბჭესთან ქურა-სახელოსნოს აღმოჩენის ფაქტი.

როგორც ცნობილია, 1547 წელს გონიოს ციხე ოსმალეთმა დაიპყრო და აქედან მოყოლებული, ვიდრე XIX ს ბოლომდე, წარმოადგენდა ოსმალთა ძირითად ფორპოსტს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონობისათვის. გონიო აფსაროსში აღმოჩენილი გვიანი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა ოსმალური გარნიზონის არსებობას უკავშირდება, და ცხადია, ძირითადად განკუთვნილი იყო ოსმალთა ჯარისკაცებისათვის.

ლელა ქამადაძე (ბათუმი)

ანდაზებისა და ანდაზური თქმების პრაგმატიკული ფუნქციებისათვის

ლინგვისტური პრაგმატიკა მოიცავს სასაუბრო სიტუაციასთან დაკავშირებული კითხვების მთელ კომპლექსს. საზოგადოდ, სუბიექტის მეტყველებასთან დაკავშირებით შეისწავლება გამონათქვამების ფარული თუ აშკარა მიზნები, რომლებიც მართავენ ინფორმაციის ან აზრის, კითხვის მიმართულებას, კითხვას, ბრძანებას, თხოვნას, რჩევას, დაპირებას... მეტყველების ტაქტიკასა და მეტყველების ტიპებს.

სემანტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, გამონათქვამს გააჩნია პრაგმატიკული მნიშვნელობა (ან პრაგმატიკული ფუნქცია). პრაგმატიკული ფუნქციიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. ადრესატის ყურადღების მიპყრობის ფუნქცია;
2. კომუნიკაციურად მნიშვნელოვან ელემენტებზე აქცენტის გადატანა (გამოყოფა);
3. ინფორმაციის კომპრესირების ფუნქცია;

ეს ფუნქციები გარკვეულწილად დამახასიათებელია ანდაზებისა და ანდაზური თქმებისათვის, როგორც „პრაგმატიკულად დამუხტული“ გამონათქვამებისათვის.

1.ადრესატის ყურადღების მიპყრობის ფუნქცია: ანდაზები და ანდაზური თქმები გამოიყენება ნეიტრალური კონტექსტის ფონზე და იქცევენ ყურადღებას ხატოვანებით, მნიშვნელობის განზოგადებით, დიდაქტიკური აზრით. სწორედ ანდაზებისა და ანდაზური თქმების ყურადღების კონცენტრირების უნარი ქმნის წინაპირობას მიზანმიმართული აღქმისათვის, შესაბამისად აძლიერებს მეტყველებით ზემოქმედებას.

2.მეტყველების კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყოფა: ეს ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული ყურადღების მიპყრობის ფუნქციასთან, რადგან გამოიყოფა ძალზე მნიშვნელოვანი, ღირებული მახასიათებლები, რომელთაც ხატოვანი სახით ღებულობს ადრესატი.

3.ინფორმაციის კომპრესირების ფუნქცია: ანდაზები და ანდაზური თქმები ენობრივი ეკონომიის ნიმუშს წარმოადგენენ და ხშირად გამოიყენებიან გადმოსაცემი ინფორმაციის კომპრესირებისათვის.

ანდაზები და ანდაზური გამონათქვამები ყოველთვის ხასიათდება ხატოვანებით. მათი საშუალებით თვალსაჩინოდაა გამოხატული ობიექტურად არსებული და სოციალურად დამკვიდრებული მნიშვნელობა. ისინი გამოყენებულია ტექსტში, როგორც შეფასებითი და მოდალობითი მნიშვნელობის აზრობრივი სიგნალები.

სოციალისტური შრომის გმირის წოდება და საბჭოთა ელიტურობის გაგების თავისებურებანი

მოხსენებაში საბჭოთა ელიტურობის გაგებას სოციალისტური შრომის გმირის წოდებასა და მასთან ასოცირებულ ცხოვრების წესთან კავშირში განვიხილავ. კონკრეტული თემა ქალაქ რუსთავში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევას ეყრდნობა. ამასთანავე საკითხის გარშემო სხვადასხვა წყაროების ანალიზსაც მივმართავ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სოციალისტური შრომის გმირების მაგალითზე ვაჩვენებ, თუ რამდენად ემსგავსებოდა მათი ცხოვრების სტილი ელიტისას და ელიტურობის რა გაგებებს ვხვდებით. ასევე, ვიმჯღელებ ელიტურობის მახასიათებლების გამოყოფის შესაძლებლობებზე გმირების ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე დაკვირვებით. დამოუკიდებელი განსჯის საგანად იქცევა, ასევე საკითხი თუ როგორ გვანან სოციალისტური შრომის გმირები ე. წ. საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეებს, ხოლო მათი ცხოვრების ეპიზოდები რამდენად ბანალურად და ტრივიალურად გამოიყურება. ამგვარად საბჭოთა კავშირში სოციალისტური შრომის გმირის წოდების მქონე მოქალაქეებისგან ვიღებთ განსხვავებულ ელიტას, რომელიც ერთდროულად მასის ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ. ამავე ელიტური ჯგუფის ფუნქციონირების თავისებურებად შეიძლება გავიხილოთ ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ მათმა უმრავლესობამ ვერ შეინარჩუნა არსებული პრივილეგიები და ვერ ჩაეწერა ახალ ელიტაში. ამგვარად, სოციალისტური შრომის გმირის ტიტული და მასთან ასოცირებული ცხოვრების წესი საბჭოთა პერიოდში ელიტურობის თავისებურ ფორმებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა.

ნანა ქაჯაია (ბათუმი)

თანამედროვე რუსული „ქალური“ პროზის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი

თანამედროვე „ქალური“ პროზის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სტილის ხაზგასმული პუბლიცისტურობა. ლ. პეტრუშევსკაიას, ტ. ტოლსტაიას და სხვათა ნაწარმოებების მთავარ თვისებად ესეიხში იქცა.

თანამედროვე ლიტერატურის ისეთი თვისება, როგორცაა ინტერტექსტუალობა, „ქალური“ პროზის წარმომადგენელთა შემოქმედებაში მკვეთრად გამოხატული ფოლკლორული და ბიბლიური ხასიათი გააჩნია.

აღნიშნული პროზა ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალური საწყისით. მწერლები თავიანთი მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციის, შემოქმედებითი ხედვის გადმოსაცემად ხშირად მიმართავენ მეტაფორულობასა და ირონიას (ტ. ტოლსტაია, ლ. პეტრუშევსკაია). მშრალი ფაქტოგრაფიულობა „ქალურ“ პროზაში ხშირად ერწყმის ლირიკულობას (ლ. ულიცკაია). სიუჟეტის და კონფლიქტის განვითარებასა და პერსონაჟის დახასიათებისას დიდი როლი ენიჭება ფსიქოლოგიურ დეტალს (ვ. ტოკარევა).

„ქალური“ პროზის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ინტერესი თანამედროვე ადამიანის პირადი ცხოვრებისადმი. თანამედროვე ქალის ფსიქოლოგია მწერალთა თვალთახედვის ცენტრში მოექცა. ოჯახი, სახლი, ერთგულება, სიყვარული, კარიერა და ა.შ. იმ საკვანძო ცნებებად იქცა, რომელთა მეშვეობითაც ვლინდება ქალური თვალთახედვა (ვ. ტოკარევა).

„ქალური“ პროზის მხატვრულ სამყაროში ავტორისეული პოზიცია გამოხატავს არა მხოლოდ ქალის შეხედულებასა და წარმოდგენებს, არამედ სწორედ დედობრივ განცდებს. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებთა სიუჟეტური სპეციფიკა მეტწილად განისაზღვრება საოჯახო თემით.

ერნესტ ჰემინგუეის ნიკ ადამსისეულ ნოველათა ციკლის თავისებურებანი

სტატია მიზნად ისახავს ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის იმ ნოველათა ანალიზს, რომელთა ერთ ციკლად გაერთიანება საერთო პროტაგონისტიტაა განპირობებული. ნაწარმოებთა ანალიზის პარალელურად, განხილულია მათი ერთ კრებულში გაერთიანების მიზანშეწონილობა, იმის გათვალისწინებით, რომ ჰემინგუეის ისინი ამ სახით და ერთ წიგნად არასოდეს გამოუქვეყნებია. აღნიშნულ კრებულში, რომელიც თავად ავტორის სიკვდილის შემდეგ ფილიპ იანგის რედაქტირებით გამოიცა, თავმოყრილია ნიკ ადამსის შესახებ შექმნილი 24 თხზულება. მათგან მხოლოდ თექვსმეტი იქნა გამოქვეყნებული ჰემინგუეის სიცოცხლეში, დარჩენილი რვა კი ფრაგმენტული სახისაა და მწერლის სიკვდილის შემდეგ იქნა აღმოჩენილი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კრებულში შემავალი სამი ნაწარმოები საერთოდ არ შეიცავს ნიკ ადამსის სახელის ხსენებას და საკამათოა აღნიშნული ციკლისადმი მათი მიკუთვნებადობის საკითხი. გარდა ამისა, თავად ერნესტ ჰემინგუემ ნიკ ადამსისეული ნოველები სამ სხვადასხვა კრებულში გაფანტა. განსხვავებულია, აგრეთვე, თითოეული მათგანის ქრონოლოგიური განლაგება. ფილიპ იანგი შეეცადა ნაწარმოებები დროითი ქრონოლოგიის დაცვით დაელაგებინა, მაგრამ ეს თანამიმდევრობა მკვეთრად განსხვავდება ჰემინგუეისეული ვარიანტისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ ერნესტ ჰემინგუეი არც ერთ სიტყვასა თუ წინადადებას ზედმეტად და შემთხვევით არ წერდა, ლოგიკური საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ნოველათა განთავსება ამა თუ იმ კრებულში სულაც არ იყო უბრალო პირობითობა. შესაბამისად, საფუძველს მოკლებული არ არის იანგისეული გამოცემის მართებულობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ამასთანავე, ფრიად საინტერესოა აღნიშნულ ნოველათა ციკლობრივი თავისებურებების ანალიზი, როგორც ჰემინგუეისეულ ასევე იანგისეულ გამოცემებში. ზემოხსენებულ პრობლემათა კვლევისა და გადაჭრის გზების ძიების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს სწორედ ეს სტატია.

ნინო ქიმერიძე (თბილისი)

ვერბალურისა და არავერბალურის სინთეზი ტექსტურაში და მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობები

თანამედროვე მულტიმენსიურ სამყაროში ტექსტი უკვე დიდი ხანია აღარ არის კომუნიკაციის ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორი. ტექნოლოგიის განვითარებამ მედიასივრცე გააფართოვა, რომელშიც ტექსტი დღეს უკვე ვარიაციის სახით რეალიზდება. ამავდროულად, ტექსტი, როგორც კულტურის ერთგვარი არტეფაქტი, ცდილობს თავადაც ჩართოს თანამედროვე მედიატექნოლოგია საკუთარი ტექსტური ჩარჩოს ფორმირებისას.

თავის მხრივ, ტექსტი სამგანზომილებიანი კომპლექსური ნიშანთა სისტემაა, რომლის წაკითხვა მეხსიერების წინარეცოდნის აქტუალიზებას მოითხოვს, კიდევ უფრო რთულია ლიტერატურული ტექსტის წაკითხვა-გაგება, ვინაიდან ის თავად ქმნის ნიშანთა, სიმბოლოებისა და ხატების უკიდევანო სივრცეს, რომლის ინტერპრეტაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ტექსტის ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ტექსტის ინტერდისციპლინურ კვლევებს. ის სცდება ტექსტის ფილოლოგიური სწავლების საზღვრებს და ცდილობს მასში დაინახოს კულტურის ფენომენი, მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში პროდუცირებული ტექსტი ეს არ არის მხოლოდ ვერბალური ნიშნებით გადმოცემული

ინფორმაცია, ხშირად მისი ზედპირული სტრუქტურა და ერთიანი ტექსტურა დაქსელილია არავერბალური შემადგენლებით, რომელთა კომბინაცია ერთიანობაში ტექსტის საზრის ქმნის. შესაბამისად, მსჯელობენ რა ტექსტის ინტეგრირებულ შტუდიებზე, მკვლევრები ცალსახად გულისხმობენ ტექსტის გაგებისადმი კომპლექსურ მიდგომას.

ტექსტის გაგებას წინ უსწრებს ინტერპრეტაციის საკმაოდ რთული და მრავალპლანიანი პროცესი, მით უფრო, თუ ტექსტი კომპლექსურ ნიშანთა მთლიანობადაა წარმოდგენილი. ინტერპრეტატორი მსგავსი ტექსტურის მქონე ვერბალურ წარმონაქმში მიმართავს ტექსტის როგორც ლიტერატურული, ისე ლინგვისტური და ამავდროულად არავერბალური სუბსტრატის ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, მსგავსი შემთხვევებისას მსჯელობენ ტექსტი-სურათის ჰერმენევტიკაზე (ეკ.ფელდერი).

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ გერმანულენოვანი პრაგმატული ტექსტის სახეობათა ვარიაციებს, რომელთა ტექსტურაც ერთგვარი სინთეზია ვერბალურისა და არავერბალურის და შევეცდებით განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა ტექსტის საზრისის გახსნაში.

ნატო ქობულაძე (ქუთაისი)

სოციალური სტიგმა, იარლიყები და მისაღები ტერმინები

სოციალური სტიგმა (ინგლ. Social Stigma) გულისხმობს ადამიანის დისკრიმინაციას ან პიროვნულ უკმაყოფილებას, ინდივიდის უნიკალური თავისებურებით, რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური გარემოსაგან.

სტიგმაზე მომუშავე მკვლევრები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზოგადად სტიგმით და არა სპეციფიკური სტიგმატიზირებული იდენტობით, განასხვავებენ სტიგმის სხვადასხვა კატეგორიებს ერთმანეთისაგან, რომელიც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისაგან სტიგმატიზირებული მდგომარეობები.

გოფმანმა (1963) შემოგვათავაზა ასეთი პირველი ორგანიზებული სქემა, რომელიც სამი ტიპის სტიგმატიზირებულ პირობებს განასხვავებს ერთმანეთისაგან:

1. გვაროვნული, რომელიც არის ოჯახური, ან გადაეცემა თაობიდან თაობას და გულისხმობს, გაუფასურებული რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წევრობას;

2. „სხეულის ზიზღი“ – ესაა არამემკვიდრეობითი ფიზიკური მახასიათებლები, რომელთაც გაუფასურებულ სოციალურ იდენტობამდე მივყავართ, როგორცაა სხვადასხვა სახეობის ფიზიკური შეზღუდვა, სიმსუქნე.

3. ინდივიდუალური ხასიათის თავისებურებები, რომელიც ინდივიდის ქცევის ან პიროვნებასთან დაკავშირებული გაუფასურებული სოციალური იდენტობაა, მაგ: ნარკოტიკის/ალკოჰოლის მომხმარებელი, ჰომოსექსუალი და ა.შ. სტიგმიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მკვიდრდება სტერეოტიპი, რომელიც ზოგადად წარმოადგენს საყოველთაოდ გავრცელებულ დადგენილ შეხედულებას, რომლის ზეგავლენის ქვეშ ექცევა და იზიარებს კიდევ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების ტერმინოლოგიაში მკვიდრდება იარლიყები, რომლებიც ხშირად ადამიანების სოციუმიდან გარიყვის მიზეზი ხდება.

მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სწორი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რასაც საფუძვლად მისაღები ტერმინოლოგია უდევს. ტერმინოლოგია პირდაპირ მეტყველებს, რამდენად სწორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას ამა თუ იმ საკითხზე ან პიროვნებაზე. არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება, იარლიყების მიკვრა ხდება მიზეზი კონკრეტული პიროვნებების დისკრიმინაციის, კონფლიქტებისა და დაპირისპირებებისა.

მიმაჩნია, რომ განათლების სიტემაში უნდა განხორციელდეს პრევენცია, მნიშვნელოვანი დრო უნდა დაეთმოს მასწავლებელთა და მოსწავლეთა სწორი დამოკიდებულებებისა და ხედვის ჩამოყალიბებას, მისაღები ტერმინებისა და მიმართვების დამკვიდრებას, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას და აგვარიდებს ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს.

ირმა ქურდაძე (სამცხე-ჯავახეთი)

განმავითარებელი შეფასება, როგორც სწავლების ეფექტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება

თანამედროვე ეტაპზე ეფექტური და წარმატებული სწავლების მისაღწევად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რაშიც ძალზედ დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა ობიექტური შეფასება, შეფასების მრავალმხრივი მიდგომა, შეფასების რუბრიკების გამოყენება მუშაობის პროცესში.

დღესდღეობით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება - განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება სწავლის ხარისხს აკონტროლებს და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევას დონეს ადგენს; განმსაზღვრელ შეფასებაში ქულა იწერება. განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას აკონტროლებს და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. **(დაწყებითი კლასების მათემატიკის დავალების ბარათები, USAID/G-RIIED)**

აღსანიშნავია, რომ სწავლებაში ეფექტურობის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს როლს განმავითარებელი შეფასება ასრულებს.

განმავითარებელი შეფასებისას შესაძლებელია იმ არასასურველი რისკების შემცირება, რომლებიც საზოგადოდ თან ახლავს შეფასებას, ესენია:

1. აქცენტის გადატანას ხარისხიდან რაოდენობაზე;
2. გადაჭარბებულ ყურადღებას ქულებისა და ნიშნებისადმი;
3. მოსწავლეების შედარებას ერთმანეთთან და მათში შეჯიბრებისადმი არაჯანსაღი მისწრაფების გაღვივებას ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგთან შედარებით;
4. შეცდომებზე "ნადირობას" და მოსწავლეთა დაბალუნარიანობაზე ყურადღების გამახვილებას;
5. შეფასების სოციალურ-მმართველობითი ფუნქციის წინ წამოწევას სწავლის გაუმჯობესების ფუნქციის დაკნინების ხარჯზე;
6. გადაჭარბებული ყურადღება მოსწავლის მიღწევებისადმი მის საჭიროებათა უგულებელყოფის ხარჯზე;
7. მოსწავლის შედეგების აღრიცხვის პრიორიტეტი მოსწავლის ნამუშევრის ანალიზთან შედარებით.

ამასთან, განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთ-შეფასების სქემა, კითხვარი, სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი, უნარის განვითარების დონის აღწერა და სხვ.

განმავითარებელი შეფასების არსი სწორედ ისაა, რომ მან სწავლების პროცესის მოდიფიცირებისა და მოსწავლის შედეგის გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოს. ამასთანავე, ინფორმაცია ისეთ დროს უნდა იყოს მიწოდებული, რომ მოსწავლემაც და მასწავლებელმაც გააცნობიერონ, რა ცვლილებების შეტანაა საჭირო სწავლასა და სწავლებაში, რათა სასწავლო მიზნისკენ სვლა წარმატებით გაგრძელდეს.

ბევლი რომაული ლირიკა ალექსანდრიული პოეზიის კონტექსტში

ბერძნულენოვანი პოეზია, რომელსაც პირობითად ალექსანდრიული ეწოდება, თუმცა საკმაოდ სცდება ქალაქ ალექსანდრიის გეოგრაფიულ ფარგლებს, რომელ ლირიკაზე არათუ გავლენას ახდენდა, არამედ მნიშვნელოვანი წილიც კი უდევს მის საბოლოო ჩამოყალიბებაში.

აქ ყველაზე ადვილი დასანახავია ეგრეთ წოდებული „სწავლული პოეზიის“ მიმართ მიმბაძველობა, ეგრეთწოდებული doctus poeta-ს სტერეოტიპი. ეს პირველ რიგში გამოხატულია მითოლოგიზებული სასიყვარულო პასაჟების სიმრავლით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან პროპრეციუსი და ოვიდიუსი. ეს მიმბაძველობა, მნელია, ქმედით გავლენად მივიჩნიოთ, რადგან არავითარი დადებითი კვალი მას არ დაუტოვებია, უფრო საერთო პოეტური ნაკლია, ვიდრე ღირსება.

რომაული ლირიკა ალექსანდრიულისაგან პირველ რიგში ჟანრულად არის დავალებული (ელეგია, ეპიგრამა. ეპილიონი, იდილია,), აგრეთვე მისი გავლენით გაფართოვდა მხატვრული ხერხების არსენალი. ამ მხრივ ნიშანდობლივია კატულუსის მიერ შესრულებული თარგმანი – კალიმაქესელი „ბერენიკეს ნაწნავი“. ეს არის არა თარგმანი თარგმანისათვის, არამედ ალექსანდრიული მდიდარი პოეტიკის მხატვრულად ათვისების წარმატებული მცდელობა. კატულუსი ცდილობს მოსინჯოს, როგორ მოერგება ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ლათინური პოეტური ენა ალექსანდრიელთა რთულ სინტაქსს და ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად გართულებულ მხატვრულ სახეებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეპიგრამის ჟანრიც, რომელიც ალექსანდრიელთაგან მომდინარეობს. მან რომში არნახული გავრცელება ჰპოვა და გაცილებით გადასხვაფერდა კიდევ. საკმარისია ითქვას, რომ ეპიგრამამ თავისი დღევანდელი მნიშვნელობა დამცინავი ლექსისა სწორედ რომში მიიღო და აქ მთავარი წვლილი უთუოდ მარციალისს მიუძღვის, თუმცა მის ეპიგრამებს შორის დროდადრო არასატირულ, ლირიკულად შემპვრელ ტექსტებსაც ვხვდებით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რომაული პოეზია ამ გავლენებზე გაცილებით მაღლა დგას. ის სუბიექტურ-ლირიკული საწყისი, რომელიც ასერიგად გვხიბლავს არაერთი რომაელი პოეტის შემოქმედებაში, ალექსანდრიელებისათვის სრულიად უცნობია და მათი ხელოვნურობით აღბეჭდილი ლექსისათვის არსებითად მიუღწეველია.

მაგდა ღულუნაშვილი (თბილისი)

გერმანული და ქართული სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურული ერთეულების ინტერკულტურული შედარება

სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო წერილობითი ტექსტის პროტოტიპულ ნიმუშს წარმოადგენს, იგი ატარებს ყველა იმ ძირითად ნიშანს, რომელიც ზოგადად სამეცნიერო წერილობითი ტექსტისათვის არის დამახასიათებელი. იგი სტრუქტურულად მოიცავს ყველა იმ ძირითად შემადგენელ ნაწილს, რომლებიც ზოგადად ნებისმიერი სამეცნიერო ტექსტის სახეობისთვის არის დამახასიათებელი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). ნაშრომის თითოეული ნაწილი უშუალო კავშირშია საკვლევ საკითხთან და სამეცნიერო კვლევის თანმიმდევრულ განვითარებას ემსახურება. ცალკული ნაწილები წარმოადგენენ მთლიანი ტექსტის შემადგენელ თემატურ ერთეულებს. ყოველ მათგანს მნიშვნელოვანი ფუნქცია და ამოცანა აკისრია და ამასთანავე ისინი კოჰერენტულ კავშირში არიან ერთმანეთთან (Heinemann, 2002: 227).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს ზოგადად სტრუქტურული ელემენტების ფუნქცია საუნივერსიტეტო სამეცნიერო ტექსტის სახეობებში და კონკრეტულად სამაგისტრო ნაშრომში, რა ზოგადი წესები და მოთხოვნები არსებობს სამაგისტრო ნაშრომის აგებულებასთან მიმართებაში და როგორ ხდება არსებული ზოგადი წესების რეალიზება კონკრეტულ სამაგისტრო ნაშრომებში. გერმანულ და ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილი კონკრეტული სამაგისტრო ნაშრომების საფუძველზე განვიხილავ, რა მსგავსება და განსხვავება არსებობს გერმანული და ქართული სამაგისტრო ნაშრომებს შორის.

საკვლევი კორპუსი, რომელსაც ამ კონკრეტული კვლევის შედეგები ეფუძნება, შედგება 10 გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილი და 10 ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილი კონკრეტული სამაგისტრო ნაშრომისაგან. ყველა ნაშრომი, ქართულიც და გერმანულიც, გერმანისტიკის დარგშია შექმნილი 2007-2012 წლებში და შეფასებაც მაღალი აქვს.

გურამ ყიფიანი (თბილისი)

ეცერის ელინისტური ხანის სიმაგრე და სვანეთის მიკრო-ურბანული სისტემები

ტერმინში - „მიკრო-ურბანული სისტემები“ - სვანურ ციხე-სახლებს ვგულისხმობ. მოხსენების მიზანია სვანურ გამაგრებულ დასახლებებზე ახალი თვალსაზრისი გაჩნდეს და შემდგომი განვითარება ჰპოვოს.

ძეგლი, რომლის განხილვით ვიწყებთ თხრობას, ერთგვარი ამოსავალი პუნქტია მსჯელობებისათვის. იგი ეცერის თემში, სოფელ ფხუტრერთან მდებარეობს, „ეცერის გორაზე“, ზღვის დონიდან 1527 მ-ზე.

ძეგლი გამოვლენილია ცნობილი არქეოლოგის შოთა ჩართოლანის მიერ. მანვე განსაზღვრა ძეგლის შექმნის პერიოდიც - ელინისტური ხანა. სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა ეცერის სიმაგრის სრულფასოვანი შესწავლა. ჩემი ეს მოხსენება მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

ეცერის სიმაგრის გეგმარებითი სქემა რელიეფსაა დამორჩილებული, სასიმაგრო კედლებში ჩართულია ორი კოშკი, და უნდა ვივარაუდოთ, რომ სიმაგრე სულ ცოტა ერთ კოშკს კიდევ შეიცავდა. იმ მონაცემთა მიხედვით, რაც გეგმაზე იკითხება, საქმე გვაქვს გამაგრებულ, კურტინებითა და კოშკებით დაცულ ტერიტორიასთან, მიკროურბანულ სისტემასთან, სადაც თვალნათლივ ჩანს კოშკთა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები. ამასთანავე იკვეთება არაერთი სხვა საფორტიფიკაციო ელემენტი, რომელიც მყარ და ჩამოყალიბებულ თავდაცვით აზროვნებაზე მეტყველებს და ამას გარდა, არსებითი ხასიათის დამოკიდებულება ჩანს ბერძნულ-ელინისტურ საფორტიფიკაციო სისტემებთან. ეს კარგად ცნობიერდება, თუ ჩვენ მას შევაჯერებთ მცირე აზრის ტერიტორიაზე გამოვლენილ მიკრო-სასიმაგრო სისტემებთან (თუნდაც ელინისტური სიმაგრე ლიკიის ტერიტორიაზე). დიდი მსგავსება ვლინდება თავდაცვით-საინჟინრო აზროვნებაში მათსა და ეცერის სიმაგრეს შორის.

ბერძნული ფორტიფიკაციის მეთოდები აღწევს სვანეთს და ეცერის სიმაგრე ერთგვარ გადამცემ პუნქტად ისახება ისეთი დასახლებებისათვის, სადაც თუ საქალაქო სივრცეს მაკრო განვითარების პერსპექტივები არ გააჩნია, რელიეფის სირთულის გამო, იქმნება ცალკეული პუნქტები, სადაც გადანაწილების პროცესები მიმდინარეობს (სასაქონლო, ადმინისტრაციული და ა.შ.).

ამდენად, სვანური ციხე-სახლები ისახება, როგორც ანტიკურობიდან მომდინარე რთული არქიტექტურული და საინჟინრო სისტემები, რომლის ფესვები ელინისტური ხანიდან მაინც, დასავლური ცივილიზაციიდან იღებს სათავეს.

ქალთა სახეები ფრიდონ ხალვაში შემოქმედებაში

ქართულ მწერლობაში ქალის კულტი ღვთისმშობლის არსის გააზრებიდან ჩაისახა და დამკვიდრდა კიდევ. სიდიადე, პიროვნული თვითმყოფადობა, სულიერი და ფიზიკური აღმატებულობა, სიძლიერე და შესაძლებლობა, წმინდა კერის შენარჩუნება, სტუმართმოყვარეობა, ოჯახური ტრადიციებისადმი მორჩილება, ქალური კდემამოსილება და მოკრძალება – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომლის ხასიათის მატარებელიცაა ქართველი ქალი.

არაერთ მწერალს შეუხსამს ხოტბა ქართველი ქალისათვის, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი კუთხის მწერალთა შემოქმედებაში ამ ფენომენის არსებობა, ვინაიდან სწორედ აჭარელმა „ნენემ“ შეძლო შეენარჩუნებინა ეროვნული სული, მომხდურთა სისასტიკის მიუხედავად გადაერჩინა ძირძველი ქართული კუთხე და დღემდე მოეყვანა იგი.

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში ძალზე საინტერესოდ, ფაქიზად, თითქოს ერთი კალმის მოსმით იხატება აჭარელი ქალის სახე...

დედა – „აჭარელი ნენე“ – საქართველოს უსაშველო სიყვარული რომ ასწავლა მწერალს. მშრომელი, მოფუსფუსე, მოსიყვარულე დედა და მეუღლე, მჭადს ისე არ დააკრავდა, ზედ ჯვარი რომ არ გამოესახა, რაც თავისთავად ღვთისმსობელთან, ღმერთთან სიახლოვეს ამხელს... მწვანე-თვალემა ნებიერს პორტრეტი, მოპარულად რომ უღიმის უცხო კაცს... დიდი სიფაქიზითა და პატივისცემით დახატული კოკოტაურელი გოგონას – თუნთულის სახე.

მეტად ამაღლებულად აღგვიწერს კურცხალგამშრალი, თვალის უბეჭამოგვალული, წელში მოხრილი უცნობი მამიდას პორტრეტს. ეს ისტორიაა ქართველი ქალისა, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება უცხოებაში გაუტარებია, დაოჯახებულა, შვილები დაუზრდია და ოთხმოც წელს გადაცილებული საბოლოო განსასვენებელს მშობელ მიწაში ეძებს.

ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია იმ პორტრეტებისა, რომლებსაც ავტორი ჩვეული ოსტატობით, ერთი ამოსუნთქვით გვიხატავს და რომლებშიც თავისი მშობლიური კუთხის მძიმე ისტორიასაც აქსოვს. ეს ერთიანი ქსოვილი კი განსაკუთრებულ დატვირთვას, განსაკუთრებულ ჟღერადობას სძენს თავად ტექსტს და მკითხველს საოცარი ემოციით ავსებს. ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ კონკრეტული საკითხის მიმართ, რადგან ეს ფრ.ხალვაშისათვის ყველაზე საყვარელი, თბილი და ამავედროულად ტკივილიანი თემაცაა.

თვა შავლაძე, თათია ნაკაშიძე (ბათუმი)

დაწყვილების მიზნით დაწერილი განცხადებების ლინგვისტიკისტური და კულტუროლოგიური მახასიათებლები (ინგლისური და ქართული საგაზეთო განცხადებების საფუძველზე)

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული და ინგლისური საგაზეთო განცხადებების ტექსტების, კერძოდ, „დაწყვილების“ მიზნით დაწერილი განცხადებების შესწავლას და იმ მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნას, რომლებიც ინგლისურ და ქართულ საგაზეთო განცხადებებს შორის არსებობს როგორც ენობრივი (სტილისტური თუ სემანტიკური მახასიათებლები), ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ იმ ზედსართავ სახელებს, ეპითეტებს და გაზვიადების მაგალითებს, რომლითაც ქართველი და ინგლისელი „დაწყვილების მაძიებელი“ პოტენციურ პარტნიორთა მოხიბვლას ცდილობენ. ჩვენ ასევე გვსურს შევისწავლოთ ე.წ. „ნიკები“ და შევეცადოთ ვნახოთ, რა დაფარული აზრი იმალება მათ უკან, რის სიმბოლოდ გვევლინება ესა თუ

ის სახელი. ჩვენი ინტერესის სფეროში შედის სლოგანის მსგავსი მიმართებითი წინადადებების შესწავლა, რომელიც განცხადებას თავში უძღვის, განცხადების წაკითხვამდე ჭრის მკითხველს თვალს და წამკითხველში ინტრიგას იწვევს.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველები არ ერიდებიან საკუთარი თავის ქებას და რაც შეიძლება მეტი დადებითი მნიშვნელობის ლექსემებს იყენებენ განცხადებებში. ამ ტიპის ინგლისური განცხადებები უფრო მეტი ზომიერებით გამოირჩევა. ცხადია, აქაც დადებითი მნიშვნელობის მატარებელ ლექსემებზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ განცხადების ავტორები თითქოს ერიდებიან საკუთარი თავის დახასიათებას და მეგობრებისა და ახლობლების მიერ მათ დასახასიათებლად გამოყენებულ ზედსართავ სახელებს იყენებენ. ინგლისურ განცხადებებში შევხვდებით ისეთ განცხადებებსაც, რომელშიც განცხადების ავტორები თავს უზადლოდ არ გვაჩვენებენ, პირიქით, საკუთარ ნაკლოვანებებზე მიგვითითებენ.

კვლევამ ასევე დაგვანახა, პარტნიორის შერჩევის დროს საქართველოში და ინგლისში ქალებისა და მამაკაცების კრიტერიუმები თითქმის ერთნაირია. ქალები უფრო მეტად ეძებენ უფროს, განათლებულ და ეკონომიკურად უზრუნველყოფილ მამაკაცებს, მამაკაცები კი - უმცროს და სასიამოვნო გარეგნობის ქალებს. ქალებიც და მამაკაცებაც საკუთარ თავს ისეთი თვისებებით ახასიათებენ, რომლებზეც მოთხოვნაა პოტენციური პარტნიორების მხრიდან. ქალები საკუთარ თავს აღწერენ, როგორც კარგი გარეგნობის მქონეს და პატიოსანს. ხოლო მამაკაცები - როგორც ეკონომიკურად უზრუნველყოფილს, ძლიერს და ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევარს.

როლანდ შაინიძე (კანადა, იორკი)

სეკულარიზაციის თეორიები და ახალი რელიგიური მოძრაობები გლობალიზაციის კონტექსტში

თანამედროვე კონტექსტში, ტრადიციული რელიგიური სიმბოლოები და რიტუალები საზოგადოების გაერთიანებას ვეღარ ახერხებენ. მათი ადგილი დაიკავა მეცნიერებამ, ტექნოლოგიამ და მას მედია. რაც შეეხება სეკულარიზაციას, ბევრი თვალსაზრისი არსებობს მის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებით. ზოგის აზრით, სეკულარიზაცია რელიგიის სიკვდილის ნიშანია და ეს პროცესი მის საბოლოო დეგრადაციამდე და აღმოფხვრამდე მიგვიყვანს. ზოგი კი იმ აზრს ემხრობა, რომ სეკულარიზაცია რელიგიის ერთ-ერთი სახეა (ბერგერი, 1990); რელიგია არ გაქრება, რადგან მასში ხედავენ ელემენტებს, რომლებიც რელიგიის ახალი გამომსახველობების გაჩენას უზრუნველყოფენ. სინამდვილეში, რელიგიის მნიშვნელობა შესაძლოა უფრო გაიზარდოს. ზოგის აზრით, სეკულარიზაციამ გამოიწვია იმ კონტროლის დაცემა, რასაც მორალი აყალიბებს საზოგადოებაში (გლასნერი, 1997). ზოგისთვის კი ეს არის საშუალება, საზოგადოებისთვის თავისუფალი არჩევანის მიცემით მისი განვითარების ხელშეწყობა (სტარკი და ბეინბრიჯი, 1985).

გურანდა შამილიშვილი (ბათუმი)

თანამედროვე მასმედია და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესები

თანამედროვე მსოფლიოში მასმედია იქცა პოლიტიკური, სოციალური და სულიერი სფეროების მმართველ რგოლად. „მედიაკრატის“ ეპოქაში ინფორმაციულმა რევოლუციამ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ვირტუალურ „მეოთხე“ ხელისუფლებად აქცია, რომლის გავლენა სხვა სოციალური ინსტიტუტების მასშტაბებზე გაცილებით დიდია. მასობრივ ინფორმაციას სოციალური პროცესების ასახვისას საკუთარი მიზანი აქვს- მართოს საზოგადოება

და თითოეული ინდივიდი. მასმედია ქმნის კულტურის მოდელებს და როგორც მასობრივი კულტურის მატარებელი გარკვეული ფასეულობების, ცხოვრების სტილისა და წესის განმსაზღვრელია.

მე-20 საუკუნეში განხორციელებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, გლობალიზაციამ, ცხოვრების მოდერნიზაციის შესაძლებლობამ და ინტეგრაციის პროცესებმა ტრანსეთნიკური სისტემების ფორმირებას შეუწყო ხელი. პროგრესი განვითარების მაჩვენებელია, მაგრამ, ამასთანავე, ის გარკვეულ ეთნოსებს საფრთხეს უქმნის. საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში აშკარაა ეთნოცენტრიზმისაკენ მისწრაფება, იზოლაცია, ან სხვა ერებისაკენ მიმართული ჰეგემონიზმი. ჩვენ განვიხილავთ ეთნოფეხისტენციალიზმს, როგორც ეთნოსების მშვიდობიან თანაცხოვრებასა და კულტურულ დიალოგის საკვანძო კრიტერიუმს. საკუთარი თავის იდენტიფიკაციას განსაზღვრული ეთნოსის მიმართ კომუნიკაციის პროცესი წარმართავს. სავსებით ნათელია, რომ ამ კულტურული დომინანტების გავრცელება, რომლებიც ეთნიკურობასა და ეთნოსებს შორის ურთიერთობაზე გავლენას ახდენს, მედიის საშუალებით ვრცელდება. ამ პროცესებს გააჩნიათ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ასპექტები. მასმედია ურთიერთობის საზღვრებს აფართოებს კულტურათა შორის დიალოგის, სხვა კულტურული ფასეულობების და ნიმუშების გაცნობისას. მაგრამ, ამასთანავე, ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალიზაცია და ინფორმაციული ნეოკოლონიალიზმი ლოკალური ცივილიზაციის ტრადიციულ ფასეულობებს ანადგურებს.

ეს სწორედ ის ძირითადი საკითხებია, რომელთა აქტუალობა დღითიდღე იზრდება და ინფორმაციული სფეროს პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოთა აქტიური ჩართულობა და ინფორმაციული სტრატეგიების შემუშავება.

ინგა შამილიშვილი (ბათუმი)

კულტურათა დიალოგი ლიტერატურულ პრესაში (ჟურნალ „ჭოროხის“ მაგალითზე)

ეროვნებათა, კულტურათა დიალოგი ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლითაც საზრდოობს და მნიშვნელოვან ფასეულობებს იძენს სოციუმი. კულტურა ცხოვრების ერთიანი წესით გაერთიანებულ ადამიანთა სამყაროზე შეხედულებების ღირებულებათა მთელი სისტემაა, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე და თაობიდან თაობას სოციალიზაციის გზით გადაეცემა.

კომუნიკაციურ პროცესთა ანალიზი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის ერთ-ერთი წესი და საშუალებაა. კომუნიკაცია – ესაა აზრის გადაცემა სიმბოლოების დახმარებით. მისი მეშვეობით ინდივიდი ან ჯგუფი აცნობებს მეორე ინდივიდს ან ჯგუფს თავის დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხზე. კომუნიკაცია მრავალი გზით და საშუალებებით ხორციელდება - იქნება ეს ფერწერა, მუსიკა, მათემატიკური სიმბოლოები, ჟესტები თუ სახის გამომეტყველება და მრავალი სხვა, მაგრამ კომუნიკაციის ყველაზე ზოგად ფორმას წარმოადგენს ზეპირი და წერიტი მეტყველება, ანუ ენობრივი კომუნიკაცია. ხშირად სიტყვებს უფრო დიდი რეზონანსი აქვს, ვიდრე მოქმედებას, რაშიც დიდ როლს მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი (პრესა, წიგნები, პლაკატები და ა.შ.) საშუალებები ასრულებს. ისინი ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს მსოფლშეგნებასა და პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბებაზე.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ პრესას, რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებული სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრისა და ეროვნების შემოქმედთა ნააზრევი არა მარტო მთლიანად ლიტერატურული პროცესის, არამედ კულტურათა დიალოგისა და ინტერკულტურული კომუნიკაციების ძირითად საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამან

განაპირობა ჩვენი ინტერესი ჟურნალ „ჭოროხისადმი“, რომელშიც სამოცწლიანი არსებობის მანძილზე თვალნათლივ აისახა როგორც აჭარაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, აგრეთვე, აქ მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის კულტურული დიალოგი.

მანანა შამილიშვილი (თბილისი)

**ინფორმაციული საზოგადოებიდან – „სანახაობის საზოგადოებამდე“:
რესენტიმენტი ქართულ ტელემედიაში**

ჩვენი დროის ტექნოლოგიზებული კულტურის პირში – მასობრივი კულტურა ნიადაგ ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის საზღვრების წაშლითაა დაკავებული. მედიით ტრანსლირებული მასკულტურის მდარე და ტრივიალური ნიმუშები სულ უფრო მეტად გვაშორებს რეალობას და ობიექტურ კონტრეალობას ქმნის.

ჩვენი ამოცანაა, ქართული ტელემედიის არაპუბლიცისტური შემადგენლის მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ როგორ ცვლის მასკულტურა საზოგადოების აქსიოლოგიურ პარადიგმას. საკვლევი თემატიკით განსაზღვრულია აგრეთვე კიჩის, როგორც კულტურის იერარქიული მოდელის სახესხვაობისა და სოციოკულტურული მოვლენის ჩვენება. ეს ფენომენი წარმოდგენილია, როგორც „ახალი დროების“ ნიშანი, რომელიც მასობრივი კულტურის, ე.წ. „მდარე გემოვნების“ აღსანიშნად მოიხმობა. განსაკუთრებით ხაზგასმულია მასმედიის როლი ამ ტიპის პროდუქციის გავრცელებაში..

სატელევიზიო სერიალებისა და გასართობი შოუების ცალკეულ მაგალითებზე დაყრდნობით, გამოვყოფთ კიჩის, როგორც იდეოლოგიური კონცეპტის, მნიშვნელობას, მისი აუდიტორიაზე გავლენის ხარისხს; წარმოვაჩინოთ აგრეთვე, მის იმიტაციურობასა და სენტიმენტალურობას. ამასთან დაკავშირებით, შემოგვაქვს ე.წ. „ემოციური რეალიზმის“ ცნება. აღნიშნულ პრობლემას განვიხილავთ აუდიტორიაზე მასმედიის გავლენის მოდელირებისა და მცირე გავლენების აკუმულირების თეორიების ჭრილში.

საკითხის ცალკეულ ასპექტებს ავხსნით ავთენტური სატელევიზიო სივრციდან მოხმობილი შესაბამისი მასალით: იქნება ეს მედიის მიერ მაყურებლისთვის შეთავაზებული ქცევის მიზამდის შემთხვევების ჩვენება, თუ რეიტინგულ გადაცემათა კონკრეტული ნიმუშების ირგვლივ კრიტიკული თვალსაზრისის დემონსტრირება.

თამარ შარაბიძე (თბილისი)

იდენტობა თარგმანსა და მთარგმნელის პრინციპებს შორის (ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ რაინერ კირშისეული თარგმანის მიხედვით)

ვაჟა-ფშაველა გერმანულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა ცნობილი არტურ ლაისტის მეშვეობით; მაგრამ ვაჟა-ფშაველას, როგორც მსოფლიო რანგის შემოქმედს, ვეჭვობთ, დღესაც სათანადოდ არ იცნობს არათუ გერმანული ლიტერატურა, არამედ მსოფლიო ლიტერატურაც. გერმანულ ლიტერატურულ სამყაროს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ცნობილმა გერმანელმა პოეტმა, მთარგმნელმა და ლიტერატურათმცოდნემ – რაინერ კირშმა გააცნო „ალუდა ქეთელაურის“ თარგმანით, რომელიც ჟურნალ "Sinn und Jorm"-ში დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ შევიდა 1974 წელს გერმანულ ენაზე გამოცემულ კრებულში – „ქართული პოეზიის ანთოლოგია 8 საუკუნის მანძილზე“.

კირში მისდევს თავისუფალ თარგმანს, რომელსაც ახორციელებს გერმანულ ენაზე შესრულებული ბჭკარედით. საინტერესოა თავად მთარგმნელის თარგმნელობითი პოზიცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1976 წელს გამოცემულ წიგნში „სიტყვა და მისი ელვარება“. აქ ლიტერატურათმცოდნე ეხება თარგმნელობითი პრინციპის არაერთ საკითხს. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, რომ მთარგმნელს ძლიერ აწუხებს პოეზიის თარგმნადობა-უთარგმნადობის საკითხი. კირში აყალიბებს მოსაზრებას, თუ როგორ არის შესაძლებელი პოეზიის თარგმნა, თუმცა იმასაც უშვებს, რომ ზოგჯერ მისი თარგმნა შეუძლებელია. უამრავი მთარგმნელიდან ის გამოიყოფს კონკრეტულ მთარგმნელს, რომელიც იშვიათობაა. მას მოეთხოვება შემდეგი: იცოდეს ლექსი ვირტუოზულად, შეეძლოს სათარგმნი ნაწარმოების სამყაროს შეცნობა, აგრეთვე იცნობდეს იმ ქვეყნის ისტორიას, რომელშიაც ნაწარმოების ფაბულა ვითარდება; ამავე დროს, იგი ტექნიკური მოქნილობითაც უნდა გამოირჩეოდეს თარგმანში; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ინტუიციასაც. კირშის აზრით, მთარგმნელმა მხოლოდ უნდა თარგმნოს და არ არის საჭირო დაურთოს ინტერპრეტაცია. თარგმნა ყველა ენაზე ერთნაირი გრამატიკული სტრუქტურით არ შეიძლება. ნაშრომის მეშვიდე და მერვე თავებში კირში საგანგებოდ განიხილავს საკითხს, რომლის მიხედვითაც ლექსის თარგმნა ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

კირშისეული თარგმანის პრინციპების მოკლე ანალიზის შემდგომ ჩვენი მიზანია, ვიმსჯელოთ მის მიერ შესრულებულ „ალუდა ქეთელაურის“ თარგმანზე და გავაანალიზოთ, რამდენად ახერხებს კირში ჩამოყალიბებული პრინციპების დაცვას. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს აზრობრივ თარგმანთან, რომელიც გერმანული ენის თავისებურებების გათვალისწინებას უფრო ექვემდებარება, ვიდრე ვაჟას პოეზიის განწყობის გერმანულ ენაზე გადმოტანას. მასში გაფერმკრთალებულია ის ხიბლი, რასაც კუთხური (ფშაური დიალექტის) ტონალობა სძენს ვაჟას პოეზიას. აქედან გამომდინარე, თარგმანი ნაკლებ მხატვრულია.

თუ შევუდარებთ კირშისეულ თარგმანის პრინციპებს მის თარგმანს, დაერწმუნდებით, რომ მთარგმელი დიდი სიზუსტით ცდილობს თავის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების თარგმანში გატარებას, მაგრამ თუკი ეს პრინციპები ირღვევა, სწორედ იმ სირთულესთან გვაქვს საქმე, რომელსაც კირში აღიარებს და რომლის გამოც ხშირად პოეზიის უთარგმნელობაზე მიგვითითებს.

გული შერვაშიძე (ბათუმი)

პოეზიის ესთეტიკა

პოეზიისა და ლექსის სიღრმეების კვლევა თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობის საგნად იქცა, რადგანაც 21-ე საუკუნემ თვალნათლივ აჩვენა პოეზიის კრიზისიც და ტექნიციზმით გაუხეშებული სულიც.

საქართველო მაღალი პოეტური ტრადიციის ქვეყანაა და პოეტურ სიტყვასთან განსაკუთრებულ მგრძობიარე დამოკიდებულებას იჩენდა მუდამ, მაგრამ პოეზიისადმი ინტერესი საგრძობლად შესუსტდა. პოეზიის საგანი ადამიანის სულის საიდუმლოებათა ამოხსნა და მარადიულობის ამოცნობის შეგნების გაღვიძების ფუნქცია იყო. პოეზიაში ხშირად გულწრფელობით აისახებოდა ყოველდღიური რეალობისა და ტრანსცენდენტური სამყაროს შეჯახების სურათი, ზოგნი უზენეს პოეტად ღმერთს აღიარებდნენ... ყველა შემთხვევაში, პოეზია ბუნებისა და ხალხის სულიერი წიაღიდან ივსებოდა და არასოდეს სცილდებოდა თავის ფესვებს, ამავდროულად, ყოველთვის ზოგადადამიანურ პრობლემებს მიმართავდა.

თანამედროვე საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება პოეზიისადმი თვალნათლივ აჩვენებს, რომ ლექსის სწორი ჟღერადობის მიგნება დაიკარგა და მას თან გაჰყვა შინაგანი რიტმის მუსიკა, მხატვრული აზროვნებისა და წყობილსიტყვაობის უნარი, ურთიერთობის კულტურა. პოეზია უნდა დაბრუნდეს იმ პოზიციებზე, როცა არსებობისათვის ბრძოლას რეალური მიზნებისაკენ მიმართავდა, როცა ენის ფაქტის, სიტყვების და სიტყვებს შორის არსებულ კავშირებს შინაგანი ლოგიკური მთლიანობის გაცნობიერებით თავისუფალი შემოქმედების საძირკვლს ქმნიდა.

ნატო შეროზია, კონსტანტინე ცხვარაძე (ბათუმი)

ძალადობა და უსაფრთხოება ქართულ სკოლებში

სკოლის უსაფრთხოება საქართველოს სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. უსაფრთხოება არის ბავშვის სწავლის, აღზრდისა და განვითარების წინაპირობა. სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა უზრუნველყოს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა, დისციპლინის განმტკიცება და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრა. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყონებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება.

ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი პრობლემატურია ჩვენს ქვეყანაში და მოითხოვს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და ბავშვთა ძალადობის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. ადამიანი უნდა აღიზარდოს არა მარტო ინდივიდუალური, არამედ სხვებთან ერთად ცხოვრებისათვის. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ბავშვს განავითაროს თავისი სოციალური გარემო, რომელიც განაპირობებს სასურველი განათლების მიღებას, ნორმალური ცხოვრების პირობას.

სამწუხაროდ, არასასურველი სოციალური გარემოს და არასწორი აღზრდის შედეგად არასრულწლოვანთა დანაშაულის რიცხვი იზრდება. შესაბამისად, იზრდება არასრულწლოვან დამნაშავეთა და პატიმართა სტატისტიკა. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სამედიცინო(სამკურნალო) დახმარებით შემოიფარგლებოდა.

იმისთვის, რომ სკოლა უსაფრთხო გავხადოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა ფაქტორები ზრდის სკოლაში საფრთხის რისკებს. კვლევების მიხედვით, ამაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას: თანატოლები, ოჯახი, თემი, გარემო, სკოლის კონსტრუქცია, მასწავლებელი და ა.შ. თითოეული ფაქტორი შეიძლება იყოს საფრთხის წყარო.

„ბულინგი“ (დევნა) ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში, მათ შორის, სკოლებშიც შეინიშნება. მთელი ქვეყნის სკოლებში საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომ ძალადობის შემცირება სასკოლო სამოქმედო გეგმის განუყოფელი ნაწილი გახდეს, ხელი შეუწყოს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური კოლექტივის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერპერსონალური და სოციალური უნარების ჩამოყალიბებას.

ჯოანა შერშუნოვიჩი (ბელოსტოკი, პოლონეთი)

ლაკუნარობა ლინგვოკულტურულ კვლევებში

ლაკუნარობა არის მოვლენა, რომელიც ენის სხვადასხვა დონეზე იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ ცნება ლაკუნა ნუ სიცარიელე, მე-19 საუკუნეშიც არსებობდა, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი

ცენტრალურ საკითხად იქცა რუსულ ინტერკულტურულ კომუნიკაციათა მეცნიერებაში მხოლოდ ეთნოფსიქოლინგვისტიკის განვითარების შემდეგ 1970-80-იან წლებში. რუსი მკვლევარებისგან დამოუკიდებლად, მსგავსი სიცარიელის ცნება შემოგვთავაზა ამერიკელმა ლინგვისტმა კენეთ ლ. ჰეილმა, რომელმაც ეს კონცეპტი გააანალიზა გრამატიკის და კულტურის დონეზე.

პრეზენტაცია ყურადღებას ამახვილებს ლაკუნის ტიპის სიტყვებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე იდიომებისა და ფრთიანი გამოთქმების ჩათვლით, ანუ ერთეულებზე, რომლებსაც სამიზნე ენაში ნულოვანი ეკვივალენტი გააჩნიათ. განხილული იქნება ინგლისური და პოლონური ლაკუნარული ერთეულები. ასევე დეტალურად იქნება დახასიათებული ორი სახის სიცარიელე - ლინგვისტური და რეფერენციული სიცარიელე. საზოგადოდ რომ აღვნიშნოთ, სიცარიელე ჩნდება მაშინ, როცა ერთ ენაში ერთი სიტყვით გადმოცემულ ცნებას მეორე ენაში შესაბამისი ლექსიკური ერთეული არ გააჩნია. თუ წყარო ენის ერთეულის მნიშვნელობა ცნობილია სამიზნე ენის მომხმარებლებისათვის, სიტყვა ან იდიომა ქმნის ლექსიკურ სიცარიელეს; თუ სამიზნე ენის მომხმარებლები არ იცნობენ წყარო ენის ერთეულის მნიშვნელობას, იქმნება რეფერენციული სიცარიელე.

ფატიმა შეყლაშვილი (თბილისი)

ბალკანეთის კონფლიქტი ინფორმაციული საზოგადოების კონტექსტში

ქსელური სისტემა და გლობალური ტელევიზია ამჟამად უმეტესად გამოიყენება, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი. ტელედიპლომატიის ცნებამ (*telediplomacy*) მყარად გაიდგა ფეხი მედიაანალიტიკოსების სიტყვათხმარებაში. ტელედიპლომატია ახალ დიპლომატიურ პარადიგმას წარმოადგენს, რომლის განვითარებაც დაკავშირებულია მაღალი სისწრაფის ინფორმაციული ქსელის ჩამოყალიბებასთან. ეს უკანასკნელი ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების კონტექსტს უკავშირდება, რამაც თავისი არსით საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შეცვალა. ინფორმაციული საზოგადოების სტრუქტურის ჩამოყალიბებას ემთხვევა ბალკანეთის კონფლიქტი. ამ კონფლიქტის მაგალითზე მოხდა მოვლენათა გაშუქების ახალი საინფორმაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება და აქედან გამომდინარე, ტელედიპლომატიის ახალი პრინციპების შექმნა. თუ ტრადიციული საინფორმაციო სტრუქტურა უმთავრესად ნარაციულ ჟანრს ეყრდნობოდა, რომლის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ნარატორის ობიექტურობასა და პატიოსნებაზე იყო დამოკიდებული, ქსელური სისტემა თავად გადასცემდა ყველა მოვლენას ობიექტური რეალობის სრული სიზუსტით. ყოფილ იუგოსლავიაში მოვლენების გაშუქება მოითხოვდა კონფლიქტის მრავალმხრივი ეთნიკური და პოლიტიკური ასპექტების წარმოჩენას. ბალკანეთის კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც ქსელური მედიის უწყვეტი ინფორმაციული ნაკადის კვალდაკვალ მყისიერ დიპლომატიურ მოქმედებებს მოითხოვდა. ბალკანეთის კრიზისი ჩვენ მრავალრიცხოვან მაგალითებს გვაძლევს იმისას, თუ სად გადის მეცნიერული ობიექტურობის დაცვის ღირებულებითი ზღვარი. ბალკანეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება განვიხილოთ სამი ტიპის ინფორმაციული მეთოდიკა: 1) მრავალეთნიკური ან მრავალკონფესიური ეთნო/კონფესიური კონფლიქტების დროს; 2) ხელისუფლების/ან რეჟიმების ცვლილების დროს; 3) ინფორმაციული მეინსტრიმის საფუძველზე განხორციელებული დიპლომატიის დროს. შესაბამისად, თანამედროვე ინფორმაციული ნაკადის სივრცის სტრუქტურა მოითხოვს ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომას ისტორიული მეცნიერებებისათვის.

დემონური პერსონაჟები კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მითოსში

რწმენა-წარმოდგენები მითოსურ-დემონურ პერსონაჟებზე და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება ბოლო დრომდე შემორჩა როგორც საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხის – კლარჯეთის, ისე – რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ რუსულ მმართველობას თურქეთის შიდა რეგიონებში გაქცეულ კლარჯ მუჰაჯირთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფას. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების რწმენა-წარმოდგენათა დემონური პერსონაჟებიდან ძალზე პოპულარულია „ფერი“, რომელიც ორივე სქესისაა, არქაული ღვთაებრივი ნიშნებიდან აღარაფერი შერჩენია და საბოლოოდ თითქმის გაფორმებულია მისი დემონიზაცია. ფერებს კლარჯი ჩვენებურები „ჯაზებად“, „შეითნებად“ მოიხსენიებენ და მათი მავნებლობის წინააღმდეგ, ზოგადქართული რწმენა-წარმოდგენების მსგავსად, შემუშავებული აქვთ პროფილაქტიკურ-მაგიური რიტუალები და ამ რიტუალებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება.

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სამყაროში დღეს „ჯაზის“ და „ფერის“ სახელით მოიხსენიება ზოგადქართულ სინამდვილეში ბოლო დრომდე შემორჩენილი ინდივიდუალური სახის მქონე მითოსურ-დემონური პერსონაჟი „ჭინკა“; ამ პერსონაჟთა თვისებები და ფუნქციები თითქმის უკვე აღრეული და კონტამინირებულია, რაც სრულიად მოსალოდნელი შედეგია მითოსური სარჩულის რღვევისა და მსგავს ფუქციათა მატარებელი ღვთაებებისა თუ უკვე დემონიზებული მითოსური პერსონაჟების სახეთა გამსხვილებისა; მსგავსი პროცესი განიცადა მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის, და მათ შორის, ქართველთა, ზეპირსიტყვიერებამ. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ხსოვნაში ჯერ კიდევ შემონახული რწმენა-წარმოდგენები და მათთან დაკავშირებული ფოლკლორული ნარატივები არქაული მითოსურ-დემონური პერსონაჟების შესახებ დასტურია ჩვენებურთა იდენტურობისა, მათი მსოფლმხედველობის საზრდოობისა წარსულის ფესვებით.

მეცნიერებისა და პოლიტიკის სინთეზის პრობლემა კარლ მანჰაიმთან

მეცნიერებისა და პოლიტიკის სინთეზის პრობლემა კ. მანჰაიმის ცოდნის სოციოლოგიის მთავარი კონტექსტია. წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ ამ პრობლემის თემატიზებულ წარმოდგენას და მისი განხილვას შედარებით იზოლირებული სახით. შევნიშნავთ, ეს პრობლემა აქტუალურია თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრებისათვის და პოლიტიკოსთა მოღვაწეობის ანალიზისათვის.

მანჰაიმი აანალიზებს მეცნიერების და პოლიტიკის სინთეზის უარყოფით და დადებით შედეგებს. დადებითი შედეგი ის იყო, რომ 1) ამ დაახლოებამ შეამსუბუქა მეცნიერული იდეების გავრცელება იმდენად, რომ ყველაზე ფართო ფენები თავისი პოლიტიკური არსებობის სფეროში იძულებულნი იყვნენ ორიენტაცია აეღოთ თავისი პოზიციების თეორიულ დაფუძნებაზე. ამით მათ ისწავლეს ეაზროვნათ საზოგადოებაზე და პოლიტიკაზე „მეცნიერული ანალიზის კატეგორიებით“. 2) მანჰაიმს მიაჩნია, რომ პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებისათვის ეს გარემოება

ნაყოფიერი იყო ამ თვალსაზრითაც, რომ ეს მეცნიერება შეეხო კონკრეტულ რეალობას და წინ წამოსწია თემა რომელიც ხაზს უსვამდა მუდმივ კავშირს მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის.

სიძნელეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას თეორიისა და პოლიტიკის გაერთიანებით, კ. მანჭვიმის წარმოდგენით, შემდეგია: 1) თუ მეცნიერებას უნდა ჯეროვნად შეაფასოს ახალი ფაქტები, მან ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს ემპირიული ხასიათი. მაგრამ, თუ აზროვნება პოლიტიკურ განწყობას ან მითიებას ექვემდებარება, იგი ვეღარ მიესადაგება ახალ გამოცდილებას. 2) მეცნიერების და პოლიტიკის კავშირი შეიცავს საფრთხეს, რომელიც იმაში მდომარეობს, რომ პოლიტიკური აზროვნების კრიზისები იქცევიან ხოლმე მეცნიერული აზრის კრიზისებად.

ირინე შიშინაშვილი (ქუთაისი)

დროისა და კულტურის კრიტიკა ჰერმან ჰესეს რომანში „თამაში რიოში მარგალიტებით“

ჰერმან ჰესეს რომანი „თამაში რიოში მარგალიტებით“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკვეთრი პასუხია ფაშიზმის პერიოდის გერმანიის პოლიტიკურ მოვლენებზე. მისი შექმნა მნიშვნელოვანწილად განაპირობა 1933–46 წლების პოლიტიკურმა პროცესებმა. ნაციონალ-სოციალიზმის ბატონობის პერიოდში მწერლობის ამოცანად იქცა გონების და ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული სამყაროს შექმნა, რომელიც არსებულ რეალობას უპირისპირდებოდა.

რომანზე მუშაობა ჰესემ 1931 წელს დაიწყო და უკვე მაშინ იწინასწარმეტყველა მეორე მსოფლიო ომის საშიშროება, რომელსაც მან შორეულ მომავალში გადატანილი უტოპია დაუპირისპირა. რომანში აღწერილი „გლასპერლენშპილით“ ჰესე თავის საუკუნეს უპირისპირდება, რომელსაც ის ფელეტონისტურს უწოდებს. ეს არის, მისი აზრით, სასტიკი უსულობის, უპასუხისმგებლო ინდივიდუალიზმის და შოვინიზმის, ურწმუნოებისა და არაჭეშმარიტი ხელოვნების ეპოქა. ჰესეს მიერ ჩამოყალიბებული, მკაცრი იერერქიული სისტემით ორგანიზებული გლასპერლენშპილერთა ორდენი ყოველგვარი დიქტატურის საპირისპიროდ არის მოდელი საზოგადოებისა, რომელიც თავისუფალია იძულებისაგან და მისი ცალკეული წევრის უნრებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

რომანში მთავარი აქცენტი ჰესეს სხვა რომანებისაგან განსხვავებით გადატანილია არა პიროვნების ინდივიდუალობის პროცესზე, არამედ საზოგადოებაში მის დანიშნულებაზე. ნაწარმოების გმირის იოზეფ კნეჰტის ცხოვრების მაგალითზე ჰესე გვიჩვენებს პიროვნების განვითარების შესაძლებლობებს სამაგალითო საზოგადოების ფარგლებში. მას შემდეგ რაც კნეჰტი მაგისტრის ხარისხს მოიპოვებს და ამით სულიერების უმაღლეს საფეხურს აღწევს, ხედავს აუცილებლობას ახალი ტიპის ადამიანის არსებობისა, რომელსაც იგი თავისი მოწაფის ტიტო დეზინიორის სახეში აღმოაჩენს. კნეჰტის სიკვდილი რომანის ფინალში არ წარმოადგენს ნეგატიურ დასასრულს, სცენის მრავალაფეროვანი სიმბოლიკიდან გამომდინარე, იგი განახლების, ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია.

ქეთევან შოთაძე (ბათუმი)

მხატვრული ტექსტის სწავლება კოგნიტური სქემებით

მხატვრული ტექსტის საფუძვლიანად შესწავლა უადრესად რთული, თუმცა საინტერესო პროცესია. რთულია იმდენად, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანური ცხოვრების, ადამიანური ხასიათებისა და ურთიერთობების ისტორიასთან, მრავალაფეროვან საზოგადოებრივ

ინტერესებთან, ხალხის სხვადასხვაგვარ მიდრეკილებებთან და იდეალებთან. ადამიანი, საზოგადოება, ხალხი თავისთავად ყველაზე რთული და ცოცხალი მექანიზმია. ამ ურთულესი ქმნილების სწორად შესაცნობად კი მოსწავლე ყოველმხრივ როდია ყოველმხრივ მომზადებული.

ვასწავლით რა ქართული კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშებს, მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა განავითაროს მოსწავლეებში ცხოვრების შემეცნების გარკვეული უნარი, აღძრას ცოცხალი გრძნობები და ემოციები და ყოველივე ეს წარმართოს ლოგიკური მეტყველებისა და აზროვნების კულტურის ასამაღლებლად.

ამისთვის კი აუცილებელია მოსწავლეები, პირველ რიგში, შევავიარალოთ მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის გააზრებულად ათვისების, წაკითხულისა და შესწავლილის გარშემო საკუთარი დასკვნების გაკეთების, ტექსტზე ყოველმხრივ მუშაობის, მისი იდეურ-მხატვრული ანალიზის პრაქტიკული ჩვევებით. მხატვრულ ტექსტზე მუშაობა ერთი მთლიანი, თანმიმდევრული, შინაგანად მჭიდროდ შეკრული პროცესია, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით მიმდინარეობს. ამ პროცესში კოგნიტური სქემების ჩართვა კი უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნების განვითარებას, მეცნიერული ცოდნისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას, ინტუიციური და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, შინაგანი მოტივების წინ წამოწევას: ცნობისმოყვარეობას, კომპეტენტურობისაკენ სწრაფვას, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნას... ეს სქემები (ასოციაციური რუკა, ვენის დიაგრამა, გმირის რუკა, ვარაუდების სქემა, ორმხრივ ჩანაწერთა დღიური...) ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მწყობრად ორგანიზაციაში, გაანალიზებაში, ვიზუალიზაციაში. მათი გამოყენებისას ისინი ახერხებენ გაააქტიურონ წინარე ცოდნა, ზედმიწევნით კონკრეტულობით შეაჯამონ ათვისებული მასალა.

ჯული შოშიაშვილი (თბილისი)

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“

მოხსენებაში განხილულია ამ ცნებათა (გული, ცნობა, გონება) ჰარმონიულობა, რაც განსაზღვრავს ქრისტიანული ცხოვრების მთავარ მიზანს – ადამიანის ზიარებას შემოქმედთან. წარმოდგენილი იქნება ცნებათა ტერმინოლოგიური მახასიათებლები, მათი ურთიერთმიმართება, ბერძნულ-ქართული შესატყვისობები. დებულებაში აღნიშნულია გულის პრიორიტეტი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. გული არის საყრდენი ადამიანური არსებისა, ინტელექტისა და ნებისა, მისგან გამოდის და მასვე უბრუნდება მთელი სულიერი ცხოვრება.

გულის (καρδιά), როგორც ფიზიკური ორგანოს მუშაობა, სისხლის მიმოქცევა თანხვედრა დიონისე არეოპაგელის სამ მოძრაობით სისტემას: წრფივი, წრიული და სპირალური.

წმ. წერილის თანახმად, გული არის ორგანო ღმერთთან ადამიანის ურთიერთობისა, ის არის ორგანო უმაღლესი ცოდნისა. ცოდნა (γνωσις) შუალედური რგოლია, რომელიც წმენდს გულს, ათავისუფლებს ვნებათაგან, ავსებს სიყვარულით (სიყვარული და ცოდნა განუყოფელია), ათანაბრებს ანგელოზურ არსებასთან და ღვთის სადარს ხდის მას.

გონება (νοῦς) ადამიანის უმაღლესი შესაძლებლობაა, რომლის საშუალებით ის დაკავშირებულია ღმერთთან. მაქსიმე აღმსარებლის თქმით, გული ღვთის სახეა ადამიანში. თუ გული ყოველთვის ცხელი უნდა იყოს, გონება ყოველთვის უნდა დარჩეს ცივი, რადგან გულს მიჰყვება გონება. წმიდა მამათა ნაწერებში გონება და გული სინონიმური ტერმინებია. გულის გარეშე გონება უძლურია, ხოლო გონების გარეშე გული ბრმაა. ამიტომაცაა უცილობელი მათ შორის დამყარდეს ჰარმონიული ურთიერთობა.

**დიალოგ „პოლიტიკოსის“ ადგილი პლატონის შემოქმედებაში
(ჭეშმარიტი ფილოსოფია თუ ირონია?)**

იმ უამრავ გამოცანასა და თავსატეხს შორის, რომლებიც პლატონის ფილოსოფიამ წარმოშვა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი უდავოდ პლატონის „პოლიტიკოსია“. პლატონის დიალოგების ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი ბენარდეტე სეტი აღნიშნავს, რომ „არც ერთი დიალოგი არაა იმაზე უფრო ცუდად ჩაფიქრებული, როგორც პლატონის „პოლიტიკოსი“. ის მოკლედ განიხილავს იმას, რაც პოლიტიკასთან დაკავშირებით შეიძლება გვინტერესებდეს და ვრცლად მსჯელობს იმ ყველაფერზე, რასაც ფილოსოფიასთან კავშირი არ აქვს.“ სხვა ცნობილი მკვლევრებიც დიდი ხნის განმავლობაში აკრიტიკებდნენ ამ დიალოგს იმ მიზეზით, რომ სრულიად უცნობი და განუხორციელებელია ამ დიალოგის დაწერის პლატონისეული მიზანი (როვი, ტეილორი, რაილი დ. ა. შ.).

დიდი ხნის განმავლობაში „პოლიტიკოსი“ იმდენად მოსაწყენად, უმნიშვნელოდ და არასაინტერესოდ ითვლებოდა, რომ მისი შესწავლა პოპულარული არ იყო და შესაბამისად, თუკი ის რამენაირად იპყრობდა მკვლევრისა თუ მკითხველის ყურადღებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ „სოფისტთან“ მისი სიუჟეტური და თემატური კავშირის გამო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო „პოლიტიკოსის“ კვლევა დიდი ხნის განმავლობაში არ ითვლებოდა მოდურად და ამაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ დღესაც კი ჩვენ არ ვართ განებივრებული ამ დიალოგის ფუნდამენტური გამოკვლევებით.

მოხსენების მიზანია, დიალოგის დეტალური ფილოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინოს, თუ როგორია „პოლიტიკოსის“ ადგილი პლატონის მთლიან ფილოსოფიაში, რა იყო ამ დიალოგის მთავარი მიზანი და რამდენად განხორციელდა ეს მიზანი.

ზინაიდა ჩაჩანიძე, თეონა ხეცურიანი (ქუთაისი)

**საინფორმაციო ცნობისა და რეპორტაჟის, როგორც ჟურნალისტურ ჟანრთა
მაკონსტიტუირებელ ნიშანთა სისტემა და ამ სისტემის ტექსტობრივ სივრცეში ტრანსფორმაცია**

როგორც ცნობილია, გაზეთი წარმოადგენს ერთდროულად როგორც ინფორმირების, ისე დარწმუნების საშუალებას. იგი განკუთვნილია მასობრივი და, ამავე დროს, არაერთგვაროვანი აუდიტორიისათვის და მისი მიზანია აიძულოს იგი იქცეს მკითხველად. შესაბამისად, გაზეთის ამოცანაა მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია და მოახდინოს მასზე გარკვეული ემოციური ზემოქმედება.

საინფორმაციო ცნობა ერთადერთი ჟანრია, რომელიც უკვე თავისი დასახელებით შეესაბამება აზრობრივად ჟურნალისტიკის ცენტრალური კატეგორიის შინაარსს. თუ ჟურნალისტიკის ფუნქციური არსი ასახულია ინფორმაციის ცნებაში, მაშინ შეუძლებელია არ მივიჩნიოთ, რომ საინფორმაციო ცნობას უნდა ეკავოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ჟურნალისტურ ჟანრთა სისტემაში.

ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორიაში რეპორტაჟს, როგორც ინფორმაციულ ჟანრს, უჭირავს განსაკუთრებული ადგილი, რომელიც განსხვავდება სხვა ჟანრებისაგან მისთვის დამახასიათებელი მაკონსტიტუირებელი ნიშნებით.

ყოველი ტექსტი წარმოადგენს გარკვეული ტექსტობრივი სივრცის კომპონენტს, ხოლო ყოველი ტექსტობრივი სივრცე - გარკვეულ ჟანრს. როგორ ხდება საინფორმაციო ცნობისა და რეპორტაჟის როგორც ჟანრთა „გატექსტება“ ანუ მათი ტექსტობრივ სივრცეში ტრანსფორმაცია. ამ პრობლემის ადეკვატურად გადაჭრის წინაპირობად, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ იმის დადგენა, თუ როგორ არის წარმოდგენილი ჟურნალისტურ ჟანრთა თანამედროვე თეორიაში საინფორმაციო ცნობისა და რეპორტაჟისთვის დამახასიათებელ მაკონსტიტუირებელ ნიშანთა სისტემა. ამგვარი სისტემის მკაფიო სახით წარმოდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება იმის განსაზღვრა, თუ როგორ ქმნის საინფორმაციო ცნობა და რეპორტაჟი, როგორც ჟანრები, თავის ტექსტობრივ სივრცეს. აქ ვხვდებით შემდეგ აქტს ან პროცესს: ხდება ჟანრის მაკონსტიტუირებელ ნიშანთა ისეთი ტრანსპოზიცია ტექსტობრივ სივრცეში, როცა ხდება ერთდროულად მათი ტრანსფორმაცია. ორივე ეს პროცესი აუცილებელია იმისთვის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ჟანრის მიერ თავისი ტექსტობრივი სივრცის შექმნას.

მანანა ჩიტეიშვილი (ქუთაისი)

ზნეობის გაგებისათვის

სოციუმში ადამიანები მოქმედებენ განსაზღვრული ნორმებით და სხვებთან ურთიერთობასაც საფუძვლად უდებენ სწორედ გარკვეული წარმოდგენებისა და შეხედულებების კომპლექსს, რაც ქმნის ადამიანის ზნეობრივ შეგნებას. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა სოკრატეს, არისტოტელეს თვალსაზრისები. სოკრატესთან ბოროტების მიზეზი ნაკლოვანი ცოდნა და მოჩვენებითი სიკეთეა, არისტოტელესთან პასუხისმგებლობის საფუძველი სიკეთისა და ბოროტების არჩევანია, რაც ნებელობის შინაარსს შეადგენს. ჰეგელისათვის ნებისყოფა აზროვნების განსაკუთრებული სახეა, რომელიც გასაგნებისაკენ ისწრაფვის. ადამიანის პრობლემა ი. კანტის ფილოსოფიის ყურადღების ცენტრშია და აყალიბებს ეთიკურ პრინციპებს, რომელიც ცნობილია „კატეგორიული იმპერატივის სახელწოდებით. ს. კირკეგორმა გააძლიერა ადამიანის პრობლემისადმი ინტერესი და შექმნა ფილოსოფიური მიმართულება „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“. საყურადღებოა ელ. ჰურერლის, მ. შელერის, ნ. ჰარტმანის და სხვ. არგუმენტი ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ. ზნეობისათვის სპეციფიკურია შეფასების აქტი, რაც საქციელის ღირებულების გაცნობიერებაში მდგომარეობს. საქციელი, როგორც ცნობიერი, შეგნებული აქტივობა ადამიანს ახასიათებს და ის პიროვნების აკვარგიანობის საზომადაა მიჩნეული.

ნათელა ჩიქოვანი (თბილისი)

მეთოდოლოგიური სკეპტიციზმიდან მეტაფიზიკურ მედიტაციებამდე

ნაშრომში განხილული იქნება ფრანგული რაციონალიზმისა და სკეპტიციზმის თავისებურებანი რენე დეკარტთან. მის ფილოსოფიაში ეჭვი არ არის შედეგი, იგი საშუალებაა უეჭვოს მიღებისა, ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, გონებას მოვამლევინოთ ნივთთა წარმოდგენითი აღქმა, გავათავისუფლოთ იგი სხეულებრივი ნივთებისგან, უკიდურეს შემთხვევაში კი მცდარად მივიჩნიოთ ისინი, რათა მან (გონებამ) თავად, შეძლებისდაგვარად, შეიცნოს თავისი ბუნება. ერთადერთი, რაშიც სრულიად ვართ დარწმუნებულები, აზროვნებაა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს დაეჭვების მუდმივი პროცესი. რაც უფრო მეტად ვეჭვობთ, მით უფრო უეჭვოა, რომ ვაზროვნებთ. მსგავსი დასკვნა ინტელექტუალური ინტუიციითაა გამოტანილი. „*cogito, ergo sum*“ დებულება, სადაც მე გაგებულია როგორც ნივთი, რომელიც აზროვნებს ე.ი. გონი, ანუ გონება, ხოლო აზროვნების შინაარსის ჭეშმარიტება ანალიზურად არ გამოიყვანება, როგორ

შეიძლება იქცეს არქიმედესეულ საყრდენად და დაშენდეს მასზე კარტეზიანული მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი.

დასმული საკითხის გადასაწყვეტად მოშველიებული ღმერთის დასაბუთების ონტოლოგიური არგუმენტი და კავშირი ანსელმ კენტერბერიელთან. დეკარტის სუბსტანციური დუალიზმი: სულისა და მატერიის თვისებები - აზროვნება და განფენილობა. ცდა ამ დუალიზმის მოხსნის შესამე, ყოვლისმცოდნე სუბსტანციის - ღმერთის შემოყვანით (ღმერთი აქ ფილოსოფიური კატეგორიაა და არა თეოლოგიური), სადაც ეს უკანასკნელი აზრია, სულია. საფიქრებელია, ღმერთის არსებობის დაყენების საკითხი ნაკარნახევი იყოს შუა საუკუნეების გავლენითა და იმ შიშით, ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვამ რომ გამოიწვია მეცნიერთა წრეებში, რის გამოც დეკარტმა თავისი ნაშრომის „სამყაროს შესახებ“ გამოცემაზე უარი თქვა, რადგან მასში გადმოცემული კოსმოგონიური თეორია ჰელიოცენტრული სისტემის პრინციპზე იყო აგებული.

ნინო ჩიქოვანი (თბილისი)

**მეხსიერების კონსტრუირების პრობლემები პოსტსაბჭოთა საქართველოში:
მეხსიერების ადგილები და „ძეგლების ომი“**

მოხსენება ეხება „მეხსიერების ადგილების“ მეშვეობით მეხსიერების კონსტრუირების პრობლემას პოსტსაბჭოთა საქართველოში. საკითხი შესწავლილია კოლექტიური მეხსიერებისა და მეხსიერების ადგილების თეორიათა ჭრილში.

1980-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ფონზე, საზოგადოებრივ დისკურსში გაჩნდა და სწრაფად დამკვიდრდა გმირების სახელები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. კვარცხლბეკებს ტოვებდნენ საბჭოთა ლიდერების ძეგლები. იცვლებოდა ქუჩების, ქალაქების/დაბების/სოფლების სახელები. ახალი მეხსიერება ძველის რღვევისა და წაშლის გზით მიმდინარეობდა. 2003 წლის შემდეგ აქცენტმა *მეხსიერების ახალი ადგილების* ფორმირებაზე გადაინაცვლა. ახალი მონუმენტებისა და მუზეუმების გახსნა მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს ემთხვეოდა.

2008 წლის აგვისტოს ომმა მორიგი ბიძგი მისცა მეხსიერების ახალი ადგილების შექმნას, რომელთა დეკლარირებული მიზანი ომის მსხვერპლთა და გმირების ხსოვნის უკვდავყოფა იყო, თუმცა ისინი უფრო ღრმა შინაარსით დაიტვირთა, რითაც ერთგვარი ხიდი გაიღო საქართველოს 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციას, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1990-იანი წლების კონფლიქტებს და 2008 წლის აგვისტოს ომს შორის. მეხსიერების სპეციფიკურ ადგილებს ქმნის ამავე ომის შემდეგ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე რაიონებში აშენებული ძეგლითა დასახლებები. გარდა ამისა, აგვისტოს ომმა განაახლა დისკუსია სტალინის ძეგლების ირგვლივ, რაც მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა/ტოტალიტარული სიმბოლიკისადმი დამოკიდებულების საკითხს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მეხსიერების კონსტრუირების რამდენიმე საფეხური პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში, აგრეთვე დადასტურდა, რომ აღნიშნულ პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცვალებადი პოლიტიკური რეალობა.

ნინო ჩიხლაძე (ქუთაისი)

არისტოფანეს „პოლიტიკოსი“ ქალები, ანუ „პრანჭვა გადაგვარჩენს“

ძვ. წ. მე-5 ს.-ის საბერძნეთში ათენელები ერთნაირად ამყობდნენ თავიანთი ორი უდიდესი ინოვაციით: დემოკრატიითა და დიონისეს დღესასწაულებით, სადაც პიესები იდგმებოდა, და ეს

პიესები, უპირატესად, იყო პოლიტიკური. მაგალითად, არისტოფანეს პერსონაჟები ლაპარაკობდნენ ისე, როგორც ნამდვილი პოლიტიკოსები.

ამ ნაშრომის შექმნა გადამაწყვეტინა დიდმა სურვილმა – ანტიკური საბერძნეთის მაგალითზე მეჩვენებინა, როგორ შეუძლია ლიტერატურას, კერძოდ, დრამატურგიას და თეატრს, გადამაწყვეტი როლი შეასრულოს სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში სახელმწიფო პოლიტიკისა და ხელოვნების მჭიდრო ურთიერთკავშირის დროს; როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი და მისი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ხარისხი; როგორ გაერთიანდა ძვ. წ. მე-5 ს.-ის ათენში თეატრი, საზოგადოება, პოლიტიკა და სახელმწიფო იდეოლოგია ერთ სიმბიოზად; გამოკვეთოს ის თავისებურებანი, რაც ბერძნულმა პოლიტიკურმა სპექტრმა შეიძინა ბერძნულ დრამაში; წარმოაჩინოს ბერძნული კომედიის (არისტოფანეს) ქალი პერსონაჟების როლი პოლიტიკაში (სცენაზე). მაშინ, როცა პოლიტიკური ცხოვრების კარი ქალებისათვის საგულდაგულოდ იყო ჩარაზული (ვერ იკავებდნენ სახელმწიფო თანამდებობებს, ვერ მონაწილეობდნენ სახალხო კრებებში, არ ჰქონდათ ხმისა და არჩევნების უფლება), არისტოფანემ შექმნა ქალი პერსონაჟების სახეები, რომლებიც პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელი თვისებების მატარებლები იყვნენ (ლისისტრატე, კლიტემნესტრა, პრაქსაგორა).

არისტოფანე, ფაქტობრივად, ეხმიანება იმ პროცესებს, რაც მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უცხო იყო და რამაც, არსებითად, თავი მხოლოდ გვიან ეპოქებში იჩინა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მისთვის, ისევე როგორც მრავალი ბერძენი მწერლისათვის, მასტიმულირებული წყარო იყო თეორიული დისკუსიები, რომლებიც მისი ეპოქის ელადამი მიმდინარეობდა ქალთა შესაძლებლობებისა და ადგილის შესახებ საზოგადოებაში.

თამარ ჩოკორაია (თბილისი)

ისტორიული პროზა – თანამედროვე საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების ნაწილი (ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანის მაგალითზე)

ისტორიული პროზა მეხსიერების ფუნქციურ არეს განეკუთვნება. მასში კარგად ჩანს კონკრეტული ეპოქის საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება, მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს მომდევნო თაობებში კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას. აღნიშნული თეზის საილუსტრაციოდ საკვლევ ობიექტად ავიღეთ ა. ანტონოვსკაიას ისტორიული რომანი „დიდი მოურავი“. მასში გიორგი სააკაძის პიროვნება ერთმნიშვნელოვნად დადებით კონტექსტშია წარმოჩენილი.

ისტორიულ წყაროებში გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ ერთიანი შეხედულება არ შექმნილა. ამ მხრივ გამონაკლისია საბჭოთა ეპოქა: ა. ანტონოვსკაიას სცენარით შექმნილმა ფილმმა და ისტორიულმა რომანმა სათავე დაუდო გმირის იდეალიზებულ სახეს. ფილმის სცენარის კონცეფციის შექმნაში თავად ი. სტალინმა მიიღო მონაწილეობა, რომლის თანახმადაც, გიორგი სააკაძეს სურდა ქვეყნის გაერთიანება და მეფის აბსოლუტური ძალაუფლების განმტკიცება, რაშიც „გარე ძალთა“ ფაქტორები დაეხმარებოდა. გიორგი სააკაძის შესახებ ფილმითა და ა. ანტონოვსკაიას რომანით საბჭოთა ბელადებს საშუალება ეძლეოდათ გადაეფარათ ისტორიული წყაროები და წინა პერიოდის ისტორიოგრაფია და კოლექტიურ მეხსიერებაში ახალი სახით ჩაეწერათ გიორგი სააკაძის სახელი.

„დიდი მოურავი“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იცვლება ერის კოლექტიური მეხსიერება ტექსტის დახმარებით. ამაზე მეტყველებს ამ პერიოდის ისტორიკოსთა ნაშრომები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ლიტერატურული ნაწარმოებები. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ღირებულებათა გადაფასების პროცესი სააკაძის თემასაც შეეხო. ცხადია, ეს უფრო

ისტორიოგრაფიაში აისახა, თუმცა კოლექტიურ მეხსიერებაში ცვლილებები ნაწილობრივ მოხდა. ამის კარგი მაგალითია ინტერნეტსივრცე და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემები, სადაც გიორგი სააკაძის პერსონა ისევ სტალინისეული პარადიგმითაა წარმოჩენილი.

ვარდო ჩოხარაძე (ბათუმი)

ბგერის გამჟღერება თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩვენებურების მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა თურქულ ლექსიკაზე დაკვირვებაა. კერძოდ, საინტერესოა, რა ცვლილებებს განიცდის თურქული ლექსიკა, რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ჩვენებურთა ქართულ მეტყველებაში.

ბუნებრივია, რომ თურქეთის საქართველოში ქართულ მეტყველებას ავიწროვებს თურქული – სახელმწიფო ენა. ამ კუთხეში რაც დრო გადის, მცირდება ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი.

ქართველთა მეტყველებაში თურქული და ქართული ენების ურთიერთგავლენაზე ყურადღებას მივაქცევთ ბგერის გამჟღერების შემთხვევებს.

ხშირია გამჟღერების შემთხვევები თურქულიდან შემოსულ სიტყვებში. ცნობილია, რომ თურქულ ენაში გვაქვს რვა ყრუ თანხმოვანი (F, P, Ş, Ç, K, H, S, T), ამათგან მჟღერდება მხოლოდ ოთხი თანხმოვანი - **K, P, T, Ç**:

ბ<ფ: აფთალი>აბდალი, ფაბუჩი>აბუჩი, ფაჰალი>აჰალი... აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ სიტყვა გვხვდება ამოსავალი ფორმითაც. ასეთ შემთხვევაში აშკარაა ამოსავალი ენის გავლენა. ხშირად მოუბარი ორი ენის (ქართული და თურქული) მატარებელია. აქ ჩანს, რომელი ენის წარმოთქმაა დომინანტური მისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ **ფ**ს გამჟღერება ხდება როგორც ფუძის შიგნით, ისე – თავსა და ბოლოში.

თურქული ყრუ ხშული „ფ“ თანხმოვანი სხვადასხვა მიზეზების გამო ქართულში გვაძლევს მჟღერ „ხ“ თანხმოვანს:

„აბდალი“ < (არ. aptal - აფთალ) - „სულელი“: „ხუსეინაი აბდალია და ხეტიალობს“ (უსტ.); „ის აბდალი რას აკეთებს?“ (იმ.)...

ბაბუჩი < (სპ. pabuç - ფაბუჩი): „მაი ლამაზი ბაბუჩები ვინ მოგიტანაო“ (იმ.); „ბაბუჩები გოუხდია შემოსასლელში“ (იმ.)...

ბაჰალი//ფაჰალი - (სპ.თურქ. pahalı - ფაჰალი) - „ძვირი“, „ძვირფასი“ (ქალის საკუთარი სახელი): „ამისი ჩასაცმელი ზორ ბაჰალია“ (იმ.); „ამისი სახელია ბაჰალი“ (იმ.)...

მექთები - (Mektep - მექთეფ) - „სასწავლებელი“: „მექთები დუუწერე ახრებებსა თემბელი ნუ ხარ“ (იმ.)...

სამხრულ კილოებში დადასტურდა **t>d**-ს ორიოდ შემთხვევა თურქული წარმოშობის სიტყვათა ანლაუტში:

დაბანჯა (ღურტა) – (tabanca - თაბანჯა) - „რევოლვერი“: „ის წევდა დაბანჯა ედლო, ისვენ უკან დაბრუნდა, ესროლა და მოკლა“ (ხევწ.)...

თურქულ ენაში „tabanca“ - „თაბანჯა“, ხოლო შავშურ დიალექტში „დაბანჯა“. თუმცა გვხვდება მისი მკვეთრი ვარიანტი „ტაბანჯა“: „ტაბანჯა წელზე ქონდა გამოკიდული“ (ინ.); „ტაბანჯა მეიტანა და ისროლა“ (ხევწ.)...

თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში თანხმოვანთა გამჟღერება ექვემდებარება თანხმოვანთ-ცვლილების წესებს, რომელიც შეპირობებულია ქართული წარმოთქმის თავისებურებებით.

ქართული სოფლები ბურსას პროვინციაში

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტური დასახლებები თურქეთის მრავალ პროვინციაშია. ქართველთა სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა ორდუს, ქოჯაელის, საქარიას და ბურსას პროვინციები. ბურსაში ქართველთა ყველაზე მეტი დასახლება ინეგოლის რაიონშია. საკუთრივ ინეგოლის მოსახლეობა 160 000 სულს შეადგენს, ხოლო სოფლებიანად – 220 000-ს; აქედან მოსახლეობის 30-35% ეთნიკური ქართველია. ცხადია, ეს მონაცემები ზუსტი არაა, მაგრამ რეალობასთან შედლებისდაგვარად მიახლოებულია.

ინეგოლის ილჩეში მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული 13 სოფელი. კერძოდ, ჰაირიე, ჰილმე, მურათბეი, თუფექჩიქონაი, გულბაქჩე, საადეთი, მესურრე, ბაქჩექაია, ჩაილიჯა, ფევიე, ჰამიდიე, ჰასანფაშა, ჩიფთლიქი. 10 სოფელიც შერეულია. კერძოდ, სულჰიე, ელმაჩაი, ქარაქადი, ბაჰარიე, ერიქლი, ფინდიქლი, გუნეიქესთანე, ქარაჯაქაია, ჰაჯიქარა, იენიჯე.

გარდა ინეგოლისა, ქართველთა მრავალი დასახლებაა გემლიქის, იზნიქის, ქარაჯაბეის, ქესთელის, ორჰანგაზის, ოსმანიეს, მუსთაფაქემალფაშას რაიონებში.

ბურსაში, ისევე, როგორც საზოგადოოდ თურქეთის შიდა პროვინციებში, უპირატესად მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში ქობულეთიდან, ბათუმიდან, აჭარისწყლის და მაჭახლის ხეობებიდან, შავშეთიდან, კლარჯეთიდან... გადასახლებულთა დასახლებებია. შიგადაშიგ წაწყდებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ასევე, საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ (მე-20 საუკუნის 20-იანი წლები) გადასახლებულლებსაც.

მუჰაჯირთა შთამომავლების ქართული მეტყველების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად გადარიბებულია ლექსიკა, რომელშიც გაზრდილია თურქიზმების წილი; გარდა ამისა, იშვიათად შეხვდებით ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენაზე რომ ლაპარაკობდეს: საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან ქართული.

მერაბ ჩუხუა (თბილისი)

ვეფხისტყაოსნის წვერ-გამო ფორმის გაგებისათვის

ავთანდილ ახლოს კვლავ ნახა სახე მისივე კაცისა,
ულვამ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუ-თუმზეაო“, თქვა, „ცისა?“

აქ მოხმობილ ამონარიდში *წვერ-გამო* მნიშვნელობით უწვერულს (წვერის არმქონე) უდრის (ა. შანიძე), რასაც ადასტურებს ძველქართული ძეგლი „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“. კერძოდ, ტექსტის ავტორი მოგვითხრობს, რომ დავითი იყო „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ხშირ წვერითა“, ხოლო კონსტანტინე – „შუენიერ გუამითა, მოწაბლე თმითა... *წვერ-გამო*“, ანუ დავითი იყო **წვეროსანი** (*ხშირ წვერითა*), კონსტანტინე კი - **უწვერული** (*წვერ-გამო*).

მოხსენებაში გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ რუსთველისეული **-გამო** უქონლობის სუფიქსია, რომელსაც კოლხურში (მეგრულ-ლაზურში) **-გა** აფიქსი (მისი შეკვეცილი სახეობა) შეესატყვისება. თანამედროვე ქართულისგან განსხვავებით, **-გა** მოქმედი სადერივაციო აფიქსია მეგრულში, შდრ.: ტვინ-ამ-ი „ტვინიანი“ - ტვინ-გა „უტვინო“; ნირ-ამ-ი „ნირიანი“ - ნირ-გა „უნირო, თავხედი“... და შეიძლება იგი **-გა > -გ** სვანურშიც ფუნქციონირებდა - სვან. ყუ-გ „ყრუ“...

პრეცედენტული ფენომენის სინქრონია და დიაქრონია

პრეცედენტული ფენომენის ფუნქციონირება საინფორმაციო ბუმის პირობებში ხასიათდება მაღალი ინტენსიურობით, თანაც ხშირია ისეთი საინტერესო პროცესი, როგორც პრეცედენტის მნიშვნელობის გაფართოება და შევიწროება.

ჩვენ ნაშრომში მოცემული (პრეცედენტული სახელები რუსულ და ქართულ დისკურსში) კონკრეტული ტრადიციული პრეცედენტის ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე მხატვრულ და მედიატექსტებში ეს პრეცედენტული სახელი განიცდის მნიშვნელობის შევიწროებას, რათა ყურადღება გადატანილია მხოლოდ სემემაზე „მოულოდნელი ბედნიერება, სიმდიდრე“, და თითქმის არ გამოიყენება სემემა „დიდი მოცულობის შავი საქმის შესრულება“.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე რუსული ეპოსის ცნობილი გმირების (ილია მურომელი, ალიოშა პოპოვიჩი, დობრინია ნიკიტჩი) სახეების ტრანსფორმირება კომპანია „მელნიცა“-ს მიერ შექმნილ თანამედროვე ანიმაციურ ფილმებში.

პრეცედენტის მნიშვნელობის შეცვლა - ძალიან საინტერესო და ამავდროულად ნაკლებად შესწავლილი ასპექტია პრეცედენტული ფენომენის როგორც მნიშვნელოვანი ლინგვისტური პრობლემისა.

სოფიკო ჩხარტიშვილი (ბათუმი)

ფრაზეოლოგიური გამონაქვამები პონტოურ დიალექტში

პონტოურ დიალექტში ხშირად ვხვდებით ფრაზეოლოგიურ გამონაქვამებს, დაკავშირებულს ამ ბრძენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. არსებობს 1500-ზე მეტი გამონაქვამი, რომელთა ნაწილი ანდაზადაა ქცეული. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ გამონათქვამებზე, რომლებიც ახლოსაა ქართულ ფოლკლორთან, განიხილება მსგავსი და განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნული გამონათქვამების თემატიკა მრავალფეროვანია. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება პონტოელი ბერძენების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოყენებული ანდაზები და ბრუნული აზრები, რომლებიც წარმოაჩენს მათ შეხედულებებს მეგობრობაზე, სიყვარულზე, ადამიანურ სისუსტეებზე, სამუშაოზე, აღზრდის მნიშვნელობასა და მათთვის მნიშვნელოვან სხვა თემებზე, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და ცხოვრებისეულ სიბრძნეს.

გურამ ჩხატარაშვილი (ბათუმი)

აჭარისწყლის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

აჭარაში ქვის ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. სხვადასხვა დროს აქ განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად მრავლად გამოვლინდა ახალი ქვის ხანის ძეგლები, როგორც შავიზღვისპირა, ისე მთისწინა გორაკ-ბორცვოვან ზოლში. რაც შეეხება ზემო აჭარას, იგი ამ მხრივ ფაქტობრივად შეუსწავლელია, რადგან იქ დღემდე არ განხორციელებულა გეგმაზომიერი სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი,

მხედველობაში თუ არ მივიღებთ დაზვერვებისა თუ შეთხვევითი აღმოჩენების შედეგად ნაპოვნ მასალას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი იყო 2002 წ., როცა ბემუმში, ადგილ ბულულას სერზე, პროფ. გ. გრიგოლიამ აღმოაჩინა ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ-ანატკეცები, რომლებიც ქვედა პალეოლითით დაათარიღა (300-200 ათ. წელი).

არქეოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 1973 წ. დაზვერვები ხიხამირში, სადაც ექსპედიციამ დაადასტურა არაერთი კაჟის გამოსავლები და შეაგროვა კაჟისა და ობსიდიანის მასალები. საინტერესო შემთხვევითი აღმოჩენა გაკეთდა ბემუმის ახლოს მდებარე მთა თეთრობთან (ნაჩადრევი), ხ. სურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე 1978 წ. მოპოვებული ცულის სახით. ანალოგების მიხედვით, მას მკვლევარი ს. გოგიტიძე განვითარებული ნეოლითით ათარიღებდა.

შემთხვევითი აღმოჩენებიდან საინტერესოა სოფ. ფუშრუკაულში აღმოჩენილი ქვის იარაღი, რომელიც შესაძლებელია თავიდან ხელსაფეკავი ან სასრესი ყოფილიყო. ფუშრუკაულის მონაპოვარს ს. გოგიტიძე ნეოლითის დასასრულითა და ენეოლითის პერიოდით ათარიღებს.

ამრიგად, აჭარისწყლის ხეობა ქვის ხანის მასალების მხრივ მეტად საინტერესო ჩანს, რაც დადასტურდა არქეოლოგიური დაზვერვებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად შეგროვებული მასალებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიებების ჩატარება, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენების საფუძველი იქნება.

თეა ცაგურია (ბათუმი)

თეატრალური დისკურსის თავისებურებანი

თეატრალური ტექსტი, მ. ისახაროვის აზრით, არ არის ზეპირი მეტყველება პირდაპირი გაგებით. ეს არის პირობითი წერილობითი ფორმა, რომელიც წარმოადგენს ზეპირ მეტყველებას. სცენური მეტყველება განსხვავდება ლიტერატურული მეტყველებისაგან მისი წარმოდგენის ძალით და მოქმედების უნარით. თეატრში მეტყველება ნიშნავს მოქმედებას.

სასცენო დისკურსის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ მას სცენაზე ერთდროულად ორი ადრესატი ჰყავს, პირველი - პარტნიორი და მეორე - მაყურებელი. მისი ირიბი აქტი განსაზღვრულია და ის არ არის სპონტანურად შექმნილი სიტყვათა ნაკადი.

მეტყველება, როგორც სიტყვიერი მოქმედება რიტორიკის დონეზე - ეს არის გამოხატვის აქტი, მაგრამ თეატრში ლაპარაკი მოქმედებას ნიშნავს, ამიტომ პერსონაჟის მეტყველება არა მხოლოდ მსახიობის მიერ ჩადენილ მოქმედებას უნდა გამოხატავდეს, არამედ სამეტყველო აქტი თვითონ უნდა შეიცავდეს მოქმედებას. გარდა ამისა, გამოთქმა შეიძლება იყოს გამოხატული არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურადაც.

სპექტაკლის დისკურსი არის ტექსტებისა და სასცენო მასალების ერთობლიობა. სასწავლო პრაქტიკაში დისკურსის შექმნა ნიშნავს ყველა სცენური სისტემის ფლობას (ფონოლოგიური, სემანტიკური, ქმედითი) და მათი ინდივიდუალურად გამოყენების ცოდნას.

თეატრის სემიოტიკურ კვლევას არც ისე დიდი ისტორია აქვს. ამ მიმართულებით კვლევებში ძირითადად სამი სკოლა გამოირჩევა: პოლონური, იტალიური და ფრანგული. ოტაკარ ზიხი, იან მუკარჟოვსკი, როლანდ ბარტი, ანა იუბერსფელდი, პარტის პავი და სხვა. თეატრის ამ თეორეტიკოსებმა სახელი თავიანთი სამეცნიერო ნაშრომებით გაითქვეს და დიდი წვლილი შეიტანეს თეატრალური დისკურსის შესწავლაში.

ადგილობრივები, ბერძნები და აქემენიდები შავი ზღვის ირგვლივ

როდესაც ძვ. წ. მე-7 საუკუნის ბოლო მეოთხედში შავ ზღვაზე იონელები მოვიდნენ, მათ უკვე იქ არსებულ ადგილობრივ ხალხებთან მოუწიათ ურთიერთობა. ახალი გამოკვლევების მიხედვით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ცოტა იყო ადგილობრივი მოსახლეობა, ამდენად, ბერძენ კოლონისტებს შიგა ტერიტორიებში შესვლა მოუხდათ ადგილობრივ პოლიტიკურ ცენტრებთან კონტაქტის და ურთიერთობის დასამყარებლად. ეს ურთიერთობა საჩუქრების გაცვლა-გამოცვლას ემყარებოდა. ასეთი სურათი საერთოა შავიზღვისპირეთის სხვა შიგა რეგიონებისათვის, უფრო მჭიდროდ დასახლებულებისთვისაც კი. მე-6 საუკუნის შუა წლებიდან, მიუხედავად აქემენიდური იმპერიის შემოსვლისა, ეს მეგობრული ურთიერთობები არ განელეზულა. ბერძნები განაგრძობდნენ ადგილობრივებისთვის საჩუქრების მიცემას, ხოლო განსაკუთრებით მე-5 საუკუნის შუა წლებიდან, ადგილობრივ მმართველებს ძღვენს თუ ხარკს იხდიდნენ არსებული ურთიერთობის გასამყარებლად და საკუთარი ცხოვრების სტილის და შედარებითი ავტონომიის უზრუნველსაყოფად. ნაშრომში განხილულია, თუ რა მექანიზმებს იყენებდნენ ადგილობრივები, ბერძნები და აქემენიდები თავიანთი ორმხრივი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

მინდია ცეცხლაძე (ბათუმი)

კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდის ლიტერატურათმცოდნეობაში გამოყენება

კორპუსის ლინგვისტიკა არის „ნამდვილ ცხოვრებაში“ ენის გამოყენების ემპირიული შესწავლა კომპიუტერებისა და ელექტრონული კორპუსების საშუალებით. მეოცე საუკუნის თეორიების თანახმად, ლიტერატურა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი და არტეფაქტი, არის ნიშნების სისტემა, ანუ იგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი „ენა“ და შესაბამისად, ვიკვლიოთ ლინგვისტიკის მეთოდით.

ასეთი კვლევის კონკრეტული მაგალითია მეტაფორისა და მეტონიმიის კვლევა, კერძოდ - კორპუსის საშუალებით ხდება მეტაფორის „რეზონანსის“ ანუ მეტაფორულობის გაზომვა და სხვ.

ასევე მოხდა ლიტერატურული მეტყველების რეპრეზენტაციის კვლევა: დაისახა კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოებში, უპირატესად დიალოგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიკვლიოთ შეთხზული მეტყველება.

ასეთივე მაგალითია ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოების შედარებითი ანალიზი, კერძოდ, დადგინდა, რომ უილიამ ბლეიკის ორი სხვადასხვა პოემა - „უმანკოების სიმღერები“ და „გამოცდილების სიმღერები“ ასახავს სულის ორ საპირისპირო მდგომარეობას სემანტიკურად და ლექსიკურად მეტწილად მსგავსი ენით. ასევე კორპუსის საშუალებით ორი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ მაჩადო დე ასისის „დონ კასმუროს“ ენა ლექსიკური სტრუქტურის თვალსაზრისით რთულია, დენ ბრაუნის „დავინჩის კოდის“ ენა კი - პირიქით.

ყველა კონკრეტული კვლევის ავტორები მიაწოდებენ ან პირდაპირ აღნიშნავენ, რომ კორპუსის ლინგვისტიკა მხოლოდ დამხარე, შემავსებელი მეთოდია და იგი ვერ ჩაანაცვლებს ლიტერატურათმცოდნეობას, თუმცა მას შეუძლია უზარმაზარი რუტინული, მექანიკური სამუშაო შეასრულოს სწრაფად და ზუსტად, ასევე, მას შეუძლია დაგვეხმაროს ტრადიციული მეთოდებით კვლევის შედეგების გადავამოწმებაში, ასე რომ, მის გამოყენებას ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი მომავალი აქვს.

ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

ქართულში ლაპარაკის (საუბარი (საუბნარი), უბნობა) აღმნიშვნელი ლექსიკა მეტად მრავალფეროვანია. სალიტერატურო ენასა და დიალექტებში შეიძლება გამოვყოთ მისი რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

1. ხმამაღალი ლაპარაკი
1. 1. ხმამაღალი, უსიამოვნო ლაპარაკი: **ჭაჭყანი**;
1. 2. ხმამაღალი, წვრილი ხმით საუბარი: **ჭყვიტინი; ჭყვილი, ჭყლოპინი, წრიპინი** (ქეგლ);
წიკვინი;
1. 3. ხმამაღალი, ბოხი ხმით ლაპარაკი: **როხროხი; რახრახი, ბაგბაგი, დოგდოგი**;
1. 4. უაზრო, ხმამაღალი საუბარი: **ლიგლიგი, ლიკლიკი, ღრიალი, ბარდღალი**.
2. ხმადაბალი ლაპარაკი: **ჩიფჩიფი, ბუტბუტი, ჩუქჩუქი; კურკური**;
3. უკმაყოფილო, გაურკვეველი ლაპარაკი: **ჩივილი, წუწუნი, ჯიჯღინი, ჯიყჯიყი, ჯუჯღინი, ჭუჭყინი, დუდღინი, ბუზღინი; ბურდღული**;
4. ულაზათო, გაურკვეველი, არასასიამოვნო ლაპარაკი: **ღლაბუცი, ბღლაბუნი; ჯიჯგინი (საბა)**;
5. სასიამოვნო საუბარი: **მასლაათი, ბასი, მუსაიფი**;
6. ბავშვის ლაპარაკი: **ტიკტიკი, ტიტინი**;
7. უადგილო, დაუკვირვებელი, უაზრო **ხოხონიკა (ძგ. საუბ); ყრანტალი, რომვა; ბოდვა; ბოდიალი, ბლადუნი, ტლიკინი, ტიტყინი, რომვა, როხვა**;
8. უთავბოლო ლაპარაკი: **ლაქლაქი, როყროყი, ყრანტალი, ჭარტალი, ლაზღანდარობა (შდრ. შარაბუტა- უთავბოლო მოლაპარაკე)**.

მუჰაჯირთა მეტყველებაში უაზრო, უსაგნო ლაპარაკს გადმოიცემა შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით: **წინ-უკან ლაპარიკობს, კაჭა-კუჭაია ლაპარაკობს, ლაპარაკში კატა დაამტრია (თ.ქ.) ჯიხრიკი დაამტრია (ინ) ჭვავის ჭიბონი და თივნის დავლი (სტ); ძემ გადმეირა (მაჭ).**

კატა დაამტრია – დაუფიქრებელი, მოუზომავი ლაპარაკით ვიღაცას აწყენინა ან საიდუმლოება გასცა, ინეგოლში იტყვიან, ლაპარაკში ჯიხრიკი დაამტრიაო. საბასთან ჯიხმაკური კაცი განმარტობულია, როგორც „კაცი, ყოვლის გზით გაუწყობელი“. (რ)ძემ გადმეირა – ნიშნავს, რომ მოლაპარაკეს ამ ამბისა არაფერი გაეგება, ანუ, როგორც იტყვიან, „ხებერი არ აქ“ (ძემ გადმეირა, ნენეს ხებერი არ გაეგება, ანი როგორც იტყვიან, „ხებერი არ აქ“ (ხებერი -არაბ. ამბავი] (მაჭ).

ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებში შედის ცხოველთა ხმიანობის აღმნიშვნელი სიტყვებიც: **ჭყვიტინი (გოჭის); ჭყვილი (ჩიტის ბარტყის, მერცხლის), ჭყლოპინი...**

რამდენიმე ლექსემა პოლისემიურია: **ბოდიალი// ბოჭიალი** ნიშნავს ნელა სიარულსაც და უსაგნო ლაპარაკსაც.

- ბლაცყინი** 1. უაზროდ სიარული; 2. უაზროდ ლაპარაკი; 3. ღონივრად, მაგრამ უაზროდ ცემა;
- ბლადუნი** 1. უძალოდ სიარული, 2. უგზოუკვლოდ სიარული, გზაარეული, ზანტი სიარული
3. უაზრო რომვა.

კალამბური/ზმა ლინგვისტიკაში განმარტებულია, როგორც იმპროვიზაციის, კრეატიული შემოქმედების საშუალება, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროცესუალობა, იმპროვიზაცია, გარკვეული ეფექტის შექმნა. ისინი შემოქმედებას ახდენენ მსმენელზე/მკითხველზე, რაც უმეტესწილად ირიბად ხორციელდება. კერძოდ, ეს ხდება ენის გამოყენების განსაკუთრებული ნიუანსების ხარჯზე, რომლებიც ქმნიან ერთგვარი იმპლიციტური აზრის ეფექტს მინიშნებებისა თუ ალუზიების ფორმით.

წარმოდგენილ სტატიაში კალამბური განხილულია, როგორც კრეატიული ფენომენი, თუ როგორ შეიძლება იმპლიციტური მნიშვნელობით გამოვხატოთ აზრი ისე, რომ არ იყოს უხეში და თვალშისაცემი მსმენელისა თუ მკითხველისთვის. შესაბამისად, ავტორები ხშირად მიმართავენ კალამბურს ორაზროვანი, ხატოვანი ეფექტის მისაღწევად, ტაბუდადებული თემების გამოსაამჟვარავებლად, სხვადასხვა პოლიტიკური წრეების გაქილიკების მიზნით და სხვ.

თამარ ცხადაძე (თბილისი)

ფაქტების და ღირებულებების დიხოტომია და ღირებულებების როლი ცოდნის წარმოების პროცესში

მოხსენება ეხება ცოდნისა და მეცნიერების იმ კლასიკური გაგების კრიტიკას, რომლის მიხედვითაც მეცნიერული ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნები გულისხმობს, რომ კვლევის პროცესი და კვლევის შედეგები ღირებულებითი ორიენტაციის მიმართ ნეიტრალური უნდა იყოს. ეს კონცეფცია ძირეულად გადაისინჯა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ინტელექტუალური ტრადიციების ფარგლებში. მეცნიერების პოსტპოზიტივისტურ ფილოსოფიაში მეცნიერების პოზიტივიტური მოდელების კრიტიკამ, მეცნიერების ფემინისტურმა კრიტიკამ, სოციალური მეცნიერების კრიტიკულმა თეორიამ და ა. შ. სხვადასხვა ასპექტით დააყენა ეჭვქვეშ ცოდნის ღირებულებითი ნეიტრალურობის დოგმა. თუმცა ის საკითხი, თუ ზუსტად რა აზრით და რა სახით მონაწილეობს ღირებულებითი ორიენტაცია მეცნიერულ პროცესში, დღემდე აქტიური დებატების საგანია. მოხსენების ერთი ნაწილი დაეთმოა ცოდნის ღირებულებითი ნეიტრალურობის დოგმის წინააღმდეგ არსებული კრიტიკული არგუმენტების რეკონსტრუქციას და ანალიზს; მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება ცოდნისა და ღირებულებათა ურთიერთქმედების რამდენიმე ასპექტის ანალიზი; აგრეთვე, განხილული იქნება ამ ანალიზის შედეგები მეცნიერებათა (განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა) თანამედროვე დაყოფისთვის დისციპლინებად.

ირაკლი ცხვედიანი (ქუთაისი)

ჯონ დოს პასოსის მანჰეტენ ტრანსფერი როგორც ურბანული რომანი

მოხსენების მიზანია, წარმოაჩინოს ნიუ იორკის ფიქციონალური ხატის თავისებურებები ჯონ დოს პასოსის ექსპერიმენტულ ნარატივში. მასში განხილული იქნება ამერიკის კულტურული რეპრეზენტაციის გზები და საშუალებები „მანჰეტენ ტრანსფერში“ (1925); დოს პასოსის წარმოსახვითი ნიუ იორკი გააზრებული იქნება როგორც ერთგვარი ურბანული ისტორიულ-კულტურული პალიმფსესტი, რომელიც ამერიკის კულტურულ იდენტობას აყალიბებს.

ასევე შევეცდები გავანალიზო დოს პასოსის ურბანული ხედვა და პოეტიკა, ის ნოვატორული სამწერლო ტექნიკა, რომელსაც მწერალი მიმართავს ნიუ იორკის წარმოსახვითი ხატის

შესაქმნელად და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულების ამერიკული კულტურის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების დასახატად. მოხსენებაში ასევე ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ განსაზღვრავს პერსონაჟების ცნობიერებას ურბანული სივრცე.

სესილი ძებნიაური (თბილისი)

„ესთეტიკურის“ ტრანსფორმაცია ინფორმაციულ ეპოქაში (ტრანსესთეტიკა)

თანამედროვე «დესაკრალიზებულ» სააზროვნო სივრცეში, როდესაც აღარ არსებობს მკვეთრი გამმიჯნავი ხაზები და ბინალური ოპოზიციები, ესთეტიკური რეალობა სრულიად განსხვავებულ, უნივერსალურ რეალობად წარმოგვიდგება, ხოლო ის უმთავრესი ნიშანი, რომლითაც დღევანდელი სამყარო ახდენს ჩვენს წინაშე პრეზენტაციას - მისი საყოველთაო ესთეტიზაციაა.

თითოეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა თანამედროვეების წინაშე არის პასუხები კითხვებზე: როგორ შევდგათ ფეხი არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ რეალურად XXI საუკუნეში, რომლის კონტურებიც მოიხაზა, როგორც ფაქტიურად რეალობის, ისტორიულობის, დროულობის «დასასრული». რა გველოდება ამ «დასასრულის» მიღმა? შესძლებს თუ არა შემეცნებელი სუბიექტი თავისი თავი განახორციელოს ახალი ანთროპოლოგიის ეპოქაში?

პარადიგმათა მუდმივი ცვლის პროცესი ერთგვარად ჰქმნის ყველაფრის დასრულებულობის ილუზიას, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვნად სამყაროს ესთეტიკური განაზრება არღვევს და «შფოთი» შეაქვს მასში.

«პოსტკულტურული» ეპოქის «ტრანს» განსაზღვრულობებს შორის (ტრანსპოლიტიკური, ტრანსესთეტიკური, ტრანსრელიგიური, ტრანსმეცნიერული, ტრანსპერსონალური, ტრანსეთიკური, ტრანსსექსუალური) ყველაზე უნივერსალური «ტრანსესთეტიკური» დიმენსიაა, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს ყველა დანარჩენ განზომილებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი საკუთარი თვითმყოფადი პრეისტორია და ტრანსფორმაციული რეგისტრი გააჩნია;

პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ტრანსშინაარსობრივი ბუნება საშუალებას გვაძლევს ვიმყოფებოდეთ მხოლოდ ამბივალენტური ესთეტიკური ღირებულებების სივრცეში, რომელნიც, თავისმხრივ, მაინც ინახავენ მესხიერებაში მოგონებას, ცოდნას, გამოცდილებასა და ემოციას წარსული კულტურის თაობაზე. ამბივალენტურ სივრცეში მომწყვდეული და კონსერვირებული ეს მოგონებანი ყოველთვის ინარჩუნებენ შესაძლებლობას, რომ ყველა «პოსტ» ეტაპის ამოწურვის შემდგომ, ისევ რეალურ, ცოცხალ ესთეტიკურ განცდად ტრანსფორმირდნენ. დღეისათვის ეს პროცესი უკვე შესამჩნევი ხდება და აშკარად «რეალობასთან დაბრუნების» - ახალი ესთეტიკური პარადიგმის ფორმირებაზე მიგვანიშნებს.

ნინო ძნელაძე (ბათუმი)

გრაფიტოები ფიჭვნარის ძვ. წ. V-IV სს სამაროვნიდან

გრაფიტო ბერძნული მოვლენაა, შესაბამისად, ფიჭვნარის გრაფიტოების უდიდესი ნაწილი შესრულებულია ბერძნული ასოებით და დატანილია შავლაკიან ატიკურ კერამიკაზე. ძირითადად ეს სამარილეები, კილიკები, სკიფოსები, კანთაროსებია. გვხვდება გრაფიტოები ქიოსურ, ჰერაკლეურ და თაზოსურ ამფორებზე, თაზოსურ ლეკითოსებზე. გამოსაკლისს წარმოადგენს ელინისტური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც თავისი კონფიგურაციით ძალიან წააგავს ბერძნულს, შედგება ერთი ასოსაგან, დატანილია ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმზე და, ბერძნული გრაფიტოსაგან განსხვავებით, გამოწვამდეა ნედლ თიხაზე ამოკაწრული. ფიჭვნარის ეპიგრაფიკული მასალისათვის დამახასიათებელია

მოკლე, ძირითადად, ერთი ან ორი სიმბოლოსაგან შემდგარი წარწერები, მონოგრამები, ლიგატურები. რა თქმა უნდა, წარმოდგენილია სახელების სრული ფორმებიც. ფიჭვნარის სამაროვნებიდან გრაფიტოების რაოდენობის მხრივ ლომის წილი, ბუნებრივია, ძვ. წ. V-IV სს ბერძნულ სამაროვანზე მოდის, მაგრამ კლასიკური ხანის კოლხურ და ელინისტური ხანის სამაროვნებზეც მოიყარა თავი, მართალია, მცირე რაოდენობის, მაგრამ შინაარსიანმა წარწერებმა.

ნინო ჭალაგანიძე (თბილისი)

**ბავშვთა საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში
(საკვლევი პერიოდი: 2014 წლის იანვარი-ივნისი)**

ჟურნალისტს მეტაფორულად მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელს, საგუშაგოზე მდგომ „მოდარაჯე ძაღლს“ უწოდებენ. ყველა ეს დეფინიცია ადამიანის უფლებათა დაცვას უკავშირდება. სწორედ ადამიანი, მოქალაქეა ის ამოსავალი წერტილი, რომლის საკეთილდღეოდ იღწვიან ჟურნალისტები. ისინი საზოგადოების თვალის, ყურისა და ხმის როლს ასრულებენ, საზოგადოების ყურადღებას ამახვილებენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და ხშირად, ამის გამო, თავს საფრთხეში იციდებენ. თავიანთი პროფესიის წყალობით, ჟურნალისტებს შეუძლიათ მოუწოდონ მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გაატარონ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართული რეფორმები.

წარმოდგენილი ნაშრომი ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი და სენსიტიური წევრების - ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას ეხება. ჩვენი მიზანია თანამედროვე ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების პროფესიული გაშუქების შესწავლა; გაშუქებული მასალების ბავშვთა აღიარებულ უფლებებთან, ეთიკურ ნორმებთან, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და ანალიზი.

კვლევის ობიექტი ექვსთვიანი პერიოდის მანძილზე გამოქვეყნებული/ეთერში გადაცემული ყველა ის მასალაა, რომელიც ბავშვების მდგომარეობას შეეხება და, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება ან პირიქით, ეთანხმება და იცავს არსებულ პროფესიულ სტანდარტს. შედეგად კი გამოვლენილია ის ტენდენცია, რომელიც ჩვენს მედიას მითითებული თვეების მანძილზე ახასიათებდა. მონიტორინგი მოიცავს კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მახასიათებლებს.

ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეული თემის აქტუალობა კი მისივე პრობლემურობითაა განპირობებული.

გიორგი ჭეიშვილი (თბილისი)

**ართვინელი მიგრანტები ბათუმში:
ახალი ეკონომიკური ელიტის კონსტრუირება?**

ნაშრომში გაანალიზებული იქნება ეკონომიკურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებში ბათუმში გაჩენილი ახალი ფენის - ართვინელ მიგრანტთა ყოფითი რეალიები და მათი დატვირთვა ურბანულ სივრცეში.

მარიამ ჭინჭარაული (თბილისი)

**მასმედიისა და მუსიკალური კულტურის ურთიერთობა
(მასობრივი და ელიტარული მუსიკალური კულტურების მაგალითზე)**

მოხსენებაში განხილულია მასობრივი და ელიტარული მუსიკალური კულტურების ურთიერთობა მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე გლობალური მედიაკულტურის და მასმედიის

განვითარების პირობებში. როგორც ცნობილია, მედიაკულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მე-20 საუკუნის ხელოვნებაში. იგი წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემის უმთავრეს საშუალებას, რომელიც პოსტმოდერნისტულ ეპოქაში კიდევ უფრო ძლიერდება და ფართო მასშტაბებს იძენს. შესაბამისად, თანამედროვე მუსიკალური კულტურაც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მედიატივირებულ სფეროს წარმოადგენს. მუსიკა მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ყველა სფეროს, რადგან მუსიკალური ნაწარმოები მუდმივად ისმის რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტისა და სხვადასხვა ელექტრონული საშუალებებით. თანამედროვე კულტურის მედიურობა, მუსიკის ტექნიზაცია, სხვადასხვა წარმოშობის მუსიკალური ტექსტების რთული ურთიერთქმედება კი მუსიკას მრავალენობრიობას ანიჭებს.

სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით არის გაანალიზებული ჩვენს მოხსენებაში მასობრივი და ელიტარული კულტურების ურთიერთობა. მასობრივ მუსიკაში ვგულისხმობთ იმ მუსიკას, რომელიც საზოგადოებისთვის ფართოდ არის ცნობილი და პოპულარულია, ხოლო ელიტარულში კი კლასიკურ, აკადემიურ მუსიკას.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება, მედია და კომპიუტერული ტექნოლოგიები თანამედროვე მუსიკალურ კულტურაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოშობს, კერძოდ, შემსრულებლისა და მსმენელის ურთიერთკავშირს, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოებისა და გლობალური მედიაკულტურის განვითარების შედეგად ახალ მახასიათებლებს იძენს.

ამგვარად, თანამედროვე მუსიკალური კულტურა წარმოადგენს გლობალურ ინფორმაციულ პოლისტრუქტურულ სისტემას, რაც მოიცავს მუსიკალური შემოქმედების სხვადასხვა ლოკალურ, ინფორმაციულ, ისტორიულ და სოციალურ კულტურულ შრეებს და სფეროებს, და ასევე, მუსიკალური ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის კულტურას.

ლიანა ჭყონია, ცირა ჭყონია (ბათუმი)

იურიდიული ტერმინების ენებში დამკვიდრების პრაგმატიკული და სემანტიკური თავისებურებანი

სოციუმი არის ენის მატარებელი ორგანიზმი და შესაბამისად ენა ხასიათდება იმ ნიშან-თვისებებით, რაც დამახასიათებელია სოციუმისათვის. სოციუმი და ენა ურთიერთობისას ერთმანეთს ურთიერთთავისებურებებით ტვირთავენ. ასეთი ურთიერთკავშირი და ზეგავლენა ამ ორ საგანს შორის საკმაოდ მჭიდროა და მათი ერთმანეთის დამოუკიდებლად წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან თუ ადამიანები ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე არ საუბრობენ, ისინი ვერასოდეს შექმნიან ისეთ გაერთიანებას, რომელსაც სოციუმი წარმოადგენს.

სოციუმში გაერთიანებული ადამიანებისათვის ენა არის ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ისინი ახდენენ მიმდინარე მოვლენებისა და გარესამყაროს აღქმას და მის გამოხატვას, ამდენად ყოველი საზოგადოების ენაში აირეკლება ის განსაკუთრებული შტრიხები და ტენდენციები, რომელიც მთლიანად სოციუმისათვის არის დამახასიათებელი. ენაში აისახება საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე არსებული კულტურული, ტექნიკური მეცნიერული თუ სხვა სახის განვითარების დონე და ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, შეხედულებები, მენტალიტეტი, ისტორია, გამოცდილება და ზოგადად ცხოვრების წესი.

უაღრესად საინტერესო სურათს გვაძლევს იურიდიული ტერმინების სახესხვაობა სხვადასხვა ენაში. თვით ტერმინი „სამართალი“ ინგლისურად გადაითარგმნება როგორც „Law“, რუსულად - „Право“, თურქულად - „Hukuk“.

სწორედ ენის შინაარსობრივ ნაწილში ჩანს მოცემული ეთნოსის სამყაროს სურათი, რომელიც ხდება ყველა კულტურული სტერეოტიპის ფუნდამენტი. მისი ანალიზი გვეხმარება

გავიგოთ, რითი განსხვავდებიან ნაციონალური კულტურები და რითი ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის დონეზე.

ნოდარ ჭყონია, ცირა ჭყონია, ლიანა ჭყონია (ბათუმი)

**რედუპლიკაცია, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი
ქართულსა და სხვა ენებში**

I. სხვადასხვა ტიპის ენებში არსებობს გრამატიკული ფორმების საერთო გამომხატველი ხერხები, რომლებსაც იყენებს როგორც უფრო განვითარებული ენები, ასევე უფრო ნაკლებად განვითარებული ენებიც. სიტყვაწარმოების ასეთ ერთ-ერთ ხერხად ითვლება სიტყვათა რედუპლიკაცია.

II. თანამედროვე ქართულ ენაში რედუპლიკაცია სიტყვაწარმოების უმნიშვნელოვანესი ხერხია. რედუპლიკაციური სიტყვები მეტ-ნაკლებად გვხვდება სხვა ენებშიც, მაგრამ ისინი პერიფერიულ ლექსიკას განეკუთვნებიან (გ. ნებიერიძე). ქართულ და სხვა ენებში რედუპლიკაციური სიტყვების სტრუქტურული და ორთოგრაფიული გამოსახულება მეტწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

III. ქართულ ენაში, სხვა ენებთან განსხვავებით, ანბანის ყველა ასოზე ფიქსირდება რედუპლიკაციურ სიტყვათა უამრავი ფორმა. მოგვყავს ყოველ ასოზე თითო-თითო მაგალითი: ასავალ-დასავალი, ბარბაცი, გლიჯინ-გლიჯინით, დროდადრო, ერთადერთი, თავთავი, იწილო-ბიწილო, კამკამა, მითქმა-მოთქმა, ლაწლაწი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ორ-ორი, პანტაპუნტა, ჟივჟივი, რაკრაკი, სველ-სველი, ტიკტიკი, უფრო და უფრო, ფახაფუხი, ქათქათა, ღაჟღაჟა, ყაყანი, შარა-შარა, ჩუმჩუმა, ცანცარი, ძაგძაგი, წამწამი, ჭაჭა, ხარხარი, ჯაყჯაყი, ჰაი-ჰაი.

IV. რედუპლიკაციის მაგალითები გვაქვს რუსულ (mama „დედა“, „მამა“, „დედაკაცი“, „აბდაუბდა“, „სუსხური“ (ზღვის იხვი), друг друга „ერთმანეთი“, ей-бой „დმერთმანი“, - „ძლივძლივობით“ და სხვ.), თურქულ (tik tik „ტიკ! ტიკ!“, civciv „წიწილა“, ark ark „კაკაკუკი“, dilik dilik didiklemek „დაჩეჩილი“ (სელი, კანაფი, მატყელი) და სხვ.) ინგლისურ (blah-blah „სისულელის ლაპარაკი“, ping-pong „პინგ-პონგი“, bye-bye „ნახვამდის“, hanky-panky „სიცრუე, თაღლითობა“, hush-hush „ფარული, საიდუმლო“) და სხვა ენებში.

ხათუნა ხაბაძე (ბათუმი)

**ინგლისურ და ქართულ კულტურებში ხშირად გამოყენებული მეტაფორების
ლინგო-კულტურული კოდი**

ნაშრომში განხილულია ლინგოკულტურული კოდი მეტაფორებისა, რომლებიც ხშირად გამოიყენება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ კულტურაში. ცნება „კულტურული კოდი“ უკვე ფართოდ გამოიყენება მას შემდეგ, რაც გააქტიურდა ლინგოკულტუროლოგიის საკითხი. მსგავსი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია შემეცნებითი მეტაფორა, როგორც აზროვნება (Lakoff, Johnson, 1990 და ა.შ.), კვაზი-სტერეოტიპი - როგორც იდეა, სტატუსის მქონე ეროვნული კულტურული ეტალონი; სიმბოლო, როგორც კონკრეტული მითოლოგიური ცოდნა ლინგოკულტურულ საზოგადოებაში.

ცნება „კულტურული კოდი“, აღწერს რა სამყაროს სურათის დიდ ფრაგმენტს, უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. აქედან გამომდინარე, ნაშრომში მოცემულია საინტერესო მაგალითები ლინგოკულტურული კოდის ცნების შემდგომი კვლევისათვის ინგლისურ და ქართულ კულტურებში მეტაფორულ აზროვნებასთან მიმართებაში.

**რეგიონალური და ეროვნული პრეცედენტების ფუნქციონირება
ქართულ კულტურულ სივრცეში**

პრეცედენტული ფენომენი ერის კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი საინტერესო მარკერია. ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოწოდება, მაგრამ ამ ინფორმაციით დასაინტერესებლად და უკეთესი ეფექტისათვის აუცილებელია ეძიო შესაბამისი ენობრივი ხერხი, რათა უფრო ლაკონურად, ნათლად, სწრაფად და ემოციურად იყოს მიწოდებული მკითხველისათვის. ამიტომ პუბლიცისტიკას ახასიათებს ინტერტექსტუალობა, ერთ-ერთ ვარიანტი კი პრეცედენტული ფენომენების გამოყენებაა. პრეცედენტული ფენომენი დღესდღეობით არის არა მარტო კულტურის გააზრება, არამედ ობიექტივაცია ახალის კულტურაში. დღეის მდგომარეობით, პრეცედენტი - ეს არის კონკრეტულ-ისტორიული, ინდივიდუალური მოვლენა, მიღებული მოცემულ კულტურაში და იძლევა საშუალებას ტრადიციის ჩამოყალიბებისა. პრეცედენტული ფენომენი განიხილება, როგორც კულტურის უწყვეტობის ხერხი, გაქდერება ძველზე დაყრდნობით, ტრანსფორმირება ერთხელ აპრობირებული მაგალითის აწმყოსა და მომავალში.

პრეცედენტული ფენომენის წყარო შეიძლება დაკავშირებული იყოს ხალხურ-იუმორისტულ ჟანრთან, ფოლკლორთან, მხატვრულ ლიტერატურასთან, ისტორიულ მოვლენებთან.

პრეცედენტული ფენომენი რთულია სათარგმნელად, რადგან, პირველი, იმპირიული ინფორმაციის დიდ რაოდენობას შეიცავს, და მეორე, სხვადასხვა კულტურებში შექმნილი მათ მიერ მნიშვნელობა შეიძლება იყოს განსხვავებული ერთმანეთისგან და რომელიც მოითხოვს შესაბამის პრაგმატულ ადაპტაციას თარგმნის ტექსტის.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ პრეცედენტული ფენომენი – კულტურული მოვლენაა, რომელიც შედის სოციუმის კულტურული მეხსიერების ფონდში, ეს არის თავისებური „კულტურული ხიდი“ ერის მეხსიერებისა წარსულსა და მომავალს შორის.

თამთა ხალვაში (დანია,კოპენჰაგენი)

კოსმოპოლიტური ბათუმის ძიებაში

მას შემდეგ, რაც 1878 წელს აჭარა საქართველოს შემოუერთდა, ბათუმში უამრავმა ეთნიკურმა ჯგუფმა მოიყარა თავი, რაც იმდროინდელი მოგზაურების, დიპლომატების თუ ისტორიკოსების აღწერებშიც აისახა. ამიტომ რუსეთის იმპერიის დროს ბათუმი ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც კოსმოპოლიტური ქალაქი, სადაც სომხების გვერდით ცხოვრობდნენ ებრაელები, ბერძნები, რუსები, ქურთები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ ბათუმს ინტერნაციონალისტური ქალაქის სახელი მიენიჭა, რაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის ნაწილი იყო და რუსეთის იმპერიის კოსმოპოლიტურ წარმოსახვებს ეწინააღმდეგებოდა. პოსტსაბჭოთა საქართველოს ბათუმში ფეხი მოიკიდა ტოლერანტობის დასავლურმა იდეამ, რომელიც შეერწყა ადგილობრივ წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ „ქართველი ერი ყოველთვის ტოლერანტი იყო“ და საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად და კეთილგანწყობით ცხოვრობდა განსხვავებულის გვერდით. მიუხედავად კოსმოპოლიტური, ინტერნაციონალური თუ ტოლერანტული რიტორიკისა, ბათუმი არის ქალაქი, სადაც 1878-79 წლებში ასიათასობით აჭარელი მუსლიმი თურქეთში გადასახლდა, რაც იმის აღმნიშვნელი იყო, რომ მათი ადგილი ქრისტიანულ რუსულ იმპერიაში ვერ მოიძებნა. მუსლიმი აჭარელების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება არც საბჭოთა კავშირის დროს შეწყვეტილა, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ 50-იან წლებამდე ბათუმში

ადმინისტრაციულ თანამდებობებს ძირითადად არააჭარელი წარმოშობის ქართველები იკავებდნენ. პოსტოციფალისტურ ბათუმში ყოველდღიურად შეხვედებით ანტითურქულ და ანტიმუსლიმურ რიტორიკას, რომელიც მიმართულია როგორც ადგილობრივი მუსლიმი აჭარლების, ასევე ახლად ჩამოსული თურქების მიმართ. ეს ყველაფერი ერთად აღებული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბათუმის, როგორც კოსმოპოლიტური, ინტერნაციონალური და თუნდაც ტოლერანტული ქალაქის იდეას და მასთან ერთად, საქართველოს, როგორც ევროპული ოჯახის წევრობის საკითხსაც.

ლევან ხალვაში (ბათუმი)

იმპერატივი ცხოვრებასა და გრამატიკაში

იმპერატივი ადამიანთა თანამდევნი მოვლენაა. ადამიანი იმპერატიულია როგორც სხვებთან, ისე საკუთარ თავთანაც მიმართებაში. საზოგადოებისთვის მარადი ძალაუფლების საკითხი წყდება მხოლოდ იმპერატიულად. იმპერატივი იმდენი წლისაა, რამდენიც არსებობს საზოგადოება და მეტიც, ბიბლიის თანახმად, იმპერატივი წინ უსწრებს ადამიანსა და სამყაროს. სხვა საკითხია იმპერატივის მეცნიერული გააზრება. იმპერატივის პრობლემა მეცნიერებაში შექმნა ორი ადამიანის, არისტოტელესა და კანტის, ინტელექტუალურმა იმპერატივებმა, მათგან არც ერთს არ აინტერესებდა იმპერატივი. არისტოტელე იკვლევდა აზროვნების ფორმებს, კანტი - ზნეობას, შედეგად კი გრამატიკამ მიიღო მითი იმპერატივის შესახებ.

არსებობს გასაოცარი დისპროპორცია ადამიანთა ცხოვრებაში იმპერატივის როლსა და მის ლინგვისტურ აღწერას შორის. კითხვაზე, რა იქნებოდა, კაცობრიობას რომ არ სცოდნოდა იმპერატივი, სოციოლოგები და ფილოსოფოსები ერთხმად პასუხობენ: იმპერატივის გარეშე არ იქნებოდა კაცობრიობა, რადგან იმპერატივის გარეშე შეუძლებელია სოციალური ცხოვრების რაიმე ფორმა. ყოველი სოციალური ინსტიტუცია იერარქიულია აგებულებით, ხოლო იერარქიას ქმნის იმპერატივი. ტაბუს, მცნების, წეს-ჩვეულების, კანონის, ნორმის სახით იმპერატივი იცავს ადამიანებს სოციალური ქაოსისა და პიროვნული დაცემისაგან.

ი. კანტის სიტყვები: „ყველა ადამიანი მიისწრაფვის ბედნიერებისკენ“ (И. Кант, соч. в 6 т., т. 4, ч. 1, Мысль, М., 1965, с. 415), ხოლო „ბედნიერება არის ადამიანის ისეთი მდგომარეობა სამყაროში, როდესაც ყველაფერი წარიმართება მისი ნებისა და სურვილის თანახმად“ (იქვე, с. 457) კარგად ასაბუთებენ იმპერატივის საჭიროებას ადამიანთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ადამიანი იმპერატიულია იმიტომ, რომ მიისწრაფვის ბედნიერებისკენ. ამიტომაც განსაზღვრა იმპერატივმა კაცობრიობის პოლიტიკური ისტორია. მხოლოდ 170 მშვიდობიანი წელი კაცობრიობის ფიქსირებული ისტორიის 3500 წლიდან გვამლევს საფუძველს დავასკვნათ: იმპერატივი აირჩიეს ადამიანებმა გზად ბედნიერებისკენ და ამით მისცეს საბაზი ფრ. ნიცშეს - ადამიანური ბუნების მთავარ თვისებად დაესახელებინა სწრაფვა ძალაუფლებისკენ (Фр. Ницше, Сборник, Ми., Поппури, 1998, с. 484). ძალაუფლება კი ვერ აღსრულდება იმპერატივის გარეშე.

მერაბ ხალვაში, ლაშა ასლანიშვილი (ბათუმი)

ფლავიუს არიანე და აფსაროსის რომაული გარნიზონები

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაელთა სამხედრო ბანაკები, მათ შორის აფსაროსი, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, ახ.წ. 134 წელს მოინახულა კაპადოკიის პროვინციის მმართველმა ფლავიუს არიანემ. იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში –

„Periplus“-ში არიან აფსაროსთან დაკავშირებით წერს: „...აფსაროსში დგას ხუთი კოჰორტი. აქ ხელფასი დაურიგე ჯარისკაცებს...“ წერილში მოხსენებული კოჰორტების ხასიათმა და მათი აქ დისლოცირების მიზანმა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი მიიჩნევს, რომ არიან წერილში ნახსენები 5 კოჰორტა ლეგიონალური კოჰორტებია, ხოლო სხვათა მოსაზრებით აფსაროსის გარნიზონები დაკომპლექტებული იყო არა ლეგიონებით, არამედ დამხმარე კოჰორტებით.

აფსაროსის რომაული გარნიზონების ხასიათის კვლევისათვის, სტატიაში დეტალურადაა განხილული წერილობითი, ეპიგრაფიკული და გონიო-აფსაროსში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული უახლესი ნივთიერი მასალა (დამდიანი აგურები, წყალგაყვანილობის მილები, ბრინჯაოს წარწერიანი ჭრაქი), რომელთა ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ ახ. წ. II საუკუნეში, კერძოდ, ფლავიუს არიანეს საინსპექციო მოგზაურობის დროს, აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების შენაერთები: დამხმარე საგუშაგო რაზმები ე.წ. „numer“-ები, იმპერატორ კლადიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა – Cohors II Claudiana, მოისართა კოჰორტა – “Cohors I Apamenorum eq. sagittariorum” ან “Cohors III Syrorum Sagittariorum” და „რომის მოქალაქის“ (Civium Romanorum) სტატუსის მქონე ჯარისკაცებით დაკომპლექტებული იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა (COH(ors) AVR(elius) C(ivium) R(omanorum)).

რამაზ ხალვაში (ბათუმი)

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი (ინტერტექსტური ანალიზი)

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში პროლოგის სტროფების რაოდენობა 46-ს აღწევს. მათი უმრავლესობა იწყება ფსევდორუსთველური, პასკვილური სტროფით „პირველ თავი დასაწყისი...“, რომელიც კლერიკალურად განწყობილ ინტერპოლატორს ეკუთვნის. ცნობილია ასევე, რომ სამი ჩანართი სტროფი (38-39-ე და 40¹) ეკუთვნის ნანუქას (მანუჩარ ციციშვილს) და ამდენივე (37¹⁻³) - იოსებ სააკაძეს. პროლოგის სხვა ყალბისმქმნელთა ვინაობა უცნობია. ბეჭდურ გამოცემებში „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში სტროფების რიცხვი 5-დან 33-მდე მერყეობს. ვახტანგისეული გამოცემა (1712 წ.) „ზაზასეულ“ ხელნაწერს ემყარება, ითვალისწინებს სხვა ნუსხებსაც და რუსთველისეულად მიიჩნევს (პროლოგში ტოვებს) 31 სტროფს. ს. კაკაბაძე და ვ. ჭიჭინაძე პროლოგს „ვახტანგისეულ“ პროლოგს ამატებენ კიდევ ორ სტროფს („თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ და „მას ცოცხალი ნუ ელევის...“). სხვა გამოცემლები „ვახტანგისეული“ პროლოგის მოცულობას ამცირებენ და მასში ტოვებენ 22 სტროფს (ნ. მარი), 10 სტროფს (პ. ინგოროყვა) და 5 სტროფს (მ. წერეთელი). დ. კარიჭაშვილი მთლიან პროლოგს ინტერპოლატორების ნაყალბევად მიიჩნევდა.

რუსთველოლოგიაში აღიარებულ ჭეშმარიტებად ითვლება, რომ პროლოგი „ვეფხისტყაოსნის“ განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში გამოთქმული თეორიული შეხედულებები მხატვრულად არის ხორცმესხმული პოემის ტექსტში. გარდა ამისა, პროლოგი გვიდასტურებს შოთა რუსთაველის ღრმა განსწავლულობას საერო და საეკლესიო ლიტერატურის მრავალ დარგში. შოთა რუსთაველი ორი სამყაროს გზაჯვარედინზე დგას. პროლოგის რამდენიმე სტროფში პერიფრაზირებულია ადგილები პლატონის დიალოგებიდან, არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკიდან“. ბიბლიური წიგნებიდან პროლოგში შეინიშნება დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნებისა“ და პავლე მოციქულის ეპისტოლეების კვალი. პროლოგი წარმოაჩენს რუსთაველის განსწავლულობას საეკლესიო ლიტერატურის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით, ღვთისმეტყველებასა და საეკლესიო პოეზიაში. რუსთაველი მეტწილად მაინც ადმოსავლური ლიტერატურული ტრადიციით იკვებება. პროლოგი სტრუქტურულად და შინაარსობრივად ახლოს დგას ნიზამი განჯელის „ლეილმაჯნუნთან“. ამავე დროს, მასში პერიფრაზირებულია ნიზამის სხვა პოემებიც („ისკანდერ-ნამე“, „ხოსროვ-შირინიანი“), ფახრ ედ-დინ გურგანის „ვისრამიანი“ და

სხვა სპარსული ტექსტები. აღმოსავლურ პოეტურ ტრადიციასთან დიალოგშია დაწერილი „შირობისადმი“ მიძღვნილი პოლემიკური სტროფები (ნიზამი, ხაყანი) და „მიჯნობისადმი“ მიძღვნილი მონაკვეთი (სუფისტური პოეზია). ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, რუსთაველი მისდევს გელათის საღვთისმეტყველო სკოლის ტრადიციებს („ტომი“, „გვარი“, „გასაგონი“). გელათური ტრადიციის გაგრძელებად აღიქმება საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნების სინთეზი მთლიანად „ვეფხისტყაოსანში“ და, განსაკუთრებით, მის პროლოგში.

მზია ხახუტაიშვილი (ბათუმი)

**ერთი გრაფემის ხმარებისათვის
„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერში**

ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერები, რომლებიც ძირითადად XIX საუკუნეს განეკუთვნება, პირადი წერილები, ავგაროზები და ნასყიდობის დოკუმენტებზე არსებული ხელრთვებია. ამგვარ ხელნაწერებს პალეოგრაფიული და ენათმეცნიერული ღირებულება აქვს. ავგაროზის შემცველი ტექსტები შაბლონურია და ამდენად, ნაკლებად საინტერესო ენათმეცნიერული თვალსაზრისით (თუმცა აქაც იკვეთება ზეპირი მეტყველების თავისებურებანი). განსაკუთრებით აღსანიშნავია პირადი წერილები, რომლებშიც დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი მასალაა შეფარული, რადგან იგი ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს შეიცავს და ამასთან მეტად ბუნებრივია და ხალხური.

ამგვარი აღმოჩნდა თურქეთში მუჰაჯირად გახიზნულთა მიერ გამოგზავნილი ავგაროზის ხელნაწერი, რომელსაც თან ახლდა დედაბრულითვე შესრულებული პირადი წერილი. აღნიშნულ წერილში დასტურდება გრაფემა, რომლის ფონემური მნიშვნელობის გარკვევა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

ეს გრაფემა ძირითადად სიტყვის ძირში იხმარება და წარმოადგენს ი ხმოვნის რეფლექსს. იგი **ა** ნახევარხმოვნის ბადალია, მაგრამ თვალში საცემია ის გარემოება, რაც წერილის ავტორის ინდივიდუალიზმზე მეტყველებს, რომ იგი სრულხმოვანი **ი**-ს გვერდით წერს დასახელებულ გრაფემას. ფაქტია, რომ ეს გრაფემა ცოცხალ მეტყველებაში წარმოთქმული ბგერის გრაფიკული გამოხატულებაა, რაც მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიის, ასევე პალეოგრაფიის თვალსაზრისითაც. ადრესანტი მას პრინციპულად იყენებს სიტყვებში, თანაც **იე/ია** ინტერვოკალურ პოზიციაში, უფუნქციოდ: **დიმელაუ** (მოფერებით – დაო), **ბედუნიმერო**, **ენიშუტეიმა**. ზმნურ ძირში: **შეგუვატყობიმეფუ**, **არიმანუ**. მიმღებებში: **დაწერილია**, **გადარეულია**, **მოზიმარეუ**.

საკითხი საინტერესოა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისითაც. **ა**-ს მოშლის გზაზე გადამწერების ცნობიერებაში აღრეული იყო **ა**, **ი**, **ჰ**. ავტორი ამ შემთხვევაში წერს **ა**-ს. საკითხი საინტერესოა ასევე ლინგვოფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც.

ნანა ხახუტაიშვილი (საქართველო, ბათუმი)
ბრეიან გილმორი (დიდი ბრიტანეთი, ოქსფორდი)
ნატანიელ ერბ-სატულლო (აშშ, ჰარვარდი)

კოლხეთი - რკინის მეტალურგიის უძველესი კერა

უძველესი რკინის მეტალურგიის საკითხების კვლევა ისტორიული მეცნიერებისათვის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. სამეცნიერო ლიტერატურაში ის მიჩნეულია მსოფლიო რანგის

პრობლემად. ინტერესი ამ პრობლემის მიმართ განპირობებულია იმ დიდი მნიშვნელობით, რაც რკინამ შეასრულა ძველ საზოგადოებათა ცხოვრებასა და კაცობრიობის კულტურის წინსვლაში. ამიტომ, ბუნებრივია ის დიდი დაინტერესება, რასაც ამ ლითონის წარსულის გარკვევაში იჩენენ თანამედროვე უცხოელი თუ ქართველი მეცნიერები. საგულისხმოა, რომ უძველესი რკინის წარმოების საკითხებით თავის დროზე ანტიკური ხანის ავტორებიც დაინტერესდნენ.

ქართველი სპეციალისტების მიერ ბოლო 60 წლის განმავლობაში კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ნივთიერი მასალის, ასევე, არსებული წერილობითი წყაროების გათვალისწინებით, დღეისათვის გამოიკვეთა კონტურები მეცნიერული მტკიცებისა, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ისტორიული კოლხეთი) წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვან და, შესაძლებელია, ძირითად რეგიონს, სადაც ხდებოდა უძველესი რკინის წარმოება.

თუმცა ამ მოსაზრების სამეცნიერო მიმოქცევაში მყარად დამკვიდრებას აფერხებს ის გარემოება, რომ მეცნიერთა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი რკინისა და სპილენძის სახელოსნოების ადრეული პერიოდით დათარიღებას (რადიოკარბონული და არქეომაგნიტური მონაცემები გურიის ტერიტორიაზე გამოვლენილ ზოგიერთ რკინისა და სპილენძის სახელოსნოს ძვ.წ. XIX-XVIII სს-ით ათარიღებს), უფრო სწორად, არ იზიარებენ და ეჭვქვეშ აყენებენ გასული საუკუნის 70-90-იან წლებში საქართველოში ჩატარებული რკინის ადრეული საწარმოო კერების გეოფიზიკური დათარიღების მონაცემებს. ეს პრობლემა, რომელიც ეხება რკინის ადრეული წარმოების საკითხის დაზუსტებას კოლხეთში, მოითხოვს გადაჭრას უახლესი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით, რაშიც დახმარებას გვიწვევენ ჩვენი უცხოელი კოლეგები.

ნაშრომში ჩვენ წარმოვადგენთ უცხოელ კოლეგებთან (ოქსფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტები) ერთად ჩატარებული ოთხწლიანი მუშაობის შედეგებს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი რკინის საწარმოო კერების შესწავლის მიმართულებით.

ელენე ხაჯიშვილი (ბათუმი)

ეროვნულ-კულტურული მენტალობის ექსპლიცირება და კულტურული მეხსიერება

თუ რა კავშირია სხვადასხვა ხალხების ენას, კულტურასა და ფსიქოლოგიას შორის, ძალზედ საინტერესოა, საინტერესოა სტერეოტიპების ფენომენი და მისი ცნება. ეს კი გულისხმობს იმას, თუ რა წარმოდგენა აქვს ერთ ერს მეორე ერის კულტურაზე.

ლინგვისტიკის უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე ყალიბდება იმ კულტურის გარემოცვაში, რომელშიც მას უწევს ცხოვრება და მოღვაწეობა. ადამიანის ეროვნული ხასიათი ანუ ეროვნულობა ვლინდება ერისთვის რეალურად დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობაში ანუ თვითშეგნებაში, ჩვევებში, გემოვნებაში, ტრადიციაში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ გრძნობებთან, ასევე სხვა ხალხებთან მიმართებით ეროვნულ კულტურაში, ყოფაში, ეროვნულ სიამაყესა და ეროვნულ სტერეოტიპებში.

ერის ეთნოსოციალური მეხსიერება ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობის შენარჩუნების საწინდარი და მისი შემადგენელი ნაწილია. ერთი მხრივ, ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ეთნიკური და ჯგუფური ზიზღის გაღვივებაში, ეროვნებათაშორისი დაძაბულობის აღმოცენებაში, მეორეს მხრივ კეთილმეზობლობასა და ერებს შორის თანამშრომლობის გამყარებაში. ეთნოსოციალური მეხსიერების ასეთი წინააღმდეგობრივი გამოვლინება ამ ფენომენის ანგაჟირებულობითაა განპირობებული: სახელისუფლებო სტრუქტურები, სხვადასხვა პოლიტიკური სოციალური დაჯგუფებანი ყოველთვის ისწრაფოდნენ საზოგადოებას თავს მოახვიონ ისტორიული

მეხსიერების საკუთარი გაგება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ტენდენციურია და არაფერი არ აქვს საერთო ისტორიულ რეალობასთან.

ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტური მოვლენაა (ხალხის ისტორიული მეხსიერება, კულტურული მეხსიერება, პოლიტიკური მეხსიერება და ა.შ.), რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტრანსლირებას.

გიორგი ხეოშვილი (თბილისი)

XIX-XX საუკუნის რუსული რელიგიური ფილოსოფიის ზოგიერთი იდეის რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

გრიგოლ რობაქიძე საქართველოში „მოდერნიზმის სახარების“ ერთ-ერთ პირველ მქადაგებლად ითვლება. ევროპულ მოდერნიზმს ნაზიარები, იგი აქტიურად ცდილობდა ქართულ მხატვრულ და ფილოსოფიურ აზროვნებაში ამ იდეების დანერგვას. რობაქიძე პირადად იცნობდა რუსული მოდერნიზმის ბევრ ცნობილ წარმომადგენელს (ნ. ბერდიაევი, დ. მერექოვსკი, ა. ბელი, ზ. გიპიუსი და სხვ.) და მათ რელიგიურ-ფილოსოფიური იდეებს შემოქმედებითად იყენებდა საკუთარ მხატვრულ და ფილოსოფიურ ნააზრევში.

წარმოდგენილი მოხსენების თემაა ვ. როზანოვის, კ. ლეონტევისა და ნ. ბერდიაევის ფილოსოფიური იდეების გავლენა ქართველი მწერლის შემოქმედებაზე.

ნესტან ხიმშიაშვილი (ქუთაისი)

ცნება *παῖδεία* და თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“

